

776
1974
N 6

ខេត្តបាត់ដំបូង

៦

770
1977

Канада

საქართველოს მფრინალის კავშირის მობილური

ડ લી એ ડ બ ડ ક ર



፩፻፷፭

8 J A M E S 0 6

საგ 03000

ერთხელ

6

□ ২৩০৩। ১৬০

1974

ଶ୍ରୀ ମହାକୃପାଳ ଶ. କୁ. ଶାହ. ସନ୍ତିଷ୍ଠା
ଶବ୍ଦଗ୍ରହମଧିନ୍ୟଙ୍କ ରୂପାବ୍ୟବଲିଙ୍ଗ-
ଧରେ ଲୋକଟିକା :

ვთავარი რედაქტორი

გიორგი მერკვილაძე

პასუხისმგებელი მდივანი

ჯუმარ თითვერია

სარგებლიონ გოლეგია:

გურამ ასათიანი,
აკაკი გაქრაძე,
დიმიტრი გენაშვილი,
მამი დადუჩავა,
გივი ვარდოსანიძე,
ლავროსი კალანდაძე,
გიორგი მარგვალეშვილი,
შალვა რადიანი,
ერემი ქარელიშვილი.

КРИТИКА

Альманах

Орган Союза
писателей
Грузии

(на грузинском
языке)

№ 6

1974 г.

△ △

△ △

მისამართი: 380008. თბილისი, რუსთა-
ველის პრ., 42;

ტელ. 93-18-69.

Издательство «Мерани»
Тбилиси,
пр. Руставели, 42

ქრისტიან გადაღი მონოღაჲა

ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ წრი წელი გავიდა.

განვლილმა ორმა წელმა ნათელყო როგორც ის, თუ რამდენად დრო-ული და გადაუდებლად საჭირო იყო პარტიის მოთხოვნა ლიტერატურული კრიტიკის აუცილებელი გაძლიერება-გააქტიურების შესახებ, ასევე გამოავლინა პირველი საყურადღებო ტენდენციები კრიტიკის ახალი აღ-მავლობისა.

ამ მხრივ გადადგმული პირველი ნაბიჯები მოწმობენ, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანა მხატვრული შემოქმედების დარღვევი პარტიის ხაზის გასატარებლად ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის იდეურ-თეორიული დონის ამაღლების, მისი აქტივობისა და პრინციპიკულობის გაძლიერების შესახებ მთელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიბის სამოქმედო პროგრამად იქცა:

ახლა საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა უფრო აქტიურად ერევა ლიტერატურულ პროცესში;

უფრო ქმედითად იყენებს და ახორციელებს ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ პრინციპს, სწორი პარტიული პოზიციებიდან ზემოქმედებს მხატვრული აზრის განვითარებაზე;

უკეთ ახერხებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ამა თუ იმ ნაწარმოებზე;

მეტი ქმედითობით იცავს სოციალისტური რეალიზმის პოზიციებს; მეტი პრინციპულობით ეკიდება და ამხელს იდეურ მერყეობას. თუ დაბალ მხატვრულ ხარისხსა და გემოვნებას.

მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკის გამოცოცლების მნიშვნელო-

ვან სიმპტომად უნდა მიყიჩნიოთ ისიც, რომ გაიზარდა — როგორც ეს აღნიშნული იყო ამას წინათ მოსკოვში გამართულ კრიტიკოსთა საკავშირო თათბირზე — მისი მომთხოვნელობა ლიტერატურის „სოციალური სიფხიზლისადმი“, რათა მხატვრული შემოქმედება წარმართოს „თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი, განმსაზღვრული პროცესებისაკენ“.

პარტიის ცენტრალური კრმიტეტი თავის გადაწყვეტილებაში ასევე ყურადღებას ამასვილებდა ლიტერატურული კრიტიკის თეორიული სიღრმისა და მეთოდოლოგიური პრინციპების სისწორის აუცილებლობაზე. და ამ მხრივაც საბჭოთა ლიტერატურულმა კრიტიკამ უკვე გადადგა ახალი სერიოზული ნაბიჯები.

კრიტიკული აზროვნება სულ უფრო და უფრო ემყარება სწორ მე-თოდოლოგიურ პრინციპებს ლიტერატურული პროცესის გვლევასა და შეფასებაში;

სულ უფრო და უფრო ორგანულად უხამებს შეფასების პრაქტიკას თეორიულ სიღრმესა და განზოგადებას;

სულ უფრო მაღლდება მისი ფილოსოფიური და ესთეტიკური დონე.

გასული ორი წლის მანძილზე ჩვენს პერიოდიკაში გამოქვეყნდა ქართველ კრიტიკოსთა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი, რომლებშიც პრინციპული შეფასება მიეცა ორგორც მთლიანად ლიტერატურულ პროცესს, ასევე ცალკეულ აგტორთა ნაწარმოებებს. აღნიშნული ნაშრომების პათოსი ექვემდებარება იმ სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებებს, რომლებიც წამოჭრა ჩვენი რესპუბლიკის მთელ ცხოვრებაში მიმდინარე გადახალისების, წარსულის შეცდომებისა და მანკიერებათა გადაჭრით ჰკუგდებისა და დაძლევის მთელმა მეტად გეთილნაყოფიერმა პროცესმა.

ასევე, შეიქმნა ახალი კრიტიკული გამოკვლევები მხატვრული სიტყვის ჩვენს სახელოვან ოსტატებზე.

ქართველმა კრიტიკოსებმა, პირველად ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში, მიიღეს თავიანთი სპეციალური ორგანო, რომლის უკვე მეტად გამოიყენება.

გაძლიერდა ჩვენი ფილოლოგიური სამცნიერო-საკვლევი დაწესებულებების აქტივობა თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის დარგში.

მნიშვნელოვანი გამოცოცხლება იგრძნობა მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა სექციის მუშაობაში...

მაგრამ ყოველივე ეს დიდი ლიტერატურულ-კრიტიკული მუშაობის



მ ხ ო ო დ დასაწყისი ა. მთავარი საქმე წინ არის. ლიტერატურულ-კრიტიკული მუშაობის ძირითადი ნაკლი ჯერ კიდევ დასაძლევია. უკრნალების: „მნათობის“, „ცისკრის“, „ლიტერატურნაია გრუზიას“, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მუშაობა ამ მხრივ ჯერ კიდევ მოითხოვს არსებით გაუმჯობესებას. თვით ჩეგნი აღმანახის — „კრიტიკის“ პრაქტიკაშიც იჩენს ხოლმე თაგს თანამედროვე კრიტიკისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი საერთო ნაკლი, თუმცა ბევრი არსებითი ნაკლოვანი მხარე იყო მხილებული მის ფურცლებზე შემოღებული რუბრიკების — „ლიტერატურა და ცხოვრება“, „გილაპარაკოთ გულახდილად“, „კრიტიკული შენიშვნები კრიტიკზე“, „პოლემიკა“ — ქვეშ დაბჭეჭდილ რამდენიმე საყურადღებო სტატიაში.

ლიტერატურულ კრიტიკაში აქამდე არ არის დაძლეული სუბიექტი-
ვიზმი, ძმაბიჭობისა და ჯგუფური მიკერძოების მავნე ტენდენციები, ზე-
რელობა, შემრიგებული დამოკიდებულება იდეური და მხატვრული წუ-
ნისადმი, ცხოვრების არცონა, წინასწარ აკვიატებული არაობიერებური
შეფასებები ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენისა და ზოგიერთი სხვა
მნიშვნელოვანი ნაკლი.

ჩევნი კრიტიკა ჯერ კიდევ სუსტად ამზელს თანამედროვე დასაცლე-
თის დეკადენტური ლიტერატურის, ბურჟუაზიული „მასობრივი კულტუ-
რის“ რეაქციულ არსს, ლიტერატურისა და ხელოვნების ფუნქციის ანტი-
მარქსისტულ კონცეფციებს; ასევე სუსტად ებრძების უცხოურ მოდურ სტი-
ლურ თუ სხვაგვარ გავლენებს ჩევნი ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის
შემოქმედებაში.

ამასთანავე, ჩვენ ყოველმხრივ უნდა გადავუღობოთ გზა უსაფუძვლო,



ტენდენციურ კრიტიკას, რომელიც უპირისპირდება პარტიის იმ სახელმძღვანელო ლენინურ მითითებას, რომ საბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრულმა კრიტიკამ თავისი პრინციპული მომთხოვნელობა უნდა შეუხამოს ტანტის შემოქმედებითი ძიებებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას. ყველა შემთხვევაში — მაშინაც, როცა ნაწარმოებს აქებს და მაშინაც, როცა აკრიტიკებს — კრიტიკოსის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. გულწრფელად ობიექტური იყოს, ყველა თავისი დებულება მან უნდა აქციოს ღრმად დასაბუთებულ ჭეშმარიტებად.

როცა ლიტერატურული კრიტიკის შემდგომი გაძლიერების ამოცანაზე ვლაპარაკობთ, საქმე ეხება:

მის თვისობრივ ზრდას, ახალი ფორმების ძიებას, შინაარსობრივ სიმდიდრეს, იდეურ გამიზნულობასა და ფილოსოფიურ სიღრმეს;

მის განუყრელ კავშირს დღევანდელობასთან, დღევანდელი დღის პრობლემების დაკავშირებას პარტიის პოლიტიკასთან, ხალხის ინტერესებთან, მაშასადამე, სადღეისო ამოცანების სიმაღლეზე დგომას, მათს ორგანულ დაკავშირებას ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენებთან;

მისი კრიტერიუმების სიზუსტესა და სიცხადეს, რაც ხშირად აკლია ხოლმე ჩვენს კრიტიკულ აზრს.

დღიდა და საპატიო კრიტიკის პასუხისმგებლობა პარტიის, ხალხის, ისტორიის წინაშე. ამ პასუხისმგებლობაზე მიუთითებდა ჩვენი პარტიის XIX ყრილობა, რომელმაც მოითხოვა კრიტიკის გააქტიურება, მისი დონის აუცილებელი ამაღლება და რომლის მიერ მოცემულმა სახელმძღვანელო დებულებებმა შემდგომი განვითარება პოვენ სკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის იანვრის დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“.

ამ დაგენილებით შეიარაღებული ჩვენი კრიტიკა ქმედითად უნდა დაეხმაროს საბჭოთა ლიტერატურას მისი იმ ისტორიული მისიის შესრულებაში, რომ იყოს პარტიის, ხალხის ღირსეული თანაშემწევ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

ლიტერატურა

და

ცხოვრება

ქართული პროზის განვითარების მოგიერთი საკითხი

△ △

როსგორ ბეჟანიშვილი

▽ ▽

1

თანამედროვე მკითხველი

სრულიად გუნდრივია,
რომ მოცე საუკუნის მეც-
ნიერულ-ტექნიკურმა რევოლუ-

ციამ ადამიანს საკუთარი ძალები-
სა და უნარისადმი რწმენა განუ-
მტკიცა, მაგრამ მეცნიერებისა
და საერთოდ, ცხოვრების პროგ-
რესი მაინც არ გვაძლევს ნებას
თვითმყაყოფილებას მივეცეთ.
წინა საუკუნეების გამოცდილება
მომდევნო ეპოქების მონაპოვარი
ისევეა, როგორც იმ ეპოქისა,
რომელსაც იგი თავდაპირველად
ეკუთვნიდა. ამ ნორმალურ პრო-
ცეს მხოლოდ ჩვენ ვერ მოვისა-
კუთრებთ და მხოლოდ მეოცე სა-
უკუნის პრიორიტეტად ვერ გა-
მოვაცხადებთ.

ისტორიულ ასპექტში ლიტე-
რატურის განვითარებას თუ
თვალს მივადევნებთ, დავრწმუნ-
დებით, რომ ჩვენმა საუკუნეებ
მხატვრულ-შემეცნებითი ხარის-
ხით ჯერ მხარი ვერ გაუსწორა
ვერც ანტიკურ ეპოქას და ვერც
აღორძინების ხანას. ზოგ შემთხ-
ვევაში იგი ჩამორჩება შეცხრამე-
ტე საუკუნესაც. ჩვენს საუკუნეს
ჯერ არა ჰყავს არც ბალზაკი, არც
გოეთე, არც ლევ ტოლსტიო და
დოსტოევსკი, რომ აღმრაფერი
კოქვათ ჰომეროსზე, რუსთაველ-
ზე, ონტეზე, შექსპირზე და სერ-
ვანტეზე. კარგად შენიშნა მოჩი-
აქმა: „როცა „ომსა და მშვიდო-
ბას“ გაითხულობ, ვგრძნობ რომ

ჩემს წინ ლიტერატურის განვლი-
ლი ეტაპი კი არ არის, არამედ
რომანის წერის საიდუმლო, რო-
მელიც დაგვიკარგავს“. მართა-
ლია, ჩვენმა საუკუნემ შექმნა
ენერგიის ახალი წყარო, (ატომუ-
რი ენერგია), შექმნა გენეტიკური
კოდი და მიუახლოვდა ცილის ხე-
ლოვნური მიღების საიდუმლოე-
ბას; რომ აღარაფერი ვთქვათ
კოსმისის შტურმზე, მაგრამ ამ
მეცნიერულ-ტექნიკურმა რე-
ვოლუციამ განა ადამიანის სული-
ერი ცხოვრებაც ისე სრულყო,
რომ ჩვენ მზადა ვართ ოლიმპიუ-
რი სიმაღლიდან მთელი წინა ის-
ტორია „შევაჯამოთ“? განა მთვა-
რეზე ადამიანის მისვლამ ფილო-
სოფიური აზრი დაუკარგა ბარა-
თშვილის სტრიქონებს:

მე შენსა ჰქვებელს მავრწყდების
საწუოროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს
სადგურს,
ზენაართ სამყოფო, რომ დაშოთოს აქ
ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ გლას მოკვდავნი
განგებას ციურს.

ეს ხომ ადამიანის კოსმოგონი-
ური ლტოლვაა დაუსრულებლო-
ბისაკენ, იმ ახალი და უსასრულო
გალაქტიკებისაკენ, სადაც თვით
მზის სისტემა ათასობითაა, ხოლო
პლანეტა დედამიწა ერთი პარაჭი-

ნა ნამცეცია ცანტის ტერმინა
რომ ვიხმაროთ).

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით
იმას, რომ მეცნიერულ-ტექნიკუ-
რი რევოლუცია არ სცვლიდეს
ადამიანის სულიერ წყობას, მაგ-
რამ ჰეშმარიტი ხელოვნება ისეთი
ლრმაა, რომელსაც ვერც ერთა
ეპოქა მხოლოდ თავის აღმოჩე-
ნად ვერ დაისაკუთრებს. განა კა-
ცობრიობა მივა განვითარების იმ
ზღურბლთან, რომ ერთხელ და
სამუდამოდ ახსნას ჯოკონდას ღი-
მილი, ჰამლეტის „ყოფნა-არყოფ-
ნა“, ვაჟას გენიალური „რამ შემქ-
მნა ადამიანად, რატომ არ მოველ
წვიმადა...“ ეს აუხსნელი სიღი-
დეებია, ამ სიღიდეებს ყველა
ეპოქა თავისი მასშტაბით გაზო-
მავს და სულ უფრო მზარდი,
უნივერსალური მასშტაბები კი
არ დააკნინებენ ამ სიღიდეებს.
არამედ აღმოაჩენენ მათში ახალ
და ახალ ასპექტებს, რასაც, გერ-
გერობით, ცივილიზაციის დღე-
ვანდელ ღონეზე ჩვენი ინტელექ-
ტი მთლიანად ვერ წვდება. ეს
არის ხელოვნების უკვდავებისა
და მისდამი მარადიული ინტე-
რესის ერთ-ერთი გარანტიაც.

ჩვენმა საუკუნემ და განსაკუთ-
რებით გისმა უკანასკნელმა ათ-
წლეულებმა შექმნეს ინფორმაცი-
ის არაჩვეულებრივი სიჭარბე.
სტატისტიკურად გამოანგარიშე-

შელია, რომ ცოდნის ყველა სფეროში ინფორმაციის მაჩაგი ყოველ ათ წლიწადში ორკეცდება. ამას ემატება ესთეტიკურ-ემოციური ინფორმაციის სიუხვეც გასული საუკუნის მწერალს, ფაქტიურად, კონკურენტი არა ჰყავდა. საკმარისი იყო მას გამომცემელი ეშვება, თუ წიგნი ნიჭიერი იყო, მკითხველი სრულ მოჩილებაში ეყოლებოდა. დღეს შემოლდ წიგნის ნიჭიერება აღარ კმარა, რაღაც მდგომარეობა კარ-ლინალურად შეიცვალა: დღევანდელი მკითხველი ინფორმაციის „ტყვეა“. იგი ისმენს, უყურებს და იმახსოვრებს აუარებელ მასალას. თანამედროვე მწერლის კონკურენტად მკითხველის „დასაუთრების“ დარგში სრულიად ბუნებრივად იქცა კინემატოგრაფი და ტელევიზია. ამ კონკურენტებს ბევრი ძლიერი საშუალება აქვთ, რითაც შეუძლიათ მიზიდონ ადამიანი, რომელიც „მკითხველიან“ თანდათან „მაყურებლად“ იქცა.

თანამედროვე მკითხველს, წიგნი, რა თქმა უნდა, არ დავიწყებია. ჩვენს ქვეყანაში გამოცემულ წიგნებს კვლავ დიდი ტირაჟები აქვთ. მაგრამ დავუფიქრდეთ, იმავე წიგნების სიუჟეტების მიხედვით გადაღებულ კინო თუ ტელეფილმებს რამდენი მაყურებელი

ჰყავს. დამაფიქრებელი სტატისტიკაა. ამას შალე მიემატება გოლოგრაფიაც, გამოსახულების სივრცობრივი აღქმა. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ სიტყვის ხელოვნებამ თავისი ესთეტიკურ-ემოციური ზემოქმედების ძალით მხარი უნდა გაუსწოროს სხვა დარგების განვითარებას.

რით უნდა უპასუხოს ამას მწერლმა?

სიტყვის ხელოვნების ახალი საშუალებების ძიებით, თვისობრივად თანამედროვე მხატვრული აზროვნების შექმნით. ამას ვერც მხოლოდ თემატიკა უშველის და ვერც ექსპერიმენტები ფორმის მხრივ. პრობლემა გაცილებით ღრმად ძევს. აქ საუბარია სახეერების თვისობრივ სიახლეებზე, გამოსახულების ხერხებისა და ფსიქოლოგიური წვდომის ახალ ხარისხზე.

2

თემა თუ პროგლობა?

რა პრობლემები აღელვებს ჩვენს პროზას, უფრო ზუსტად, აქვს თუ არა მას პრობლემა, მხოლოდ თემითა და მისი მოჩვენებითი აქტუალობით ხომ არ იფარ-

გლება იგი? აქტუალური ყოველ-
 თვის სადღეისოს არ ნიშნავს. ეს
 აქტუალურის ცნების დაკინება
 და დისკრედიტაციაა. განა თანა-
 მედროვე, მკითხველისათვის „ვე-
 ფხისტყაოსანი“ აქტუალური არ
 არის? განა ჩვენი ლიტერატურის
 მოქალაქეობრივი პათოსისათვის
 ილიას „ჩემს კალამს“ აქტუალუ-
 რი არ არის? მაგრამ მწერლისა-
 თვის ეს არ კმარა. მწერლისათვის
 ძიება და მხატვრული აღმოჩენა
 ამ აქტუალობის მიღმა უნდა იწ-
 ყებოდეს. მწერალს პრობლემა
 უნდა აინტერესებდეს, პრობლე-
 მის წარმოჩენა კი შედეგია ქვეყ-
 ნის, საზოგადოების სოციოლო-
 გიური, მორალურ-ეთიკური, ეკო-
 ნომიური და პოლიტიკური შეს-
 წავლისა. შემთხვევით როდი იყო,
 რომ მარქსიზმის კლასიკები
 ფრანგი და რუსი მწერლების
 რომანებითაც სწავლობდნენ საფ-
 რანგეთისა და რუსეთის თვით
 ეკონომიკურ ცხოვრებასაც. რას
 ნიშნავს ეს? მწერალი სოციოლო-
 გიც უნდა იყოს, პოლიტიკოსიც,
 თავისი ერის ნამდვილი ჭირისუ-
 თალი. და როცა პრობლემას ხელს
 ჰკიდებს, ამ პრობლემას უნდა ხე-
 დავოდეს თავისი ქვეყნის ისტორი-
 ასთან მიმართებაში. თავისი ქვეყ-
 ნის მომავალთან მიმართებაში. ეს
 არის მაღალი ლიტერატურის
 ჯზა.

როგორ არის ამ მხრივ საქმე
 ჩვენს მწერლობაში. და, კონკრე-
 ტულად გასული წლის პროზაში?
 ცხადია, პრობლემის კარნახი არ
 შეიძლება. პრობლემა ხომ მოღუ-
 რი თემა არ არის. პრობლემა
 თვითონ მწერალია, მასი მსოფლ-
 მხედველობაა. უფრო მეტიც:
 პრობლემა მწერლის ფილოსო-
 ფიაა, მისი კუთვნილი სამყარო,
 რომელიც მკითხველისათვის უნ-
 და აღმოაჩინოს. პრობლემები არ
 შეიძლება მწერალს პანტაპუნ-
 ტით სცვიოდეს თავიდან, რადგან
 ისინი თითქმის მთლიანად მოიცა-
 ვენ მის ცხოვრებას.

3

მოთხრობის ზანი

ბოლო წლებში ჩვენი ბელეტ-
 რისტები ძალიან გაიტაცა „რომა-
 ნომანიამ“. იწერება მრავალი რო-
 მანი, როგორც ნაცადი ოსტატე-
 ბის მიერ, ისე ახალბედა ავტორე-
 ბის კალმით. და აღრე თუ პრო-
 ზის მონუმენტური უანრის — რო-
 მანის ჩამორჩენაზე იყო საუბარი,
 ახლა ჩვენს მწერლობაში მდგომა-
 რეობა ძირიფესვიანად შეიცვალა.
 ქართულ პროზაში თითქმის გა-
 ბატონებული მდგომარეობა დაი-
 კავა რომანმა და დიდმა მოთხრო-
 ბამ, მაგრამ ისინი, მრავალი ლირ-

სების მიუხედავად, ვერასოდეს ვერ შესცვლიან ჩვეულებრივ მოთხოვნას, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

ედგარ პო ამბობდა, რომანის ერთი დაყდომით წაკითხვა რომ არ შეიძლება, ამით რომანი უკვე სანახევროდ კარგავს თავის ღირსებასო.

უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, მრავალ სიმპაზიუმზე თუ ლიტერატურულ დისპუტებში ცხარედ განიხილებოდა „რომანის პრობლემა“. მაგრამ ლიტერატურის განვითარებამ დაგვანახა, რომ რომანის პარაკლისი დასავლეთში ძალზე აღრე გადაიხდეს...

სამაგიეროდ, თვალსა და ხელს შუა დავისამარეთ მოთხოვნა. მოთხოვნას უანრის მივიწყებამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთი მწერლისათვის სქელტანიანი რომანი ღირსების საქმედ არის ქცეული, ის კი ავიწყდება, რომ პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“, ივან ბუნინის „სან-ფრანცისკოელი ბატონი“ ან მიხეილ ტაგანიშვილის „მართალი აბითულაჲ“ ბეგრ სქელტანიანი რომანს მოიგდებს ქვეშ. მეტი მაგალითები, ვფიქრობ, საჭირო არ არის, ეჭვს გარეშეა, რომანთან და ე. წ.

დიდ მოთხოვნასთან ერთად მათ გვერდით კვლავ ღირსეული ადგილი უნდა ეჭიროთ მოთხოვნას, ნოველას, მინიატურას, ეტიუდს, ესკიზებს... ყველა ეს სახე უაღრესად საინტერესოა, ზოგიერთი მათგანი უკეთ გამოხატავს სათქმელს. ვიდრე ეს რომანში ან ეპოქები შეიძლება. გავიხსენოთ თუნდაც ნ. ლორთქიფანიძის მინატურები „საქართველო იყიდება“ და „რეკა“.

ჩვენი პროზის უანრობრივი მრავალფეროვნება შარშან გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში უკვე შეინიშნა, რაც ფრიად სასიხარულოა. შარშან გამოქვეყნებულმა რამდენიმე ძლიერმა მოთხოვნამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს უანრი ცოცხლობს, ძალებს იკრებს, ფორმასა და სტრუქტურას იცვლის, იძენს მრავალ სიახლეს, რითაც იგი უფრო საინტერესო ხდება და დიდი ესთეტიკური სიამოგნების მინიჭებასაც პირდება მკითხველს.

ორი პატარა მოთხოვნა გამოქვეყნა ჩვენმა მხცოვანმა მწერლომა სერგო კლოიაშვილმა — „მაიკო“ და „თათრის გოგო ფატიმა“ და კვლავ გვაზიარა თავის უჭინობ ტალანტს. რა შეიძლება ითქვას მოთხოვნაზე „მაიკო“? ეს

არის სუფთა მოთხოვბა. სიტყვა „სუფთა“ შემთხვევით არ ვიხმარე. ნ. ლორთქიფანიძე თავის „დაწერეულ ბუღებში“ ერთერთ პერსონაზე შენიშვავს, რომ მას „წარლვნის დროსაც კი ჭუჭუან ხელს ვერ გაუწვდილი“. ი. ასეთი გრძნობა გვეუფლება, როცა „მაიკოს“ ვკითხულობთ. აქ არის ბავშვისა და ხნიერი ადამიანის უზრუნველი საუბარი ტელეფონით, მაგრამ რაოდენი სითბოა, სინაზე, რაოდენი სიბრალულია ქალაქში, ეზოსა და სიცელშის გარეშე ოთახში გამოკეტილი ბავშვისა. მწერალს როგორ ახარებს, რომ მაიკო ერთი თვით სოფელში წაიყვანეს, სადაც მან უნდა დაიბრუნოს დაკარგული ბავშვობა, თუმცა მაიკო სულ ექვსი წლისაა. მოთხოვბის შეორება პლანი სწორედ ეს არის.

მეორე მოთხოვბის გმირიც გოგონაა, ოლონდ ეს თხოთმეტი წლის თაორის გოგო ფატიმაა. ამბავი წარსულს ეხება, ეს მოგონებაც არის და წიაღსვლაც, ჩუმი სევდა გასდევს მოთხოვბას, რომელშიც ჩამწვარი გრძნობების ნაგვიანევი კვრილი გამდგარა. მოთხოვბა ყურადღებას იქცევს სიტყვის უდიდესი ეკონომიკა და ხატვის პლასტიკური მანერით. დაუკვირდით, რაოდენ ზუსტი და სახიერია ეს პეიზაჟი: „იანვრის

დამდეგს სუსხიანი დღეები დაწყირა. ქარს ხშირად მოქვენდა მთიდან ახვეტილი ფიფქი. ღილით გამოჩნდებოდა ხოლმე უსხივო, თითქოს უანგმოკიდებული მზე და, მეტი ძალა რომ აღარა ჰქონდა, ყვითლად ბუტავდა ფერდობის თავზე აღოღებული. მალე იქაც გადაეკვრებიდა ლიბრი და მერე დაბინდებამდე ისევ ნაცრისფერში და ნაღველში გახვეული ჩანდა გაჩქმო. დღე იყო მოკლე და მარც დაუსრულებელი“. როგორც იტყვას, ამ პეიზაჟს არავითარი კომენტარი არ სჭირდება. აქ არის განწყობილება, ზამთრის ყვითელი მზე და მთავარი ფერი—ნაცრისფერი. ეს ფერი ნაღველში გადაისი, ყოველივე ამის შედეგია ზამთრის მოკლე დღე, რომელიც არა და არ თავდება, იმიტომ რომ ყვითელი, სევდიანი მზით არის განათებული. ეს ჩუმი სევდა მკითხველს სიწმინდითა და სპეტაკი მოგონებებით ავსებს, ხდება ის სასწაულთმოქმედი კათარზისი, რაც არის ტოტელეს ტრაგედიის მთავარ მიზნად მიაჩნდა და რაც, საერთოდ, ჭეშმარიტი ხელოვნების საფუძველია.

გ. ჩიქოვანმა ოდიშური ციკლიდან გამოაქვეყნა ახალი მოთხოვბა „მები“, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო. ეს ნაწარ-

მოები თავისებური პასუხია იმათ
მიმართ, ვისაც ყალბი წარმოდგე-
ნა აქვს სამამულო ოში ქართვე-
ლი ხალხის მიერ გაღებულ
მსხვერპლზე. როგორც ცნობი-
ლია, ჩვენი რესპუბლიკის მოსახ-
ლეობის ოც პროცენტზე მეტი
მონაწილეობდა სამამულო ომის
ფრონტებზე გაჩაღებულ სამ-
კვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებ-
ში. შემთხვევით როდია, საქართ-
ველოში სოფელს ვერ ნახავთ, სა-
დაც შინმოუსვლელთა უკვდავსა-
ყოფად ძეგლი არ იყოს აგებუ-
ლი. თითოეულ ძეგლზე კი ასეუ-
ლობით დაღუპული მეომრის სა-
ხელია მიწერილი.

ამ დრამატულ წლებს ეძღვნე-
ბა გ. ჩიქოვანის მოთხოვა „მე-
ბი“. მასში ნაჩვენებია ერთი პა-
ტარა სოფლის ცხოვრება ომის
დროს. ამ სოფლის მაგალითზე
მკითხველისათვის ძნელი არ არის
წარმოიდგინოს, რა სიძნელეები-
სა და მსხვერპლის გადატანა უხ-
დებოდა ზურგს, რომელიც ზურ-
გი არ იყო ამ სიტყვის ჩვეულებ-
რივი გაგებით, ისიც ფრონტი
იყო — შრომის, ცრემლის, თავ-
დაოების და პატიოსნებისა.

მწერალს ამ კეთილშობილური
აზრის გამოსახატავად ორი ახალ-
გაზრდის შეხვერდა აქვს აღწერი-
ლი, ესენი არიან ნოუ თა ცოტნე.
მათ ერთმანეთი ღია ხანია უყ-

ვართ, მაგრამ ძალიან გაუბედავე-
ბი არიან და ვერ შეძლეს ამ გრძნო-
ბის გამოთქმა. ისინი სოფლისა-
კენ შემთხვევით ერთად მიდიან.
გ. ჩიქოვანი ძუნწია პეიზაჟისა და
პერსონაჟების გრძნობების ხატ-
ვისას, მაგრამ უაღრესად სახიე-
რი. ამ მოთხოვაში ჩვენ ჰეშმა-
რიტ ფიქოლოგიურ მიგნებებთან
გვაქვს საქმე. რამდენიმე მათგან-
ზე შევჩერდები.

ნაწვიმარ გზაზე მიდიან ნოუ და
ცოტნე. მწერალი ასე აგვიწერს
ამ სცენას: „გზაზე გავიდნენ.
ჩუმად მიდიოდნენ დაყურადებუ-
ლები, შემკრთალნი პირველი შე-
ხებით, პირველი სიახლოვით,
პირველი სითბოთი. გუბეები გზა-
ზედაც იდგა, უფრო ფართო, უფ-
რო ღრმა, მხარდამხარ მიმავალნი
გვერდს არ უვლიდნენ გუბეებს.
ერთმანეთს რომ არ მოშორებო-
ნენ“. აქ ყველაფერი ზუსტად
არის მიგნებული და ძალიან პლას-
ტიკურად დახატული. ჩვენ გვე-
რა ამ ახალგაზრდებისა, მათ ხომ
ერთმანეთი უყვართ და სიახლო-
ვის სურვილი ყველაფერზე ძლი-
ერია.

ცოტნეს ორი ძმა ჰყავს
ფრონტზე, კიჭი და უჩანა. ერთის
დაღუპვის ცნობა უკვე მიიღეს,
მაგრამ სწორედ დღეს ცოტნეს

ცუდი წინათგრძნობა ქვეს, ეჩვე-
ნება, რომ შინ კიჭის .სიკვდილის
ცნობაც დახვდება. ამ გრძნობას
ძალიან ოსტატურად გაღმოგვ-
ცემს მწერალი. ცოტნე არაფერს
ეუბნება ნოუს, მხოლოდ მიანიშ-
ნებს. ისინი საერთო უბედურე-
ბის მოლოდინმა ერთ საღამოს
უფრო დაახლოვა, ვიღრე წლე-
ბის მანძილზე ერთ სოფელში
ცხოვრებამ. ნოუ სთავაზობს, რომ
შინამდე ... მიაცილებს ცოტნეს.
ვაჟი უარობს: რომ დათანხმდეს,
ამით უნდა ირწმუნოს თავისი
წინათგრძნობა. ამ ფსიქოლოგიურ
ქვეტექსტზე გ. ჩიქოვანი მხო-
ლოდ მიანიშნებს მკითხველს, და-
ნარჩენს :ჩვენი წარმოსახვით ვავ-
სებთ. აი, ნოუ და ცოტნე მივიდ-
ნენ მდინარეზე გადებულ ხიდ-
თან. ხიდს იქით ცოტნეს სახლია.
ხიდზე ფიცრები ამტვრალია, მაგ-
რამ მოთხრობის გმირები თამა-
მად მიაბიჯებენ, რადგან განსაც-
დელი აქ კი არ არის, არმედ იქ—
სახლში. ამ დროს ცოტნეს სახ-
ლიდან მოისმის კივილი. საოც-
რად პრასტიკური და ფსიქოლოგიურად ზუსტია მწერალი: „შედ-
გნენ ნოუ და ცოტნე. ირვალივ
ყველაფერმა დაკარგა ხმა: მდინა-
რებ, ქარმა, ხეებმა. მხოლოდ კი-
ვილი და მოთქმა ესმოდათ ნოუს
და ცოტნეს“. ცოტნეს მკითხვე-
ლის მოლოდინის საპირისპიროდ


ნოუ. მინ არ მიყავს სანუგეშებლად. აქ ჩვენ ფსიქოლოგიური დაძაბულობის ისეთ წერტილთან მივედით, სადაც ერთი ყალბი ნოტიც ყველაფერს დაამსხვრევდა, მელოდიამატულსა და დაუჭრებელს განვიდა. მწერალმა მაღალ-ოსტატურად გამოიხტა. ამ ეპიზოდში ცოტნეს მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძველი. „ნოუ არ გაძალიანებია. მიხვდა, ცოტნე მანუგეშებლად არ მიიყვანდა იმ ცუდ, საშინელ ამბავთან. არ უნდოდა ნუგეში, რა ნუგეში, რის ნუგეში! აღარ არის კიჭი, აღარ არის უჩანა. რანაირად შეიძლება ახლა ნუგეში სცე ცოტნეს“. ხელოვნების ძალა იმაშია, რომ აქ ჩვენ ამ უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვებისა გვჩერა. მაგრამ ამით არ სრულდება ცოტნეს მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივირება. მწერალი შენიშნავს, რომ ცოტნე „შებრუნდა, მძიმე ნაბიჭით გაუდგა გზას. მძიმე იმიტომ კი არა, რომ დაღლილი იყო, არც იმიტომ. რომ არ უნდოდა იმ ცუდ ამბავთან, იმ საშინელ ამბავთან მალე მისულიყო; ის ამბავი უკვე მომხთარი იყო, ვერავრთარი ძალა. ჯანგება ვერ შესცვლიდა“ მას. მძიმედ იმიტომ მიზირდა, რომ არ შეეძლო „შეეხედა დედისათვის, მამისათვის“. ვფიქრობ

ამით ყველაფერი არის ნათქვამი. ეს არის ტრაგედია, რომელიც უფრო სახიერად ძნელია გადმო-იცეს.

ამ მოთხრობაში არის ერთი უბრალო დეტალი, მაგრამ მრავ-ლისმთქმელი, რადგან დეტალს მოთხრობაში საგანგებო მისია აქეს დაკისრებული. გ. ჩიქოვანი წერს: „მთელი სოფელი ტიროდა კიჭის. ღამით ტიროდნენ, დღი-სით არც ქალს ეცალა სატირლად, არც კაცს“. ამ დეტალით ყველა-ფერია ნათქვამი: ომია, საქვეყნო საქმისათვის ქანცგამზყვეტი მუ-შაობაა გაჩალებული, ყოველ დღეს კი სოფლისათვის სიკვდი-ლის ახალი ელდა მოაქვს. მაგრამ სოფელს სატირლად მხოლოდ ღამით სცალია. ეს ერთი-ორად ამძიმებს ტრაგედიას. განა ადამი-ანის ასეთი მდგომარეობა იგივე ფრონტი არ არის? ეს არის ამ მოთხრობის მოქალაქეობრივი პა-თოსი და მწერალმა ამის გამო-ხატვა ჩინებულად შესძლო.

გასულ წელს გამოქვეყნებულ რ. ინანიშვილის მოთხრობები-სათვის („დიდი დაღი“, „თოვ-ლა“, „დედები“, „ლომა და ნიკო-რა“ და სხვ.) დამახასიათებელია მწერლის ურყევი ერთგულება ფაქტურისადმი. რ. ინანიშვილი ძირითადად სოფელზე წერს და კარგადაც იცნობს მას.

რ. ინანიშვილი სიტყვით ფერ-მწერია. ზედმეტ შედარებას თუ ეპითეტს იგი არ იხმარს. მისი სუ-რათი ყოველთვის რელიეფურია: „ვეგება ქათქათა ბალიშზე“ მიწო-ლილი, ნიკაპამდე საბანაჭიმული, კიდევ უფრო პატარა ჩანდა, ვიდ-რე ნამდვილად იყო: სიცხითა და სიმორცხვით აწითლებულს სიფ-რიფანა ნესტორები უთრობდა. მაგრამ თვალები მშვიდი ჰქონდა. თვალები იმდენად მშვიდი ჰქონ-და, მეჩვენებოდა, რომ სულ არ ახამხამებდა“. რ. ინანიშვილი კარგად გრძნობს ქართული ზმნის სიმდიდრეს, მის სიუხვეს ნი-უანსებში. იმ ჩვეულებრივ აზრს. რომ გოგონები საქმეს დაამთავ-რებდნენ, კაბას და ფეხსაცმელს ჩაიცამდნენ, თმას დაივარცხნიდ-ნენ და გზაზე წავიდოლნენ, მწე-რალი უზაღო ნიუანსებით გამო-ხატავს, სადაც ზმნების სინატი-ფეს ენიჭება პრიორიტეტი და მკითხველის შეუმჩნევლად იქმნე-ბა კოლორიტიც: „ქალიშვილებ-მა შინაურ საქმეებზე გული აიც-რუეს, თუ კი რამეს აკეთებდნენ, მაშინაც თვალი გზისკენ გაურბო-დათ, აბა, ვინ აივლის და ვინ ჩა-მოივლისო. მოაფაც აცე ბ-დ ნენ გასაკეთებელს, გადა-იცვამდნენ საგარეო კაბას:



წ აყოფდნენ შიშველ ფეხებს
მაღალქუსლიან ტუფლებში,
სწრაფად ჩამოვარცხნიდ-
ნენ თბას, პომადასაც წაიცხებდ-
ნენ — მქრქალად, გაუბედავად,
და გაკიც კი ვდებო დო დნენ
დიდ გზაზე“. დააკვირდით მქერ-
ლის მიერ ნახმარ ზმნებს, ყველ-
გან რაღაც განსაკუთრებული ნი-
უანსია მოძებნილი, რისი მეოხე-
ბითაც ეს ქალიშვილები იხატები-
ან და მათი ყოველი მოძრაობაც
ჩვენთვის სახიერად დასამახსოვ-
რებელია. ეს არის ოსტატობა,
თორემ ამ სტრიქონებში გამოთქ-
მული აზრი ყველა მოკვდავის
კუთვნილება შეიძლება ყოფი-
ლიყო.


რ. ინანიშვილს აქვს ე. შ. კინე-
მატოგრაფიული თვალი. იგი ისე
ხატავს ეპიზოდს, თითქოს მას
ოცერატორის კამერიდან უყუ-
რებდეს. მას ზუსტად აქვს გაან-
გარიშებული ასაჭრი ეპიზოდის
მეტრაჟი. პროსპერ მერიმე გვა-
ფრთხილებდა: „აღწერეთ სიკვ-
თილი, ოღონდ ფრაზების გარე-
შე“. რა კარგი და პროფესიული
რჩევაა, მაგრამ რამდენი მწერა-
ლია, რომელიც ვერ უძლებს
კლუნებას და სიკვდილისა თუ
სხვა ძლიერი, ემოციური სცენე-
ბის აღწერისას იწყიბს გაუთავე-
ბომ მსჯლობას... მწერლისათვის
იმაზე დიდი ნაკლი არ არის, გლა-

ხა ჭრიაშვილობა დაიწყოს იქ, სა-
დაც სიტყვის უდიდესი ეკონო-
მიაა საჭირო. აქ არა მარტო ოს-
ტატობა სჭირდება მეტალს,
არამედ ფსიქოლოგის კარგი
ცოდნაც. ცნობილია, რომ ყოვე-
ლი მოვლენის შეგრძნებას იმდე-
ნი დრო უნდა, რამდენიც საჭი-
როა ამ შეგრძნების შემეცნებით
ინფორმაციად ჩამოყალიბები-
სათვის, ე. ი. წამის მეათედი ნაწი-
ლები. მართალია, ამჟამად ელექ-
ტრო-გამომოვლელი მანქანები
წამში მილიონმდე ოპერაციას
ანგარიშობენ, მაგრამ მათ ემო-
ციები და გრძნობები არა აქვთ.
ამიტომ შეგრძნება რჩება მხო-
ლოდ და მხოლოდ ადამიანის
პრიორიტეტად. რ. ინანიშვილი
კარგად გრძნობს ფსიქოლოგიუ-
რად აუცილებელ დროს, რაც სა-
ჭიროა ყოველი კონკრეტული
ეპიზოდის გამოსახატავად. მაგა-
ლითად, მოთხრობაში „თოვლა“
იგი აგვიწერს თვრამეტი წლის
შეცდენილ გოგოს, რომელიც
ფეხმძიმედაა და გადაწყვეტს თა-
ვი მოიკლას: „თოვლამ მხოლოდ
ერთი შეხედა, წაბორძიკდა და
მერე ხევისაკენ გაიქცა. შზესა
ფეხდაფეხ მისოევდა და მისძახო-
და. — არ დამღუპო, თოვლა, არ
დამღუპო, შვილო, არ დამღუ-
პო! მეზობოებიც დაედევნენ,
მაგრამ თვრამეტი წლის გოგოს

ვერავინ დაეწია. თავიანთი თვალით დაინახეს, როგორ მიაღწია კლდის პირამდე, როგორ გაუთავდა მიწა ფეხევეშ, და როგორ წავიდა ძირს, თითქოს ჰაერის ფხოჭნით. ხევში ლოდები ეყარა, ლოდებს შორის შემდვრეული წყალი მიედინებოდა და იქიდას არავითარი ხმა არ ამოსულა“. ეს არის სიკვდილის სცენა, ფრაზების გარეშე, როგორც პროსპექტ მერიმე გვასწავლიდა. აქ მხოლოდ მოქმედებაა დახატული, შეოლოდ ის, რაც ჩანს, რასაც ჩვენ ამ სიკვდილის მაყურებლები ვხედავთ. ჩვენ არ შეგვიძლია კიცოდეთ რას ფიქრობდა ამ წუთებში თოვლა, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, მაგრამ ასეთი წარმოლგენები და წილასავოები ზეომეტია ამ დრამატულ სიტუაციაში. რაბლე თავის ჟკვდავ „გარგანტუა და პანტაგრუელში“, როცა გარგანტუა და პიკროკოლის ბრძოლას აღწერდა, შენიშვნავდა. რომ თუ მტრის დამარცხება ჯსურს, იგი ძალიან არ უნდა გაამწარო, რადგან გააფთრებული მტრი თავს ასწილ მეტათ დაიცავს. ასეა აქაც თოვლა გამწარებულია რა ამიტომ მას ჩერავინ ეწევა. როგორი ზუსტია ისიც, რომ ხევიდან არავითარი ხმა არ ამოსულა. პასუხი 2. „კრიტიკა“ № 6.

ერთია: ხევი ძალიან ღრმა იყო, თუმცა ამასცაც არ გვეუბნება მწერალი, თვითონ უნდა მივხვდეთ.

არ შეიძლება იმის თქმაც, რომ რ. ინანიშვილის პერსონაჟი ფანატიკურად, პაროლოგიურად იყოს სიკვდილს მონატრებული. მაშინ უსათუოდ ფსიქოლოგიურ სიყალბეს ვიგრძნობდით, რადგან თვრამეტი წლის გოგოს, რაც უნდა გამწარებული იყოს, არ შეიძლება სიცოცხლე არ უყვარდეს. მწერალმა იცის ესეც და ერთ საყურადღებო დეტალს გვთავაზობს: თოვლა წავიდა ძირს, „თითქოს ჰაერის ფხოჭნით“. ჰაერის ფხოჭნა კივილიცაა და გოდებაც, სიტყვაც და წუხილიც. გამწარებული თოვლა სიცოცხლეს აღარ დაგიდევდათ იქამდე, სანამ „ფეხევეშ მიწა გაუთავდებოდა“, მაგრამ როცა მიხდა „მიწა გათავდა“ და ის უფსკრულში მიფრინავს, ამ შეგრძნებამ თოვლა ააბლავლა, მას სიკვდილი აღარ უნდა, სიცოცხლე ხომ ასე ტკბილი იყო... ყოველივე ეს შეიგრძნო თოვლამ და ამიტომ წავიდა „ძირს, თითქოს ჰაერის ფხოჭნით“. ეს არის ფსიქოლოგიური სიმართლე სიტყვაში, კარგად მოფიქრებული, კარგად გაანგარიშებული. იგი



რ. ინანიშვილის ოსტატობის სა-
ფუძველია.

იუმორის მეორე პლანი

ნ. დუმბაძეს ცოტა ქვეს მოთხ-
რობები; იგი ძირითადად, რომა-
ნების ავტორია, და, რომელი
მათგანიც არ უნდა ავიღოთ, იქ-
ნება ეს „მე, ბებია, ილიკო და
ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“,
„მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დე-
და“ თუ „თეთრი ბაირალები“,
ყველგან ნ. დუმბაძე რაღაც გან-
საკუთრებულ თემას დასტრია-
ლებს. ეს არის სოფლილან ქალაქ-
ში ჩამოსული სტუდენტის ბედი
თუ წრთელი, პატიოსანი სიყვა-
რული, ეს არის უზრუნველი
სტუდენტობა, სამშობლოს საგუ-
შაგოზე მდგარი ახალგაზრდა თუ
რეციდივისტთა წრე, ყველა ამ
რომანებში იუმორის ნატიფი
ელვარებაა და ერთი, ცენტრა-
ლური გმირი ტრიალებს—თანა-
მედროვე ახალგაზრდა კაცი. მე არ
მეგულება ღლეს მეორე მწერა-
ლი, თემატურად ისეთი აქტუა-
ლური რომ იყოს, როგორც
ნ. დუმბაძეა. მისი ყოველი ახალი
რომანი ჩვენი ახალგაზრდობის
სულიერი ფორმირების განსა-
ზღვრული „საფეხურია“, იქნება

ეს ზურიკელა, სოსოია თუ ავთო-
ჭაყელი. ანდრე მორუას მიაჩნდა,
რომ სტენდალი და ბალზაკი ყო-
ველ ახალ სიუჟეტში საკუთარ
თავს ხატავდნენ, ნილბებს იცვლი-
დნენ მხოლოდ. შეიძლება ეს
ერთგვარი კომპენსირებაც იყო
მათ მიმართ ბედის უკუღმართო-
ბისა. ცნობილია ხომ, ფლო-
ბერს არ ერიდებოდა ელიარები-
ნა: ქალბატონი ბოვარი — ეს მე
ვარო.

ნ. დუმბაძის ყოველი წიგნი
მართალია. იგი იმას წერს, რაც
კარგად იცის. კარგად კი იმიტომ
იცის, რასაც წერს — თვით მისი
ცხოვრებაა. ნ. დუმბაძეს არ ეთა-
კილება, რომ ზურიკელა და სო-
სოია ზოგჯერ შეიძლება ცოტა გა-
უჩირკნავი ბიჭებიც არიან, მაგ-
რამ ისინი ეროვნული ხასიათე-
ბია, ქართული მიწით არიან მო-
ზელილნი და არა უცხოელი ავ-
ტორების წიგნებიდან ყურით
მოთრეული მანექენები, რომელ-
თა გაღმონერგვა და მყნობა ქარ-
თულ ნიდაგზე, ზოგიერთი მწერ-
ლის თავგამოდებული ექსპერი-
მენტების მიუხედავად, არა და არ
ხერხდება. ქართველმა მწერალმა
სხვა ერის მკითხველს თავი მხო-
ლოდ ქართული ხასიათებით შე-
იძლება მოაწონოს.

საგანგებოდ უნდა ითქვას ნ.

డ్యూమ్బాదిస ఉఘమంర్థ్య. మిసి ఐఘమం-
 రొకెలాసిం, చోగణ్ణ గ్రంట్రేస్కామ-
 ఙ్గ మిస్ట్రీలో, మాగ్రామ మతలొంబా-
 శి మాన్క్రమ్మిలు సెవ్వెబితా దా సిత-
 భంతిం సాగ్వె. మిసి క్రేసింస్క్యుబ్బి
 క్రెంఫ్రేంబసంతాన్ — శ్రేఖుమర్మేబ్యుల్ని
 కి అన్ అనొన్, అన్మేడ మ్యేర్లిస మి-
 గ్రే క్రెంప్రేబ్బా గాన్సాథ్లోర్సుల్ని రూ-
 ప్యూర్సిత అనొ డానాక్షుల్లి. ఇస దా-
 లొన్ కార్గుసి. మాగ్రామ మాస ఏంగ్లే
 ఏర్తి సాశీశ్రంగ్బాగ్. ఉఘమంర్థ్య మా-
 శిన్ అనొ ల్యోర్రి, రోపా మాస ఔం-
 లొంప్రోఫ్యూర్రి స్వేచ్ఛిస మంత్రివ్యిప
 గసిఫ్ఫేవ్స, రోపా మ్యేర్లాల్సి అన్
 శెంట్లండ గ్వార్టంప్లస దా గ్వెబ్దల్వాస్
 సాసాప్రిల్ల సిట్యూప్రోబ్బిస శ్రేతథ్-
 వీత, అన్మేడ హిగ్వాట్యేర్లేబ్బస అం-
 దూప ఉఫ్రిం నెన్నెంప్రెంప్రోవాణ్స్, అ-
 నుప ఏర్తి శ్రేక్షేపిత, అమ ఉదార-
 ల్యేల్సి బ్యుమర్మంబ్బిసి మిల్మా మ్యేబా-
 ర్యేబ్బిసి. శుంస రోమ అన చ్చుగిద్దెత,
 ఎసెతొ ఉనార్లి క్యోన్లా హిగ్వెన్ డి-
 డ్యేబ్యుల్ డావిఠ క్లిఫింప్రోల్లిస, మం-
 న్గమ్మేత మిసి గమింగ్బిసి — సెంట్ల-
 మెన్ మంర్బెల్లాండ్, క్లాట్రోన్ దా డే-
 క్రోన్ సామాన్కింప్రోల్లేబ్బి. క్యామ్పుషాంగ్ దా
 డాంసిసాన్.. రూమంగ్రోన్ సాసాప్రిల్లా-
 మాశిసి, మాగ్రామ మతలొన్సాడ, మా-
 తొ క్రెంప్రేబ్బా, సిన్సామండ్విల్లేబ్బాస్తాస
 మాతి డామ్పుప్రోబ్యుల్లేబ్బా సాసాప్రి-
 ల్లాప్రోప్రో-అన్, తీర్మాగిప్పుల్లిం, అమాశిసి
 వ్యాంప్రాప్తిసి: తంబిల్లి ఉఘమంర్థ్య, శ్రే-
 మండగ్రమిసి అంబుశ్రేబ్బిసి గార్ఱెగ్న్-
 ల్లాప. మిసింగ్పుర్రి ప్రాంతిప్పువ్వెర్రిం

మాల్లండ్రెబ్బా డిద అధామించ్చుర త్రంబ-
 ల్లేమ్బామ్యు, ఇంలొసంఫ్యోస్ గాన్-
 నోగాఫంప్రేబ్బామ్యు, అధామించ్చిసా డా
 క్రెంప్రేబ్బిస శ్రుతియేర్తండామ్పుప్పు-
 శ్యుల్లేబ్బామ్యు. గాన్సి సెంలొమొన్
 మంర్బెల్లాండ్ ఇస మెంట్లండ శ్రేమండ-
 గమిసి అంబుశ్రురొసి? గాన్సి డం-
 లొ మెంట్లంప్రోగి, సాండాప ఒగి కివిసి,
 రోమ „మోవాట్యుస్, మోమాట్యుస్ డా
 క్వాల క్రిడ్యేవ ఏర్తి మెంట్యుస్పుల్లి
 మోమాంగ్బెబ్బా కార్సాం... డా ప్యాంలా-
 య్యేర్రి ఇస గాట్చికింబ్యుల్లి క్యుష్టిసి
 గామిసింబితిం“, — గాన్సి ఇస మెం-
 లొండ సెంలొమొనొసి డా మిసి ఇంప-
 జీసి డార్ఫిలొసి? డి. క్లిఫింప్రోలొసి
 త్రిప్పేబ్బి సెంటొవ్వె చోగాధ్యాప్రోబ్రి-
 ల్లి త్రిప్పేబ్బిం, రోగంర్చ వ్యాస గమి-
 ల్యేబ్బి డా హిగ్వెన్ వాలొసి డి. క్లిఫిం-
 ప్రోలొసి మిగ్యుప్పుత్వంసి ఇస అంగిలొ
 జ్యార్టుల్లి క్యుల్ప్తుర్రిసి సెంట్రాలొ-
 శి, రూప వ్యాప్తిత్వంసి డా అన శ్రేమం-
 యాగ్లంప్త మెంట్లండ „శ్రేమండగమ-
 మిసి అంబుశ్రేబ్బిసి క్యుమ్మంమించ్చిరొ
 డ్యేగ్రాండాప్రిసి“ గామించొట్టెలొ
 మ్యేర్లిసి సాక్షేపింత.

రాట్రం గావిస్సెన్గిత ప్యాంలెలొవ్వె
 ఇస? బ. డ్యూమ్బాదిస శ్రేమంజ్మేబ్బాంగ్
 మెంఖ్యేలొబిసాసి ఇస త్రంబల్లేబ్బా తా-
 జ్యిసితావ్యాం వ్యామించొర్లా రా మట్టొ
 సింగ్రమ్మ-సిగ్గానొం రాఫ్మా హిగ్వెన్ ప్రి-
 నొశ్చి. బ. డ్యూమ్బాదిసి క్రేసింస్క్యుగ్బిసి
 ఆ ఇస, మేంర్చే క్లాంసి అన వ్యాప్తిత్వం
 చోగణ్ణర. రూప డి. క్లిఫింప్రోలొసి

შეინიშნება. იუმორის მეორე პლანი — ქვეტექსტის, ფრილოსოფიური საფუძველი. იუმორის საფუძველი კი სევდაა, ჯანსაღი სევდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცხოვრების ფილოსოფიური განჭვრეტა. ეს, გარემოება ნუ გაგვა-კვირებს. ბევრ მკითხველს და არა მხოლოდ მკითხველს, მიაჩნდა სერვანტესის „დონ კიხოტი“ მხო-ლოდ იუმორითა და, ფათერაკე-ბით სავსე წიგნად. მაგრამ, მო-დით, ნუ ვიქნებით ზედაპირულ-ნი და თვით რეაქტიული ლაინე-რების გუგუშიც ნუ დაგვავიწყ-დება როსინანტზე ამხედრებული მწუხარე სახის რაინდის ტირადე-ბი. შემთხვევითი როდი იყო, რომ დოსტოევსკიმ ერთხელ განაცხა-და: „კაცობრიობას როდისმე ან-გარიშის ჩაბარება რომ დასჭირე-ბოდა „იქ, სადღაც“, თავისი საქ-მეების შესახებ, საქმარისი იქნე-ბოდა „მღუმარედ!“ გაეწოდებინა ერთადერთი. წიგნი — სერვანტე-სის „დონ კიხოტი“, როგორც თა-ვისი სულიერი მოლვაწეობის უმაღლესი შედეგი. ეს რომანი კაცობრიობის აზრის ჯერჯერო-ბით უკანასკნელი და უდიდესი სიტყვაა, ეს არის ყველაზე მწარე ირონია, რომ ე-ლიც შეეძლო ადამიანს გამოეხატა.

სევდანარევი იუმორი, არა ნაღ-

ვლიანი განწყობილება, მელო-დრამატული ფინალი და სენტი-მენტალური სიტუაციები, არა-მედ ღიმილში დანახული ადამიანური ცრემლი, სევდა, მის სიხარულთან და იმედთან ერთად, ადამიანი მთლიანობაში და არა მხოლოდ ცალი პროექტორით განათებული.

ცნობილია, ადამიანი ერთნაირად შეუძლია მოკლას დიდმა მწუხარებამაც და ღიღმა სიხა-რულმაც. მეღიცინა ამტკიცებს, რომ ემოციების ცვალებადობა არის საჭირო, ემოციების მონაცვლეობა ყველაზე კარგი რეგულა-ტორია ჩვენი ნერვული სისტემისა. მაგრამ მწერლის მიერ დაბატული სამყარო მეღიცინაზე ხომ უფრო რთულია, უფრო მნიშვნელოვანი და საგანგებო. იუმორი, რომელსაც მეორე პლანი არ აქვს, გამარტივების საშიშროებას შეიცავს. ეს იგრძნონ ნ. დუმ-ბაქემ და ამის შესანიშნავი მაგალითია მოთხრობა „დიდრო“.

ეს მოთხრობა იმავე სტილის ნაწარმოებია, რაც ნ. დუმბაძის სხვა რომანები და მოთხრობები, მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს მკვეთრად გამოკვეთოლი მეორე პლანი. სოფლისაგან და ხალხისაგან ყბა-დალებული დიდროია ბურძგალა, დიდროია ხაბაკა და ღიღროია ქაფურა, რომელსაც ჭკუა თავიდან-

ვე არ ჰქონდა და ლაზლანდარა. ბიჭების გაუთავებელმა დაცინ-ვამ კი სულ გამოათაყვანა, მკით-ხველის ოვალშინ ახალ ადამია-ნად უნდა იქცეს. ძალიან რთული პრობლემაა, და ნ. ღუმბაძის სასა-ხელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწორედ ასეთ რთულ პრობლემას მოკიდა ხელი. დიდროია არ არის ჩამორჩენილი კოლმეურნე, არ არის ჩინოვნიკი, რომელიც უნდა აღზარდონ, გამოასწორონ, მიუ-თითონ... არა, დიდროია გარიყუ-ლია ადამიანებისაგან, იგი ცხოვე-ლი ჰგონიათ. საოცრება ის არის, რომ დიდროია თითქმის არავის არ ებრალება, იგი მხოლოდ მწე-რალსა და მკითხველს ებრალება. ებრალება არა მხოლოდ როგორც დიდროია, არამედ ადამიანი, რადგან ყველა უბედურების მი-უხედავად დიდრო კეთილი ადა-მიანია, მას ჭიბეში საგულდაგუ-ლოდ შენახული ქვე არასოდეს ბიჭებისათვის არ უსვრია. იგი ყველაფერს გაკეთებს, ათი კა-ცის საქმეს გაკეთებს და გასმრ-ჭელოდ არაფერი არ უნდა, მხო-ლოდ ერთს სთხოვს სოფელს: მასხად ნუ აიგოებენ, ნუ დასცი-ნებენ. განა შეიძლება ამაზე შორს წავიდეს ადამიანის ტრაგე-დია? დიდროია მონაა, ლაფში ჩაწოლილი ცხოველია, მაგრამ ყველაფერს აიტანს, ოლონდ ნუ

დასცინებ, რადგან მას, ყველა უბედურების მიუხედავად, და-კარგული არა აქვს უმთავრესი ადამიანური გრძნობა — ღირსე-ბის გრძნობა.

მწერლის პოზიცია სადა, მარ-ტივი და ამავე დროს უძველესი სიბრძნით არის განათებული: დი-დროია ადამიანია და მას კი არ უნდა დასცინო, არამედ ფეხზე უნდა წამოაყენო, მეგობრობისა-და კეთილგანწყობის ხელი გაუ-წოდო. ეს არის მოთხრობის მეო-რე პლანი, იუმორის მეორე პლა-ნი ამ ნაწარმოებში. და ამითაა იგი ძლიერი. ამითაა, რომ ამ მოთ-ხრობაში უფრო მეტი ჰუმანიზ-მია, ვიდრე ზოგიერთი მწერლის სქელტანიან რომანებსა და მოთხ-რობათა კრებულებში.

ყველა ადამიანის ცხოვრებაში უნდა დადგეს სინამდვილესთან ანგარიშის გასწორების წუთი და რახან თითორია ადამიანია, მის ცხოვრებაშიც დადგა ასეთი წუ-თი. მან ასწია ჩაით სავსე გოდო-რი, რომელსაც თხი კაცი ძლივს მოერეოდა და ჩასაბარებელ პონქტამდე მიიტანა. აქ მთავარი ის როდია, თითორიამ რა ტვირთი ასწია, — მძლიოსნები უფრო თიდ სიმძიმეებსაც სწევენ, — მაგრამ ჩვენ ამაში მაინცდამაინც

გმირობას არ ვხედავთ. თავისი
მოქმედებით დიდროიაზ სოფელს
დაანახა, რომ მას ისეთი რამის
გაყეთება შეუძლია, რასაც სხვა
ვერავინ შეძლებს. ამიტომ, სო-
ფელს თუ ნამუსი აქვს, დიდრო-
იას „სიაბდლე“ უნდა აპატიოს და
აღარ დასცინოს, ე. ი. სცნოს ადა-
მიანად. და მართლაც, სოფელმა
სცნო იგი ადამიანად. მაგრამ გვი-
ან იყო. დიდროია კვდება. მან
მოიგო სანაძლეოში ის შარვა-
ლიც, რაც ასე უნდოდა, მაგრამ
კვდება და მოგებული აღარ უნდა
ჩაიცვას, მთელი სიცოცხლის მან-
ძილზე ნაჩუქარსა და დაგროვე-
ბულ ფულს შარვალში აძლევს.
დიდროია ცხოვრებასთან ყველა
ანგარიშს ასწორებს — ფინანსი-
ურს, მეზობლურს, კაცურს და
ადამიანურს. დიდროია მიხვდა,
რომ ისიც ადამიანი ყოფილა და
იმ რამდენიმე წუთში, როცა მან
იგრძნო თავისი ადამიანური ფა-
სი — მიხვდა და დაიჯერა კიდეც,
მას უკვე აღარავინ დასცინებდა,
იგი თანასწორი იქნებოდა თანას-
წორთა შორის. ძლიერია მოთხ-
რობის ფინალი, მხოლოდ ცოტა
ჯრძლად გვეჩვენება დიდროიას
საუბარი ამ „აღდგომის“ მერე,
რადგან ძლიერ კონტრასტულია
შისი ფრიაზ ლოგიკური აზროვ-
ნება იმ ოიროიასთან შეიარე-
ზით. რომელსაც ჩვენ მთელი

მოთხერობის მანძილზე ვიცნობდით. შეიცვალა დიდროიას ფსიქოლოგიურ შეგრძნებათა კომპლექსი, ხოლო აზროვნება, როგორც უფრო კონსერვატული რამ, ასე უცებ ვერ შეიცვლებოდა. სრულიად საკმარისია, რომ დიდროიამ თავი იგრძნო აღამიანად და მას აღარ დასცინებენ, მის მხრივ სხვა კომენტარი აღარ არის საჭირო, დანარჩენი მყითხველის საჭმეა.

გასულ წელს „ცისკარში“ გამოქვეყნდა რ. ჭეიშვილის მოთხოვნა „ცისფერი ხილები“. ეს ძლიერი, პრობლემური მოთხოვნაა, სადაც შესანიშნავად არის ნაჩვენები ადამიანების გულგრილობა, გულმავიწყობა; ნაჩვენებია, როგორ იტანჯება სოსო ან ჩიბაძე, რათა გაარჯვიოს, მის მიერ მოტანილი ეგზემპლარებიდან ვინ რომელს კითხულობს და საერთოდ კითხულობს თუ არა. მოთხოვნის ყოველი აბზაცი ცოცხალი იუმორით არის სავსე, მაგრამ მყითხველს იყყრობს სევდა, რადგან მწერალი ამ იუმორის მიღმა გვიხატავს ბიუროკრატიულ აპარატს, სადაც უნიჭოდ აგებულ საქმეს ისე გამოუთავყანებია ადამიანები, ისე გამოუთავვას ისინი. რომ ცინიზმითა თა ტყუილით დაპროგრამებულ მანქანებათ გადაუქცევია. დადის სოსო ან ჩიბაძე.

ტე ამ დიდი დაწესებულების ტყა-
 ვისკარებიან ოთახებში, ევედრე-
 ბა ყველას წაიკითხონ მისი „ცის-
 ფერი ხიდები“, ყველა ერთხმად
 პირდება და ერთხმად ატყუებს: ან
 ეგზემპლარებს კარგავენ, ან წაკი-
 თხული ვერ გაუგიათ, ან კოლე-
 გასთან აგზავნიან, ან უსინდისოდ
 ცრუობენ — ყველაფერს აკეთე-
 ბენ, ოღონდ როგორმე თავიდან
 მოიშორონ სოსო ანჩიბაძე. მწე-
 რალი პლასტიკურად გვიხატავს
 ამ ეპიზოდურ სახეებს და საკმა-
 რისია ერთი ფრაზა თქვან, ჩვენ
 მათ უკვე ვხედავთ. ყველა თავისი
 პირადი საქმითაა დაკავებული,
 ყველას თავისი გასაჭირი აქვს,
 არავის არ ედარდება სოსო ანჩი-
 ბაძის წამება, ყველა პირდება
 დახმარებას, წინაშეარ დარწმუ-
 ნებული, რომ მოატყუებს. გან-
 ხილვის ღროს ყველა ფეხს ით-
 რევს, რადგან მისი „ცისფერი ხი-
 დები“ არავის არა აქვს წაკითხუ-
 ლი და ცდილობენ ერთიმეორის
 ნათქვას ამოეფარონ.

სანიმუშოდ, ერთი აბზაცი მო-
 თხრობიდან, რომ გასაგები გახ-
 დეს რ. ჭეიშვილის იუმორი და
 მისი მეორე პლანიც: „სოსომ უთ-
 ხრა: თუ არ გეწყინება, ეს ეგზემ-
 პლარი მე მომეცი, ამას მივცემ
 ვასოს, ვასო მომცემს თავისას,
 ვასოსას მივცემ ბელას, ბელა
 მომცემს თავისას და ბელასას შენ

მოგიტანო“. აქ არ შეიძლება არ-
 გაგვახსენდეს „რწყილი და ჭიან-
 ჭველა“, ოღონდ იმ განსხვავი-
 ბით, რომ ხალხურ არაქს საფუძ-
 ვლად სიკეთე უდევს, რ. ჭეიშვი-
 ლის მოთხრობაში კი პერსონაურ
 ჩაყენებულია ბიუროკრატიზმისა
 და გულგრილობის საკირეში.
 მწერლის მახვილი თვალი, მისი
 ზუსტი ფრაზა, ფაქტურის კარგი
 ცოდნა განაპირობებს ამ მოთხ-
 რობის წარმატებას. რ. ჭეიშვი-
 ლის მოთხრობის მასშტაბები უფ-
 რო მეტ მერიდიანებს სწვდება,
 ვიდრე ეს კონკრეტული „ცისფე-
 რი ხიდების“ წაკითხვა და გან-
 ხილვა შეიძლება ყოფილიყო.
 მწერალი ამათრახებს ჩინოვნი-
 კურ სულს, სახელმწიფო აპარა-
 ტის სხვადასხვა ინსტანციებში
 თბილად მოკალათებულ მრავალ
 უსაქმურს, რომლებიც სოსო ან-
 ჩიბაძეს დახმარების ხელს კი არ
 უწვლიან, არამედ ყველა ხრიკითა
 და ონბაზობით თავიდან იშორე-
 ბენ. ისინი ისე გაუზარმაცებია-
 უსაქმურობასა და ტყუილებს,
 რომ ველარ წარმოუდგენიათ რო-
 გორ დაუბრუნდნენ ნორმალურ
 აზროვნებასა და მოქმედებას.

რ. ჭეიშვილის „ცისფერი ხი-
 დების“ მოქალაქეობრივი პათოსი
 ერთობ აქტუალურია, იგი ამხი-

ლებს იმ ტკბილი მცონარობის ატმოსფეროს, რაც ათეული წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში იყო გამეფებული და რაც ბევრგან ჭერ კიდევ არ არის დაძლეული.

მოთხოვთ სათაური ერთობ სიმბოლურია. ცისფერი ხიდები სოსო ანხიბაძის სულის ღალადისა, მისი ოცნებაა, მისი ცდაა ადამიანებთან კონტაქტების დამყარებისა, მაგრამ ჩინოვნიკური უსულგულობით ეს ცისფერი, ნაოცნებარი ხიდები, ვინ იცის, შერამდენედ იმსხვრევა. რა უნდა გაიგოს, მაგალითად, სოსო ანხიბაძემ თავისი კოლეგების ასეთი განაჩენიდან: „მე პირადად, ვიზიარებ „რა საერთო მოსაზრებას მთლიანად, კერძო მოსაზრებას ზოგადად და ნაწილ-ნაწილ ვეთან-ხმები და ვემხრობი აქ გამოთქმული წინადადებების საერთო არით-მეტიულიდან გამომდინარე შედე-გებს“. აქ არა მარტო ჰქონაორდობი კაცის საუბარია, აქ უფრო მეტია, — „აზროვნების“ ასეთი სტილი მათ თავისებურ სისტემად უქცევიათ და ამ ფსიქო-პათოლოგიურ ლაბირინთში უნდა გაიკვლიოს გზა სოსო ანხიბაძის ცისფერმა ხიდებმა. სოსო მიხვდა, რომ ძნელია ამ გზის გაკვლევა, მიხვდა, რომ საერთოდ სჯობია

თავი დაანებოს ოცნებას, რადგან „ტყემლის ყვავილობა შეიძლება მართლაც დაწყებული იყო. ტყემლები გადაათეთრებდა ხოლმე ამ დროს გორებს, ფერდობებს, ჭალებს, ტერასებად შეფენილ ეზოებს. ირგვლივ ტყემლის ყვავილის სუნი დადგებოდა. ფუტკრის ბზუ-ილი დაარღვევდა მხოლოდ არა-ამგვეუნიურ სიჩუმეს. უკვე მე-რამდენე გაზაფხული მეპარება, მერამდენე ტყემლის ყვავილობას ვერ ვესწრები... სულ რამდენი ტყემლის ყვავილობა დარჩენია ჩემი ხნის ადამიანს?!“ — სევდია-ნად ეკითხება მკითხველს სოსო ანხიბაძე და იმსხვრევა მისი ცის-ფერი ხიდები. რ. ჭეიშვილმა კარგად იცის, რომ ამ ჰქონაორდობი ჩინოვნიკების წინააღმდეგ ბრძო-ლაში ერთი სოსო ანხიბაძე უძლურია, ამიტომ მწერალი მხატვ-რული ტაქტის სრული შეგრძნე-ბით არ აცმევს სოსოს რაინდისა და მებრძოლის აბგარს. მწერლის ინტერესი სულ სხვა სფეროს მო-იყას. მან გვიჩვენა ის სულის-შემხუთავი გარემო, სადაც ანხი-ბაძე ჯვარს აცვეს. ამით მწერალ-მა თავისი მისია შეასრულა. გარე-მოს შეცვლა უკვე საზოგადოების საქმეა, მთელი ხაოხის საქმეა, ამას ხვდება და გრძნობს მკითხვე-ლი.

ორგანიზაციების მასალაზე

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკუში, ზოგჯერ არის ყალბი ინერცია, როცა მწერალს ათეული წლების წინ რაღაც წარმატება ჰქონია და იმ წარმატების ექიმის დღეს შემდგომ ცარიელ წლებს. კრიტიკოსები აღარ კითხულობენ ამ მწერლის წიგნებს, რადგან საოცრად მაცდუნებელია ასეთი ექიმის გავლენა, ხომ უფრო იოლია მზამზარეული რეცეპტებით საუბარი, ვიდრე მწერლის ყოველი ახალი წიგნის წაკითხვა და ანალიზისათვის თავის მტკრევა. ამ მავნე ტრადიციას ემატება კრიტიკის სხვა ცოდვებიც, ზოგიერთმა მწერალმა რაც არ უნდა გამოაქვეყნოს, კრიტიკა „არ შენიშნავს“, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი შეიძლება ძალიან კარგიც იყოს. ასეთი ტენდენციები ზოგჯერ შეგნებულიცაა და გარკვეული გვუფის ინტერესებს ემსახურება. ასეთ ინდიფერენტობის და წაყრუებას კრიტიკა უნდა ებრძოლოს. ამგვარი წაყრუების მაგალითია კრიტიკის დამოკიდებულება ნიშიერი მწერლის ოთარ ჩიგაბაძის შემოქმედებისადმი. ჩვენ მას ვიცნობდით, როგორც კარგ დრამატურგს, მაგ-

რამ გამოაქვეყნა რამდენიმე პროზაული ტილო, განსაკუთრებით კი რომანი „თვითმკვლელები“ და ჩვენს წინ წამოიმართა სრულიად თავისებური სამყაროსა და ხელწერის მწერალი.

რით არის საინტერესო ო. ჩიგაბაძის ეს ნაწარმოები? პირველ რიგში გულწრფელობით. ამ წიგნში არავითარი გადაპრანჭული პოზიონობის კვალი არ არის. ეს რომანი საინტერესოა აგრეთვე მასალის შესანიშნავი ცოდნით. აქ მთავარი მხელოდ ის კი არ არის, რომ ავტორი აღწერილი ამბების უშუალო მონაწილეა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, მწერალი როგორ გვიხატავს სამშობლოზან უცხოეთში გაქცეული ყმაწვილების — იქნება ეს გედეონი, საშა, კუკნა, ტოგო თუ სხვები — ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ თავგანწირულ შრომასა და მეცადინეობას სიღუბჭირიდან გამოსასვლელად, მათი პოლიტიკური ილუზიების სრულ მსხვრევას.

როცა იმ მწერლების წიგნებს კითხულობ, უცხოეთს „გარედან“ რომ უყურებენ, გრძნობ — მათი შთაბეჭდილებანი, ხშირად, ინთორმაციული. პუბლიცისტური მსჯელობების ხასიათისაა. ო. ჩი-

ჭავაძე კი იმ სამყაროს „შიგნი-დან“ ხედავს. იგი ერთნაირი რე-ლიეფურობით აგვიწერს „მაღარო-ში“. მუშაობასაც, სარისკიპოში ზედმეტად წაგლეჭილი ფრანკები-სათვის ბრძოლასაც, მეწმევიყუ-რი „მთავრობის“ წარმომადგენ-ლის უსულგულობასაც. აქ ყვე-ლაფერი მართალია, რეალურია, მოცილებული აქვს პროპაგანდის-ტული აუკირაცია და ცრუ-ილუზიურობასაც. რაღგან ორჩვე ასეთი პოზიცია ეწინააღმდეგება ცხოვრების ჭეშმარიტ ცოდნასა და მის მართალ ასახვას.

• რომანში არის რამდენიმე სიუ-ჟეტური ხაზი, სადაც მკაფიოდ შეინიშნება ემიგრანტების ორი ჯგუფი. პირველი თუ შეცდომით არის მოხვედრილი საზღვარგა-რეთ და მთელი სიმწვავით განიც-დის თავისი ამ საბედისწერო ნა-ბიჯის სისასტიკეს, მეორე ნაწილი ცდილობს ერთგვარი ეთიური გამართლება მოუნახოს თავის ნა-შოქმედარს. ამ პერსონაჟების პი-როვნული ბედი განსაზღვრული პერსპექტივით არის მიმართული. ზნეობრივად სპეტაქნი საბოლო-ოდ მიხვდებიან თავის შეცდომას, უმიგრაციაში თავის ცხოვრებს დაუკავშირებენ უბრალო ადამია-ნების, მშრომელი ადამიანების თავისუფლებისათვის ბრძოლას. ჭეშმარიტ პატრიოტებს გაყვებიან

ალბათ რევოლუციური ესპანეთის დასახმარებლად, ხოლო მსოფ-ლის ომის დროს ფრანგი მომული-შეიღების ცვერდით დადგებიან. სხვანაირად წარიმართება ემიგრა-ციის მეორე, ულირსი ნაწილის ცხოვრება. ისინი საზოგადოები-საგან გარიყული, კაცობრიობის ნათელი იდეალებისათვის ბრძო-ლის პათოსს ჩამოცილებულნი ალ-მოჩჩნდებიან და ოვითიზოლაციაში მოქცეულნი, დაიღუპებიან, ალ-ბათ უსახელოდ და სამარტინო-ნოდ.

პრიმიკა და ქართული

ლიტერატურის

ახალი თაობა



ჯანსულ ლვინჯილია



გიგი მაღულარია არ არის ახალგაზრდა მფრანგი და თუ მის შემოქმედებას ახალი თა-ობის ლიტერატურულ მასალას-თან ერთად განვიხილავთ, ეს მხო-

წერილი მეორე.

ლოდ ამიტომ, რომ შეერალს მათთან ერთად მოუხდა ასპარეზზე გამოსვლა. ამდენად, უხერხულად გვეჩვენება მისი „მიწერა“ წინამავალ თაობასთან, რომელსაც ასაკით და ბიოგრაფიით ეკუთვნის. უხერხული იქნება, რადგან მისი ნაწარმოებები არ დასტამბულა 15 თუ 20 წლის წინათ და იმაზე ლაპარაკი, რაც ფაქტიურად ქართულ პრესაში აღრე არ არსებულა, გაუმართლებელია. გივი მაღულარის შემოქმედებითი ბიოგრაფია ახალი თაობის შემოქმედებით ბიოგრაფიას დაუკავშირდა, თანაც ეს ბიოგრაფიები ფაქტიურად პირობითად ვახსენე. თაობებს შორის დიდი წყალგამყოფი არ არის; ისინი.— ეს თაობები, — ერთმანეთის მხარდამხარ ქმნიან თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. და მაინც, ვლინდება ისეთი ხასიათის განსხვავებანი, რომლის გამოც თაობათა ერთმანეთისაგან „გამოყოფა“ საჭიროც არის და სასურველი... თუნდაც იმიტომ, რომ გარკვეულ წლებთან დაკავშირებული საგულისხმო მოვლენები სხვადასხვანაირად გამოჟონავს მათ ნაწარმოებებში. ახალი თაობა მუღამ ახლებურად აღიქვამს მოვლენებს, მისი მჩრამი ყალიბდება სწორედ ახალგაზრდული ასაკისათვის დამახასიათებელი

მაფრი მგრძნობელობით. შემდეგ დამჯდარი გონება ხშირად ამ შეხედულებებისა და მრწამსის ერთგვარ „გადაფასებას“ ახდენს ხოლმე, რწმუნდება რა ახალგაზრდული გატაცებების ზედაპირულობაში.

კიდევ უმრავი მიზეზი არსებობს, რომლებიც, ერთად აღებული ქმნიან იმ კომპლექსს, რისო ზემოქმედებითაც გარკვეულ პერიოდში ასპარეზზე გამოსულ მწერლებს ბევრი რამ საერთო ქედი და რომლის გამოც მათზე, როგორც განსხვავებულ თაობაზე, ლაპარაკი ბუნებრივი ხდება ხოლმე. მაგრამ შეცდომა შაშინ მოგვდის, როდესაც ამა თუ იმ თაობას წინა თაობებისაგან სავსებით განსხვავებულ მოვლენად წარმოვიდებენ.

გივი მაღულარია თანამედროვე ქართველი მწერალია, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. იგი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც თავისი შემოქმედებით ქართული ლიტერატურის დღევანდელ დონეს განაპირობებს. ჩამოყალიბებული სიტყვის ოსტატი, საკუთარი მსოფლმხედველობის, თავისთავადი, დახმატილი სტილის, თავისი თემის მფლობელი შემოქმედი.

შარშან გამოიცა გივი მაღულა-

რიას პირველი წიგნი „მეამბოხენი“. დიახ, „მეამბოხენი“ პირველი წიგნია, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ იგი არ შეიძლება განხილულ იქნას იმ შეღავათებით, პირველი წიგნის განხილვისას რომ ითვალისწინებენ. მოთხოვობებში გვივი მაღლარიას ნიჭისათვის თანამდევი შუქ-ჩრდილი ისეა დაკრისტალებული, რომ ამ მოვლენას ვერ მივაწერთ მხოლოდ ახალგაზრდული ძიების კვალს. კარგს ვერ მივიჩნევთ ამ ძიებით აღმოჩენილ „მარგალიტებად“, ცუდს კი — იმავე ძიებისათვის დამახასიათებელ „ჩავარდნებად“. მისი სულიერი სამყარო უკვე დაწენდილია, ღირსებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მწერლის ლიტერატურულ სახეს, იმდენად სტაბილურია, რომ, მისი გაღრმავების გრძადა, მომავალში სხვა საპირისპირო პროცესს არ უნდა მოველოდეთ. რაც შეეხება უმნიშვნელო ჩრდილს, იგი უფრო სტილისათვის არის ნიშანდობლივი, რასაც ალბათ დრო განკურნავს.

„მეამბოხენი“, „დაღამება ამა სოფლისა“, „და განიყვეს სამოსელი მისი“ თანამედროვე ქართული პროზის შენამატია. ეს ხაზგასმული სიტყვა მე აქ პრინციპულად ვახსენე. მას წონა დაეკარგა ქართულ კრიტიკაში უად-

გილოდ და იოლად ხსენების გამო. მაგრამ გვივი მაღლარიას აქ ჩამოთვლილი მოთხოვობები სწორედ შენამატია: შინაგანად მთლიანი, მომწიფებული, მწერლური თვალთახედვით, მაღალი აზრით, მდიდარი, ღრმა, შინაარსიანი სულიერი სამყაროთი... ყოველმხრივ. მათზე საუბარი შეიძლება როგორც ქართული ლიტერატურის დღევანდელ სახეზე და არა იმ გააზრებით, ლიტერატურის მიმღინარე პროცესის გამომხატველ ამა თუ იმ ახალ ნაწარმოებს რომ მიუღებიან ხოლმე. ეს მოთხოვობები უკვე არსებობენ ქართულ ლიტერატურაში, როგორც სრულფასოვანი, საინტერესო ნაწარმოებები. ისინი მიემატნენ მდიდარ ტრადიციას და ახლა უბრალოდ ფართო აღიარებას საჭიროებენ.

ჩემი წერილის მიზანიც ეს არის. ქართული ლიტერატურის ახალი საყურადღებო ნაწარმოებების სიმღიდრე ნაწილობრივ მაინც წარმოვაჩინო, რათა ზემოთქმული დავასაბუთო.

„მე ამ ბორცი“ მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიულ მოვლენებს ეხება. ამდენად მისი თემა ისტორიულია, სწორედ ისტორიულ თემასთან დამოკიდებულებაა საოცრად თანადროული გივი მა-


ღულარიას ამ ვრცელ მოთხოვბაში, საერთოდ, წიგნში წარმოდგენილ ხაშარმობებში. ამ შემთხვევაში იგი არა მარტო თანამედროვე პრაქტიკის შეხატვებულ ხერხებს ემყარება, არამედ შინაგანად არის შემბილიზებული სამისოდ, რომ ერთმანეთისაგან არ გათიშოს თანამედროვეობა და ისტორია.

ისტორიული პროცესების სიღრმეში მოქმედი კანონები (ძირითადი კანონები) ისე მარტივად არ მოიხსნებიან ხოლმე, როგორც ეს ხშირად წარმოუდგენიათ ემპირიული ბუნების მწერლებს. ეს კანონები იმდენ საერთოს უნარჩუნებენ სხვადასხვა საუკუნის ადამიანებს, რომ ამ საერთო ნიშნების წარმოჩენით საცნაური ხდება, თუ რამდენად მთლიანია ერის სულიერი ცხოვრება საუკუნეების მანძილზე. ამიტომ გივი ამილახვრის პიროვნება მწერლის „ნებითა და სურვილით“ საქართველოს ისტორიის პიროვნებათა არსებით ნიშნებს იყრებს თავისთავში. ამ საერთო ნიშნებს შეიძლებოდა ჩაეკლა პიროვნება, ხასიათი, წაერთმია მისთვის კონკრეტულობა (იმდენად განხოგადებულია გივი ამილახვრის სახე). მაგრამ მწერალმა ამ არსებით ნიშნებს თვით გივი ამილახვარის ცხოვრების არსებითი ნიშნები „გაუიგივა“ და პერსონა-

უი მთლიანი და სხლშესახები წარმოგვიდგინა.

გივი ამილახვარი ისტორიულ პიროვნებათა სიმბოლოს. ამ გმირს, მწერალმა არაფერი არ აპატია: არც ერთდ გამჭუდებული ფიქრი, არც ერთი არასწორად გადადგმული ნაბიჯი, არც ღალატი, არც დაეჭვება, არც სიძაბუნე. არ დაუკარგა არც ერთი ღირსება: შემართება, სიამაყე, თავგანწირვა, ვაჟკაცობა, სიბრძნე, ძლიერება, ერთგულება... ეს ღირსებანი და ანტილიტერებანი გივი ამილახვრის პიროვნებაში ისეა ერთმანეთს გადაწნული, რომ მათ ვერანაირი წარმოდგენით ვერ გათიშვა ერთმანეთისაგან. ხან ერთი, ხან მეორე, მოვლენის შესაბამისად იჩენენ თავს, დომინანტის როლს კისრულობენ და პიროვნების მოქმედებას განსაზღვრავენ მთლიანად ამა თუ იმ მომენტში.

გივი ამილახვარი სპარსელებს ებრძევის, მაგრამ სპარსელებს ებრძვიან ის ქართველი თავადებიც და შეფეც: რომელთანაც გათვარებული, ბრძოლები უხდება გივი ამილახვარს. დაქუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგია ასე გამყარდა, მოიცვა ჩველიანების მისი სიღრმიდან სამშობლოს, ერთგულების, ხმები გა-



ისმის, მაგრამ ზედაპირზე მოვლენების წარმმართველი ძალა ამ ხმებს კი არ აერთებს, ერთმანეთს აჯახებს. ორივე მხარე, ქართველთა ორივე მებრძოლი მხარე, სამშობლოს ღრმა ერთგულების გრძნობით ებრძვის ხშირად ერთმანეთს...

ამ ფსიქოლოგიამ, დაქუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგიამ, საუკუნეების განმავლობაში შეიწვა ქართველი ხალხის ზნეობრივი იმპულსები, იგი ერის ცხოვრების მთავარი მოტივი გახდა. თათარ-მონლოლთა შემოსევების შემდეგ ფეხმოკიდებულმა ამ ფსიქოლოგიამ მოსპო მოვლენების ამომწურავად შეფასების კრიტერიუმი. ქართულ საისტორიო წყაროებში დაკვირვებული თვალი ბევრს როდი იპოვნის ისეთ პიროვნებას, ვისი გზა არ გამრუდებულიყოს, რომლის მთლიანობა არ გაზარულიყოს, რომლის გარშემო ეჭვის ბადე არ მოქსოვილიყოს. ხმლის მძლედ მქნეველნი ვერ აცლნენ ამ არასასამოგნო პროცესს. მხოლოდ ზნეობრივი გმირები შეიმოსნენ ლეგენდებით: ვთქვათ, ცოტნე დაღიანი, ქეთევან - წამებული, ან მღვდელი თევდორე და სხვ. მათი ზნეობრივი მთლიანობა, თავგანწირვაში რომ გამოიხატა, ხალხის გასპერაკებას იმდენად უწყობდა

ხელს, რომ ამის გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ისტორიის გადარჩენა. მაგრამ მათი სული მოწოდება იყო, რომელიც დროშად აიმართებოდა. იმ დროშას და მის გამყოლ ხალხს წარმმართველი რეალური ძალა ჭირდებოდა; რეალური ძალა, რომელიც რეალურ ძალის დაუპირისპირდებოდა. ეს ძალა კი ხშირად განწირული იყო ეჭვისათვის; მას არ შეეძლო მოწამებრივი სიკვდილით ნათელი დაედგა თავისი სახელისათვის, გაუბზარავ დიდებას საერთოდ უნდა გამოთხოვებოდა. მას უბრალოდ უფლება არ ჰქონდა წამებული გმირი ყოფილიყო, რადგან მისი ძლიერი მქლავი, შემმართებელი ნებისყოფა და ენერგია ფიზიკურ ბრძოლას უნდა მოხმარებოდა. იგი უნდა გამოთხოვებოდა ამაღლებულობას, რომლითაც ზემოთ ხსნებული ზნეობრივი გმირები შეიმოსნენ; უნდა ეთვალმაჯუა, რჯული შეეცვალა, რათა ერთგულებაში დაერწმუნებინა შაპი თუ ხონთქარი და გადამწყვეტ წუთში დაეკრა და დაეკრა ისე, ვეშაპისათვის ცოტა ხნით მაინც გაეცუჭებინა მაღა. ჯაშუშებით საესე ქვეყანაში ისტორიულ პიროვნებათა უმრავლესობას არ შეეძლო არ მიემართნა ათასგვარი ხერხისათვის, რათა სიცოცხლე შეენარ-

ჩუნებინა და ძალა ქვეყნისათვის მოეხმარებინა. ეს ათასგარი ხერხი, მცირე თუ დიდი მასშტაბის დიპლომატიური სვლები გამოისხამდა ხოლმე კონკრეტულად ისეთ ფაქტებს, რომლის შემყურებალებს არ შეიძლებოდა ეჭვი არ შეეტანა ისტორიული პიროვნების ზენობაში. მისი გზა გარეგნულად თთქმის მუდამ გამრუდებული იყო...

შინაგანად ჭეშმარიტი მამული-შვილები ესწრაფვონდნენ ეროვნულ მთლიანობას და პიროვნულ მთლიანობასაც. მაგრამ მოვლენები მათზე მაღლა იდგნენ: საქართველო უკვე აღარ იყო თავისივე ცხოვრების წარმმართველი ქვეყანა. მოვლენები თავად წარმართვდნენ ქვეყანას, მის შვილებსაც. ზენობრივი გმირები ამრეალური, ფიზიკური ძალის გარეშე აზრს კარგავდნენ. სწორედ სტორიული პიროვნებანი უნარჩუნებდნენ არსებობას საქართველოს ათასგარი ლაბირინთის გავლის შემდეგ. მათი ხშირად გზა-გამრუდებული ბრძოლების გარეშე ზენობრივი გმირები ფუნქციას დაკარგავდნენ, უაზრობად იქცოდა მათი მოწამებრივი სიკვდილი.

გივი ამილახვარი სწორედ ასეთი რამდენადმე გზაგამრუდებული პიროვნება იყო. მოთხრობაში

დიალოგი იმართება მასა და შანშე ერისთავს შორის. შანშე ერისთავი უკვე ბრუნდება სპარსეთიდან, სადაც მას თვალები დათხარეს. გივი ამილახვარი მიღის სპარსეთში იმ რწმენით, რომ თუ არა სასწაული, სხვა ვერაფერი იხსნის თვალების დათხრისა ან თავის მოკვეთისაგან. იხსნი ერთმანეთს შეხვდნენ ამ საბედისწერო, უსიამოვნო, ისტორიულად ამაზრზენ გზაზე. მათი დიალოგი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ფურცლებად შეიძლება იქნას მიჩნეული. ამ დიალოგში მთელი დაჭუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგია შეიცუმშა, მის შვილებს შორის უმთავრესი ითქვა. აქმდე ხმლით ხვდებოდნენ ერთმანეთს ან მხარდამხარ იბრძოდნენ ბრძოლის ველზე—განსჯისათვის დრო არ რჩებოდა. ახლა, როდესაც მოვლენები „დალაგდა“ (მწერლის საყვარელი გამოთქმა), მათ ცნობიერებაში სათქმელმა ამოარღვია ყველა ფენა და გაშიშვლდა. გულწრფელობა კალაპოტს გადმოვიდა. ამ გულწრფელობაში კარგად გამოვლინდა თავისივე ქვეყნის ხასიათის შემცნობი პიროვნებანი, რომლებიც დროის უკულმართობამ უკულ-

მართ გზებზე ატარა, სევდა, რომ-ლითაც გაუღენთილია მაგრა დიალოგი, საოცრად ღრმაა, ისტორიის გრძელ გზებზე არ გაიცვითა ეს სევდა. დიალოგში სევდასთან ერთად თვითშეცნობის ღრმა აზრი ბრუნავს, იგი თავ-თავის სახელს არქმევს ყველაფერს. თანაც, ეს აზრი სიმბოლურია, აღსარებასავით ამომწურავი და სიმბოლური. ფრაგმენტი ამ დიალოგიდან:

„— მასპინძლობა დღეს მე მეკუთვნის, შანშე-ბატონო, ეტყობა ჩვენი შეხვედრა წინასწარ ჰქონდა ვილაცას ნავარაუდევი, ცცოდა, რომ თვალდათხრილი და თვალდასათხრელი უხმოდ არ ჩაულიდნენ ერთმანეთს გვერდით, თორემ ყველაფერი რომ შემთხვევითობას დავაბრალოთ, მაშინ დაბადების დღიდან ვყოფილვართ ნავხორცალნი და ნაცოდვილარნი.

— ეს ქვეყნის ნათრევი ქვეყნა შენთვის ყოველთვის უფრო იყო სახლი, ვიდრე ჩემთვის, გოვი-ბატონო.

— ამ მოუწყობელ სახლში სასიეთო არაფერი ხდება, მაგრამ ღვინო ჯერ არ გამოლეულა.

— სადაურია?

— ატენური.

— გზაში გაილახებოდა.

— საზრუნავს ჩვენ რა გამოგვილევს, შანშე-ბატონო. მაგრამ

გალახული ქვეყნის შვილს გალახული ლვინოც მოიყვანს ხასიათზე. ლვინის სმა და ოვალების დათხრა კაცობრიობამ თითქმის ერთდროულად დაიწყო“.

წარმოუდგენელია უფრო სევდიანი სურათი მათ შორის, რაც კი საქართველოს ისტორიას ასდევნებია, ვიდრე ამ ორი — „თვალდათხრილი და თვალდასათხრელი“ ადამიანის ერთად პურის ჭამაა. თითქოს ისტორიული მოვლენები იმიტომ ბრუნავდა საქართველოს თავზე, რომ ეს სურათი შეექმნა — მრუმე ფერებით, მრუმე განწყობილებით დატვირთული სურათი. ასე მიე-შურებოდნენ განუწყეტლივ სპარსეთ-თურქეთის გზებზე ამბოხებული ქართველები შაპისა და სულთანის ბრძანებით, რათა ან თავი დაეტოვებინათ მტარვალის ქვეყანაში საშობლოს ერთგულებისათვის ან თვალების ადგილზე ჩანელებული ორმოებით დაბრუნებულიყვნენ უკან. ეს იყო დაუმთავრებელი პროცესი... ამ პროცესის უმთავრესი დეტალი დაგვიხატა გივი მაღულარიაშ შანშე ერისთავისა და გივი ამილახვრის შეხვედრით. ეს სურათი ყველაფერს ამბობს, რაც კი მის შეექმნას უძლოდა წინ... ვაუკაცები იუმორის გრძნობას არ კარ-

გავენ სწორედ იმ მომენტში, რო-
დესაც ყველაზე ნათლად და ბო-
ლომდე გრძნობენ მათსა და ქვეყ-
ნის უბედურებას.

„შანშეს თავი არ აუღია, გვერ-
დზე არ გაუხედავს. ქვეყანას მის-
თვის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე
აკლდა, ყველაფერს ერთი თალზი
ფერი ჩრდილავდა და ადედებ-
და.“

— რა უფრო გესიამოვნება,
შანშე-ბატონო, ხმოს ხორცი თუ
გუდის ყველი?

— ეშმაკი თუ მართლა დაბო-
რიალობს ამქვეყნად საღმე, ჩვე-
ნი შემხედვარე სიცილით უნდა
კვდებოდეს. — თქვა ერისთავმა,
ისეთი გამომეტყველებით, თით-
ქოს რაღაც დათმო, სამუდამოდ
ამოირეცხა გვლიდან.

— ეს ცხოვრება რომ უკბილო
ხუმრობა და უთავბოლო წარმა-
უკულმა ტრიალია. ამას ეშმაკის
სიცილზე უფრო ჩვენი შეხვედრა
ადასტურებს, შანშე-ბატონო,
მაგრამ მე მაინც მიხარია, ცოც-
ხალს რომ გხედავ, თავი რომ
მხრებზე გაბია. ჩვენს უბედურ
თავს დაბადების დღიდან იმდენი
მახვილი ემუქრება, რომ ოარც
კი იცი რომელს მოერიდო. აწი,
თუ ქვეყანა არ დაიქცა, ჭერსა და
საწოლს აღარავინ შეგეცილება.
შენი თავის ბრალმდებელიც და
3. „კრიტიკა“ № 6.

დამცველიც შენვე იქნები. იცოც-
ხლე, ღმერთმა ხელი მოვიმართოს
და მშვიდობიანად ჩაგიყვანის
საქართველოში.

— საქართველოდან ორი მახ-
ვილი თვალი წამოვიღე, უკან კი
ორი ბნელი ორმო მიმაქვს. ამ
თვალების დათხრაში შენც მივი-
ძლვის ბრალი, გივი-ბატონო. მაგ-
რამ ბედმა მაინც აგარიდოს ის
მძიმე ხვედრი, რაც მე მარგუნა
წილად.“

შანშე ერისთავისა და გივი ამი-
ლახვარის დიალოგში საქართვე-
ლოს ისტორიისათვის დამახასია-
თებელი წინააღმდეგობანა შეც-
ნობილი. არსად, არცერთ სიტუა-
ციას ისე არ დაშვენდებოდა ამ
საგანზე საუბარი, როგორც დაშ-
ვენდა დახატულ სიტუაციას, არ-
სად ისე ბუნებრივი არ გამო-
ნდებოდა იგი, როგორც ამ დია-
ლოგში. მაგრამ, ამავე დროს,
თვით ისტორიის წაკითხვაა დიდე-
ბული. მწერლის „მსჯელობის“
ლოგიკა ისტორიული მოვლენე-
ბის კანონზომიერ ხასიათს ისე
თანმიმდევრულად გადმოვვიშ-
ლის, რომ ჩნდება ილუზია ისტო-
რიის სილრმის მთლაანი ამოწურ-
ვისა, მისი ყველა პერიპეტიის გა-

თვალისწინებისა. თანაც, ეს „მსჯელობა“ არ არის კატეგორიული, თუმცა ამ სიტუაციაში მას კატეგორიულობაც დაშვენდებოდა. გმირების დიალოგში მკვეთრი დასკვნებიც ბუნებრივად აღიქმებოდა ალბათ. ეს ისეთი „მსჯელობაა“, რაოდ საქართველოს მდიდარ რეჟულ ისტორიას რომ შეშვენის მსჯელობა მოვლენათა ფესვებზე, მას წარმმართველ კანონზომიერებაზე, ასევე ის ნიშნებზე, მოვლენათა მასშტაბზე, მიზეზებზე, შედეგებზე. თავს ნებას მივცემ, კიდევ ერთი მოზრდილი ამონაშერი მოვიყვანო:

.... შეიძლება, ზოგიერთს ისიც კი მოეჩენოს, რომ ჩვენივე თავის მტერი ვართ, არ ვცდილობთ შევკავშირდეთ, გავერთიანდეთ, დანგრეული აღვადგინოთ, კანონიერება დავნერგოთ, ერთი სიტყვით, ქვეყანას და საყუთარ თავს მოვუაროთ, მაგრამ, იქნებ, ჩვენ სხვებზე უკეთ ვიცით, რომ როგორც არ უნდა შევკავშირდეთ და გავერთიანდეთ, ირგვლივ შემოსულ მტრებს მაინც ვერ მოვერევით. იქნებ, იმიტომ არ გაშენებთ და არ ვაწესრიგებთ არაფერს, რომ მძარცველები ჩვენს ნაშრომსა და ნაღვაწს ერთ დღეში გააცამტვერებენ, იქნებ, სწორედ ის დრო დაგვიდგა, როცა უკეთესია ღარიბ-ღარიბ-ღატაკნი ვიყოთ, ვიდრე მდი-

დოები. იქნებ, იმიტომაც დავიშალეთ და დავიჭისაქსენით, რომ გვირჩევნია მტერს ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ათ სახელმწიფოსთან, ათ მეფესთან და თავადთან პქონდეს საქმე. იქნებ, ათი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბრძოლის წაგებას, ასი პატარა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლის წაგება გვირჩევნია... ჩვენ რომ დიდი ერი ვიყოთ, სხვების დაპყრობის თავი რომ გვქონდეს, მაშინ ჩვენ გაერთიანდეთ წინ არაფერი დაუდგებოდა, მაგრამ ჩვენ არსებობისათვის, თავის გადასარჩენად ვიბრძვით და ყველაფერი, რასაც ცუდად თუ კარგად ვაკეთებთ, მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება...“

ეს მხოლოდ ერთი, სულ მცირე ნაწილია იმ მსჯელობისა, რომელიც შანშე ერისთავისა და გივი ამილახვრის შეხვედრას მოჰყვა. მაგრამ მასში გარკვევით ჩანს სიღრმეებზე დაფიქრებული მწერალი, ამავე სიღრმეებიდან ამოზიდული აზრი, რომელიც სულ მცირე ღოზითაც კი ვერ ითმებს ზერელობას. ამ დიალოგში კიდევ ერთი მდიდარი ნიშანი იმაღლება: მოვლენების მღვრიე ქაოსიდან გამოსული პიროვნებანი სარკის სიცხადით ჩანან ჩვენ წინაშე მათი ცოდვა-მადლით, მათი შინაგანი მოწოდებით; ჩანს

ისიც, რისთვის იყვნენ ისინი გაჩენილნი: სამშობლოსადმი ერთგულებისათვის თუ პირიქით. და ეს ისე ოსტატურად არის „გაკეთებული“, რომ განუსაზღვრელი თანავრცენობით იმოსება ორივე პიროვნება.

„მეამბოხენი“ ანალიტური პროზის ნიმუშია. აქ მხატვრობაში განსხვა ისეა გაბრჯნილი, რომ მათი ერთმანეთისაგან გათიშვა წარმოუდგენელია. საერთოდ ანალიტური თხრობა გივი მაღულარის სტილის არსებითი ნიშანია. ლალი, გაშლილია მისი თხრობა, მოიცავს დიდ სივრცეს და ერთგვარად მღორე სვლის ილუზიას ქმნის, მაგრამ ასეთი ილუზია ყოველთვის ახლავს მასშტაბურ დინებას თხრობისა. ეს მდინარება ყველგან ღრმაა.

ძნელი არ უნდა იყოს იმის გარკვევა, თხრობის ასეთი სტილი გავლენის კვალია თუ პიროვნების ჟული, მწერლის ბუნებიდან გამომდინარე. უსათუოდ ორივე მომენტი უნდა ვიგულისხმოთ. ხელოვნურობა რომ იყოს, იგი არა ერთხელ იქნებოდა საგრძნობი ამ მოთხრობაში. თვით მწერლის ხასიათია ასეთი, მისი პიროვნებაა ამ სტილის. ფანტაზია ეროვნული მოვლენების წიაღწევა დაფუძნებული და ფრთაგაშლილი. გივი მაღულარის სტილი ნაწილობ-

რივ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თხრობასაც გვაგონებს, ერთი სიტყვით, მას ქართული ლიტერატურის ისტორიაში აქვს დიდი ხნის ტრადიცია. გივი მაღულარია მავსიმალურად ზღუდავს დიალოგს და იქ, სადაც გამოიყენა დიალოგი, მაინც ანალიტური პროზის ხერხებია გაბატონებული — მოვლენების ხატვასთან ერთად მოვლენების გაანალიზების ხერხი. ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში იმდენი ცოცხალი აზრი გადაენთება ერთმანეთს, რომ აუხსნელი სირთულის შთაბეჭდილება იქმნება. სილრმის სირთულე კი ყოველთვის თან გასდევს მწერლის თხრობას.

„მოთხრობაში ავტორის ლიტერატურული კონცეფცია საკმაოდაა გამოხატული და სწორედ ესაა მთავარი... მეტავრცება ანალიტური აზროვნების დამკვიდრებასთან ერთად არტისტული სრულქმნილებისაკენ სწრაფვა, შეგნება იმისა, რომ ტრადიციული მხატვრული ფორმები თავისითვე თავში მოიცავენ თვისისძრივი განახლების დიდ შესაძლებლობებს, ოლონდ აუცილებელია აზროვნების ახლოი, თანამედროვე სტილის გამომუშავება“, — წერს კრიტიკოსი ოტია პაჭკო-

ჩია გივი მაღალურიას ერთი ნაწარმოების გამო. ქვე უნდა ითქვას, რომ მისი წერილი არის ფაქტურად პირველი სიტყვა ამ მწერლის მიმართ, თანაც მასში თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის საუკეთესო მეთოდებითა და ხერხებით არის გაანალიზებული გივი მაღულარიას შემოქმედებითი ბუნება.

გივი მაღულარიას სტილის შინაგან წინააღმდეგობას, მისი შემოქმედების ჩრლილს წარმოშობს სწორედ მხატვრულობისა და ანალიზის გათიშულობა, რომელსაც ზოგჯერ იგრძნობთ კითხვისას.

აი, ერთ-ერთი ნიმუში, როდესაც მხატვრულობა და განსჯა ერთმანეთს ერწყმიან და მდიდარ სტილს ქმნიან: „ყვითელი და ცისფერი სიბრტყე, სხვადასხვაფრად შელებილ ერთმანეთისაკენ პირშექცეულ თასებს რომ ჰგავდა, ხან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ხანაც ისე შორდებოდნენ, რომ უზარმაზარ ბზარში ჩაუქრობელი ცეცხლის სიკაშვაშესთან ერთად მარადიული ჩრდილიც იჭრებოდა. შემდეგ ყვითელი თასი ცოცვას, რყევას იწყებდა და კიდეები ისე აცვდებოდა, თითქოს ვიღაც ბასრი კბილებით ღრღნიდა“.

მაგრამ ზოგჯერ თხრობას ცარიელი განსჯა „შერჩება ხელთ“,

ასეთი განსჯა თავისთავად შეიძლება საინტერესო და საგულისხმო იყოს, მაგრამ მხატვრული პროზის მიღმა დგას:

„როცა საზეიმო განწყობილება დაცხრა, უამრავმა საქმემ წამოყო თავი. სანამ ყიზილბაშები მტკვარს გადმოლახავდნენ, საჭირო იყო ჯარის შეიარაღება, ციხეების გამაგრება, თურქეთთან და რუსეთთან კავშირის დამყარება. ამ სამი სახელმწიფოს ინტერესები ისე უნდა დაეპიროსპირებინა ერთმანეთისთვის, რომ ორ მათგანს მისთვის ფულიც გამოეგზავნა და ჯარიც მოეშველიებინა. სხვაგვარად სპარსელებთან ომი გაუჭირდებოდა. მართალია, ოსმალები სასურველი სტუმრები არ იყვნენ, მაგრამ აჯანყებული ქართველები პირველ რიგში იმას ებრძოდნენ, ვისაც ქვეყანა ეპყრახელთ. სხვა გამოსავალი არ ჩანდა, არ არსებობდა. გათიშულ ქვეყანას მხოლოდ მტრების გათიშვა აძლევდა მცირე ხნით სულის მოთქმის საშუალებას. იმ დღეებში რატომდაც დარწმუნებული იყო, რომ წინაპართა შეცდომას არ გაიმეორებდა, გარეშე მოვლენებს თავს არ დააჩავრინებდა, მაგრამ ყოველდღიურმა წვრილმანებმა ისე აწეწ-დაწეწა ყველაფერი, რომ ბოლოს სასჯე-

ზის მეტი ვერაფერი დაიმსახურა.

„მეამბოხენი“ ორიგინალურად არის გააზრებული. გზა, რომელიც გივი ამილახვარმა უნდა გაიაროს ქართლიდან ნაღირ-შავის სამეფომდე, ყველა ქართველი მამულიშვილის, მეამბოხის გზის სიმბოლოა. ერთი შეხედვით, თხრობა შეიძლება გაჭიანურებულიც, დამლელიც და დამჭანცელიც მოვცეჩენოს, მაგრამ როგორც კი მთელი სიღრმით შეიცნობ და გაიაზრებ ნაწარმოებს, ეს დალლილობა თვალსა და ხელს შუაქრება. „გაჭიანურებული“ თხრობა აქ ყველაზე უფრო ზუსტი და მიგნებული ფორმაა მთავარის სათქმელად.

ამ გზით მიდიოდა საქართველოს ისტორია. ტანჯვისათვის, რაც ელოდა ყოველ ამბოხებულს შავის კარზე, ეს გზა გაჭიანურებული იყო, რამდენადც დიდი იყო სურვილი ჩქარა მომხდარიყო მოსახდენი. ეს გზა საუკუნეების განმავლობაში გაიყინოთა მამულიშვილთა, წამების მომლოდინე მამულიშვილთა ტანჯვით. მძიმე მოლოდინის გრძნობა იქცა უკიდეგანო სივრცედ, რომლის გადალახვა მუდამ უჭირდა ტყვიასაგით დამძიმებულ სხეულს. შავის კარზე არ იყო დანდობა სამ-

შობლოს ერთგულების საპასუხოდ.

ნაწარმოების დასაწყისიდან დასასრულად ამ გზის გადალახვასთან დაკავშირებული ფიქრებია უკუფენილი. მართალია, ეს ვაჟკაცის ფიქრებია და არა სუსტი პიროვნებისა, მაგრამ ამ ვაჟკაცის მხრებს ისეთი სიმძიმე აწვება, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ გაუძლებს. ამ გზაზე მსუბუქად, იოლად გავლა არ შეიძლება. მოთხრობაში ერთმანეთს ენაცვლება გმირის აწმყო და ის ისტორია, რამაც მას შავის სასახლისაკენ აწნევინა პირი.

ერთნაირად საინტერესოდ და ძლიერად არის წარმოსახული აწმყოც და წარსულიც. მაგრამ გრძნობა გაჭიანურებული გზისა ყველაფერზე მაღლდება, ეს გრძნობა გარემოიცავს თხრობას წარსულზეც და აწმყოზეც. გმირის ფლეგმატური განცდები, რომლითაც სურს მტანჯველი აზრის სიცხადე გაანელოს, უფრო მკვეთრად წარმოაჩენენ მდგომარეობის სირთულეს. გაჭიანურებული გზის შეგრძნება საქართველოს ისტორიის გზის შეცნობად გვევლინება, ამიტომ იგი ყოველგვარ ზეღმეტობას გამორიცხავს. გაჭიანურებული გზის შეგრძნე-

ბაში ყველაფერი სიმბოლურია, ამ ჭაჭაპის ყველა რგოლი ლოგო-კურია. მოლოდინის ერთფეროვნება გასავლელი გზის მრავალფეროვნებას სპობს, აფერმერთალებს, ერთ ფერში ძირავს. ამიტომ მკითხველი იღლება ამ ერთი ფერის ჭვრეტით, ეცოდება გმირიც და თავისი თავიც. ამ გრძნობას თვით გივი მაღულარია პასუხობს მოთხრობაში: „ამილახვარმა თავი ასწია. იმ ადგილას, სადაც ქვიშა გამხმარ ეკლიან ბუჩქებს ეპარებოდა, ქარი ქარს ყელში სწვდა, ცაში იტაცა და როცა მოახრინ, ისევ მიწაზე დაანარცხა. ერთი წუთით უკან დარჩენილი სამყარო აირ-დაირია, გამუქდა, მაგრამ არც გამჭრალა და არც შემსუბუქებულა. ლროს ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც დრო ანიჭებს ჭალათსა და მსხვერპლს შორის დარჩენილ მანძილს.“.

ამ გზაზე დრო იმდენად ტევადი ხდება, რომ მის შეგრძნებას აზრი ეკარგება, მოლოდინის მტან-ჭველი განცდა, სხვადასხვა ვარიაციით გამოვლენილი, ერთფეროვნებად იქცევა. სინამდვილეში კი ის, სულის დაუთვლელ ხელულებს რომ დაუფლებია, მუდამ სხვადა-სხვანაირია, ამოუწურავი.

გივი მაღულარიას არც ჰქონია მიზნად მთელი ამ პროცესის წარ-

მოსახვა. ეს შეუძლებელიცაა. ადამიანის ფიქრს ტანჯვის მოლოდინის გრძნობა იმდენ უფსკრულში გადაგდებს ხოლმე, რომ პოთხრობაში ამ „უფსკრულების“ მხოლოდ მცირე ნაწილია ნაჩვენები, თუმცა ეს მცირე ნაწილი ტევადია და ყველაფრისმთქმელი. გივი მაღულარიას მოთხრობის მიზანიც ეს არის, ამილახვრის მიერ გასავლელი გზის სიმძიმით და ერთფეროვნებით „დაღალოს“ მკითხველი. ამ დაღლილობაში წამოიმართება მთავარი სათქმელი, გაანათებს ცნობიერებას და ისტორიული პროცესების სიმწვავეს შეგვაგრძნობინებს.

გივი მაღულარიას თხრობის სტილში ადვილშესამჩნევია ერთი რამ. მწერალი დიდი სისწრაფით ინაცვლებს ხოლმე საგანთა და მოვლენათა ზედაპირიდან მათივე სიღრმეებისაკენ და პირუკუ: „სიზმრები წყალში ჩაყრილ სოკოსავით დალბა, თავისივე ლორწოში გაითქვიფა. მეხსიერებას მხოლოდ უნდობლობით დავიწროებული თვალები, შუღლით დამძიმებული სახეები და შელახული ფარდის რჩევა შემორჩა“. სიღრმისეული ხილვებიდან მწერლის მხერა უეცრად მოექცევა ხოლმე ზედაპირზე: „თბილისი აყროლდა, წაიბილწა, მტკვარმა იმდენი სისხლი და ხორცი შეიწოვა ერთბა-

შად, რომ ვეღარ მოინელა და მე-
ტეხის ქვემოთ გვამები მორები-
ვით გამორიყა". მხატვრულად
ორივე აქ მოტანილი ადგილი
ძლიერი და შთამბეჭდავია. ამი-
ტომაც არის საინტერესო მწერ-
ლის სტილი. იგი მხოლოდ ერთი
მიმართულებით არ ვლინდება.
ამის მიზეზი არ არის ასახვის სა-
გნი უშუალოდ. მწერალს შეეძ-
ლო საერთოდ აერიდებინა თვით
ემპირიული ხილვებისათვის, მაგ-
რამ ესწრაფვის მთლიანობაში
აღიქვას ყველაფერი, რაც კი მი-
ზეზი გამხდარა გმირის სულიე-
რი ცხოვრების სე წარმართვისა.

„მეამბოხენი“ არ არის უტენ-
დენციონ ნაწარმოები, მაგრამ
ტენდენციურობა მასში ღრმადაა
შეფარული. მოვლენათა შეულა-
მაზებლად, რეალისტურად და,
აქვე უნდა ითქვას, ხაზგამით,
პატიოსნურად დანახვის უნარმა
ერთიანად გააშიშვლა ყველა ფაქ-
ტი, გმირის სულიერი ცხოვრების
ყველა ხევული, მაგრამ არსად არ
დაუქუცმაცებია არც ფაქტი და
არც სულიერი ცხოვრება. საგ-
ნები ისე დაინახა, როგორც იყო
სინამდვილეში, როგორც შეიძლე-
ბოდა ყოფილიყო. მისი უსაყვარ-
ლესი გმირი — გივი ამილახვარი
ოდნავადაც არ არის განებივრე-
ბული ამაღლებული ნიშნის მიწე-
რით. მაგრამ, სამაგიეროდ, სიღრ-

მიდან არის განათებული ამ გმი-
რის მოქმედების გამომწვევი მი-
ზეზი ყველა სიტუაციაში და ისე,
რომ მიზეზების ახსნა-გაგება გმი-
რისადმი თანაგრძნობად გვევლი-
ნება. ეს მომენტია მთავარი. ნა-
წარმოებში მწერალს ვერასოდეს
ვერ უპოვით თუნდაც უკეთილ-
შობილებს ტყუილს. მოვლენების
სიმკაცრე და ისტორიული პიროვ-
ნებების ამ მკაცრი მოვლენების
სუსტში ტრიალი ისეთ ფსიქოლო-
გიას აღმოაცენებდა. რომლისგა-
ნაც განკურნება ყველაფრისათ-
ვის პატიოსნურად თვალის გას-
წორების გარეშე წარმოუდგენე-
ლია.

„იმ დღეს დარწმუნებული
იყო, ღალატს არასოდეს გაივ-
ლებდა გულში, მაგრამ შემდევ
იმდენმა უღალატა, რომ ყველას
გვარი და სახელი აღარც კი ახ-
სოვს. თუმცა ზოგჯერ კაცს მოღა-
ლატედ მხოლოდ დაღალატიანე-
ბული თვლის. ბოლო ღრის ქარ-
თლში ისეთი ვითარება შეიქმნა,
რომ ბევრმა შეიძლება პირადად
მას უღალატა და არა ქვეყანას“.

სწორედ ქართლში შექმნილი ეს
ვითარება აქვს მწერალს მკაცრი
რეალისტის თვალით წაკითხული.
ბევრისმეტყველია ციტირებული
ადგილი — იგი ფაქტების ზუსტი

აღნუსხვითა და შემდევ მათი გაანალიზებით არის გამორჩეული. გივი მაღულარიას დამოკიდებულება ისტორიულ სინამდვილესთან თითქმის უზადოა. ჭეშმარიტი მწერლის მხრივ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. კონსტანტინე გამსახურდის „დიდოსტატის მარჯვენამ“, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარადელმა“ და განსაკუთრებით ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდებმა“ საამისოდ შეამზადეს ქართული პროზა.

გივი მაღულარია „მკაცრია“ გმირის მიმართ. ამ სიმკაცრით აღადგენს იგი უამთა უკულმართად სკოლისაგან დაშლილი გმირის პიროვნულ, შინაგან ჰარმონიას. საშური სიცხადით წარმოაჩენს იმ საწყისებს, საიდანაც წარმოიშვა გმირი, როგორც პიროვნება. სხვა საქმეა, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება, როგორ აღზევდა ან როგორ დაეცა. საწყისები კი გამდლე და უტყუარი აღმოჩნდა. გმირის მთელი ცხოვრება თანაგრძნობის ღირსია, ქართლისა თუ საქართველოს ცხოვრება ყველაზე ურთულეს პირობებშია დანახული. გმირისაღმი თანაგრძნობამ გარემოიცვა ცოდვა-მაღლის დაპირისპირება; გმირის მერყეობა გარემოს შედევად იქნა აღქმული. ისტორიის მხატვრული სურათებით შეგრძნება ზედმი-

წევნით მოემსახურა ამავე ისტორიის შეცნობას. ყოველგვარი ყალბი ილუზია, რაც კი საკუთარ წარსულზე და ჭვევნის გმირებზე გაგვაჩნია ხოლმე, ასეთი ნაწარმოების წაკითხვის შემდევ ნაცარტუტად იქცევა. ეს არის ამ მოთხოვნების ერთი არსებითი ღირსებათაგანი, რადგან ილუზია ყოველთვის აბრამავებს სიფხიზლეს. სიფხიზლის გარეშე კი წარსული შარავანდში მოლივლივე მწვერვალად წარმოგვიდგება ხოლმე, რაც წარსულს კი არ აღიდებს, არამედ გვაშორებს და ხელიდან გვაცლის. „მეამბოხენის“ მსვანი ნაწარმოებები კი თავისი „მკაცრი“ რეალიზმით გვიძრუნებენ წარსულს, მდიდარს, რთულს — მწვერვალებითა და უფსკრულებით დასერილს.

ბარათაშვილის ნაადრევად დაკარგვას, ალბათ, ვერასოდეს ვერ მოინელებს საქართველო, რაღაც ამ ფაქტში ჩვენი ქვეყანა მხოლოდ გენიოსის დაკარგვას არ ხედავს. ამ ასაქში გენიოსები სხვაგანაც დალუბულან ბევრ ქვეყანას სდევს თან მათი დაკარგვით აღძრული სევდა, მაგრამ ბარათაშვილის დაკარგვას საქართველოსათვის კიდევ ერთი ღიდი ტკივილი ახლავს. პოეტის ნაადრევი წასვლა ეროვნული ბედ-უკულ-

შართობის კიდევ ერთი ფაქტი, უილბლო ისტორიის კანონზომიერების გაგრძელება და ახალი გამოვლინება იყო. თვითონ პოეტმა გამოხატა ეს გრძნობა ყველაზე უკეთ ქართულ მწერლობაში:

„... კაცი მინდა, რომ ამ პატარა ორე-კლდეს გამიყვანოს, და დავ-დგი გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხე-დვ ჩემს ასპარეზსა“.

იგივე სიტყვები შეიძლებოდა საქართველოს საოქმელად მივვეონ. „მერანიც“ ხომ ფაქტიურად ამავე სწრაფვის უკუფენაა ლექსად. მუსლიმანური ვეება სამყაროს მიერ კავკასიონის მთებთან მიმწყვდეული ერი ამ ორე-კლდის გარღვევას ნატრობდა მუდამ — „კაცი მინდას“ პრობლემა იდგა მის წინაშე.

ბარათაშვილის დაყარგვით აღ-ძრულმა სევდამ ამიტომ გამსჭვალა ქართული მწერლობა მთლიანად. სხვადასხვანაირად აისახა მისი პიროვნება ლიტერატურაში.

ბოლო წლებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი დაიწერა მის პიროვნებაზე. გივი მალულარის მოთხობას ვგულისხმობ. „დაღამება ამა სოფლისა“, როგორც სათაური თავისთავად მიანიშნებს, ბარათაშვილის უკანასკნელ დღეზეა დაწერილი.

ყველა ჩვენგანს განსხვავებულად წარმოუდგენია ეს დღე; გონიერის თვალით დასტრიალებს პოეტის უკანასკნელ განცდებს.

გივი მალულარის მოთხობაში ბარათაშვილი კვდება, როგორც ჩვეულებრივი აღამიანი. აღამიანის ამქვეყნიდან გასვლა იმდენ ტანჯვას გულისხმობს, რომ მასთან მეშვიდე ცილან დაპირისპირება ბავშვური გულუბრყვილობაა. თანაც, ბარათაშვილი ამხელ-რებული არ მომკვდარა, არც ტყვია მიწევნია ხმალშემართულს, რომ ეჯეტი დაკყოლოდა მის დაცემას. მისი სიკვდილი მეტად „პროზაული“ პროცესი იყო, ციებ-ცხელების მტანჯველი სიცხიანი ხუთვით გამძაფრებული. ეს მომენტი გივი მაღალურიამ ისე წარმოიდგინა, როგორც შეიძლებოდა სინამდვილეში ყოფილიყო. პოეტი ავონიით კვდება. შინაგანი ხილვები კი, რაც ამ აგონიებს შორის არ ტოვებდა ბარათაშვილს, ნამდვილად ღრმა და პოეტისეულია, განჭერებულით აღსავს.

პირველი, რასაც მწერალი აღწევს, არის იმ მტკიცნეული განცდის აღძრა, რომელსაც ბარათაშვილის პიროვნების საღლაც განჯაში უპატრონოდ სიკვდილი იწვევს ყველა ჩვენთაგანში. ამ გან-

ცდის გამთლიანებას ესწრაფვის მწერალი მოთხრობის მანძილზე. ეს განცდა მკითხველსა და ნაწარმოებს შორის კონტაქტს უკიდურესად აღლიერებს.

„... გაფართოვდა ორმო, რომელშიც ხან აუტანელი სიცხე იდგა, ხანაც გამთოშავი სიცივე. ვიღაცას შუა ოთხში მრგვალი მაგიდა დაედგა, შანდალი მოეტანა, ორი სანთელი იენთო. პირველად ვერ მიხვდა, სად იყო, ვისა და რას ებრძოდა, მაგრამ როცა იატაზე გაწოლილ ჩრდილებს დააკვირდა, დარწმუნდა, რომ ადგილ-სამყოფელი არ გამოუცვლია. ტალახით შელესილი, შეთეთრებული უსწორმასწორო კედლები აღარ ირყეოდნენ, აღარც ფერს იცვლიდნენ, მაგრამ მთელი ამ ქოხის უბადრუკობას ქველებურად იტევდნენ. ფანჯარა ისე გაეშავებინა გარედან მომდგარ ბნელს, თითქოს ქვეყანა კუპრის ზღვაში იყო ჩაძირული. ახლა მას არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ გარეთ წვიმდა, წვიმდა გადაუღებლად, წვიმდა ისე, როგორც ეს ოქტომბერში იცის. სინესტე ყველა ხვრელიდან, ყველა ჭუჭრუტანიდან უონავდა. ირგვლივ, ობის, სისველისა და სიდამპლის სუნს იყენებდა“.

შეიძლებოდა ამ მოთხრობის ანალიზისას საგანგებოდ აღგვე-

ნიშნა გივი მალულარიასთვის და-მახასიათებელი ერთი მეტად სა-ინტერესო თვისება. მწერლური წვდომის უნარი ზოგჯერ უკიდურეს წერტილებს აღწევს ხოლმე. ასოციაციები, პოეტური და შორეული, ბუნებრივად არის მის ხილვებში ჩაქსოვილი. მღვრიე მორევივით ბრუნავს ბარათაშვილის ფიქრების ცაში ასოციაციები, ერთმანეთისაგან გამომდინარე, მაგრამ მაინც შორეული ასოციაციები. პოეტის მდიდარ სულიერ სამყაროს დამსხვრევით დაემუქრა ბედისწერა, მისი წონას-წორობა გაიძარა, ასეთ დროს გამძაფრებულია დროისა და სივრცის შეგრძნება აღამიანში. ეს შეგრძნება თან ერთვის სიკვდილისწინა აგონისა. ამიტომ ბუნებრივად მოჩანს სწრაფი წიაღსვლები წარსულს და მწარე სინამდვილეს შორის, წიაღსვლები ასტრალურ ქვეყანაში, რომლის წარმოდგენა არასოდეს არ ყოფილა უჩვეულო ბარათაშვილისათვის. ეს ფიქრები მონაცვლეობენ სარეცელზე მიჯაჭვული პოეტის აზროვნებაში და გივი მალულარია ცდილობს, რაც შეიძლება ფართო გასაქანი მისცეს მათ. ასეთ შემოხვევაში ყოველი კალმის მოსმისას ემუქრება საფრთხე მწერალს: შეიძლება ზომა ვერ დაიცვა. ვაგიტაცოს დიდ საგნებ-

ზე საუბარმა და ბუნებრივობა წა-
რთვა პოეტის უკანასკნელი ღა-
მის სურათებს. მაგრამ მწერალი
ერთი წამითაც არ გვაიწყებს
ვისჩეა საუბარი, საიდან იძვრის
ეს ფიქრები, რა უბიძებს მათ.
ყველ ფიქრს ისეთი კონკრეტუ-
ლი, ხელშესახები ასოციაციები
ასდევნებია, რომ ალბათ სინაკლუ-
ლის გრძნობას გამოიწვევდა ამ
ფიქრისაგან განტვირთული
სულომობრძავის აგონის ჩვენე-
ბა.

„დაიწყო რაღაც ისეთის ძება,
რაც ცხრა მთას იქით იდო, რაც
დიდ შრომასა და თითქმის მოელ
სიცოცხლეს მოითხოვდა. აღზნე-
ბას დეპრესია ცვლიდა, ნაყოფიე-
რებას უნაყოფობა. ამ დროს ყვე-
ლაფერი აღიზიანებდა, ყველაფე-
რი აფრთხობდა. იდუმალებით
მოცული სამყარო ისე ფერდდე-
ბოდა კალ მხარეს. თითქოს ცალი
ფეხი მასაც მოკლე ჰქონდა.“

მოთხოვთ ასტრალურ ქვეყა-
ნაზე ფიქრები ისე ენაცვლება
ყოფითს, რომ ზომა იშვიათად
ირცხევა. ჩვეულებრივობა თავს
ისე დროულად შეგვისენებს,
რომ წმითაც ვერ ვახერხებთ მწა-
რე სინამდვილისაგან მოწყვეტას.

„ოაღამებაში“ უკარობის გრძ-
ნობას იშვევს დაწვრილებითი მო-
გნება პოეტის ბიოგრაფიის უმ-
ნიშვნელო ფაქტებისა, თუნდაც

ცხოვრების არსებითი მომენტე-
ბისა. ბარათაშვილის ბიოგრაფია
ისე დეტალურად შეისისხლხორ-
ცა ქართველმა ხალხმა, რომ გი-
ვი მაღალურიას ნაწარმოების
სტრუქტურა ვეღარ ითმენს მას.
ეს ამბები აქცემაცებს სიკვდი-
ლისწინა განცდების სიმბოლურ
სიმკვრივეს. თანაც, არაბუნებრი-
ვია ბიოგრაფიის ყველა ძირითადი
დეტალის გამოწვევა მოგონების
ექრანზე. ეს მაშინ, როდესაც სი-
ნამდვილის აღწერაში საშუალების
მაღლებს აღწევს მწერალი.

„ამ რამდენიმე კვირის წინათ
მის სხეულში უცხო, უხილავი,
შემმუსვრელი ძალა ჩასახლდა და
თავის საზარელ საქმეს შეუდგა.
ტკივილი ადგილს ინაცვლებდა,
ფერდიდან თავში აბობლდებოდა,
დაბლაგვდებოდა, საფეხჭლების
გამომტვრევას ცდილობდა, შემ-
დეგ ღვიძლს მონახვდა და მოუ-
ლი ღამე ალესილ დანასავით ტრი-
ალებდა.“

მწერალს მკითხველი მუდამ
დაძაბული ჰყავს. „აიძულებს“
არამარტო აღიქვას, არამედ შეი-
გრძნოს. შეიცნოს წაკითხული და
მთლიანად გადავიდეს წარმოსა-
ხულ ქვეყანაში, სადაც სილრმე
და მხოლოდ სიღრმე ბატონობს.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გივი

მაღლარია არასოდეს არ ზღუდავს, არ თრგუნავს მკითხველის ფანტაზიას. გაჰყავს იგი გაშლილი სივრცის წინ, შეამზადებს კიდეც ამ სივრცის გადასალახავად. ერთი ფრაგმენტი:

„ლია ფანჯრები საბერველი-
ვით იწოვდნენ პაერში გაფანტულ
ოცნებებს... ასეთ წუთებში ნა-
თელი შუქი მკაცრ ხაზებს არბი-
ლებდა, სევდა იფანტებოდა, პო-
რიზონტი ფართოვდებოდა, სად-
ღაც მკვრივდებოდა, მაგრამ რასაც
კი მოეჭიდებოდა, ყველაფერი ისე
აღნებოდა ხელში, როგორც ამა-
ღამდელი ღამე“. მწერლის ოხრო-
ბა ასე ლალი, ნაპირებმორდვეული
თავისუფალი მდინარებაა, რო-
მელსაც თან მოაქვს ქვასავით
მკვრივი ცნებები და ანკარა სივრ-
ცესავით მსუბუქი სურათები გა-
რემოსი.

ერთი რამეც უნდა ითქვას ამ
მოთხრობასთან დაკავშირებით:
თანდათან, თანმიმდევრობით ვიწ-
როვდებიან მიწიერი და ზეციერი
ფიქრები, მკვრივდებან სივრცე-
ებიდან გამოხმობილი და იმ სა-
რეცელთან იყრიან თავს, საიდანაც
მოედვნენ ცასა და მიწას. სიკვდი-
ლის მოხლოება ყოვლისწამლეკავ
დამთრგუნველ მოვლენად არის
აღმული. იქ, საღაც მწერალი
ტვინის დაშლაზე საუბრობს, არ
შეიძლება მკითხველი შეაძლენე-

ბამ არ მოიცვას. მაგრამ ბარათა-
შვილის წუთისოფლის დაღამებას
თვით მწერლის სიტყვები უკეთ
დახატავენ:

„... როცა დაზიანებული რელი-
ეფი მთლიანად გაქრა, როცა სიძ-
ნელემ ყველა ნაპრალი ამოავსო,
მისმა ტვინმაც დაიწყო რღვევა.
დამბალ ბელტს ჯერ ერთი ნაწი-
ლი მოსცილდა, დაიშალა, გაქარ-
წყლდა, შემდეგ მეორე გაიოქვი-
ფა მღვრიე მასაში, ბოლოს დარე-
კა ყურებში და სანამ თვალების
დახუჭვას მოასწრებდა, თავი
გვერდზე გადაუვარდა“.

„და განიყვეს სამოსელი მი-
სი“ — ასე დაასათაურა გივი მა-
ღლარიამ მოთხრობა ქეთევან
დედოფალზე. ეს სათაური ალ-
ბათ ყველა სხვა შესაძლებელ ვა-
რიანტზე მეტი სიზუსტით გამო-
ხატავს ნაწარმოების დედააზრს.

თუ ღრმად დავაკვირდებით
მწერლის არჩევანს, სამივე მოთხ-
რობაში ისეთი თემებია ასახული,
რომლებთანაც დაკავშირებულია
ეროვნული ბუნების არსებითი
მოვლენები. გივი ამილახვრის, ბა-
რათაშვილისა და ქეთევან დედო-
ფლის პირვენებებს უკავშირდება
ჩვენს წარმოდგენაში ისეთი ფაქ-
ტები. რომლებიც სრულყოფი-
ლად, ამომწურავად წარმოაჩინენ
ჩვენი ისტორიის მთავარ ნიშან-

დობლივ ხასიათს. ამდენად, გივი მაღულარიას მიერ ამ თემების არჩევა ლოგიკურია.

ქეთევან წამებულის პიროვნებაში მწერალი ზედაც ეროვნული სულის მდგომარეობისა და თავის-თვალის სტატუსის, მისი გამძლეობის გარანტიას. ისტორიის გაცოცხლება მეორეხარისხოვანი ამბავია; ეროვნული ბუნების დანახვა — აი, რისთვის ჭირდება და აინტერესებს მწერალს არჩეული თემები დღეს.

წერილის დასაწყისში ზეობრივ გმირზე ვილაპარაკე გივი ამილახვრის პიროვნებასთან დაკავშირებით. მაგრამ აქ დამატებით უნდა ითქვას ისიც, რომ ზეობრივი გმირის ისტორია დღეს მწერალს ჭირდება არა იმიტომ, ერთხელ კიდევ შეგვასხენოს ახეთი გმირების დიდი მნიშვნელობა ერის სიმტკიცისათვის, არამედ ჩოგორც საბუთი იმ ეროვნული ენერგიის არსებობის დასაღასტურებლად, რომელიც მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, წამებულის გვირგვინი დაიდგას. ქეთევან წამებული გივი მაღულარიასთვის სწორედ ამ ეროვნული დაუძლეველი ენერგიის რეალურად არსებობის საბუთია. ამ პიროვნების დახატვით იგი ხალხის ზეობის არსებით ნიშანს წარმოგვიდგენს, იმ წმინდა სულიერ

სალაროს ახასიათებს, რომელიც, რამდენ ფენადაც არ უნდა წაყროდა დროულის მტვერი, მაინც ამოალწევდა დღის სინათლეზე და დროშასვით ფრიალებდა.

მოთხრობაში ზეობრივი გმირის თავდადება დანახულია არა მარტო გმირობად, თავგანწირვად, არამედ ამასთან თავგანწირვა გააზრებულია აუცილებლობად. ქეთევან წამებულის თავგანწირვა მოთხრობის მიხედვით გამომდინარეობს არა მარტო ერთი პიროვნების — ქეთევანის შინაგანი სიმტკიციდან, არამედ მისივე ქვეყნის სულისკვეთების სიმტკიციდან. ნაწარმოებში კარგად ჩანს თავგანწირვის აუცილებლობის შეცნობის პროცესი. იმამ-ყული-ხანის ვრცელი დიალოგი ქეთევან დედოფალთან მოტივირებულია. იგი არ არის შეტანილი იმისათვის, რომ დავინახოთ, როგორ არ მიიღო გონივრული, მაგრამ მაციუნებელი რჩევა დედოფალმა და როგორ არ გატყდა. მათი საუბარი იქითვენ არის წარმართული, რომ უფრო გამოიკვეთოს მიზეზები, რომელთა გამო დედოფალს არ აქვს უფლება თავი გადაირჩინოს. ამის შეჯნება ერწყმის თავად დედოფლის მტკიცებულის ხასიათს, მის შეუვალ პიროვ-

नेदास. माघ्राम ६०३८ समित उन्नदा निक्वास, रोम भृगुराले तयोत शेष-गालि कौशलवर्णेदा की ओर अन्तीर्गत-सेदा इम्फेनाद, रामदेवनादाप ताव-गान्धीर्वास गार्वद्वयगालन्दा. अमित्रोम ज्येष्ठेवान् चामेद्वलि साक्षे-सिम्बल्ला मिसिव्वे ज्येष्ठास अन्तिमित्रोसा कृन्दर्गत्तुल सित्तुप्रिया.

मोतेहरोदाशि त्रित्यमिस अर्थव्वेदेदा सुस्त्रि अद्विलि, युवेलि स्त्रीर्जन्मनि अव्वेद्वलि इम रामद्वल्लोदिस ज्येष्ठगीत, राप गमिरोस मोल्लोदिस एवं त्रान्तिवास शाश्वित्रोदास अभ्यास.

नार्थार्मनेद्विंशि अर्होस अद्विलेदि, सादाप ज्येष्ठेवान् अद्वित्तेवालि, चामेद्विस शिश्मित गान्दधगुर्वेद्वलि, सुल्लिखाद लाक्रेम्भुलि एवं साप्रोदावो हान्स. माघ्राम इस इसेश-रुल्लेद्वलि, रोम ज्येष्ठो चित्तिताप अर्थमित्रोदेदा गमिरोस वायुजाप्तुरी द्वन्द्वेदा—मेसात्त्वरुल्लाद अर्होस अस्त्रिलि, रोम गमिरोस द्वित्तेवाला मोसाल्लोद्वन्द्वो गान्दसाप्तुरुलिस चिनाश्च अद्विमान्द्वन्द्वो गान्दप्तेद्विंशि. इस अर्थ गमिरेकात्त्वास सिस्तुस्त्रेस.

लौलि एस्त्रात्त्रोदित अर्होस लाक्रेत्रिलि असासरुल्लाद—ज्येष्ठेवान् अद्वित्तेवास ज्यालात्तेवाद शेषेद्वेदा. गमिरोदा, सित्तुप्रिलिस चिनाप्तुरी शेषमार्त्तेदा. अर्थात् द्वित्तेवाले असासेकास, माघ्राम गमिरोस सुल्लिखाद अमाल्लेद्वल्लोदिस गाममेसात्त्वेलि कीद्वेष ज्येष्ठो अस्त्रि

ज्युरुप्तेलि लाएमात्ता लित्तेरात्तुर-हास. ग्रिवो मालुलारोदिम अद्विमानिस द्वन्द्वेदिस सिल्लमिदान लाद्विरुल द्वित्तेवास लाग्वासाका शेषमार्त्तेदा, रोममेलमाप युलाप्तेलि साश्वित्रोदास शेषमार्त्तेदा चामेद्वलि सिल्लमार्त्तेदा. इस अद्विलि मत्तलिनाद मिन्दा मोवित्रान:

“ज्येष्ठाद मद्विमार्त्तेदा शेषनाय-राव शेसावित गापिंष, अप्तेत्तदा. लायरुलेद्वल लायरुत्तेवान्द्विंशि येकोस ब्रह्मा गोसमा. भ्रामादिष्टेद्वल द्वालादिलास, सुल्लिस अममेद्वलेलि त्रिविविलि, भ्राम-दिष्टेद्वल इसे युक्तेकाल, रोम गान्दादिल युक्तान निवेदा, योतिरुद्वेद्वला. भ्रवेत्री, शेषमार्त्तारावो द्वग्वरेद्विंशि येक त्रिविन्स लायेकात्त्रोदा, उमन्त्रियालोद ज्यालत्तिनादा, शेषमद्वेष यो भ्रमेलि द्वालित लायव्वा भ्रेक्तेद्विंशि एवं चिनाप्तिंशि. येको दा येद्वलेद्विंशि नियुविला, लिला सार्वज्ञमिदान लालिस सिनात्तेले लिय-वरुत्तेद्वला. भ्रमुक्तुन्द्वल, यहत भ्रमुक्तु शेषक्तुल स्त्रेलुले अहाग्निस गाग्नेद्विंशि, अर्होस लानाश्वा अर्थ उन्द्वलोदा — शिनोदा अप्तेक्तिलि, रुक्तिनिस, सित्तुप्रिलिस. माघ्राम सुल्लि अर्थ उक्तेद्वला, अर्थ लाक्रेद्वलोदा लाय शेषमार्त्तेवानिवित अमित्तिरु-ज्येष्ठा, शेषेद्वेद्वल लिविप्रे गापिंष, सिवेत्ताल अलिमार्त्तेदा. भ्रिस अमास व्यालास व्यरुप भ्रिमें नादिष्टेदिस ब्रह्मा अद्वित्तेवाले लाय व्यरुप येको अव-

ଜେବଳା。 ଏତାଙ୍କେବନ୍ଦା ସାମ୍ୟାରକୁ ଉଚ୍ଚା-
ସର୍ବଲାଙ୍ଘନିକ ଦେଖିବାକୁ, ଫଳ ଓ ସି-
ନ୍ଦାତଲ୍ଲେବୁ, ରତ୍ନମେନ୍ଦ୍ରିୟରେ ଦେଖିବାକୁ,
ନାଗବ୍ୟୋମ କ୍ଷେତ୍ରରେ ବେଶି ଦାରୀତି
ଏହିବଳା ମାଲିଲା, କଥା ତଥାଲିଲି ଲା-
କ୍ଷେତ୍ରରେ ମାନ୍ଦ୍ରାମାଯ୍ୟନ୍ଦା। ଗା-
ମାର୍ତ୍ତିମେବେଳି ଲାମିବୁ ନାରହେବେଳି
ଲାଲିବୁ ସିନ୍ଦାତଲ୍ଲେବୁ ଗାତ୍ରାନ୍ତିଆ, ଲା-
ଭେରଦେବୁଲି କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତା ଗଲିମାନିଲା,
କେଲିଲା କଥା କାଳାଟେବମା କାରି ଶେ-
ମନାଲେବୁ, ଲୁଲିବୁ ମେତ୍ରି ମାରୁ ଉପରି
ଅଳାରାଟ୍ୟେରି ଗାହିନ୍ଦା”。

ଏ ସିତ୍ୟୁପ୍ରେବୁ ଏହାଟ୍ୟେରି ମିନିଦା
ଲାଭୁମାତ୍ରା: ବୀରିନ୍ଦି ତାଙ୍କିରେ ବୀରିକି
ମିନିଶ୍ରେଣ୍ଟରେ, ତୁ ରା ମଧ୍ୟେରଲୁହିରୀ
ମନ୍ତ୍ରେନ୍ଦ୍ରିୟରେ ପାରାମାନ୍ଦ୍ରେବୁ ପ୍ରକାଶି
ମନ୍ତ୍ରେପ୍ରେଯନ୍ଦେବୁଲ ନାର୍ତ୍ତାମନେବେଳିଶି ଲା
ହାର ଜ୍ଞାନା ମନ୍ତ୍ରେଲାନ୍ଦେତ ଦର୍ଶକ ତୁ
କ୍ଷେତ୍ର ମାତି ଅଭିନନ୍ଦିବାକାନ୍ତିରେ



ପରିପରା ପରିପରା ପରିପରା ପରିପରା ପରିପରା ପରିପରା



ମନ୍ତ୍ରା ପରିପରା



ପଥିଲ ପରିପରା କାଳି— ପାଦନୀ-
ରି, କମାଯନ୍ତିବିଲିର, ମନ୍ତ୍ରକିଳାକି
ଲା କବିତାର... ପରିପରାଲୁର କାଳି
— କାରଗି ଶେଷଲୁର, କାରଗି ଲେଖା,
କାରଗି ଶ୍ଵାଳିର.

ଗାହିନ୍ଦା ଦେଇବୀ-ମନ୍ତ୍ରେଵାରି ଦା ନେଲି-
ନେଲ ଗାଜିକିନାରଦା ପୁରୁଷିଲାଙ୍କରେ: ଦେଇ-
ନେଇରେବାପ, କମ୍ବୁପ୍ରାଣେବାପ, ନିର୍ମା-
ଲୁହି ଦେଇବାପ ଦା ମେଶଲୁହିବାପ.
ଶିନାଶିନ ଗାରଦାଶକାତା କାରାଶିରି-
ପ୍ରାଣୀ ବୀରିକାରିବ ଗାଲାକ୍ରିଲୁହିବିତ
ଗାହିନ୍ଦା କାଳି କାଳି କାଳି କାଳି କାଳି
— ପରିପରାକ୍ଷମିତିକାଳି, ପାତ୍ରିକାଳିକାଳି
କାରଗିକାଳି କାଳି କାଳି କାଳି କାଳି କାଳି

ପଥିଲ କାଳି.

ପଥିଲ ତୁ ଏହା ପଥିଲ କାଳି?

ମାରତିଲା ଶିଳାପରିପରା ବୀରିକାରିତ
ପାରିମାରତା ବୀରିକାରିତା ମେତ୍ରାମନ୍ତ୍ର-
କାଳିକା, ମାରତିଲା ଦାଶକ୍ଷେରୁହେବାଲାଦ ଗୀ-
ଗାନ୍ଧିତୁରିବ ମାନିଲାଲ ଏହି ମନ୍ତ୍ରଲୁକୁ
ମନ୍ତ୍ରକାଳି!

ଦାଲୁକୁପା କାଳି— ପରିପରାଲୁର କାଳି... ଦାଲୁକୁପା ହିନ୍ଦମନ୍ତ୍ରକ୍ଷେବୁଲା,
ମେଶଲୁକୁପା ମନ୍ତ୍ରକାଳାତ୍ମେ, ଏକାକିଲା ପରି-
ଗୁଲାକୁପା କେରିଲାନା! ପାରାଦରନ୍ତିକ୍ଷେବେଳିକ
ମତେଲା ରାଗିର, ପିନାଲାମନ୍ତ୍ରଦେବେଗାତା
ରତ୍ନଲା ପରିପରାକ୍ଷମିତିକାଳି. ଦା ମାନିପ ପରିପରାକ୍ଷମିତିକାଳି
ମାନିଲାକାଳି ଦାଶକ୍ଷେବୁଲାକାଳି. ଏହିକାଳି
ମାନିଲାକାଳି ମାକା ଲେଖାକାଳି (“ପଥିଲ କାଳି କାଳି”) ଏହି ପିନାଲାମନ୍ତ୍ର-
ଦେବେଗାତା ପରିପରାକ୍ଷମିତିକାଳି ମନ୍ତ୍ରକ୍ଷେବୁଲା
ମନ୍ତ୍ରକାଳି.

ପଥିଲ ତୁ ଏହା ଗାରଦୁହାଲି ମାକା
ଲେଖାକାଳି ଦାଲୁକୁପା? ଏହିକାଳିତିବା ମା-
କାଳି ଦୁର୍ବିଦିଲିବିତାକାଳି ହାରେନିଲା ସାଜ-
ପ୍ରାଣୀ, ତୁ ଶେମତକ୍ଷେତ୍ରକାଳିତିବା ମନ୍ତ୍ରକ୍ଷେବୁ-
କାଳିକା ଗାମିନିର୍ମାତା କାଳି? ହିନ୍ଦମାଲାକାଳି

მაკა თავის თავში პოტენციურ მო-
ლალატეს, ბიწიერი ბუნებისა იყო
იყო და მხოლოდ ხელსაყრელი პი-
რობები ესაჭიროებოდა ამის გა-
მოვლენას, თუ გარემოებამ დააყე-
ნა ქალი ამ აუცილებლობის წინა-
შე? როგორია მაკას მორალური
და ფიზიკური აღსასრულის ლო-
გიკა?

და თუ მაკა შინაგანად არ იყო
მოწოდებული ორგულობისა და
ღალატისათვის, რამდენად ცხოვ-
რებისეული, რამდენად დამაჯე-
რებელია რომანში გმირის საბედი-
სწერო ნაბიჯების მარეგულირებე-
ლი მომენტები?

რომანის მთელ მანძილზე მწე-
რალი ეპიკური ოხრობის ნიმუშს
იძლევა. არსად, არც ერთი წიაღ-
სვლით, არც ერთი ქვეტექსტით
არ გვაგრძნობინებს იგი საკუთარ
დამოკიდებულებას მომხდარი ამ-
ბისადმი. მეორე მხრივ, მთავარი
პერსონაჟი, რომლის სულიერი პო-
ზიციებიდანაც წარმოებს რომან-
ში ტრაგიული სიტუაციების შე-
ფასება, სინამდვილეს გიგანტური
„ლუპით“ უყურებს, გაზვადებუ-
ლად წარმოადგენს ნეგატიურ დი-
აპაზონს. მორალური უკუსვლის
მთელ მანძილზე მაკა თავისი ქცე-
ვის უზომოდ უსამართლო მსაჯუ-
ლია, მეტისმეტად მკაცრი შემფა-
სებელი.

ეს ორი ფაქტორი განსაზღვა-

რავს გმირის ტრაგეტის ლაბირი-
ნთებში გარკვევის სირთულეს.

მაკა ლექავს დაღუბების ლოგი-
კა რომანის ზედაპირზე ქებს. ყო-
ველი ახალი ფაქტი წინა ამბავში
ისახება, ყოველი ახალი უბედუ-
რება აღრინდელი ქცევით წარმო-
იშვება, ყველა მოულოდნელობა
გმირთა არსებით ცნაურდება.

რომანში საოცარი დამაჯერებ-
ლობითაა ასახული გმირის სული-
ერი სახეცვლილება. მკითხველი
ასალუტურ ჰეშმარიტებად აღი-
ქვამს გმირის არცთუ ჩვეულებ-
რივ, ტრაგიულ ქამელეონიზებას.
მწერალი ეჭვისათვის ერთ ბეჭო
ადგილსაც არ ტოვებს — მაკას
სულიერი პერიპეტიები მუდამ თა-
ნიმდევრული და ლოგიკურია.
ოტია იოსელიანს შესწევს უნარი
მთელი სისრულით დაგვიხატოს
პერსონაჟის შინაგანი სამყარო, იგი
ფლობს ფსიქოლოგიურ ნიუან-
სებს და, როცა საკითხი გმირის
სულიერ კატაკლიზმებს ეხება,
მოთხრობილისადმი მკითხველის
ნდობა სრულია. ძნელია უკანასკ-
ნელი წლების ქანიულ პროზაში
მოიხებნოს ტრაგიული პიროვნე-
ბის შინაგანი ძვრების უფრო ზუს-
ტი სურათი, ვიღრე ოტია იოსე-
ლიანის დასახელებულ რომანშია
მოცემული.

ნაწარმოებში გადმოცემულ ამ-
ბავს, ბუნებრივია, თავისი საფეხუ-

ლი აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ. მაგა ლექსას ტრაგედია შინაარსია, მისი წარმომშობი ყველა მომენტი კი, სიუჟეტურ-კომპოზიციურ კომპონენტად გამთლიანებული — მისი ფორმა. ავტორი გაურბის კომპოზიციურ ხლართებსა და სიუჟეტურ ინტრიგებს. აქ დიდი ტრაგედია მცირე კონფლიქტებით წარმოიშვება. ამბავი ვითარდება უბრალოდ, მცირე გარეგანი ტკივილებით. ტრაგედიის მთელი სიმძიმე სულიერ სფეროშია გადატანილი. დიდ ტკივილს თავისი დიდი კალაპოტი სჭირდება, რომანის მიმზიდველ შინაარსს — შესაფერი სამოსი.

იყო თუ არა იყო რა?

მაკას ხასიათში უჰქველად უნდა ვეძებოთ რაღაც ისეთი, რაც ბუნებრივსა და დამაჯერებელს გახდის მის მისვლას ბელნიერებილან უბედურებამდე. მაკას ტრაგიზმი მის არსებაში უნდა აღმოვაჩინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად დაიჩრდილება ნაწარმოების შემცირებითი ღირებულება და გმირისადმი მწერლის მიღვომაც მიზანთროპიის ბურუსით შეისუდრება. მაკას ზნეობრივ-ფიზიკურ აღსასრულში ბევრი რამაა საგულისხმო.

მწერალი გაურბის იოლი გზით სვლას. იგი ღრმად სწვდება დასა- 4. „კრიტიკა“ № 6.

ხულ მიზანს — ტრაგიკულ სიტუაციას იმთავითვე ამძაფრებს განსაკუთრებული ფერებით. მაკა ლექსა რომ ოდესლაც საძულველმა, მოსაგონებლადაც აუტანელმა პიროვნებამ მიიყვანა უბედურებამდე, ამის აშეარა დადასტურებაა. აქ სრულიად უარყოფილია ოჯახზე ქალის გულაცრუების შაბლონადეცეული მიზეზი — პირველი სიყვარული, ძველი სიმპათიები, მესამე პირის უპირატესობა მეუღლესთან შედარებით და სხვ.

აქედან ჩნდება მკითხველის განსაკუთრებული ინტერესიც მწერლის მიერ მომარჯვებული მოტივირების ხერხებისადმი.

მაკას ტრაგედია ტყავაძის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გაჩენით იწყება. უცოდველი ცნობისმოყვარეობაა საკუთარ ფიქრებში მაკას მოჭარებული ფუთფუთის სტიმულატორი: „მის მესიერებაში დარჩენილი თვით ეს სახელი და გვარი, ჭუმბერ ტყავავე, არაფრით არ ეგუებოდა ამ კაცის ახლანდელ მღვმარეობას და გარევნობას. ეს არაა ის ძვალტყავა, აყლაყუდა ბიჭი, არასდროს პირდაპირ რომ არ იხედება, რომლისგანაც მაკას თავზე დარტყმული უყდო შიგნი ან დაკეც: ლირვეული ქვასავით მძიმე და ზშეი-

ვჩეული იყო... კბილების ღრუა-ლი. რომელიც ცემას ახლდა, ტან-ჯიჩურით უსუსხვავდა და დღუს ვერაფრით წარმოიდგენდა ამ დინგ, თავაზიან მამაკაცში, რომე-ლიც თუნდაც სხვისი ხმით ლაპა-რაკობს და ჩასაფრებულად იხე-დება მანქანის სარკიდან, იმ მუნი-ან ბიჭს“.

მაკა აღჭურვილია მთლიანი პი-როვნებისათვის ნიშანდობლივი ყველა თვისებით. ესაა სინამდვი-ლის საღი შეფასების, სიძულვი-ლის სახელით ადამიანში დადები-თი მხარეების უარყოფისადმი ნე-გატიური დამოკიდებულების, არა-სასურველ ტიპში ადამიანურის დანახვის და ა. შ. უნარი.

ქალს შესწევს უნარი, სამართ-ლიანი იყოს ოდესლაც საძულველი პიროვნების ახლანდელი მდგომა-რეობისადმი („ჯუმბერს ახლა ვისი რა დასაწუნი აქვს, მაშინდელი ტყავაძე, ღმერთო, ცოდვილი ვარ და, ნამეტანი ნაკლები იყო“), თუ-მცა არ შეუძლია აღიაროს, რომ ჯუმბერ ტყავაძეს დღეს არც მი-სი დასაწუნი აქვს რაიმე, არ შე-უძლია, რადგანაც იგი გათხოვი-ლი ქალია. მაკა საერთოდ არ სვამს საკითხს ამგვარად. მას ვერ წარ-მოუდგენია, თუ პატიოსანი, ქმარ-შვილიანი ქალის გულს სიყვარუ-ლის გრძნობა დაიპრობს. ამჯე-რად მარტო ის ითქვა გარკვევით,

რომ ჯუმბერს არაფერი აქვს ვინ-შეს დასაწუნი.

მაკას აღმავალი ტრაგედიის ლოგიური გაგრძელება მისი რო-მანტიკული წარმოსახვებია. ქალს არავითარი საფუძველი არ გააჩ-ნია, დარწმუნდეს, რომ ტყავაძე ტველებურადა შეყვარებული მას-ზე. რატომლაც იგი ოხზავს, ქმნის, აფერადებს არასასურველ, მაგრამ რაღაცით მაინც საინტერესო, მი-მზიდველ შინაარსს.

აი, ტყავაძესთან პირისპირ დარ-ჩენის პირველი მომენტი:

„— ძალზე გამოცვლილხართ, ჯუმბერ, ვერაფრით ვერ გიცანით, ეჲ, დიდი დრო გავიდა.

— თქვენ კი — არა.

„უნდა მითხრას, რომ ისევ ის მაკა ვარ მისოვის...“

მამაკაცის სიტყვები — „თქვენ კი — არა“ — შეიძლებოდა ძალი-ან უბრალოდ გაშიფრულიყო. მა-კამ თავისებურად ახსნა ნათქვამი, საკუთარი რომანტიკული თვალთა-ხედვით დაინახა სინამდვილე (თუ-მცა ჯუმბერი, მართლაც, ძველე-ბურადა შეყვარებული მასზე, მა-გრამ ამ მომენტში ეს არაფრით გამოვლენილა).

ტყავაძეს არავითარი საბაბი არ მიუცია მაკასათვის, დარწმუნებუ-ლიყო მისაღმი სიყვარულში. მა-კას მაინც შეუძლია ეს დაუშვას. რატომ უწყობდა ხელს ბიჭიკოს

შერისთან შეხვედრაშით, ფიქრობს ტა იქვე უსვამს საკუთარ თავს კი-
თხვას: „კი მაგრამ, რისთვის, იმი-
საოვის, რომ მე უყვარვარ? არ
იცის, რომ ქვარ-შვილი მყაპს?“

მიანიტურად დასმული ეს კით-
ხვა მიმაჩნია იმ გასაღებად, რომე-
ლიც ამ ნაწარმოებში ცხრაკლიტუ-
რას ყველა კარს მიუღება. მაკას
პჰონია, რომ ქმარშვილიანი ქალის
შეფარება დაუშვებელია და —
პირიქით. მაშასადამე, ის რომ თა-
ვისუფალი იყოს, მათი ურთიერთ-
გაგება შესაძლებელი იქნებოდა.

გარემოებაც: მაკას მოწაფეობის-
დროინდელ ზიზღს ჯუმბერისადმი
იარითადად მისი საძაგელი გარეგ-
ნობა და უხეირო ჩატმულობა ბა-
ლებდა. მაკას არსოდეს შეუხე-
დავს ჯუმბერისათვის ქალის თვა-
ლით, თუმცა მოწაფე მაკა ლეჭავა
მთელი არსებოთ, სულიერად და
ბიოლოგიურად, მომწიფებული
იყო ნამდვილი სიყვარულისათვის-
ოცნებაში წარმოსახულ მზეჭა-
ბუქს იგი უეჭველად შეიყვარებ-
და: „ერთ დროს ვიღაც უფროს-
კლასელმა ამოიჩემა თვალში. მო-
უხეშვი, დაუბანელ-დაუვარცხნე-
ლი ბიჭი იყო, ნიკაპი და კისერი
სურსულით ჰქონდა მოტყაული
და აქერცლილი. მაკას ისე ძლილა
იგი, ისე შეურაცხყოფილდა
გრძნობდა თავს, რომ თუ ვინმე

მასზე რაიმეს გაეხუმრებოდა,
უბედური ვარო, ფიქრობდა. რამ-
დენი კარგი ბიჭი იყო და მაინცა
და მაინც ტყავაძე გადაეკიდა“.

როცა ტყავაძე მაკას წინაშე
კარგ ბიჭად (მამაკაცად) წარდგა,
ჟალი მოვალეობის არტახებში მო-
შეუყველი აღმოჩნდა, ლრმად და-
რწმუნებული, რომ „ქმარი იყო
მისი ნამდვილი სიყვარული გაც-
ნობის დღიდან დღემდე“, რომ
მას „არ განუცდია იმედის გაც-
რუება, თავის მოტყუება, სულის
ტკივილი“ და რომ ის „ბედნიერი
იყო“.

გათხოვილ მაკას არამც და
არამც არ შეუძლია დაუშვას ტყა-
ვაძისადმი თანაგრძნობის შესაძ-
ლებლობა, მაგრამ ამ უკანასკნე-
ლის გრძნობათა უცვლელობაში
თავის დარწმუნებამ (ეს კი მო-
ჟარბებულმა შინაგანმა მონოლო-
გებმა დააჩქარეს) ისე შეცვალა
მისი სულიერი წყობა, რომ იგი
თავს ვეღარ იმორჩილებს, განც-
დლებს ვეღარ ბოჭივს სურვილისა-
მებრ. სახლილან კარგა ხნის წასუ-
ლი, აფორიაქებული და მოქან-
ცული, ქმარსა და ოჯახს დანატ-
რებული, „იმ ღამეს, მისდა გასაკ-
ვირად, ქმართან გულგრილად
იყო“.

ეს არის სათავე ტრაგიული გა-

რდატეხისა, ქალისაგან ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი; ეს არის შეუგნებელი, შეუცნობელი რყევა, სიმპათია-ანტიპათიის ჭიდილი, გაოგნების ნიადაგზე აღმოცენებული გაორება.

ეს გულგრილობა მიზანდაუსახავია, ეს სიცივე — ქალისთვისაც გასაკვირი. მაյმ ჯერ არ იცის, თუ მისი სულის დაწილადება ძალუქს რაიმე ძალას. ეს უნებლიერ გულგრილობაა, გმირის შეგნების მიღმა არსებული ძვრებიდან ასხლეტილი.

მწერალს ნელინელ შევყავართ გმირის სულიერ სამყაროში, იგი ფრთხილად გვაცნობს ქალის სუსტსა და ძლიერ მხარეებს, გვაქცევს მისი ტკივილების მონაწილედ... დიღი ტაქტი გამოკრთის გმირის არსების ყოველი ნიუანსის წარმოჩენისას. მაკას ტრაგიზმთან მისასვლელად ქაოტურ გზაშვრილს დაადგა ავტორი, სახითათო გზაშვრილს. ყველაზე დიდ საფრთხესთან სწორედ ქალის სულიერი სახეცვლილების ჩვენება იყო დაკავშირებული. რომანში ვერსად ვაოულობთ ყალბ ინტონაციებს, შევირალა სალებავებს. ამანაც განსაზღვრა მაკასადმი მყითხველის განსაკუთრებული დამოკიდებულება, მისი ყოველი ნაბიჯის ობიექტური შეფასების კანონიერი სურვილი.

გაეხსნათ ერთი მონოლოგის ფრჩხილები:

„უყურე შენ?!,—ფიქრობდა მაკა, ფოსტის კიბეებს რომ მიყვებოდა, — დარბაისელია, — ეს სიტყვა ძალიან მოეწონა, რაღან ამით ტყავაძე, გაკენწლა, და თვითონაც რაღაცისაგან განთავისუფლდა, — ტყავაძე დარბაისელი, — მერე ღიმილით დაუშატა, — ჯენტლმენი... როცა მივალ, მანქანასთან დამხვდება და კარს გამიღებს“.

ცნობისმოყვარეობა, ინტერესი, გაოცება, — აი, რას ვკითხულობთ სტრიქონებს მიღმა.

აქ თავთან შებრძოლებაც იგრძნობა, უკვე მძიმე ტვირთის არსებობაც ფაქტია (ტყავაძე რომ გაკენწლა, „თვითონაც რაღაცისაგან განთავისუფლდა“).

მწერლის შემოქმედებითი გამარჯვებაა მაკას სულიერი ჭიდილის აღწერა იმ მომენტში, როცა მათ ოჯახში სტუმრად მყოფი ტყავაძე ქალის წინ ზის. აქ საოცარი სიზუსტითა ნაჩენები მაკას ფიქრის ყოველი ნიუანსი, უდიდესი სიფრთხილითა მოჩხრეკილი გმირის სულიერ ძვრათა ყველა კუნშული... მწერალს თითქოს კინოფირზე აღუბეჭდას ქალის სულის ქროლება. აი, რამდენნაირი განცდა იყორბობს მაკას ღროის უაღრესად მცირე მონაჯვეთში:

„კარგი, ვთქვათ, ვიცი, რომ ვუ-

ყვარვარ, მეტე რა უნდა, ამით რა შეიცვლება? (სიმტკიცე). ასე მაინც ნუ მიქცერის (შიში)... არავინ დაინახოს (საზოგადოებრივი აზრისადმი ანგარიშის გაწევა)... თუ ასე მიყურა, გაღავჭდები, ან სულ წავალ (რყევა)... არ იგრძნოს, რომ მასზე ვფიქრობ (ქალური პატივმოყვარეობა). თვითონ თუ არ უნდა, ყურს ნუ დაუგდებს, თავისი საქმეა, რაკი მისთვის ჩემს მეტი არავინაა ამჭვეყნად (ფანატიკური დაჭერი რებულობა)... მე კი უნდა მოვუსმინო იბრაძეს, მე ყველაფერი მაინტერესებს, გარდა ტყავისა (თავის მოტყუება").

„რაა ასე ჩაციება; არ ვუნახივარ რამდენი წელიშადია, მაგრამ არ მომკვდარა (სიბრალულნარევი სიმკაცრე)... ისე, დოდოს მაინც არ უნდა ექნა ეს, შენი მეგობარი რომ უყვარს, იმ კაცის გაყოლა არ უნდა მოინდომო... ახლა რომ შემხვდეს, ნეტავი, რას ითიქქებს (ეჭვი)... რატომ არ ითხოვა „კალმით ნახატი“ ექიმი ქალი, თუკი მაგისთვის გიუდებოდა (ფარული კმაყოფილება), ღმერთო ჩემო, რა აგიშებთ, რა ნახეს ამ კაცში გასაგიშებელი (საკუთარი გულგრილობის ძიება). არა, არა, მეტს აღარ მივიხედავ მისკენ

(თავისსავე დანაშაულზე „წასწრება“)... უკვე შემნიშნა, რომ ვუცემოდი (საკუთარი ფიქრების შენიღბვის ცდა), ვითომ არც მახსოვს, რომ აქა (თვალთმაქცობა)... მაგრამ, ღმერთო, რა უსასოო სახე აქვს (სიბრალული)... ასე რომ ვყვარებოდი, აქამდე მოალწევდა (სინანული)... ავდგები და წავალ, ოთახში წამოვწვები, ძალიან დაღლილი ვარ (მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა), არც მაგის დანახვა შემიძლია, ასე მგონია, ჩემთვის თავს მოიკლავს (გაუცნობიერებელი სურვილი), რა სულელები ვართ ქალები, მამაკაცთან მაინც დაჩაგრული ვართ და, ზოგჯერ თუ მოჩვენებითად მოწყენენ, გვეცოდებიან (საკუთარი თავისადმი გამოტყოფობა)... არა, უჭირუბით არ მოვგდის, გვინდა ასე იყოს და ვიშერებთ (რომანტიკის ადმი სწრაფვა)... რა სისულელები მიტრიალებენ თავში, ავდგები და წავალ (ჭიდილი), ტყავაძეს თითქოს არც დაელიოს, რა მომდის, ისევ მისკენ ვიხედები (უძლურება!), ავდგები, კი ავდგები... გვალ, წამოვწვები ჩემთვის და, თუ არ დამენინა, რაიმეს

წავიკითხავ (ტყუილი)... დღეს ტყავაძეს მართლა არ სჭირს კარგი, იქნება ავადაა, რა ვიცი, საწყალი, ნაწვალები ბიჭია, გაჭირვებული იყო... მის ხავისფერ ბლუზას არც თეთრი ძაფი უდგებოდა და არც შევი (წარსული ზოგ-ლის უკუგდება), რას ერჩი, იწვალა, იწვალა და თავისას მიაღწია (ადამიანად ცნობა), მიაღწია? (სკეფსისი). პო, კაცს დაემგვანა, სხვა რა უნდოდა (სინამდვილის აღიარება), ნეტავ, ნიკაბს ქვევით თუ აჩნია, წითლად რომ ჰქონდა აქერცლილი, რა ადგილს იყო? შევხედავ და წავალ (მოულონდნელი სითბო)... რატომ არ მივდივარ? ახლავე წავალ (ყოყმანი)... პო, შევხედავ, თუ აჩნია.. ნიკაზე, მარცხნივ, ქვევით (სიჭულვილის სრული დაძლევა!)...“

ვფიქრობთ, აქ ყველაზე სრულყოფილადაა გახსნილი მაკას ხასიათი. თავის დარწმუნება, რომ კმლავ ტყავაძის სიყვარულის საგანია, ფარული სიამოვნება ამის გამო და ამ გრძნობის მყარი ჩახლართვა მოვალეობისა და საკუთარი მდგომარეობის შეგნებასთან — აი, მაკას არსების მინიჭურული სურათი.

მაკა ლექავა დიდებული სახეა პატიოსანი, კეთილშობილი ქალისა, რომელსაც ოჯახი და ქმარ-

შეილი არსებობის უმაღლეს პრინციპად გაუბდია. რომანტიკული სული, რომელიც ასე მკვეთრად იტვიფრება მაკას ხასიათში, კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მის პიროვნებას. მაკას ცნობისმოყვარება არის ტყავაძის მიმართ თუ კერლუცობა მის წინაშე ქალის ბუნების ნიუანსური წვდომის დასაბუთებაა. ხოლო ორი მტანჯველი კითხვის შეხელა („მართლა ჩემთვის მოიკლა ტყავაძემ თავი თუ არა?..“ და — „კი, მაგრამ, რისთვის, არ იცის, რომ ქმარ-შვილი მყავს?“) — მშერლისაგან პიროვნების ტრაგედიის ღრმა წვდომის მტკიცებასტური. ოტია იისელიანმა გმირის ტრაგიზმს მოუქებნა სრულიად ახალი ასპექტი, მის მეტამორფოზას — ახალი კუთხე.

გმირის ფსიქოლოგიური გარდასხვების კარგად მოფიქრებული სურათის ბუნებრივი გაგრძელებაა მაკა ლექავის განცდები ტყავაძის თვითმკვლელობის მომენტში. აქ კიდევ ერთხელ, მეტად დამაჯერებლად და ბუნებრივად, იტვიფრება მისი რომანტიკული ბუნება, ამოუცნობ განცდას დამორჩილებული სული და ყოვლისმომცველ გრძნობასთან მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობის უნარი.

ჩვენ აღარ გვიცვირს მაკას წინაშე წამოჭრილი კითხვა — მართლა მისთვის მოიკლა ტყავაძემ თა-

ვი თუ არა; გმირს უკვე იმდენად შეგვანივთა მწერალმა, რომ მოულოდნელად არ მიგვაჩნია იგი. მეტიც — ამ ეტაპზე ბუნებრივად გვეჩვენება ქალის დამოკიდებულება დასმული კითხვისადმი: „ნუ-თუ მართლა ჩემთვის... მერედა, საღ იყო აქამდე? ასეთ მამაკაცზე, ალბათ, ბევრი ქალი ოცნებობს. არა, ახლა ვინ იყლავს ქალისთვის თავს! სისულელეა, მე გამოვიგონე...“

ძნელი დასანახი როდია ის ტკივილი, რომელიც უკანასკნელ ფრაზას ახლავს. მაკას რომანტიკული ბუნებისათვის ამ კითხვის დასმაც, მისი პასუხიც, არც მეტი, არც ნაკლები, თავგადასავლისადმი ლტორვის გამოხატულებაა.

ეს თავგადასავალი კი წარმოსახვაში მიმდინარეობს! „გრიცდიდა ჯუმბერის ამბავს, მაგრამ განიცდიდა, როგორც მონაყოლს; მოსწონდა, რომ ვიღაც შეყვარებულმა კაცმა თავი მოიკლა ქალისათვის. ეამაყებოდა, რომ ეს ქალი თვითონ იყო... უნდოდა, ყველას სცოდნოდა ეს ამბავი, მაგრამ არავის გაეგო. ახლაც მიდიოდა, რომ ენახა, გაეხარებინა, ორიოდე თბილი სიტყვა ეთქვა, ყველაფერი ეს მოგონილი ამბავი ეგონა. მოგონილი იყო თვითონ ტყავაძეც, თითქოს თავისი თავიც კი გამოიგონა, ვი-

ღაცას რომ უყვარდა, მერე ის ვიღაცა ადგა და თავი მოიკლა“.

დიდი სიზუსტითა ნაჩვენები მაკას უბედურების დამავირგვინებელი ფიქრის ნაგლეჭები, მისი დაშორება რეალური ცხოვრებისაგან და ჭარბი რომანტიკული გატაცების საბედისწერო შედეგი: „მაგრამ ტყავაძე, ვინც ეს საქმე ჩაიდინა, მაინც არ იყო ნამდვილი პიროვნება და თვითონაც ახლა, ამ ნაცნობ ქუჩებში დადიოდა, როგორც ამბად მონაყოლი. ჩამოვიდა ქმარშვილიანი ქალი, რომ სხვა კაცი, მასზე შეყვარებული თვითმკვლელი, ნახოს, რომ სიკვდილის წინ ამ კაცმა ქვეყანას არ შეაფურთხოს“.

მწერალს სურს, ყველა გზა მოავეთოს მაკას ქცევის არასწორი შეფასებისათვის, ამიტომაც ძელად თმობს ერთხელ შერჩეულ პიზიციას: „მინდა, გადაცმული ბელი ქუჩებით მივდიოდე, ვინმე მოსყიდული დარაჯი მიღებდეს საიდუმლო კარებს, ვიყო მოღალატე... ოლონდ, როგორც მონაყოლი, ან წაკითხული, სხვისი თავგადასავალი კი არა, ჩემი იყოს და კა არ უნდა ჩამედინა ეს“.

მაკა მოქმედებს, ღალატობს. იღტვის, როგორც ვიღაც სხვა. იგი მხოლოდ მჭვრეტელია და მოს-

წონს ამ „ვიღაცის“ თავგადასავალი, რადგან იგი სხვა „ვიღაცის“ თვითმკველელობის მიზეზი გახდა. მაյა ლექავაში ჩასახლებული „მეტრე მაკა“ ზღაპრის გმირია, თვით მაკას კი ძალზე მოსწონს მისი ფართისტიკური ავანტიკურა.

რაც უფრო ვუახლოვდებით ქალის უბედურების კულმინაციას, შეით უფრო გაუვალი ხდება მასთან მიმავალი გზაშვრილი. მაკა ლექავაშ მეუღლის წინაშე შესკოლა უფრო ადრე, ვიდრე ჯუმბერი ამას მიაღწევდა. და მწერალს მარც გააჩნია ჯალი სიტუაციები, რათა მაკას შარავანდი არ შემოეძროვოს. აი, ამის დამადასტურებული მომენტიც: კუპეში ვიღაც შემოვიდა. „ჯობია, სახე არ დამინახო, თორებ, შეიძლება. სულ ალა წავიდეს, მაინც რა უბედურებაა, თუ საღმე მარტოხელა ქალს გადაეყარნენ, იმწამსვე უჩნდებათ აჩრი: ხომ არაფერი გამოვა? რა იცის, რომ მომაკვდავი ტყავაძე სულს ებრძის!“ და, როცა აღმოჩნდა, რომ ეს კაცი თვით სულთმაბრძავი ჯუმბერი იყო, უმაღვერა უბრუნდა სინამდვილეს: „ტყავაძე! ნუცას შურს, რომ მე ქმარი და შვილი მყავს!“

ოტია იოსელიანი კომენტარისთვის არ ტოვებს ადგილს. ყველა-ფერი ნათელია, ცხადია, „მომაკვდავი ტყავაძე“ სულს ებრძის“.

— ეს ქალისთვის სულისა და ხორცისმიერი ტკივილია, მაგრამ შეგნება, ღრმა შეგნება იმისა, რომ მას „ჰყავს ქმარი, ჰყავს შვილი და ბედნიერია“, აჩქარებს, რათა ვაკონიდან გაიყვანოს ტყავაძე! ამისათვის ენასაც ითაფლავს, ძალასაც მიმართავს, ფიქრში კი... ფიქრში მაინც სიბრალულის ნაპერწკლები კაიფობენ! — ხომ გითხრეს, რომ მე შენთვის ჩამოვედი, — ისევ წაიშვია და სახეში მიაშტერდა. „თვალი რომ დახუჭოს, მკედარია...“

„უნდა გავიყვანო როგორმე აქელან და კიბეზე ჩავაცილო, რომ ვაგონებს არ ჩაუვარდეს“.

„ეს რომ ახლა გადარჩეს, თუ ისევ ისე მოვექეცი, ხელახლა მოიკლავს თავს“...

გიმერები: მწერალმა ურთულესი გზა აირჩია გმირის ფსიქოლოგის გამომზეურებისათვის. აქ ისე გადახლართულია ფიქრი და ფაქტი, და ისე დიდია წინააღმდეგობა მათ შორის, რომ მყითხველს რაღაც „მექვეს გრძნობა“ სჭირდება თემიდას როლის შესასრულებლად.

აი, საზოგადოებრივი მორალის მარტუხებში მოქცეულმა ქალმა ჯუმბერი კუპედან გაიყვანა, საფრთხეს გადარჩა... და უმაღლ თვით-განკითხვა მოაწყო: „ნეტავ არ გამეგდო, ნეტავ გამძალიანებოდა.

ახლა რომ ჩაიმე მოიწიოს... ნეტავ, სულ არ გავთხოვილიყავი, წეტავ, სულ არ შევხვედროდი გენის... არ უნდა გამეყვანა კუპილან, დამეწვინა აქ და ყოფილიყო. მეთქვა, რომ ძალიან ვინანე მაშინ, სუფრაზე რომ არ გაფუგონება.

მწერალი ჩინებულად იცნობს თავის გმირს — იცის, როდის შეკლო მას მხოლოდ ცნობისმოყვარე ყოფილიყო ამ მამაკაცის მიმართ, როდის — გატაცებული მისით და როდის — შეყვარებული! რომანისადმი ინტერესს სწორედ ის აძლიერებს, რომ მაკა ლეჟავა ქვარს ცვლის მამაკაცზე, რომელიც მომაკვდინებლად სძულს, სულის შეძრამდე ეზიზლება. უცნაურია, მაგრამ მწერალი მაინც გვაძლევს საფუძველს, ლოგიკური ასენა მიყცეს თეზა-ანტითეზას — „არ სძულდა-სძულდა“. მაკამ არ მისცა თავს უფლება, ელიარებინა ტყიაგაძის სიყვარული. მან შთააგონა თავს, რომ „ახლა ვინც მას ეხვეოდა, დღევანდელი, ბევრის-თვის კაცურ კაცად მიჩნეული ჭუმბერი კი არ იყო, არამედ ის მუნინი და ზინზლიანი ბიჭი, რომელიც ჭირის დღესავით სძულდა“. ამიტომაც „საოცარი სიმწვავით იგრძნის იმ საკერებელ დადებული ბლუზის მევავე ოფლის სუნი და სუნთქვა შეეკრა“.

მაკა სისტემატურად ხვდება ჭუმბერს და მუდამ მტკიცედ იმეორებს, რომ ეზიზლება იგი. თუ ეს მართლა ასეა, გაგვიჭირდება მაკა-სადმი თანავრჩნობის შენარჩუნება, რაგინდ დამაჯერებლად ისმოდეს, რომ მაკა თვითდასჭის მიზნით აგრძელებდა ტყავაძესთან ურთიერთობას. მატარებელში მომხდარი ინტიმური ამბის შემდეგ ხომ მაკას ყველა მოქმედება შეცვლობა კი არა, შეგნებული დანამაცულია, სულის წამებისათვის ქალის მიერ გამოგონილი. ამ ეტაპის ყველა შეცოდება ხომ, რაგინდ პარადოქსული იყოს ეს, არა სისუსტის, არამედ სიძლიერის, არა უზრუნველის, არამედ სიწმინდის, არა უნებისყოფლის, არამედ სიმტკიცის მაჩვენებელია. აი, მართლაც უცნაური ტრაგედია: ქალმა ილუზიაში შექმნა შეყვარებული მამაკაცის ხატება და მის რეალურობებულზე სინამდვილეში აღმოჩნდა შეყვარებული: იგი მიიზიდა მამაკაცის უკიდეგანო სიყვარულმა და სამაგიერო გრძნობით განიმსჭვალა. ამან წარმოშვა მიზიდულობა, რომელიც მუდამ ჩამწარებული იყო შთაგონებით, რომ ეზიზლებოდა ეს კაცი. თუ მაკას საპასუხო გრძნობამ ვერ პოვა განვითარება, ამას მან მიზანდასახუ-

ლად მიაღწია: თავისი ქცევა მაკამ შეგნებულად აქცია ამორალობად, რითაც დასახა გათხოვილი ქალი, რომელსაც რომანტიკისა და სიყვარულის უფლება, მისი აზრით, დედობამ და მეუღლეობამ წაართვა... .

მწერლის მიერ ამგვარი ფსიქოლოგიური სიტუაციის შექმნა ცეცხლთან თავაშს ჰგავს — არსებობდა უცილობელი საფრთხე, რომ მკითხველს ვერ ეპოვა დიდი ტრაგედიის ცხრაკლიტულის გასაღები.

მაკას ტრაგედია არ იყო ფატალურად გარდუვალი. მაკას ხასიათში არ არსებობს ბიშვერი ცხოვრების ბუნებრივი მონაცემები, არსებითი საწყისები (წინააღმდევ შემთხვევაში, იგი არც იქნებოდა ტრაგიკული გმირი). ზემოთ ნახსენები ზედმეტი ცნობისმოყვარეობა თუ სიყვარულის ობიექტად თავისი თავის უცოდველი წარმოსახვები ფიქრს არ გასცილებია, ხოლო ფაქტები სწორედ დიდმა პატიოსნებამ გაამძაფრა უკიდურესობამდე.

თუ ზემოთქმული ჭეშმარიტებას შეიცავს, ბუნებრივად ჩნდება აუცილებლობა, ვნახოთ, რამდენად დამაჯერებელია ის შემთხვევითა კვანძები, რომლებიც მაკას დაღუპვის დასაჩქარებლადაა ნაწარმოებში მოფაქტრებული.

მაკა ლექვავს დაღუპვისათვის აუცილებელი, არსებითი მომენტები, როგორც ითქვა, ნაწარმოებში ჩინებულადაა მოტივირებული. მაგრამ ქალის გარდასახვას შემთხვევითმა გარემოებებმაც შეუწყონელი: იგი თავისი მშობლების ხშირი სტუმარი გახდა ძმის დაქორწინებასთან დაკავშირებული დავიდარაბის გამო. ამან განსაზღვრა მისი საქმიანი კონტაქტი ტყავაძესთან, აქედან გამომდინარე ყველა საბედისწერო შედეგით. ეს არის საფენელი, რომელიც მწერალმა ზემოთ ნაჩვენები ღრმა ფსიქოლოგიზმის გამოსავლანებლად აირჩია. რაკი ასეთი ფონი აუცილებელი იყო, შიშველ პუბლიცისტიკად რჩება მწერლის სიტყვები, ნაწარმოების დასაწყისში ნათქვამი: „მან (მაკამ, ჩ. დ.) საერთოდ არ იცოდა ძმის ასავალ-დასავალი. ბეჭიკო ჭერ კიდევ ცეტი ბავშვი იყო, როცა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. გათხოვებამდე ზაფხულობით ჩამოლიოდა, მაგრამ ძმა ღამით შემოძრებოდა სახლში და დილით ისევ გადაიკარებოდა.

ზიშიკომ როგორლაც დაამთავრა აშუალო სკოლა, მერე ორი წელი თბილისში გაატარა, ახლა საბურები დაუსწრებელზე გადავიტანეო, ამბობდა, მაგრამ მართალია? დამ არც ეს იცოდა. ახლახან ღვი-

ნის ქარხანაში დაუშენია მუშაო-
ბა...“

ცხადია, ამის შემდეგ ნაძალადევ შთაბეჭდილებას ტოვებს მაკას ასეთი თავდადებული მზრუნვე-
ლობა ბიჭიყოსათვის (მწერალს კი სახლში მაკას ხშირი ჩასვლა ესა-
ჭიროებოდა).

იგივე უნდა ითქვას შემდეგი აღგილის შესახებ. „გუნებაწამხ-
დარ მაკას ძალიან აწუხებდა, რომ
ძმა ისე არ უყვარდა, როგორც
უნდა ჰყვარებოდა... შორიდან ამას
ვერ გრძნობდა... კარგა ხნის უნა-
ხვი მოენატრებოდა, უნდოდა,
ყველაფერი ეპატიებინა. ფიქრობ-
და, როცა შეხვდებოდა, მოსიყვა-
რულებოდა, არ ეკითხა მისი სწა-
ვლის ან საქმიანობის ამბავი... ნა-
ხუდა და — ბიჭიყო მაშინ რაღა-
ცას ისეთს ჩაიდენდა, მერე მისი
მოფერებაც და პატივისცემაც
აღიზიანებდა...“

გმირის ბუნების გამოსავლინებ-
ლად გამოყენებული ეს ერთი სა-
შუალება თავისთავად შეიცავს
შინაგან წინააღმდეგობას. ჩემის
აზრით, მაკას არსებისათვის ყვე-
ლა ადამიანისაღმი მეტისმეტი ყუ-
რალება და თავგანწირულობამდე
მისული მზრუნველობაა ნიშანდო-
ბლივი. ამიტომაც ციტირებული
განცხადება გაუმართლებელი
ალოგიკურობის გამოვლინებალ
ჩანს.

მწერალი უზადოა გმირის შინა-
განი დუღილის გადმოცემისას.
შეუძლებელია რომანში ყალბი
წუხილის, გულისამრევი სენტიმე-
ნტალიზმის, ზიზღის აღმძერელი
ლმეჭის პოვნა. მწერალს იმთავით-
ვე აქვს განზრახული, მტკიცე ნე-
ბისყოფის, უაღრესად პატიოსანი
და კეთილშობილი ქალის ნელი
მორალური სიკვდილი გვიჩვენოს.
ყველა ბუნებრივი ფერიც ამ მი-
ზანს შეაღია. ქალის ტრაგიზმის
ხელისშემწყობი მომენტების ასახ-
ვისას უკვე თვალშისაცემი ხდება
ყალბი საღებავები. დავასახელებ
ერთ მაგალითს:

— უბედურ ფეხზე გამოვედი
წუხელ... უბედურ ფეხზე და სა-
ათზე გამოვედი... — გაიმეორა, მო-
ტრიალდა და ხელი ისევ კაცის
მკლავს წაავლო. გაყუჩდა. უნდო-
და, ატირებულიყო და ვერ მოახე-
რხა.

— მაკა, რა დაგემართა, ავად
ხომ არა ხარ?

— უბედურ, დაწყევლილ ფეხზე
გამოვედი წუხელ... უბედური...
უბედური! — ჩააცივდა და არ მო-
ეშვა ამ სიტყვას. ეს სიმართლე
იყო, მაგრამ არ შეეძლო დღისით
ქუჩაში ატირებულიყო, — მე იქ
უყველთვის უბედური ვიყავი...
გენო მკლავში მიწვდა, რომ ხე-

ლი გაეშვებინებია, ქალი მთელი ძალით უჭერდა.

— უბედური... უბედური, უბედური...

— გაჩუმდი, მაკა!

— უბედური, გენო, უბედური...

— რა მოხდა, თქვი, ამოიღე ხმა!

— მთელი ლამე, გენო, მთელი ლამე, მთელი ეს დასაქცევი ლამე ჯიბგირებთან ვიმგზავრე, ბანდიტებთან... მთელი ლამე... გენო, რატომ გამიშვი მარტო, რატომ, რატომ დამლუპე...

— რამ დაგლუპა, რა უნდოდათ?

— რა უნდოდათ?! — ქალმა თავე აიღო და წყენით შეხედა ქმარს.

ეს იყო უკვე ის ტყუილი რომლის თქმისაც ასე ეშინოდა, ეს ტყუილი უკვე მასში გაჩნდა და ისე მტკიცნეული იყო მისი თქმა, რომ თვალები ცრემლით აევსო.

— მეზობელ კუპეში ვიღაცევბი ხმამალლა ლაპარაკობდნენ, მთელი გზა შიშით ვკვდებოდი, არ ჩასძინებოდათ.

— შენ კუპეში ვინ იყო?

— ორნი იყვნენ. ჩემს მერე ამოვიდნენ, მეორე გაჩერებაზე, როგორც კი დამინახეს, კარი ჩაკრტეს...

„ყველაფერს ტყუილს ვამბობ, ტყუილს“.

— კი მაგრამ, ხალხი სად იყო?

— არავინ არ იყო, გენო, ხომ გითხარი, კედელს იქით ლაპარა-

კობდნენ... კუპეში კი მეტი არავინ იყო“.

დიდად დრამატულ და ორმად ექსპრესიულ ამ მონაკვეთში უნაკლოდაა გახსნილი თავისი ქცევით შეშფოთებული, ზარდაცემული, სულის სილრმემდე შეძრული ქალის შინაგანი სამყარო. ცოდვილი ქალსა და განცვიფრებული მეუღლის საუბარი დიდებულადაა მოფიქრებული, მკითხველს სჯერა გმირებისა, ენივთება მათს განწყობილებას, ეზიარება მათს წუნილს.

გმირის დაღუპვის დასაჩქარებლად მშერლის მიერ ამ მომენტში შერჩეული ხერხი მიმაჩნია იმ ფონად, რომელიც ერთ ადგილას ახრჩაბს. დაუჯერებელია გენოს რეაგირება ამ საუბარზე. წარმოუდგენელია, რომ ამ დიალოგის შემდეგ ფიქრის მხოლოდ ასეთი ნაპერწყალი გაჩენილიყო: „რაო, რა თქვა? ბანდიტებთან ვიმგზავროო?“! გენო არც ისე სულელია, რომ მაკას მიერ ცუდად მოფიქრებულ ტყუილში საეჭვო არაფერი დაინახოს: „რაც ითქვა, მარტო ეს მოხდა? ვაი თუ, გენოსთვის ყველაფრის გამხელა არ შეიძლებოდა! და რისი გამხელაც არ შეიძლება, ალბათ, იმას არც მარტო მოსმენა უშველის“, — აი, რა გაიფიქრა რქებდაღმულმა მამაკაცმა, სალამოს სახლში დაბრუნებული.

ლმა. რა არის ეს? დიდი თავშე-
კავება? ტაქტი? გულუბრყვილო-
ბა? არა, არც ერთი: გენოს რომ
პირველი ორი თვისება არცთუ
უხვად მომადლებია, ნაწარმოებია
ბოლო ნაწილშიც კარგად ჩანს
(ბიჭის გალაპვის სცენა), ხოლო
შესაძისა რომ იოტიც არა სცენა,
ეს ამ წუთიდან მრავალჯერ გა-
მოვლენილი ეჭვიანობით საბუთ-
დება.

მაშ. რით შეიძლება გავამართ-
ლოთ გენოს სრული პასიურობა
ამ კრიტიკული მომენტის შემდეგ?
რაგინდ დიდბუნებოვანი გმირი
იყოს გენო, რაგინდ მტკიცე ხასი-
ათი პქონდეს, აღნიშნულ შემთხვე-
ვაში მისი ასეთი ქცევა მოკლე-
ბულია დამაჯერებლობას, ამგვა-
რი ფონი კი სუსტადაა მოტივირე-
ბული.

შეა ლეჟავას სულიერი გარდა-
საცვის კარგად მოფიქრებული,
ოსტურად დახატული ფსიქო-
ლოგიური სურათი ცხოვრებისე-
ულ, დამაჯერებელ საფენელს მო-
ითავს. ურთულეს ლაბირინთები-
ში გზაგანებული მწერლისათვის
ეს დიდ სიძნელეს არ წარმოად-
გენს. მაშინ მეც უფრო დამაჯერე-
ბლად შემეძლება ვთქვა:

იყო ერთი ქალი.

ვანი.

მდინარების

საკირისპიროდ



გიორგი გაჩეჩილაძე



მრთ თავის შერილში თა-
ნამედროვეობის ხვედრიზე
დაცირებული ჩვენი ეპოქის
ადამიანი პოლ ვალერიმ პამ-
ლეტს შეადარა.

დღეს ეს პამლეტი ელსინორას
ტერასაზე წიგნთან დახრილი წი-
ნაპარივით დგას და შეკითხვაზე,
თუ რა კითხულობს, გაუფასურე-
ბული ცნებებით დაწერილი წიგ-
ნის შესახებ პასუხობს: „სიტ-
ყვებს, სიტყვებს, სიტყვებს“ (პამ-
ლეტი, II, 2). ეს არის „დროთა
კავშირის რღვევის“ შედეგი.

ხშირად სიტყვები იქცნენ არა
ჭეშმარიტ, არამედ მოჩვენებით
ლირებულებათა აღნიშვნის ფორ-
მად. ადამიანი კი მთელი არსებით
სიცოცხლისა და რეალობის
გრძნობას მოუცავს.

ყველა ზეიმზე დავიგვიანე,
ყველაზე აღრე მოსულმა დღემდე,
არც მდიდარი ვარ და არც ჰქვიანი,
მაინც ვერავინ ვერ ცხოვრობს
ჩემდენს.

მეც ყოველ სიტყვის წარმოქმა
მტანჯავს.
თვალს ყოველ დალით ტკივილით
ვახელ.
და სანამ ქარი მისინჯავს მაგას,
მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე...

ეს ლექსი ოთარ ჭილაძეს
ეკუთვნის. ავტორის სურვილია
თანამედროვე ცივილიზაციის მა-
ტერიალური და სულიერი კულ-
ტურის ისტორიულ ფორმაში
აღბეჭდილი სახეცვლილებები
განგვაცდევინოს.

ამჟერად, ჩვენთვის პოეტის მი-
ერ მიგნებული თემის მტკივნეუ-
ლობაა საგულისხმო. საგულის-
ხმოა, რაღანაც სწორედ ასეთი
საკვანძო მომენტების გაცნობიე-
რებაა პირობა პოეტური ნოვა-
ციის დასამკვიდრებლად. საქრეს-
ტომათიო ჭეშმარიტება რომ გა-
ვისხენოთ, „პოეტურ ფორმაში
აღბეჭდილი ყოველი რაღიკალუ-
რი სახეცვლილება სიმპტომი უნ-
და იყოს გაცილებით მეტი და
ღრმა ცვლილებებისა საზოგადო-
ებასა და აღამიანში“ (თ. ელიო-
ტი). ასეთ დროს თითქოს რაღაც
წყდება წარსულის გამოცდილება-
სა და თანამედროვეობას შორის.
„არც ერთმა წებომ არ ივარგა:
მეხსიერების უნიკალური კინ-
ფირი — დაწყვეტილია.“ — გვი-
უბნება ტ. ჭანტურია.

საქმე ეხება პოეტური სახეები-
სა და ცნებების ხვედრს, უფრო

ზუსტად, სიტყვის არსებობის
სპეციფიკას თანამედროვე ლი-
ტერატურაში. მასში იგულისხმე-
ბა გარკვეული ცნებების დევალ-
ვაციის, ზოგიერთი ცნებებისაღმი
სკეპსისის გაღვიძების და, რაც
უფრო საგულისხმოა, გარკვეუ-
ლი ცნებების განახლებისათვის
ზრუნვის პათოსი. მოკლედ, მასში
იგულისხმება ყველაფერი ის,
რაც ცხოველმყოფელობის, მოძ-
რაობის, განვითარებისა და შინა-
განი გადახალისების იერს ანი-
ჭებს ლიტერატურულ პროცესს.
ეს არის პოეტური სახეებისა და
სიტყვის შინაარსეული ასპექტის
ღრამატული ოდისეადა ანუ პოე-
ტური სიტყვის სათავგადასავლო
გზა პირველადი ცხოველმყოფე-
ლობის დაკარგვიდან მოსაწყენ
ინერციულობაში გადასვლამდე.
ახალი ცნებების მიერ მათი ადგი-
ლის დაკავების პროცესი უსათუ-
ოდ აღძრავი, ინტერესს ამ სიტყ-
ვის თავგადასავლიაღმი.

სიტყვა სიტყვის შესახებ

სიტყვის სიზუსტე და სილამა-
ზე, ალბათ, არსად არ არის ისე
გამოკვეთილად ხელშესახები,
როგორც პოეზიაში. ლექსი სიტყ-
ვის ოპტიმალური სიზუსტისა და
სილმაზის ამოუწურავ შესაძ-
ლებლობათა ფორმაა. სიზუსტისა

და სილამაზის იდეალურ თან-
ხეობრას კლასიკური პოეზია იძ-
ლევა.

სიტყვის სილამაზე, პირველ
ყოვლისა, მისგან აღნიშნული სე-
მანტიკური შინაარსია ან საგანი.
როცა სიტყვის სემანტიკა მოგვ-
წონს, ხიბლის ძალას იძენს მისი
სიზუსტეც და ფონეტიკაც. მაგ-
რამ პოეზიამ იცის პერიოდები,
როდესაც სიზუსტე და სილამაზე
ნაწევრდებიან. იშლებიან და და-
მოუკიდებლობის უფლებით გვე-
ცხადებიან. რეალური სიზუსტის
გარეშე აფრენილი ლამაზი სიტყ-
ვა კი კარგავს ორიენტაციას და
ფრთამოტებილი ფრინველივით
ვარდება მიწაზე.

სეთი ვთარება საფუძვლიანი
გადახალისებისა და სახეცვლილე-
ბის ქეტით მთავრდება. იგი ლამა-
ზად მიჩნეული სიტყვების კრიზი-
სის შედევია.

კრიზისის განცდა იმ დროს
მძაღლდება, როდესაც სიტყვები
შინაურ ფრინველებს ემსგავსე-
ბიან; დაბლანტებულებს შორს
საფრენი ფრთები აღარ გააჩნიათ.

მაგრამ კულტურის ისტორიაშ
ისეთი პერიოდებიც იცის, როდე-
საც ძვირფასად მიჩნეულ სიტყ-
ვებს უფრთხილდებოდნენ. უძვე-
ლესი ცივილიზაციის მკვლევა-
რები საგანგებოდ მიუთითებენ

წმინდა სიტყვებისადმი დამოკი-
დებულების უცნაურობებს.

ეს მაგალითი განსაკუთრებულ
პარადოქსად უღერს თანამედრო-
ვე მასობრივი ინფორმაციის უკი-
დურესი გენვითარების ეპოქაში,
როდესაც ტელევიზია, რადიო,
კინო, გაზეთი, სპორტი ულმო-
ბელ და ყოველნაირ „ექსპლოატა-
ციას“ უწევენ სიტყვას. სიტყვები
ცვდებიან, იფიტებიან და კარგა-
ვენ პირველადს სიზუსტეს. ლიტე-
რატურა მომაკვდინებლად განიც-
დის სიტყვის ამგვარი გადაგვარე-
ბის საფრთხეს. მუხრან მაჭავარი-
ანის თქმით, იქმნება ვითარება,
როდესაც „ქალი თუ კაცი ეგიძ-
რება იმაში ურთერთს. ფიქრის
და სიტყვის დაშორებას ვინ შეძ-
ლებს უკეთ“.

ბევრმა ძვირფასმა სიტყვამ და-
კარგა პირველადი სიზუსტისა და
სიწმინდის მნიშვნელობა. ამგვარ
სიტყვებზე ფიქრი და წუხილი
პოეზიის საგანია. დიდ საბჭოთა
პოეტის ა. ტვარდოვსკის ქვეს ასე-
თი სტრიქონები:

Я знаю, как слова опасны,
Как могут быть вредны подчас...
Как, обольщая нас окраской,
Слова — труха, слова утиль.
В иных устах до попойской сказки
Низводят сказочную быль.
Ам струйкононебо ши ехис პოეტის

წუხილი და პასუხისმგებლობა სიტყვის ხვედრზე, როგორც პასუხისმგებლობა ჰუმანიზმის დანიშნულებაზე ლიტერატურაში. მისი მიზანია გაათვალისაწინოს არა მხოლოდ გაუფასურებული სიტყვით აღნიშნული საგნისა და მოვლენის რაობა, არამედ მათი სახელით შესრულებული მოქმედების არსიც.

ცხადია, ისტორიის ირონიის კონტექსტში ასეთი ცნებებიც კარგავენ ძალას. ცხოვრების მიერ მათლამი მინიჭებული რწმუნებები ცხოვრებისაგანვე უქმდება. მაგრამ ეს არ არის უმტკივნეულო და უკვალოდ ჩავლილი აქტი არც ცხოვრებაში და არც მხატვრულ შემოქმედებაში. შემოქმედის პასუხისმგებლობა ორივე მათგანზე ვრცელდება.

როდესაც თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების უანრობრივ და სტილისტურ სიახლეთა შესახებაა საუბარი, ეპოქის გარდამავალი ხასიათის თვისებებია გასათვალისწინებელი. თანამედროვების ამგვარი ტენდენციები, ცხადია, ახალ კითხვებს და ამოცანებს სვამს ქართული კულტურის წინაშეც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურული პროცესი სულაც არ არის იზოლირებული ამ ძერებისაგან.

სიტყვები ყრია როგორც მარცვალი, სიტყვები უქმი, სიტყვები ცოტა..., —

წერს სიტყვისადმი საინტერესო დამოკიდებულების მქონე პოეტი იზა ორჯონიქიძე.

უკანასკნელი დროის ასე თუ ისე წარმატებით დაგვირგვნებულ პოეტურ ნიმუშებზე თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ ეპოქის ისტორიული ფორმისა და შინაარსის ენობრივ ქსოვილში გამოვლენის რთული მიმოქცევები შევნიშნოთ.

სწორედ საგნისა და სიტყვის ზუსტი შესატყვისობისაკენ სწრაფვის შედეგებმა იჩინა თავი ი. აბაშიძის, მ. ლებანიძის, მ. მაჭავარიანის და სხვათა პოეტური იდიომის ახლებურ გააზრებაში. ეს ტენდენცია საქმაოდ ადრე დაიწყო გ. აბაშიძის პოეზიაში, მაგრამ რატომდაც იგი არც პოეტის მიერ იყო განვითარებული და არც კრიტიკის შეუმჩნევია. მხედველობაში მაქვს ლექსი „სასაკლაო“. ამ ძიებების დაძლულობით ხასიათდება კ. ჩარქვიანის ლექსები.

ეს წერილი ამ მიმართულებით მთლიანად ქართული პოეზიის დახასიათებას არ ისახავს მიზნად. ასეთ შემთხვევაში გვერდს ვერ ავულობით ისეთ ძიებებს, რომლებიც საგანგებო ყურადღებას იქცევენ ანა კალანდაძის, ოთარ

ჭილაძისა და ბ. ხარანულის შემოქმედებაში. გვერდს ვერ ავუკლიდით კონვენციური ლექსის ფარგლებში სიტყვისა და საგნის შესატყვისობის უკანასკნელ შესაძლებლობათა ამოწურვისა და თავისებური ზემის ფაქტს დ. გაჩეჩილაძისა და შ. ნიშნიანიძის ლექსებში. ასეთივე ძიებების საკუთარი მასშტაბებით ხასიათდება ბ. გვეჭერის, ე. კვიტაშვილის, ი. ორჯონიძის, ლ. სტურუას და სხვათა შემოქმედება. ამ თვალსაზრისით საინტერესო ექსპერიმენტულ მასალას იძლევა ტ. ჭანტურიას პოეზია.

„აუჯუობელი გიტარები“ და „აუჯუვეტილი სერპანტინი“

ასეთი სათაურების ქვეშ ერთიანდებიან ტარიელ ჭანტურიას ახალი ლექსები. მაგრამ ვიღრე ამ ლექსებს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა თვით ამ სათაურების შინაარსობრივ აქცენტებზე...

„აუწყობელი გიტარების“ ქვეტექსტი აშკარა ირონიაა კრიალა, უღისონნანსო, „„ჰარმონიული“ ხმების გამომცემი სტილისადმი. ავტორი შეუნილბავად გვახსენებს, რომ დროთა ვიზარებაში და განსაკუთრებით თანამედროვე ტერიტორიული ტემპების ატმოსფეროში ნებისმიერი ხელოვნების 5. „კრიტიკა“ № 6.

კლასიკურად მიჩნეული ინსტრუმენტის სიმები თანდათან ეშვება და დუნდება. ვიღრე მისი კლავიტურა დროის შესატყვის ახალ ჰანგებს გამოსცემდეს, მას ხელახალი აწყობა ესაჭიროება... „აუწყობელი გიტარები“ გამოხატავს ლიტერატურული პროცესის გარდამავალ ხასიათს და შემოქმედის მონაწილეობის შეგნებას ამ თავისებური გათიშვის, „განწვალების“ სტადიაში. ეს არის ტ. ჭანტურიას ექსპერიმენტული ძიების გამჭოლი მოტივი.

„დაწყვეტილი სერპანტინი“ იმავე სულისკვეთების ვარიაციაა. ინერციად ქცეული მოტივებისა და სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობისადმი ტ. ჭანტურიას ლექსების გამომწვევი, პაროდიული დამოკიდებულება და წიგნის სათაური „დაწყვეტილი სერპანტინი“ თავისებურ ასოციაციას იწვევს XVI—XVII საუკუნეთა კურიოზული ლექსის ისეთ სახეობასთან, რომელსაც „სერპანტიკუმ ვერსუსი“ ეწოდება. „სერპანტინული“ ლექსი მართლაც შეიცავს ირონიის, კალამბურის, პოეტიკური იკრიბატურის დიდ შესაძლებლობებს. მავრამ ტ. ჭანტურიას ამ კრებულებში, ზემოაღნიშნულის გარდა, საგანგებოდაა

„ქცენტირებული დროის განცდა, დროის მოტივი... დრო და ადა-მიანი, დრო და კულტურა, დრო და ტრადიცია, ისტორია და პი-როვნება, ცივილიზაციის ისტო-რიული ფორმა და ეროვნული ტრადიციის შეხების წერტილები, — აი, დაახლოებით თემებისა და მოტივების ის რეალები, რომ-ლებიც ავტორის დაკვირვებისა და ხელვის ერთიან გამას ქმნიან.

„აუწყობელია გიტარები“ და „ახალია მთვარე“, მაგრამ „ახალი მთვარე“ უკვე ორარ არის ძველ გიტარებზე აუწყობილი რომანსების რომანტიკული მთვარე. მათ შორის გაბმული უხილავი ძაფი დაწყვეტილია სერბანტინივით. სიცხალედ იქცა „მაჟარის მოტა-ცების“ მითოსი.

და სამოწყალ დ ხელგაწედილ
ბაჟშეებს
ჩამოურიგა არმსტრონგმა მთვარე,
ზახევარმთვარ
ბაფრი მთვარე
ახალი მთვარე

უკელაფერი ჩვენს თვალშინ
მოხდა. ძველი წარმოდგენების
ინერცია ახალი თვალთახედვის
რეალობას შეასკადა. ძალისა და
ახლის „განწვალებაში“ რეალური
ხასიათი მიიღო.

ულრუბლო ცაზე გარკვევით მოჩანს,
რა მოკლეს ბიჭვმა ჩთვარეს!
შელდაწყვითილი

იმზირება
ახალი და
ნაკლული მთვარე...

ტველი მითოსი იშენვრევა თა-
ნამედროვეობა დემისილოგიზა-
ციის სტადიაში სევადა.

შეიცვალა მასშტაბებიც. ცნება-
დაუკებელი სურვილების წინა-
შე აღმართული დაბრკოლებების
შესახებ გვესმოდა ხმა — „მთაო,
ვაღმიშვი, ტიალო...“ ხედვის ოპ-
ტიკური წერტილის ამაღლებამ
დაბრკოლებათა კონკრინატის
გადაადგილებაც გმოძირვია, ამ
ვაჯავაზე გილების ხასიათზე მეტყ-
ველი ტ. ჭანტურიას ლექსების
ციფლი ერთიანდება სათაურის
ქვეშ: „ცაო გაღმიშვია...“

წარსული, თანამედროვეობა,
სულიერი ფასეულობანი, ისტო-
რიული მოვლენები პოეტის წარ-
მოსახვაში მრავალფეროვან გირ-
ლიანდებად იწვენებიან. ყველა
და ყველაფერი, კარნავალური
ფლესასწაულის მსგავსად, მხია-
რული ფერხულით უვლის წრეს
დროისა და სივრცის გადამკვეთ
აბსტრაქციაში. ვერხულის კის-
კასში ეშხით შესულ კრებულებს
ერთიან გირლიანდებად სერბან-
ტინები ჰკრავს... მაგრამ სერბან-
ტინი ქალალისაა. ფაფუქია და
ალაგ-ალაგ წყდება, იფლითება,
ნაწევრდება, როგორც საუკუნეე-
ბი, წლები, საათები, წუთები...

მხიარული ფერხული კი გრძელდება... ადამიანები, სხვადასხვა ფასეულობანი ამ ფერხულში დაუსრულებლად მონაცემებერ. ხანმოკლე ანტრაქტებში ზოგიერთ შათვანთან შათი ხვედრით დაინტერესების გრძნობით ვჩერდებით, ვიდრე არსოვამრიგე ამოწურულად არ გამოაცხადებს ანტრაქტის რეგლამენტს...

ისიარტყელები! — ასე ღმერთი გამოდის ბის-ზე!

ბოშის კარავში გამზმარ ქაშაყს აწვალებს ბიზე.

მდინარის პირას, უუინბლენის ჭრელ ბალგანთან სხედან არმსტრონგი, უანა დარკი და კიკაბიძე...

...ფრიალებს ქარში პომეუსის წითელი ტოვა.

ცხენს ეფარება დავიდ უვი ნატყვარ ბეჭით.

„კმარა“, — ვაფრთხალებ თაქარიძეს. „იქმარა, კმარა“.

„ჩქარა“, — ვეძაზი ცოტნეს ბიჭებს. „იჩქარეთ, ჩქარა“.

ხერხეულიძის მეოთხე ძმა ჯიქივით მიღლვერს.

მიიზღაზნება ფერდობებზე ყაზბეგის ფარა.

პომეროსს ხელში აყვანილი შემოყავს დანტე.

ლონდონის ნისლში მიმალული ხითხითებს კანტი...

... „გინდათ სიცოცხლე? რას უყურებთ! შემოდით ყველა“,

„შემოდით ყველა!“ — ვარავ აბრას სამყაროს ფასადს,

და უკვდავებას ვინაწილებ...

სიცოცხლის ფასად...

ეს ლექსი მოწოდებულია არა უკვე მოცემული ან ცნობილი მიმართების ასახსნელად, არამედ მათ სრულიად მოულოდნელ და უცნაურ მიმართებში წარმოსალგენად. ამ თვისებით ეს ლექსი წარმოადგენს კარნავალური ფამილარიზაციის ნიმუშს.

ჩევნ მოვხვდით ფარტასტიკურ სამყაროში, საღაც, შალხური ფორმულა რომ გავიხსენოთ — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“...

ეს არის ღრიოს მიერ მოტანილი სახეცვლილებების უცილებლობა, მიტომაც გვახსენებენ საგულდაგულოდ, რომ „ჰეგვას მეოცე საუკუნე მოზარდს, რომელიც გულგრილად ამსხვრევს სათამაშოებს“ („სტუმარი“).

მაგრამ ეს მოზარდი არა მარტო ამსხვრევს, არამედ გულმოზგინედაც აშენებს საკუთარი კონსტრუქტივიზმისა და სიმეტრიის მიხედვით. მსხვრევა შენების მიზანს უკავშირდება. ამიტომაა, რომ მოზარდი სევდის გარეშე და „უკეთესის“ შექმნის იმედით ეთხოვება სათამაშოებს.

ამ მსხვრევაში უკუგდებულია საგანთა ურთიერთმიმართებაში არსებული და დაღვენილი წესი. უკუგდებულია გამომწვევად, გა-

შალიზიანებლად და სანაცვლოდ ისეთ პროპორციებზე მინიშნებით და მომაკვდინებელი სერიოზულობით, რომ ავტორი გვითრევს შეუსაბამობათა წამლეკ ფეიერვერქში.

არის ეს ჰუმორი ან სატირატრადიციული მიმართებების თემებზე? ცხალია, ერთიცაა და მეორეც, მაგრამ მთლიანობაში არც ერთა და არც მეორე. ეს არის გროტესკი.

საგნების ურთიერთმიმართებებსა და დამოკიდებულებაში ტ. ჭანტურია არა თუ ამცირებს, არა-მეღ საერთოდ ხსნის ტრაგიული ან ეპიკური დისტანციისა და მისებან გამომდინარე პათეტიკის ხასიათს. ამ ლექსში ყველაფერი საუკელურო ფამილარიზაციის დონემდევა დაყვანილი. მითი, რეალობა, ტრავიზმი, კომიზმი ურთიერთშენაცვლებული, ერთმანეთში გართამავალი და გაუმიჯნავი სილიდეებია.

ცხალია, ამ გზით ეთიკური იდეალის გაუფასურება არ ხდება. ეთიკური ფასეულობისადმი დამოკიდებულების სერიოზულობა ძალაშივე რჩება, მაგრამ მათ მოხსნილი აქვთ პიეტეტის საღისტანი საბურველი. ისინი ხელ-მისაწვდომნი ხდებიან, გააღამიანურებულნი, უშუალონი...

მოცემულია ცდა, ყოველგვარ

მოვლენაში, — იქნება ის გარე-მოსილი მითოსის შარავანდით თუ კომიზმის ელფერით, — ადამიანმა დაინახოს აღამიანურობის, საკუთარი ბუნების და საერთოდ ბუნების სირთულე-უბრალოების გამოვლენა. საგნებთან და კულტურის ფასეულობებთან დამოკიდებულებაში გაუქმებულია დისტანცია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულ პოეზიაში ამ პროცესმა ტ. ტაბიძისა და ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაშიც გაიღვა, მაგრამ მას განვითარება არ მოჰყოლია.

დისტანციის მოხსნა თანაბრად ვრცელდება, როგორც ისტორიული კატეგორიების, ისე სულიერ ფასეულობათა მიმართ. ხდება ისტორიული და რეალური ასპექტების მითოლოგიზირებულ მოვლენებთან არევა. იქნება სანახობა, ორიგინალური დღესასწაულის თავისებური მონტაჟის, სურათობრივად წარმოსადგენი ცალკეული კადრების ისეთ მიმართულებებსა და რაკურსებში დაყენებით, რომელშიც მიაბლოვებადაშორების პრინციპს განსაზღვრავს აულაგმავი ფანტაზია და არა პედანტური ობიექტივიზმი. ასეთი პათოსი განსაკუთრებული სისაესით არის წარმოდგნილი ტარიელ ჭანტურის ასეთივე

გროტესკული სულისკვეთების ლექსში „სალაღობო“.

„გროტესკში ცხოვრების ყველა საფეხური ვლინდება — დაწყებული ქვედა, ინტერიული და პრიმიტიული ფენებით, დამთავრებული ყველაზე მოძრავითა და შთაგონებულით — ამ მრავალსახოვანი ფორმების გირლანდებში, რომლებიც მათ ერთიანობას იდასტურებენ. აახლოვებს რა შორეულს, უფარდებს რა ერთმანეთს საწინააღმდეგოსა და ურთიერთგამომრიცხველს, არღვევს რა ვეულ წარმოლგენებს, გროტესკი ხელოვნებაში ენათესავება პარადოქსს ლოგიკაში, ერთი შეხედვით გროტესკი მხოლოდ მახვილგონიერია და გამრთობი, მაგრამ დიდი შესაძლებლობის შემცველია“ (ლ. პინსკი).

ამ ლოგიკური პარაღოქსის პრინციპზე აგებს ტ. ჭანტურია თავისი ლექსის კონსტრუქციას. თანამდებობის სანახაობა, რომელსაც ის წარმოსახავს თავისი სითამაშით, იწვევს ბოსხის, ბრეიგელის და სალვადორე დალის გროტესკული ტილოების ასოციაციას.

„სალაღობოს“ ვაკხიურ დღესასწაულში მოცემულია სიცოცხლის დაუცხრომელი წყურვილის გამოხატულება — არსისა და არარსის მარადისობაში წრე-

ბრტყნების პათოსი. ეს არის სამყაროზე გაფენილი პარადი თავისი წარსულიდან თანამედროვეობამდე. მისი ყველა დროის მონაწილეთა სიცოცხლისაკენ გამოწვევა, როგორც მოარული აკორდი, ლექსს ანიჭებს განსაკუთრებულ საზეიმო და კარნავალურ იერს.

დროის უნივერსალიზმში სერპანტინის ნაფლეთებივით ჩაკარგული ინდივიდუალური ცხოვრება ათასგვარი ვარიაციით უბრუნდება ყოფიერებას.

გროტესკული უანრის სტრუქტურაში ორიენტაცია მხატვრული ხედვის გარკვეულ იღზრდას. ალლოიანობას. „განსწავლულობას“, ლიტერატურული პროტოტიპებისა და პირობითობის გრძნობას ითვალისწინებს. ასეთი სტრუქტურისადმი სმენისა და თვალის შეჩვევისას ქართველ მკითხველს უნდა გაახსენდეს „სიბრძნე-სიცრულისას“ და „ქაცვია მწყემსის“ ტრადიციები. ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ნაწარმოები და ლადო გულიაშვილის ცალკეული ტილოები.

ტსევა ნოვაციის გამო

„რაკილა ტრადიციებში გაურკვევლად ახალს ვერაფერს გაუგებ, საკმარისია ძველი ახლისაგან გამიგნულად შეიყვარო, — ახალი

კი ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარეობს, — ძველის სიყვარული არარაობად იქცევა...“

თომას მანის „დოქტორ ფაუსტუშში“ ეს სიტყვები ინტენდანტის პოლკოვნიკ ფონ რიდეზელის მისამართითაა ნათქვამი. ფონ რიდეზელი სიმბოლური სახეა. იგი ყოველივე ძველისა და ტრადიციულის ტრფიალია, მაგრამ არა ძველისადმი რაიმე ანტიკვარულ-მეცნიერული მიდრეკილების გამო, არამედ წმინდა კონსერვატიზმისა და ახლის უცოდინარობის საფუძველზე. ყოველივე ძველისა და ისტორიულში იგი ხედავდა დასაყრდენს ყოველივე სიახლისა და „დამარცვეველის“ საწინააღმდეგოდ. მხოლოდ ამ პრინციპით იცავდა რა ძველს, პოლკოვნიკს არსებითად აჩაფვერი გაუგებოდა მისი. ნოვაციის წინააღმდეგ ფონ რიდეზელი დემაგოგიური ტერმინებითაა შეიარაღებული. მას მოსწონს ძველი კლასიკური ბალეტი „გრაციოზულიბის“ გამო. ლევერქუნი გვეუბნება, რომ სიტყვა „გრაციოზული“ მის წარმოსახვაში უკავშირდება კონსერვატული პანაცეის პირობით ნიშანს მღელვარე თანამედროვეობის საწინააღმდეგოდ.

ყველა ჩვენი პოეტი და კრიტიკოსი აღმოჩნდება პოლკოვნიკ რი-

დეზელის როლში, თუ თანამედროვე ქართულ ლექსში დაწყებული აუცილებელი სახეცვლილების და გადახალისების პროცესს ხელაღებით დაუპირისპირებს ტრადიციული ნორმატივების კანონებს, მხოლოდ ძველისადმი სიყვარულისა და ერთგულების სახელით. და ეს იმ დროს, როცა ახალი სწორედ „ისტორიული აუცილებლობით გამომდინარეობს“ ძველისაგან.

რას ითხოვს თანამედროვე პოეზია? ცხადია, პირველ ყოვლისა, სიმართლის, რეალობის უკიდურესად გამახვილებულ გრძნობას. ბრძოლა სიტყვის პირვანდელი სიზუსტის დაბრუნებისათვის შესაძლებელია მხოლოდ მოვლენების ზუსტი ხედვის საფუძველზე.

ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იქცევს ბ. ხარანაულის „ხეიბარი თოჭინა“.

ეს არის თანამედროვე ხელოვნებაში ტრადიციული მეტაფორიზმის თავისებური განელების ერთ-ერთი მიზეზი. ეს ეხება პროზასაც და პოეზიასაც. დრამასაც და კინოსაც, მხატვრობასაც და მუსიკასაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ცერტერანა და გრაფიკაში იქმნება აკადემიური სტილის გამოკვეთილი, ნათელი ხაზი, მუსიკაში --- მელოდია.

მაგრამ რის ხარჯზე ხდება

რადგიცული მეტაფორული სა-
ხეების ემოციურობის კომპენ-
სირება? ამ კითხვაზე თანამედრო-
ვე ხელოვნებათმოცდნეობას ერთ-
სულოვანი პასუხი აქვს. ეს არის
ცხოვრებისეული დეტალისა და
(სულ ერთია, იქნება ეს ფსიქოლო-
გიური თუ საგნობრივი) საერთოდ
მოვლენის არსისმიერი წვლომის
ზრდა.

შ. ნიშნიანიდეს აქვს ასეთი
ლექსი:

ତଥା ପ୍ରେସ୍‌ରୂପକିଳାଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରରେ ସମ୍ପଦାନ୍ତରିକ୍ଷଣ
ଶାଖାବିଜ୍ଞାନରେ ବାର୍ତ୍ତାବିଧି ଉଚ୍ଚତରେ ଉଚ୍ଚତରେ
ଅଛି ଯାହାରେ ଏକାକିଳୀଙ୍କ
ପ୍ରେସ୍ ଅମନ୍ତରକିଳାଙ୍କ

ଶିକ୍ଷଣାଲୀ-ଶିକ୍ଷଣପଦ୍ଧତିର ଫଳମୁଲାସାଙ୍ଗତ ।

შედევა სკეპტისი ისეთი ძეტა-
ფორმისადმი, რომელსაც საფუძ-
ველი ლიტერატურულ სინამდვი-
ლეში უფრო ქვეს, ვიდრე ცხოვ-
რების სინამდვილეში.

კერძოლობისა და პოტური ანარ-
ქიზმის თანარსებობის ტენდენ-
ციებმა.

ვერლიბრის მომხრეთა მთავარი
არგუმენტი ისაა, რომ ვერლიბრ-
ში არყვალილია არა მხოლოდ ლექ-
სის სახეობა (მსგავსად სონეტისა
ან ტრიოლეტისა), არამედ სამყა-
როს მხატვრული ხედვის სპეცი-
ფიკაცია; ვინც ებრძვის ვერლიბრს,
ებრძვის ხედვის სპეციფიკას.

ეს მომენტი იმითაა გამდევრებული, რომ საგრძნობლად დაიშტამპა კონვენციური ლექსი.

ძალიან ხშირად ლიტერატუ-
რული ასოციაციის შპამი წამლავს
ავტორის გულწრფელობაში და-
ჯერების სურვილს. ისე როგორც
არასოდეს, თანამედროვე ქართულ
პოეზიაში დგება. პერიოდი პოე-
ტიზმისა და რითობრივი მოსა-
ლოდნელობის განცდისა. მოსა-
ლოდნელობის გამართლება კი
პირველი სიმპტომია ყოველგვარი
სიახლისა და მოულოდნელობის
სიხარულს მოკლებული მხატ-
ვრული უმწეობისა.

როდესაც ვკითხულობთ ლექსს
და სტრიქონის ბოლოს სარითმო
სიტყვად ვხედავთ, ვთქვათ, „წე-
როებს“, უკვე წინასწარ ვიცო.
რომ მესამე სტრიქონს უკველად

შობყვება სიტყვა „ხის კენჭერო-
ებს“.

ასეთი ვითარება, ცხადია, დიდი
ხნის წინაც იყო შენიშნული. ყვე-
ლა ჩვენთაგანს ახსოვს პუშკინის:

И вот уже трещат морозы
И серебрятся средь полей...
(Читатель ждет уж рифмы розы,
На, вот возьми ее скорей!)

იმ დროს, როდესაც რითმობრი-
ვი მოსალოდნელობის განცდა წე-
სით სწორედ მოულოდნელობის
გზით უნდა წარიმართოს, ქარ-
თულ პოეზიაში გაძარინებულია
მოსალოდნელობის ტრივიალობის
პრინციპი. რადგანაც არავითარი
საავტორო უფლება რითმაზე არ
არსებობს, ახალი რითმი იმთა-
ვითვე განწირულია. მას სწრაფი
გაცვეთა და გაბანალურება ელის.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის
გარჩევა უკვე ძნელია ზოგიერთი
პოეტის სტრიქონებისაგან. ტრა-
დიცია შევიდა განვითარების ისეთ
სტადიაზი, როდესაც შემოქმედე-
ბა შეცვალა სტილიზაციის ხე-
ლოვნებამ. ლირიკაში დომინირე-
ბულ მდგომარეობას იყავებს სტი-
ლიზაციის მომენტი. სტილიზაცია
კი ეკლექტიზმს ეყრდნობა. იგი
ეყრდნობა შეგნებას, რომ სი-
ტყვასთან დამოკიდებულების
პრობლემა სამუდამოდ გადაწყვე-
ტილია.

ეს პროცესი ინსტინქტურად,

მექანიკურად ხორციელდება, მა-
შასადამე, მიმღინარეობს ქართუ-
ლი კონვენციური ლექსის
უკანასკნელ შესაძლებლობათა
ამოწურვა და ინფლაცია. დგება
ყოველ ენაში თვით სარითმო სიტ-
ყვის მარაგისა და მისი ვარირების
საჟითხი.

ცხადია, მარაგის პრობლემა გან-
ვითარებისა და ახალ მოვლენებზე
ელასტიურად მარეაგირებელი
ქვეყნის ენას არ ემუქრება. მაგრამ
ახლის დამკვიდრებისა და ძველი
პოეტიზმების ინერციულად არ-
სებობის შუალედში ეს კრიზისი
აშკარად საგრძნობია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს
პროცესი არ არის მხოლოდ ქარ-
თული ლექსის წინაშე მღვარი
ამოცანა.

ყოველივე ეს იწვევს კონვენცი-
ური ლექსის ფარგლებში თა-
ნამედროვე განწყობილების, ახა-
ლი აზრის, სულისკვეთების მხატ-
ვრული ეფექტით გადმოცემის
შეზღუდულობას.

როგორც გამოიჩვა, ერთ-
ერთი დამხმარე საშუალება (და
არა ერთადერთი), რომელსაც თა-
ნამედროვე შსოფლიო პოეზიაშ
ამ ჩინიდან გამოსასვლელად მი-
მართა, ვერლიბრია.

რატომ მაინცდამანიც თავისუ-
ფალი ლექსი? თავისუფალი ლექ-
სი იმიტომ, რომ თანამედროვე

ცავილიზაციის თავბრუდამხვევ ტემპს ყოვლილი აღამიანი ათას-გვარი ინფორმაციის ალყაში იმ-ყოფება. გაიზარდა ჩვენი წარ-მოლგენები და ინფორმაცია ბუნე-ბისა და სამყაროს შესახებ. ნაცი-ონალურ ენობრივ ქსოვილში ნია-ლვარივით შემოიჭრა ახალი ცნე-ბები და ტერმინოლოგია. გაფარ-თოვდა მოვლენათა ხედვის არეა-ლი. ლექსში შემოიჭრა პროზა, გა-იზარდა საგნისა და მოვლენის ფაქტობრივი მნიშვნელობის ხვე-დრითი წონა.

ეს მომენტი ბუნებრივად იწ-ვევს ტრადიციული „პოეტიზმე-ბის“ რღვევას, ზრდის კარგად და-ნახული დეტალის მნიშვნელობას, მხატვრული ხედვის გამკვეთრე-ბის ხარისხს.

ტარიელ ჭანტურიას ქვეს ერთი ამ თვალსაზრისით საგულისხმო ლექსი „ივერია“ რესტორანი. კა-ფე“ (სურათი). ამ ლექსში ხედვის ოპტიკური კუთხის ამაღლება, თა-ნამედროვეობიდან აღძრული ემოციები გადაჯაჭვულია წარსუ-ლისა და ტრადიციისაღმი ეთიკუ-რი ერთგულების გრძნობასთან.

კლასიკური ლექსის სილუეტზ-ზი და საგნობრივი „დემატერია-ლიზაცია“, მისი დაშლა ავტორს რდნავადაც არ აფერხებს გენეტი-კური კავშირები გააცნობიეროს ტრადიციებთან.

კაზის რიტმი, „ტვისტი“ და „პალიგალი“ ამ ლექსში ქმნიან მუსიკალურ ფონს, ხმებს, ჩაწ-ნულს თანამედროვე ქართველი კაცის სმენაშიც. მაგრამ ეს არ არის წამლევი და ყოვლის წარ-მხოცი ხმა, მოვლენილი საყდრი-სებურ მყუდროებასა და კულ-ტურულ სიცარიელეში. ამ ხმებს არ ხვდება მოუმზაღებელი ყურ-თასმენა.

თანამედროვე ცავილიზაციის მატერიალური და სულიერი კულტურის მრწამსი ამ ლექსში ცოცხლობს ეროვნული გამოცდი-ლებისა და ინტონაციის ატმოს-ფეროში. რიტმსა და მოდერნიზ-მში აქ მოულოდნელი მოდულა-ცია შემოაქვს „მტკვარზე—ტივი-სა“, „ოუ ნანა! შოუ-ნანას“ და „შოთას შეილიშვილობის“ მო-ტივს... „მღვრიე ტალღა“, რომე-ლიც „ხითხითებს“, ლექსში წარ-მოადგენს ღროის წარმხოცი ასო-ციაციის განცდას, მაგრამ რწმენა ზურგს უკან რუსთაველის, რო-გორც ტრადიციის. მფარველი აჩრდილის არსებობისა, ქმნის ღროისა და ცავილიზაციის ყო-ველგვარ ტენდენციებთან შუბლ-გახსნილად და მარად სწორუფლე-ბიანად დგომის შეგნებას.

სხვათა შორის, ცავილიზაციის

„მატერიალური სამოსელისა“ და თანამედროვე ინტონაციების ეროვნულ წილაგზე მიღება-გა-დამუშავების „ალქიმია“ ამ ლექსში უშუალოდ ეხმიანება და ევრძელებს გ. ტაბიძის ასეთ სტრიქონებს:

ყოველდღე მოდის ახალი ტალღა მყვირალა, სუსტი, და დღევანდელი, და დროშასავით მე მიმაქვს მალა სანთელი... შენი სული, სანთელი.

„შეთმულებისა,“ ზამი პარნასზე

„ლექსების შესახებ წერა ახლა ისევე ძნელია, როგორც თავად ლექსების წერა. ლექსების წერა კი ისევე ძნელი შეიქნა, როგორც მათი წაკითხვა. ლექსები კლებულობენ და კლებულობენ და არსებითად ჩვენს წინაშე ახლა წარმოჩნდებიან არა ლექსები, არამედ პოეტები“, — წერდა ი. ტინიანოვი.

დროდადრო დგება ხოლმე პერიოდები, როდესაც გარკვეული სტილის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავენ პოეტები: პოეზიით უკმაყოფილებს გამოხატავენ მკითხველები. ასეთ ვითარებებში მზადდება „შეთქმულება“ პარნასზე. ლიტერატურულ სტილთა და პირისპირება ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობის პრიციპს გაუჩინდებს; იწყება ბრძოლა

და რევოლუცია ჰეგემონიისათვის. ასეთი ატმოსფერო მთლად უცხო არ არის არც ქართული პარნასისათვის. ასეთი ბრძოლასა და რევოლუციების დიდი პრაქტიკა ქვეს მას წარსულში.

დღევანდელი ლიტერატურული პროცესი აშეარა ახალი გამოცდის წინაშე იყენებს ქართულ ლექსს. იგი გადახალისებისა და ფერისცვალების სტადიაში შევიდა. ახალი სინამდვილის მოვლენებთან ქათველი კაცის შესატყვის პოეტურ საშუალებათა ძიება და დადგენა ძველი პოეტური არსენალის განახლების გზით ხორციელდება. ჩნდება რაღაც ახალი, — იყარება რაღაც ძველი.

მოულოდნელი იყო და დროის ფანტასტიკური ალლიანსის დემონსტრაციას წარმადგენდა ის ნახტომი, რაც თანამედროვე ქართული პოეზიის ახალი პორაზონტებისაკენ გზების გავ-ვალვაში გალაკტიონ ტაბიძემ შეასრულა. მხედველობაში გვაქვს გალაკტიონის შემოქმედების ბოლო პერიოდი. პოეზიის მოყვარული ქართველი საზოგადოებისათვის ერთგვარად ძნელი და მოულოდნელი იყო შეგუებოდა, იმ „უცნაურობებს“, რომლებმაც გალაკტიონის ბოლო ლექსებში იჩინება თავი.

გ. ტაბიძის ადრეული ლექსების

ტრადიციებზე აღზრდილი და შენაშეჩვეული ქართველი საზოგადოებრიობა ერთხანს სკეპსისით შეხვდა პოეტური ლექსივისა და მხატვრული ინვენტარის საოცარი გამიწიერების, გამარტივებისა და სიცხადისაკენ იმ მიზრეკილებას, რომლითაც პოეტის ბოლო ლექსები ხასიათდება. გალაკტიონის გამჭვირვალე ლექსში ახალი ძალით იფეოქტა რედუცირებულმა სიცილმა. ნეკლასიცისტური ოდისა და ყოვლისმომცველი, ცხოვრების ყოველგვარ წინა-ოღმდეგობებთან ზედაპირული დამოკიდებულების პათეტიკაზ თავისი აქციები დაყარგა.

ამ მომენტის გრძნობამ ანა კალანდაძე აიძულა საერთოდ აეღო ხელი სიტყვიერი ქსოვილის გაცვეთილ ინვენტარზე და ორიენტაცია აეღო მის ისტორიულ და სულის გაიღუმალებულ აქცენტებზე.

საგნებისა და მოვლენების ხედვაში სწორხაზოვნებისა და ერთგანხომილებიანობის დრო წავიდა. ქართველი მკითხველის სმენასაც ეროვნული ცნობიერებისა და შეგნების უღრმესი შრეებიდან ამოზიდულ უმარტივეს ფორმულებად მოესმა გალაკტიონის სიტყვები:

უველაფერი შეიძლება მოხდეს,
მთა მთას შეხვდეს,
მზე მთის იქით მოხდეს,


ვარდი დაჭინეს,
რომ ბულბული მოსხლტეს —
უველაფერი
შეიძლება მოხდეს.

გ. ტაბიძემ მკვეთრად შეაბრუნა თავისი ლექსის ტონალობა სასაუბრო მეტყველების ინტონაციებისაკენ.

სამწუხაროდ, ჩვენი კრიტიკოსები ნაკლებ უურადღებას უთმობენ ირონიის, როგორც ესთეტიკური კატეგორიისა და უფრო მეტად, როგორც მსოფლგანცდის ტიპის მნიშვნელობას ახალი მხატვრული თვალსაზრისის შემუშავებაში. ეს მომენტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ახალი სტილის დამკვიდრების პროცესში. სასიმოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა ამ მხრივ ი. კენჭოშვილის წერილი: ირონიულ-პოეტური ვარიაციები („ცისკარი“, № 10, 1971).

მარქსი შენიშნავდა, რომ ირონია გვევლინება «в качестве диалектической ловушки, при посредстве которой здравый смысл оказывается вынужденным выйти из всяческого своего окостенения и дойти — не до самостоятельного всезнайства, а до имманентной ему самому истины» (К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений, стр. 148).

ირონიული დამოკიდებულების ობიექტია „ყოვლისმცოდნეობის



თვითქმაყოფილება“ ასე ემართება ნებისმიერი მხატვრული სტილის შეზღუდული შესაძლებლობების აბსოლუტიზაციისაკენ სწრაფავასაც. ისტორიის ირონია მათ უღმობლად ხსნის „ყოვლის-მცოდნეობის თვითქმაყოფილებაზე“ მეტყველ ნიღაბს.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველი საგანი, მოვლენა, ისევე როგორც ისტორიული ყოფიერება, განვითარებისა და ცვალებადობის კანონს ემორჩილება. მაგრამ იქითკენაც მივისწრაფით, რომ ამ ცვალებადობის ორმტრიალში რაღაც მყარი და აბსოლუტური მნიშვნელობის ღირებულებანი დავამკვიდროთ. ღროდადრო გვექნება ამ ღირებულებათა საბოლოო გამარჯვების მოჩვენებითი ილუზიაც. მაგრამ გვავიშულდება, რომ რეალურად აბსოლუტური არის მხოლოდ ცვალებადობისა და განვითარების უღმობელი კანონი. დგება მომენტები, როდესაც ერთდროს აბსოლუტურობის ნიშნით წარმოდგენილი საგანი, მოვლენა და ცნება თვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგო შესატყვევისობით წარმოგვიდგებიან. ამაშია ცნებათა დიალექტიკის ირონიული ქვეტექსტი.

შესაძლებელია, ბევრმა არც იცის, რომ თვით ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებაც“ კი თვითი

დიალექტიკის უღმობელ ღრმული კაში ჭარბად შეიცავს „რედუცირებული სიცილის“ კონცეფციურ საფუძველს.

ისტორიის განვითარების ტეპები თავგბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება. ამდენად, კონსერვატიზმი სწრაფად კარგას მოპოვებულ მდგომარეობას, როგორც აზროვნებაში, ისე ცხოვრებაშიც. ეს ეხება კულტურის ისტორიის პროცესსაც. მასზე საგანგებოდ მოქმედებს ისტორიული ირონიის გავეთილები.

ასეთი ხედრითაა აღმცენდილი ნებისმიერი, ცხოვრების რეალურ შინაარსს მოწყვეტილი მხატვრული სტილი. ასეთი ატმოსფერო ამზადებს ნიადაგს „შეთქმულებისათვის“ პოეზიის პარნასზე. „შეთქმულების“ სათავეში დგას ისევ გალაკტიონი. ამ პროცესის უტყუარი სიმბოლიმა ახალი მოდუსის ძეგის სურათი თანამედროვე ქართული პოეზიის ფონზე.

ტ. ჭანტურიას პოეზიის პარლიული, ირონიული, გროტესკული პლანი მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლს ასრულებს ამ პროცესში.

ამ თვალსაზრებით საგანგებო ყურადღებას იქცავს მისი პოემა „ღიმილ-ბერიკა“ რომელიც სრულიად გაუგებარჩ მიზეზებით არა შეტანილი მის ახალ კრებულში.

ეს პოემა თავისუბუჩად ამთავრებს იმ შტრიხებს, რომლებიც მის „აუწყობელ გიტარებში“, „ახალ მთვარეში“, „ირონიულ პარალელებსა“ და „დაწყვეტილ სერპანტინებში“ არის გამოკვეთილი.

ქვევა აღსანიშნავი ერთი საგულისხმო მომენტიც. პოეზიისა და პროზის ამოცანები, განსხვავებულ ტექნიკურ არსენალზე ორიენტაციის მიუხედავად, საგულისხმო ერთიანობის სურათსაც გვიჩვენებენ. მხატვრული ამოცანების ერთიანობაში მათი ღუბლირების პრინციპს რომ გავყით, ტ. ჭანტურიას გვერდით ქართული პაროდიული პროზის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დგება, როგორიცაა ჩ. ჭეიშვილი.

ირონია, მიღრეკილება პაროდიისა და გროტესკისკენ მათი ლიტერატურული ინტერესების გადამკვეთი ზონაა. ჩ. ჭეშვილის მოთხოვნის ერთი გმირი, აღამიანის სიღიადის შესახებ ცნობილი საქრესტომათიო ღებულების საზეიმო ტონის ნაცვლად უცბად გვთავაზობს: „გურამ ბუკიას ისე უყვარდა ადამიანები, როგორც მოხარშული ჭყინტი სიმინდი და მწიფე ატმები“. ბეჭნიერი სტრიქონის

გოლოდინში

პოეტისა და მკითხველის ურ-

თიერთმიმართებაში ტ. ჭანტურია იღებს პროფესიონალი ღუელიანტის პოზიციას. მან ცის, რომ რაც უფრო ცხარე და მოულოდნელია მხატვრული სახის დინამიკა, მით უფრო გაახარებს მკითხველს... ამაშია პოეტის გამარჯვების პარადოქსი. მოსალოდნელობის განცდა ღუპავს მოულოდნელობის სიხარულს. ტ. ჭანტურია ცლილობს დაამკვიდროს მოულოდნელობის მუდმივი მოქმედების პოეტიკა. ეს არის ოპზიციური პრინციპი. იგი წინამორბედი პოეტური შტამპის, ინტონაციის ან „ვოკალურ მიმიკაზე“ მინიშნების გზით ხორციელდება, როგორც მისი ანტიპოდი, ანტითეზისი.

არსებობს ყოფითი ფრაზა: — „ადამიანი იღუპება სისხლის ჩაქცევით“. ეს ფრაზა მეორდება სამედიცინო ექსპერტიზისაგან დამოწმებული ფაქტის ბუნებრიობით. ამ ბუნებრიობაში ფაქტის კონსტატაციაა, მაგრამ არ არის მისი ქვეტექსტებისა და ემოციურ ცხოვრებაზე მიმანიშნებელი მომენტები. ტ. ჭანტურია გვეუბნება, რომ ადამიანი — „იღუპება... ცრემლის ჩაქცევით“.

ტ. ჭანტურია თანმიმდევრულ მისიწრაფვის ტრადიციულ

აღნიშვნებში შეპარული სიცა-
 რიელეები პათეტიკის გამძაფრე-
 ბით კი არ ამოაცხოს, როგორც
 ამას ჩვეულებრივ ცდილობენ,
 არამედ დამკვიდროს ამ აღნიშ-
 ვნათა საპირისპირო სემანტიკური
 ერთეულები. ამ მოვლენას პოეტი-
 კაში გადატემევის, გადასახელების
 («перенименование») პრინციპი
 ეწოდება. ამ შემთხვევაში პოე-
 ტურ პათეტიკას ენაცვლება რეა-
 ლისტური ლოგიკა.

ეს ხერხი ყველაზე მასშტაბუ-
 რად პროზაში გლონდება. როდე-
 საც „ომსა და მშვიდობაში“ ტოლ-
 სტოი მარშლის კვერთხის ნაც-
 ვლად ხმარობს სიტყვას—„ჭო-
 ნი“, ან ალამის, დროშის ნაცვლად
 „ჭოხზე ჩამოყიდებულ ჭინჭს“—
 ამ აღნიშვნებში გამოკვეთილია
 ოპოზიციური დამოკიდებულება
 გარკვეულ სიტუაციებში ამ საგ-
 ნების გამომხატველი ცნებების
 გაუფასურებისადმი.

ვიოონის „მცირე ანდერძის“
 დ. წერენდიანისულ თარგმანში
 კვითოულობთ:

გელათის სახლიდან მიეცეთ ცენზი
 და კადევ ძველი და თავმომპალი,
 პაპის დროდან ნაგდები სხვენზე
 (მლეულმთავრის სკიპტრა) დიდი
 კომბალი.

ამ პრინციპის საგულისხმო რე-
 ალიზებაა ტ. ჭანტურიას ლექსი
 „ბავშვები ტაძარში“.

ასეთი ძიებების გზა საკმაოდ

სახიფათოა იმ შემთხვევებში, თუ
 ის თავად იქცევა ღოგმატურ
 პრინციპად და მიიღებს ინერცი-
 ულ სახეს. ასეთ საშიშროებაზე
 პოეტი უნდა ფიქრობდეს. მარ-
 თალია, ჯერჯერობით ჩვენი შე-
 ნიშვნა ნააღრევია, მაგრამ მოსა-
 ლოდნელი დაშტამპვის საფრთხეს
 ტ. ჭანტურია აქელანვე უნდა
 ერიღოს.

ეს მომენტი განსაკუთრებით
 საგულისხმოა იმის გამო, რომ
 ტ. ჭანტურია ზოგჯერ მარცხდება
 სათქმელის ე. წ. ბოლომდე მიყ-
 ვანის სურვილში. სათქმელის ბო-
 ლომდე მიყვანა შემოქმედებით
 ფსიქოლოგიაში „გაი, თუ ვერ
 ვთქვის“ განცდითა გამოწვეული
 და უკავშირდება ზომიერების
 გრძნობის ღაყარგვას. ასეთია ტ.
 ჭანტურიას ლექსი „გიყვარდა?“

- გიყვარდა?
- მეულდა!
- უყვარდა?
- ვძულდა!
- უბრალოდ — მსურდა!
- უბრალოდ — ვსურდი!
- ეს როგორ! — ექულდა!
- ეს როგორ! — ძულდი!
- რა მექნა!
- მსურდა!
- რა ექნა!
- ვსურდი!
- ... — მეც... მსურდა მხოლოდ!

აქ მთავრდება ლექსი და აქ
 მთავრდება ამ ლექსის პოეზიაც.

మిసి తేమా అన్గారిశ్మియుప్రెమల్లాడ చ్యాబిస్ ట్రాల్లాథ్ అటివ్ ట్రివ్వేబిస్ ఫ్రోమా. మాగ్రామ బ్రోత్రి తిక్కులు శ్రేష్ఠిందా, అన్ డాయమాయంత్రింద్లా డాంశార్ట్రుల్లి స్ట్రాంతిం డా మిసిశ్రువ్సా మిసి గామింద్రోబా స్ట్రో నెంత్రిందా-ప్రింతా డా శ్రీంబ్రోబిం. ల్యేజ్స్ ఎంగ్-తి డానామాట్రి స్ట్రాంత్రి గామ్హిందా.

ఏ వ్ర్యేజ్, ఇప్పిత,
ఇ గ్రేశ్ స్ట్రోగ్ల్స్? —
బోర్గ్ డా... బోర్గ్...
డా ఏం స్ట్రో...

అ స్ట్రాంత్రి అప్పించి చ్చారమం-గ్వోల్గా డిల్చింత్రిక్స్-మింరాల్సిస్-ట్రోస్ కొంతాశ్మి. ఇస్ కి టి. క్రాన్ట్రు-హిస్ అమెల్స్ అన్ ఏరిస్. స్ట్రోం-థ్యుల్లి మింరాల్సిస్-ట్రోస్ క్ర్యేస్-ట్రో ల్యేజ్స్ ద్వాగ్వార్గా క్రోత్రుల్లి స్ట్రోం-థ్యుల్లిస్ ఏగ్రో.

ఇస్ గార్మోబా మిం జ్యాట్రిం డాసా-నానొ టి. క్రాన్ట్రుహిస్ మింరిం, రిం-మేల్సాప్ ఎంజ్స్ ఐమ్మరిస్ డా నీరి-నీస్ క్రమెన్స్ సింత్ర్యుస్ మింమార్త. ఇస్ ఏరిస్ గ్రమెన్స్ అన్ మింరిస్ క్ర్యుల్లా-సాప్ సావాల్ఫ్రెండ్స్ ల్యుల్లండ్ మింహీగ్రెండ్ ఫ్రోల్ఫ్రెంగ్రో. „మొమ్మొబా డా మిం-స్టోన్‌బిస్“ కెల్లాశాన్ గామ్మింప్రోబ్స్ ల్యుల్ల చ్చినాసింత్ర్యుగాంబాశ్మి. స్టోవాం శింరిస్, ఏగో చ్చేర్స్: ..మే విస్టావ్లే జ్ఞాస్తాన్, సింత్ర్యువ్వేబాన్ డామ్మొక్కింఫ్రెండ్ల్యుబా. ఇస్ బ్రోబా, ఏం ఇమ్ స్టోవాంథ్యుల్లి-బిం, రింగోర్చ అమిస్ సిందిస్ ఏస్-ఎస్-ట్రో, ఏరామ్భ్ర ల్యునొమింతాన్ మింబ్-ల్లంబ్స్ క్ర్యుల్లా సింఫ్రి-

సిల్లిం — త్య గ్రేబాగ్వ సింబార్జ్-ల్లితాప్, ఇమ్ గ్రమెన్స్ బిం, రింగోర్చి-తాప్ క్యాల్స్ మొబ్బ్ల్యుబి, త్యుండాప్ గ్వుల్లి ల్యుమిబ్ల్యుబి ఉప్పింబ్బ్లుర్చి గా-న్చెరాబోస్“.

ఇస్ ఏరిస్ ప్రోవ్వెల్గ్వార్చి ప్రాల్మించ్రి-గ్వి స్టోవింశ్యుల్లిస్ అంస్ముల్చ్రీ-చ్చింతిసాగాన్ సింత్ర్యుస్ గాన్త్రువిర్త-గ్విస్ క్షీం. సింత్ర్యుస్ ఎచ్ తావింప్పెబ్బ్లుర్చి-బాథ్ ట్రోఫిస్ క్రోత్రి జ్యుండా గాతా-వ్విస్సుఫ్లుల్లి ప్రాల్క్యెష్యుల్లి క్రేంబ్రోబి-సా డా మొబ్బ్లుల్లి తాస్యుబిస్ అ-ప్ర్రోమార్చింబింబిసాగాన్. ఎమిస్ సాఫ్రో-ట్యే కి టి. క్రాన్ట్రుహిస్ ల్యేజ్స్ బ్షి కింబిస్ ఇస్ మింమెన్ట్రి గాన్సాజ్యుత్రుబిం సాఫ్రోబ్బిం, రింగ్ మిస్ ల్యేజ్స్ బ్షి క్షింద్రోబి తావిస్సెబ్బ్లుర్చి వ్యాజ్యుశ్మి అన్ రింమ్ముల్లి ఏన్చెర్లుం. రింగ్ క్రోత్రి క్రేంబ్రోబి మింరాంతావ్ స్టోవాంస్క్వో ల్యేజ్సెబ్బ్షి మింబ్రోబ్బ్లుర్చి గాన్మె-ంబ్బ్లుల్లి ఎస్యెత వారించ్యిస్:

క్షీం డా సాంల్సి,
సాంల్సి డా స్క్వెర్ని.
గ్రాంతి డా నీరి.
నీరి డా సామి.
ఎంతా డా ఎంతా.
సామి త్య నీతి.
నీతి త్య బ్రో.

ఎస్యెతి ట్రేజ్మెన్చురి క్షార్వెంచ్చెబి గాన్సాజ్యుత్రుబిం న్యాల్సి సాఫ్రెమిస్ డా చ్చినాఅమ్మెగ్గమ్మరిం, రిండ్రెస్సాప్ క్రోత్రిస్ మింత్రువ్వెల్తాన్ డామ్మొక్కిం-బ్బ్లుల్లిస్ క్యేస్తి ఏగ్గెబ్బ్లుల్లి డ్యూ-

ლიანტის, ობოზიციონერის, მოსა-
 ლოდნელობის მოულოდნელო-
 ბით შეცვლის პრინციპით.

ეს შენიშვნები არ ანელებს
 ჩვენი ლიტერატურული პროცე-
 სის ფონზე ტარიელ ჭანტურიას
 ძიებებს და ლტოლვას იაროს
 მდინარების საპირისპიროდ. ეს
 ძიებები აღვილი არ არის, მაგრამ
 აღმოქმედია აშკარად პიშვნე-
 ლოვანი შემოქმედებითი წარმა-
 ტებებისა.

ისტორიული მთხსიერების შესახებ

ის, რაც აქამდე ტ. ჭანტურიას
 ლექსის თავისებურებათა შესახებ
 ითქვა, მეტწილად მაინც ლექსის
 ტექნიკური სრულყოფისა და ნო-
 ვაციის საკითხებს შეეხებოდა.
 ასეთი ჯიუტი და თანმიმდევრული
 ძიების უინი აშკარად ტალანტის
 თავისებური სპეციფიკა. უნდა
 გვახსოვდეს, რომ ტალანტის
 სრულყოფა ზნეობრივი სრულ-
 ყოფის ნიშანია. მასში შემოქმე-
 დის ეთიკური ასპექტია რეალიზე-
 ბული.

ტ. ჭანტურიას ლექსების ეს პა-
 თოსი ერთი მაორგანიზებელი
 პრინციპის ნიადაგზეა ამოზრდი-
 ლი. ეს არის მისი ეროვნული თვი-
 სებებისა და თვითანალიზის შერ-
 წყმა ისტორიული გამოცდილების
 რეალიებთან. ამ მხრივ ტარიელ

ჭანტურია საგულისხმო ისტორი-
 ული მეცნიერების პოეტია.

ჭოისი ამბობდა: „ყოველი ადა-
 მიანი მსგავსია ქალაქ რომისა,
 რომელშიც წარსული სუკუნე-
 ების ნაშთებად დარჩენილა“. ტ.
 ჭანტურია ამ ნაშთების თანა-
 მედროვეობის დონეზე ექსცესე-
 ბად ამოტივტივების დრამას გა-
 ნიცლის და იგი მათი მოქმედების
 უწყვეტ ხასიათს გვიჩვენებს. ამი-
 ტომაა, რომ წარსული მისთვის
 არ არის დროის უფსექტულში ჩა-
 კარგული საარქივო მასალა. წარ-
 სულის ძირითადი მოქმედები
 მრავალგვარი ვარიაციის მოდე-
 ლებად გვევლინებიან.

მეც,
 ზურაბიყიო,
 ქართლის კადალში
 ჩაშენებული გაუერ
 შუამდე...
 ნახევრად მაინც რახან გადავრჩი —
 ნახევრად მაინც ვიგრძნობ
 ჟრუანტელს.
 გაიშრალა მომავლის კარბა,
 ჩაესო უჩჩეულს ხმალი გადამდე,
 და ვეკითხები ნაომარ არმაზს:
 ჩემო ძვირფასო მთებო, სადამდე!..

მკითხველი ადვილად შეამჩნევ-
 და, რომ ტ. ჭანტურია ცდილობს
 მოხსნას დროითი ინტერვალის
 განცდა საკუთარ ემოციასა და
 წარსულს შორის. წარსულის ისე-
 თი მომენტი, რომელიც შემდგომი
 ეროვნული ცნობიერების თავისე-

ბური მოდელის ხარისხში განიცდება, უკვე სულიერი ცხოვრების ზედროული აქტია. ასეთი წარსული გვევლინება არა მხოლოდ წარსულად, არამედ უწყვეტი მოქმედების ფენომენად. მის დრამაში მონაწილეობის მისაღებად არ არის სავალდებულო მაინცამანც იმ დროში ცხოვრება. სავალდებულოა მის სულიერ ატმოსფეროში არსებობა.

ტ. ჭანტურიასათვის ისტორიული დრამა, ისევე როგორც მარალიული სულიერი ცხოვრების მისტერია, მუდმივი დუბლირების ქვეტექსტითა გადატვირთული. მა ქვეტექსტში ყველაზე საგულისხმო წარსულისა და თანაშედროვების შემცველი ზონის გადატანა გარკვეულ დროით აბსტრაქციაში ანუ მათი თვისებრივი ერთდროულობა. ჯოისის „ულისესთან“ დაკავშირებით ელიოტი შენიშვნავდა, რომ ეს არის „ერთდროულობა იმისა, რაც მოხდა და იმისა, რაც ხდება“. ეს პათოსი ნათლადაა გამოკვეთილი დიდებულ ლექსში — „აგვისტო, სიცხე. ფიქრი“.

ეს არის მასალის კონტრასტულ მოდულაციებზე აგებული ლექსი. „პოეტიზმი“ — ტრადიციული ლიტერატურული ასოციაციების ალმძვრებლი მასალა, ინტონაცია, 6. „კრიტიკა“ № 6.

მხატვრული სახეები, ისტორია — აქ „შეპირისპირებულია ამ „პოეტიზმის“ დამშლელი ეპოქის ატ-მოსფეროსთან.

თავის ქვეყანას ტ. ჭანტურია არ ხატავს რომანტიკულად იდეა-ლიზებულ ან ოდის კლასიცისტურად წარმოდგენილ ფერებში. ასეთი უტოპია მისთვის უცხოა. მისი ქვეყნის ისტორიული ლანდ-შაფტი დრამატულია, სალებავები — მკვეთრი და ვამჟერვალე.

როგორც ითქვა, საკუთარი ქვეყნის ხვედრი და ისტორია ტ. ჭანტურიას ლექსების განსაკუთრებულ ზენობრივ ატმოსფეროს ქმნიან. ეს არის მისი თვითანალიზის, თვითშემეცნების და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შემოქმედებითი იმპულსების პირობაც. *

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხელე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
— საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!..

ასეთია „ოპტიმალური ვარიანტი ჩემი ცხოვრების“, — გვეუბნება ტ. ჭანტურია.

ყოველი ღროვის პოეზია თავისი

შესაძლებლობების ოპტიმალური განხორციელებისაკენ მიისწრავ ფფის. ეს ამოცანა ახალ პრობლემებს სახავს თანამედროვე ქართული ლექსის წინაშეც.

რედაქციისაგან:

თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში ამ ბოლო ხანს ბევრმა საგულისხმო ტენდენციამ იჩინა თავი. ჩვენს პოეზიაში დღეს მიმდინარე როცულ პროცესებს გაანალიზება და განზოგადოება სკირდება.

ალმანახ „კრიტიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა თანამედროვე ქართული პოეზიისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილი (ჭ. ლვინგილიას, ს. სიგუას. გ. პეტრიაშვილის და სხვათა სტატიები).

ამ ნომერში იბეჭდება გიორგი გარებაშვილის წერილი, რომელშიც ასევე დასმულია თანამედროვე ქართული პოეზიის აქტუალური პრობლემები. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები და მკითხველები გაგვიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს ზემოთდასახელებულ სტატიებში აღძრულ საინტერესო სკირდებზე.



მ უ რ ა ლ ი

დ ა

ი ს ტ რ ი ა

საქართველოს ისტორიის ცაკითხავი ჭიბული

△ △

რევაზ ჯაფარიძე

▽ ▽

საბავშვო და ახალგაზრდობის
ლიტერატურის სახელმწიფო გა-
მომცემლობა „ნაკადულმა“ მკით-
ხველი კიდევ ერთი საინტერესო
წიგნით გაახარა. ეს გახლავთ „ქა-
რთლის ცხოვრების ქრონიკები“,

მოთხრობილი ვახტანგ ჭელიძის
მიერ.

ასეთი წიგნის შექმნის საჭირო-
ება ჩვენში დიდი ხანია წარმოიშ-
ვა. ძნელად თუ მოიძებნება ქვე-
ყანაზე კულტურული ერი, რომე-
ლსაც თავისი ისტორია „დასაბა-
მიდან დღემდე“ მოცულობით პა-
ტარა საკითხავ წიგნებში არ ჰქო-
ნდეს მოქცეული.

ვინც საბერძნეთის ან რომის ის-
ტორიას თავის ყმაწვილყაცობაში
ასეთი საკითხავი ქრესტომათიებით
გასცნობია, მას დღესაც ყრმობის
სიზმრებივით ახსოვს დროისა და
სივრცის თვალსაზრისით ჩვენგან
ეგზომ დაშორებული ამბები, პე-
ლოპონესის ომი იქნება ეს, თერ-
მოპილელთა თავდადება ქსერქსეს
წინააღმდეგ გამართულ უთანას-
წორო ორთაბრძოლაში, პუნიკური
ომები თუ რომაელ სარდალ ან-
ტიონიასისა და ალექსანდრიის
დედოფალ კლეოპატრას ტრაგი-
კული სიყვარული.

ისტორიული ამბების ზედმიწე-
ვნით ცოდნა, ამბებისა, რომლებ-
საც თითქოს ჩვენც შევსწრები-
ვართ, დიდად გვიაღვილებს გავი-
გოთ ისტორიის ურთულესი მექა-
ნიზმი, უფრო ფართოდ და მიუდ-
გომლად შევაფასოთ მოვლენა, ვი-

დრე მას თანამედროვეენი აფასებდნენ, გამოვიმუშავოთ სწორი მეცნიერული თვალსაზრისი და დავღვეთ ნამდვილი ისტორიზმის პოზიციებზე.

ამგვარი წიგნის შექმნის გარდაუვალი საჭიროება ჩვენში უმთავრესად იმითაც მომწიფდა, რომ დღემდე ვერა და ვერ მოვახერხეთ ჯეროვან სიმაღლეზე დაგვეყნენ-ბინა საქართველოს ისტორიის სწავლება საშუალო სკოლაში. ეს თითქმის ერთნაირად ეხება რესპუბლიკის როგორც ქართულ, ისევე არაქართულ სკოლებს. ვერ შევქმნით მეთოდოლოგიურად სწორი, მოვლენათა არსის ამომწურავი და მკითხველისათვის, უწინარეს ყოვლისა, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საინტერესო სასკოლო სახელმძღვანელოები. იქნებ ეს გარემოებაც იყოს მიზეზი იმისა, რომ საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორიას ძალზე მცირე, თითქმის უმნიშვნელო დრო ეთმობა და ეს დროც ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის სქემატური მიმოხილვით იფარგლება. ბავშვი საშუალო სკოლას ისე ამთავრებს, რომ მას სკოლიდან არ მოჰყვება მიახლოებითი ცოდაც კი თავისი სამშობლოს, თავისი მშობელი ხალხის ისტორიისა, რომელმაც გმირული ბრძოლისა და

შრომის, კულტურული აღმავლობისა და ბნელეთის ძალებთან შერკინების რამდენიმე ათასწლეული მოიცვა.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამდენად საჭიროა ყოველივე ამის გაზრებული, ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნებული ცოდნა ყოველი განათლებული, თავისი ხალხის პატრიოტი და შეშმარიტი ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდილი აღამიანისათვის.

ხომ ცნობილია, რომ ყოველმა კულტურულმა ერმა იცის თავისი ისტორია, იცის ის ქართველმა ერმაც. ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ სავალალო ის გახლავთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ საქართველოს ისტორია სკოლაში სრულყოფილად შეგვეტანა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის იგი რიგინად გვესწავლებინა.

აქ, ვფიქრობ, ბრალი ისევ ჩვენს ისტორიკოსებს, ისტორიკოსთა მთელ არმიას მიუძღვის. სხვაგვარად, მაშ, როგორ აეხსნათ ის სამწუხარო ფაქტი, რომ ქართველ მოსწავლეს დღესდღეობით საქართველოს ისტორიის სრულყოფილი სახელმძღვანელო არა აქვს?

მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქ-



ცეო, დაველოდოთ იმ ბენზიერ
დღეს, როდესაც ასეთი სახელმძ-
ღვანელო გაჩნდება? დაველოდოთ
დროს, როდესაც განათლების ორ-
განოები ჯეროვან ყურადღებას
დაუთმობენ საქართველოს ისტო-
რიის სწავლებას საშუალო სკო-
ლაში?

ვერა, რასაკვირველია, ვერ და-
ულოდებით. ამ საქმის მოგვარე-
ბა, ჩვენი მუშაობის ტემპები რომ
ვიცი, კიდევ რამდენიმე წელიწადს
გასტანს და ამ დროის მანძილზე
სკოლას ათასობითა და ათი ათა-
სობით არასრულფასოვნად აღ-
ზრდილ-ჩამოყალიბებული ახალ-
გაზრდა დაამთავრება.

არასრულფასოვნად აღზრ-
დილ-განცითარებული-მეთქი, ამას
იმიტომ ვამბობ, რომ წარმოუდგე-
ნელია პარმონიული მოქალაქის.
ნამდვილად განათლებული და გა-
რემომცველ სამყაროში გარკვეუ-
ლი პიროვნების ჩამოყალიბება იმ
ხალხის ისტორიის ძირითავიანად
შესწავლის გარეშე, რომელ ხალ-
ხსაც ეს პიროვნება გენეტიკურად
და სულიერად ეკუთვნის.

საქართველოს ან ქართველი ერის ისტორიის სრულყოფილი სახელმძღვანელოს უქონლობით გამოწვეულ ხარვეზს მნიშვნელოვან-წილად ასევე გახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკა“

ბი“, რომელზედაც ქვემოთ გვიჩვით ნება ლაპარაკი.

„ქრონიკები“ საკითხები წიგნია. უკველი ახალგაზრდა მას დიდი სიამოვნებით წაიკითხავს ერთ ამ ღრმა დღეში და ღრმად შეიგრძნობს, ეს რა გმირული შემართების, შრომისმოყვარე, ალალმართალი და მოყვასის შემბრალე ხალხის შეილი ყოფილა. მას აუცილებლად დაებადება სურვილი, უფრო ღრმად, პირველწერაროებში და სპეციალურ ლიტერატურაში გაეცნოს მშობელი ხალხის ისტორიას, მის ცალკეულ მონაკვეთებს, თვალაც შეეცდება, ღირსეული შვილობა გასწიოს და არასოდეს უღალატოს დიდი წინაპრების მართალ საჭმეს.

3. ჭელიძე განათლებით ისტო-
რიკისი არ არის. განათლებით ის-
ფილოლოგია, ხოლო პროფესიით
— მწერალი, მაგრამ ვინ აკრძალა,
ისტორიის ესა თუ ის დარგი კაც-
მა ძირფესვიანად შეისწავლო, მი-
იღო ნამდვილი კვალიფიციური
ცოდნა ამ დარგისა და უანგარო
შრომით მას დიდი ან მცირე სარ-
გებლობა მოუტან! ეს მით უმე-
ტეს საჭიროა მაშინ, როდესაც აღ-
ნიშნული დარგის სპეციალისტები
— მეცნიერი ისტორიკოსები ახ-
ლის ძეგბით არიან გართული და

მათი მეცნიერული მონაპოვრების დღის სინათლეზე, ხალხის გასა-გები ენითა და ფორმით გამომ-ტანი არავინაა.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ გულდასმით წაკითხვა მკი-თხველს აჩვმუნებს, რომ ავტორს არა მარტო თვით ქართლის ცხოვ-რების ტექსტი და ქართული ზე-პირსიტყვიერების ნიმუშები შე-უსწავლია, რათა ერთიცა და მეო-რეც თავისი ნაშრომისათვის სა-ფუძვლად დაედო, იგი დაკვირვე-ბით გასცნობია ანტიკური ხანის უცხოელ ავტორებს, რომელთაც საქართველოში მოზაურობა მო-უხდათ, და მათი წიგნებიდან ბევრი რამ სასარგებლო, მრავალი ისტო-რიული ფაქტისათვის ნათელის მომფენი ცნობები გამოუყენებია. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო ყოველი ცალკეული მოვლენის მკვეთრი კონტურებით მოხაზვა და დამაჯერებელი რელიეფური სუ-რათის შექმნა. დიახ, სწორედ სუ-რათისა, რომელიც ასე აკლია და ყოველთვის აკლდა ჩვენს სასკო-ლო სახელმძღვანელოებს.

სურათი, კონკრეტული ისტო-რიული სახის გამოკვეთა, რომე-ლიც მარტო ერთი პიროვნების ან პიროვნებათა მთელი ჯგუფის ცხოვრებას როდი გულისხმობს. უაღრესად შთამბეჭდავი და მოს-

წავლე ახალგაზრდობისათვის ერ-თობ ადგილად შესათვისებელი რამ არის.

ამას აյ ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს ვინმე მთელი ისტორიის ბელეტრიზებას მოითხოვდეს, მე მხოლოდ იმის თქმა მწადია, რომ ისტორიის სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს მონუმენტურ სახეებს, რომლებიც მოკლებული არ იქნე-ბოდნენ კონკრეტულ ყოფით თვი-სებებსაც. ამით ისტორიის სასწა-ვლო სახელმძღვანელო მეტ წონა-საც შეიძენდა და უფრო მეტად დამაჯერებელიც იქნებოდა.

მაგალითების მოსაქებნად შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდაც ტარლეს „ნაპოლეონი“, ან აკადემიკოს ვ. ნეჩქინას წიგნე-ბი, ანდა აშ გარდაცვლილი ქარ-თველი მეცნიერის პროფესორ შოთა მესხიას უკანასკნელი შრო-მა „ძლევად საკვირველი“, რომ-ლებსაც მკითხველი უდიდესი ინ-ტერესით ეწაფება და წაკითხულს სამუდამოდ იმახსოვრებს.

„ქართლის ცხოვრების ქრონი-კები“ სწორედ ამ ყაიდის ნაწარ-მოებია, მხოლოდ მას პირველი აღმომჩენისა და პირველი მიმკვ-ლევის პრეტენზია არა აქვს. მაგ-რამ ეს მხოლოდ გარეგნულად. თუ მის რაფინირებულ სტილს, ავტო-რის ხან სევდაშებარულ სალალ-

ბო, მსუბუქ ირონიულ და ხანაც ზეაწეულ ჰეროიულ მანერას თუ ტონს ღრმად ჩავუკვირდებით, მის უკან მრავალ სადავო ისტორიულ პრობლემაზე გამოთქმულ კატეგორიულ მოსაზრებებს დავინახავთ. ამას ორცა ვწერ, ბევრ სხვა რამესთან ერთად მე ქართლოსიანთა ბიბლიორი წარმომავლობის ლეგენდარული ვერსიის ვახტანგ ჭელიძისეულ ახსნასაც ვგულისხმობ იქნებ ეს ახსნა ან ექსკურსი მეზობელი ერების ისტორიოგრაფიებში, მსგავსების ან დაპირისპირების დასადგენად, სპეციალისტებმა გულტბრყევილობადაც მიიჩნიონ, მაგრამ იმის უარყოფა კი უველას გაუჭირდება, რომ ავტორისეული ახსნა აქ თავის ადგილზე ზის და მსგავსი ხასიათის წიგნისათვის სწორედ ნამდვილი მიგნებაა.

როგორია ნაშრომის აღნავობა, რამდენი თავისაგან ან ნაწილისაგან შესდგება იგი?

ავტორს თავისი ნაშრომი სამ წიგნად განუზრახავს. დღეს ხელთა გვაქვს ნაშრომის მხოლოდ პირველი წიგნი. იგი ქართლის ცხოვრების ქრონიკებისა და უცხოურ წყაროთა მოშველიებით განიხილავს ქართველი ტომებისა და პირველი ქართული სახელმწიფოების ისტორიას უძველესი დროიდან ვიდრე არაბობის საბო-

ლოო დამკვიდრებამდე — მერვე- მეცნიერე საუკუნემდე ქრისტეს აქეთ.

ამ პირველი წიგნის პირველ თავში, თხრობის დასაწყისსა და თავისებურ შესავალში, რომელ- შიაც ვ. ჭელიძე მასალისადმი თავის დამოკიდებულებას გვიმხელს, მკითხველს ხიბლავს ავტორის და- ბაბასლური თავდაჭერა, მოქრძა- ლება, უშუალობა და, რაც ყველა- ზე უფრო მთავარია, თვალსაზრი- სის სისწორე. ის თითქოს თავის ღვიძლ შვილებს და მათ მეგობ- რებს მიმართავს და ყველას უკ- ლებლივ გულის სითბოს უნაში- ლებს.

ვ. ჭელიძე ჭეროვანს მიუზღავს თავისი მრავალტანჯული სამშობ- ლოს გმირულ წარსულს, მაგრამ იქვე პირუთვნელად და ტაქტით შენიშნავს, რომ საქართველო ერ- თადერთი გმირული წარსულის მქონე და მაღალი კულტურის მა- ტარებელი ქვეყანა როდია მსოფ- ლიოში. დედამიწაზე არიან ქვე- ყები და ერები, რომლებმაც ასე- ვე დიდ ხანძრებში გამოატარეს. თავიანთი ეროვნული სული და საკაცობრიო კულტურის საგან- ძურში თავიანთი წილიც მეტი შეი- ტანეს. ვ. ჭელიძე გონიერი მამუ- ლიშვილის თავდაჭერებითა და

სიბრძნით ებრძვის ცრუპატრიოტობის ყოველუბრალო გამოვლინებასაც კი და ამ საქმეში ის ასგზის მართალია. საქართველოს, ქართველი ერის განსაკუთრებულობას მხოლოდ უცოდინარი, გონებაშეზღუდული აღამიანები ქადაგებდნენ ხოლმე ჩვენში და, რა დასამალია, შიგაღაშიგ დღესაც ქადაგებენ. ცრუპატრიოტიზმი არც ერთ საღადმოაზროვნე ერს არ სჭირდება. მას სამოქმედო ძალების მოღუნებისა და მცონარა თვითკამაყოფილების მეტი არაფერი მოაქვს. არ გვპირდება ის არც ჩვენ, ქართველებს. ჩვენი დღევანდელი და მომავალი ახალგაზრდობა განათლებული საზაოგადოების შეგნებულ შვილებად უნდა გაიზარდოს, ვისთვისაც ყოვლად უცხო და მხოლოდ ცუდი ტონის მაჩვენებელი იქნება ბრჭყალა ზიზილპიპილებით გატაცება და უკუდო ამპარტაცნობა იმით, რაც ათი, ასი თუ ათასი წლის წინათ დამაშვრალ წინაპარს გაუკეთებია და არა თვით მას.

მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ სიამაყეზე უარი უნდა ვთქვაო? განა ეს იმას მოასწავებს, რომ თავი სადღაც ისტორიის მეორე ეშელონში დავივრულოთ და ერების დიდ მარულაში მონაწილეობაზე ხელი ავითლოთ?

არა, რასაკვირველია. სწორედ პირიქით! აბა, მოვუსმინოთ, რას ამბობს დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტიში ბატონიშვილი, როცა თვისტომთ, ქართველთ, ახასიათებს:

„ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი. შავათ ოვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, იშვით შავგვრემანნი და მოყვითან, იშვით ოვალ-ჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ... წერწეტინი, უმეტეს ქალნი; იშვით სქელნი, მხნენი, მუშავენი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერ, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახვანნი, საჭურველთ მოყვარენი; ამაყნი, ლალნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არ ჰრიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა; სტუმართა და უცხოთა მოყვარენი, მხიარულნი, უკეთუ ირნი ან სამნი არიან, არარა შეიძირხვიან. უხვნი; არცა თვისსა და არცა სხვისასა კრძალავენ; საუნჯეთა არამესველნი (ქონების მოხვეჭისადმი გულგრილნი. — რ. ჯ.). გონიერნი, მსწრაფლ მიმბდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი...“

ვახუშტი ბატონიშვილი მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის

მოღვაწეა და ქართველი ადამიანის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპიური სახეც მის დროს შეესაბამება. სწორედ ამაღლვებელი სურათია! რა ფსიქოლოგიური სიღრმით, რა მრავალწახნაგოვანი წედომით, რა კეთილსინდისიერად და ობიექტურად დაგვიხატა იგი დიდა მეცნიერმა. მშობელი ერის გამორჩეული სიყვარული ვახუშტის თვალებს კი არ უბამს და შავს თეთრად არ აჩვენებს. მას აზრადაც არ მოსდის, თვისტომს რაიმე ზებუნებრივი თვისება მიაწეროს, მაგრამ მეცნიერი არც ფაქტიურ სინამდგოლეს ღალატობს და ყოველგვარი ყალბი კეკლუცობის გარეშე აღიარებს იმასაც, რითაც ქართული ხასიათი ეგზომ თავისებური და მიმზიდველია ყველა მისი დადებითი და უარყოფითი ნიუანსით.

ვახუშტისეული დახასიათება, რომელიც მე ვ. ჭელიძის წიგნიდან ამოვწერ, მარტო დახასიათება როდი გახლავთ. ეს, ასე ვთქვათ, ზნეობრივი კოდექსია, იგი ყოველი ქართველი კაცის და მთელი საზოგადოების ცხოვრების განსაზღვრულ წესს აღნუსხავს და აკანონებს ისტორიულად ჩამოყალიბებული არსებითი ნიშნების მიხედვით და ჩვენს დროსაც ცხოვლად ეხმაურება. ეს რომ ასე არ იყოს,

ჩვენთვის მას დღეს არავითარი, ფასი აღარ ექნებოდა და „ქრონიკების“ ვეტორიც აღარ ჩათვლიდა. საჭიროდ ვახუშტის სახელის აქ გახსენებას.

წიგნის პირველი, შესავალი თვევი ვ. ჭელიძეს თითქოს იმისთვის სჭირდება, რომ ახალგაზრდა მკითხველთან ერთად თანამედროვე საქართველოს მაღალ გადასახედზე ავიდეს, გარდასულ საუკუნეთა მოვლენები აქედან, ჩვენი დროის ყველაზე მაღალი მწვერვალიდან დაინახოს და დანახული ჩვენივე თვალსაზრისით შეაფასოს. ის მთხრობელია, ისტორიულ მოვლენებსა და მკითხველს შორის დგას, როგორც მეგზური და ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, თუ ე. წ. დროის კალორიტს ხშირად არღვევს და შუაგულ მოქმედებაში, ჯერ კიდევ ქრისტეს წინარე ხანაში რომ მიმდინარეობს, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ტერმინოლოგითა და მსჯელობებით იჭრება.

ავტორისეული თხრობის თავისებურება სწორედ ეს არის. თეორიული ექსკურსები, სხვადასხვა ცერესის სავსებით აკადემიური განსჯა და ურთიერთშეჯრება ისტორიული მასალის გრძნობად ათვისებას ენაცვლებიან და ფხიზელი.

აზრით გასხივოსნებულ მონუმენტურ სახეებს ქმნიან.

ორიათას ხუთასი წლის თუ უფრო აღრინდელ ამბებში მკიონებელი ვ. ჭელიძეს წიგნის მეორემესამე თავებიდან შეჰყავს, შეჰყავს მას შემდეგ, რაც ის სათანადოდ მოამზადა და კარსტულ გამოქვაბულებში გზის გაგნების მაგიური საიდუმლო გაანდო. მკიონებელი პირველად ქართული ზღაპრისა და თქმულებების სამყაროში ხვდება. ეს ზღაპრული სამყარო ჩვენ უსასრულო სივრცელ წარმოგვიდგება, სადაც არაფერი არ იწყება და არაფერი არ მთავრდება, სადაც ყოფნისა და არყოფნის საზღვრები წაშლილია და სიცოცხლე და სიკვდილი, არსი და არა არსი ერთიმეორები გადაღიან.

ზღაპრებისა და ხალხის მექსიერებას შემორჩენილი თქმულებების მხატვრულ ქსოვილში, როგორც ნამის წვეთი ხესა და ხეს შუა გაბმულ აბლაბუდაზე, ანდა ოქროს ქვიშა, მდინარეში ჩაშვებულ საწმისს რომ ამოპყვება, იდუმლად ჩარჩენილია მათი შემოქმედი ხალხის რეალური ცხოვრების ეპიზოდები.

ვ. ჭელიძე სწორედ ამ მიზნით განიხილავს უძველეს ქართულ ეპოსს — თქმულებას ამირანზე,

განიხილავს მის პარალელებს ელინური სამყაროს მითებსა და დრამატურგიულში — ნამდვილს, პათეტიკურში — ყოფითს და სიბოლურში რეალურ საგანს ეძებს.

მჭედლობის, რკინის გამოღნბისა და მოხმარების თემას ჩვენდა შეუმჩნევლად ისტორიის ფარვატერში შევყავართ.

სად და როდის გაჩნდა რკინა? ეინ, რომელი ხალხი იყო მისი პირველი დამშუშევებელი?

ვ. ჭელიძე იშველიებს ისტორიულ მეცნიერებაში უკვე ფეხმოკიდებულ პიპოთეზებს, რომელთა ავტორები რკინის პირველ დამუშავებას ქართველ ტომებს — ხალიბებს, თუბალებს და სხვებს უკავშირებენ და ამაზე დაყრდნობით გადაჯის სხვა პიპოთეზაზეც, რომელის მიხედვით კავკასიის ქედზე შიგაპვეული პრომეთეონის მითი ახალი ქვეყნების დასაპყრობად მოსულ ბერძნებს აბორიგენ ქართველებისაგან უნდა ჰქონდეთ ნახესხები.

იმათგან, ვისაც წიგნი ჯერ არ წაუკითხავს, ნურავინ იფიქრებს, თითქოს ავტორი თაგს იკლავდეს, როგორმე პრომეთეონის ქართული წარმომავლობა დაამტკიცოს. ეს აქ უადგილოც იქნებოდა და მსჯელობას სერიოზულობასაც და-

უკანგავდა. მას მხოლოდ მოჰყავს თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მონაპოვრები ამ დარგში და, რასაკვირველია, არც ამ, ქართველებისათვის ეგზომ სასიამოვნო ჰიპოთეზას, ივიწყებს.

ყმაშვილ მკითხველს საფიქრალი აჩება. მის გულში შემოქმედების ცეცხლი იღვიძებს, ღვივდება და ავტორის კეთილშობილური მიზანიც ხომ სწორედ ეს არის!

ამირანის თქმულების ირგვლივ წამოჭრილმა პრობლემებმა თავისთვად მოითხოვა საქართველოს ეგოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრა ანტიკური სამყაროს რუკაზე. ვ. ჭელიძე გამოცდალი პედაგოგის მოთმინებითა და ლოგიკური თანამიმდევრობით განიხილავს ძველი მსოფლიოს რუკას და იქ ქართველი ტომების, ქართული ტომობრივი გაერთიანებების და, დაბოლოს, მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების ადგილმდებარეობას განსაზღვრავს.

აი, სად და როგორ გადიოდა დიდი სავაჭრო-საქართვნო გზები, რომლებიც ყოველი მხრიდან სერავდნენ მსოფლიო გზაჯვარედინზე დაფუძნებულ საქართველოს მიწა-წყალს. ამა და ამ ქვეყნიდან ამა და ამ ქვეყანაში ვერანაირად ვერ მოხვდებოდი, თუ საქართვე-

ლოს არ გადაჰკვეთდი, ანდა საქართველოზე გამავალი უმოქლესი გზის მაგიერ აოჯერ და ასჯერ უფრო შორეულ და სახიფათო გზებს არ მოივლიდი. მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ან დღეს ვის ესიამოვნებოდა, მის ეწო-კარმიდამოზე ვიღაც გადამოიერ მგზავრებს ეტანტალათ, მით უმეტეს თუ მგზავრები ხელმრულიც ბრძანდებოდნენ და თვალი ერთოვაცა იმაზე ევირათ, თუ სად რა აეცანცლათ, ხელს სად რა გაეყოლებინათ!..

ვ. ჭელიძე სიტყვის დიდ ეკონომიას ეწევა. ის თხრიბის ოსტატია და თვის მოწოდებას არც აქ ღალატობს. წიგნში მოხდენილად და შეკუმშულადაა გადმოცემული როგორც ანტიკური და შემდეგ-დროინდელი, ისე თანამედროვე უცხოელი და ქართველი მეცნიერების ყურადსაღები მოსაზრებანი ქართველურ ტომთა უწყვეტი კულტურის შესახებ დედამიწის იმ რაიონში, საღაც ამჟამად ისინი მოსახლეობენ. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა თრიალეთის გათხრებისა და კულტინის აჩქეოლოგიური მონაპოვრების დახასიათება. აქვეა მონებილური ქართველებისა და მათთ პირინეელი ძმების —ბასკების

ნათესაობის პრობლემა და ამას-
 თან დაკავშირებული ლეგენდები, მაგრამ ეს ლეგენდები, ფიქრები
 და ვარაუდები ავტორის მიერ ისეა
 მოწოდებული, რომ მკითხველს
 რჩება შთაბეჭდილება, თითქოს
 წიგნში არაფერი არ წყდებოდეს
 მისი უშუალო მონაწილეობის გა-
 რეშე, თითქოს ავტორი წინ ერთ
 ნაბიჯსაც ვერ გადასდგამდეს, ვიდ-
 რე შთაგონებული მკითხველი ვვე-
 რდში არ ამოუღება და თავისი
 ვანსაცვიფრებელი მიხვედრებით
 არ წაახალისებს.

და აი, გაჩნდა პირველი კოლ-
 ხური სახელმწიფო. ეს დრო ძა-
 ლიან შორსაა ჩვენგან. უსინათლო
 პომეროსს ჭერ კიდევ არ დაუ-
 წერია თავისი უკვდავი „ილიადა“
 და „ოდისეა“. ჰელესპონტს აღმო-
 სავლეთიდან და სამხრეთ-აღმოს-
 სავლეთიდან კოლხთა ძლიერი სა-
 ხელმწიფო ეკვრის. ახლანდელი
 ფოთის ნავსადგურში, საღაც ფა-
 ზისი — რიონი ჰელესპონტს —
 შავ ზღვას ერთვის, არგონავტე-
 ბად წოდებული ბერძენი მეკო-
 ბრეები მოვიდნენ. ცივილიზებულ
 მეკობრეებს ბარბაროსული ქვეყ-
 ნიდან ოქროს საწმისის მოტაცება
 განუზრახავთ.

ვ. ჰელიოდ დროისა და სივრცის
 ჯაზოსნურ ტელესკოპს ჩასცერის

და მკითხველსაც ეპატიუება, აბა,
 შენც გაიხედო.

რა ჩანს იქ? იქ, ტელესკოპში.
 ჩანს ის, რაც შეიძლებოდა მომხ-
 დარიყო.

ამიერილან ვ. ჰელიოდ მთხრო-
 ბელი კი არა, უკვე ბელეტრისტია.
 ის მოვლენასა და მკითხველს შო-
 რის კი აღარა დგას, არამედ განშე
 ღება და მკითხველს საშუალებას
 აძლევს თვით აღიქვას „ვაქტი“
 მთელი თავისი მრავალფეროვნე-
 ბით. მკითხველის ყურადღება და
 ინტერესი ერთობრად იძაბება. მის
 ცოდნას, რომელსაც წიგნი აძ-
 ლევს, ახლა მარტო შემცნებითი
 ღირებულება კი არა აქვს, იგი
 განათებული და, ასე ვთქვათ; გან-
 სხეულებულია მოვლენის უშუა-
 ლო განცდით.

არგონავტებს ელინი ვაჭრებიც
 ჩამოჰყებოდნენო, ფიქრიანად
 შენიშვნავს ავტორი, ისინი აქ სა-
 ქონელსაც ჩამოიტანდნენ და მე-
 კობრებს კოლხეთის გზასაც ას-
 წავლიდნენო. მკითხველი მისდევს
 ავტორს. აბა, რა არის აქ გასაკვი-
 რი, სწორედ ასე არ იქნებოდა?

„დრო სწრაფად მიედინება, —
 მოგვითხრობს თავის წიგნში ვ.
 ჰელიოდ. — ადამიანის ფსიქოლო-
 გია კი მძიმედ იცვლება. ამიტომ
 იდვილი გასაცოცხლებელია ასეთი
 სურათი.

გემს მოყოლილი უცხოელი ვა-
ჭრები ადგილობრივებს ეძებენ.
ჯერ შორიდან დაიწყებენ საუ-
ბარს — თარგიმანი ბევრ მათგანს
არცა სჭირდება. ისე, გამოცდილი
თარგიმნებიც არიან ნავსაღვურ-
ში, და კარგა ბლომადაც. ამ მთი-
სას იტყვიან, იმ მთისას...

„როგორ იმგზავრეთ? როგორი
ამინდი შეგვედათ?.. ათენში რო-
გორი ამინდებია?“

„მოსავალს რა პირი უჩანს
აქეთ?“

„გზაში ალბათ დაიღლებოდით!
დიდი ღელვა ხომ არ ყოფილა?
ჰელესპონტი ხომ მშვიდობიანად
გამოსცურეთ?“

„ოჯახში ხომ მშვიდობაა?“

იმაზე ლპარაკს, რისთვისაც
გული უფანცქალებთ, თითქოს
არა ჩქარობენ, მაგრამ აშისი
დროც თავისით მოვა...“

„ეს თქვენი ქალიშვილი მე უფ-
რო დიდი მახსოვდა!“

„ეს მეორეა, ის უკვე...“

„აჲ, გაათხოვეთ? უკვე გქონ-
დათ ქორწილი? სიძე სადაურია? მო-
მილოცავს! თითქოს გულმა მი-
გრძნო, საჩუქარი ჩამოვუტანე,
მშვენიერი სამაჯური...“

და ახლა იქნებ ბუნებრივად მო-
ჰყევს ამას, კიდევ რა ჩამოიტანა.
საერთოდ ფრთხილად დაიწყება

სეთი საუბარი. ადგილობრივი
გაჭარი მოიმიზეზებს:

„წყლები სულ დაშრა, ჩეები
ველარ დააცურეს... გაგწვალდით,
ძვირი დაგვიჯდა“...

მოსულსაც აქვს მოსამიზეზებე-
ლი:

„გაძვირდა ცხოვრება... გზაში
მეკობრები...“

როგორ ჰგავს ეს ყველაფერი
ნამდვილს, შენს თვალწინ მომხ-
დარს და ამავე დროს ჰგავს იმა-
საც, რაც ამ სამი ათასი წლის წი-
ნათ შეიძლებოდა მომხდარიყო...
შემდეგ აქ ავტორს ისტატურად
ჩაურთავს მონაცემები, რომლე-
ბიც არქეოლოგიურმა ექსპედიცი-
ამ ვანის აკრძალვის გათხრისას
ამ ბოლო დროს მოიპოვა და ისე-
დაც შთამბეჭდავი სურათისათვის
ამით სისრულე მიუნიჭებია.

შეუძლებელია, მკითხველმა,
ისიც ახალგაზრდამ და ცოდნას
მოწყურებულმა, ეს დაივიწყოს,
სამუდამოდ არ ჩარჩეს მეხსიერე-
ბაში, როგორც საკუთარი ბიოგრა-
ფიის ერთი სანუკვარი ნაწილი.

მაგრამ ვ. ჭელიძე უთუოდ
მცდარი გზით წავიდოდა, მთელი
წიგნის მხოლოდ ამ ხერხით დაწე-
რა რომ მოენდომებინა. მას უშე-
დეგ, რაც ეპოქის კოლორიტის
ამომწურავად დამახასიათებელი

„ცოცხალი ეპიზოდი“ თითქოსდა ჯადოსნური კვერთხის შეხებით არარაობიდან გამოიწვია და მკითხველის გრძნობად სამყაროში შემოიყვანა, ავტორი კვლავ მოვლენასა და მის უშუალო აღმჭელს შორის დგება და მთხობელის მდგომარეობით კმაყოფილდება.

თხრობას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რასაკვირველია, თავისი დადებითი თვისებები აქვს. თხრობისას უფრო ადვილად ხერხდება თვალსაწიერის შორის გადაწევა, ღროსა და სიცრცეში გადაადგილება და ყოვლის მომცველი განწირების მოხდენა.

ვ. ჭელიძე აქაც ზომიერებას იჩენს. ის შეატვრის ალლოთა გრძნობს ზოგდეს, რომლის იქითაც მკითხველის წარმოსახვაზე ზემოქმედების მანერა უნდა შეიცვალოს და ხატვა-ძერწვის ერთი ხერხის მაგიერ მეორე მოვიდეს. ბელეტრისტული ნაკადი მაინც ძლიერია და ეს ამ წიგნის წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს საწინურად უნდა მივიჩნიოთ.

იყო, რა თქმა უნდა, საშიშროება, რომ ამოდენა ღროსა და სიცრცეში განვენილ მასალას შეჭიდებული ავტორი ძალაუნებურად ადგილზე ტკეპნას მოჰყვებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ვ. ჭელიძე

ცოუნებას სძლია და ეს ასე არ მოხდა. ამით, მართალია, ნაშრომის ბელეტრისტული მხარე ერთგვარად მაინც დაზიანდა, მაგრამ, სამაგიეროდ, შენარჩუნებულ იქნა ფაქტურის მთლიანობა და თხრობის ზეაღმავალი ღრამატიზმი. ჩვენ აქ ვხედავთ იმასაც, აზისა და ევროპის უზარმაზარ ტერიტორიებზე როგორ ერთბაშად პრიალდებიან და შემდეგ ასევე ერთბაშად იფუკებიან ძლევამოსილი დამპყრობელი ერები და ტირანული სახელმწიფოები და იმასაც, თუ თოვლით დაფარულ მინდორში როგორ მიაბიჯებს ქვეყნად ერთმანეთისათვის გახენილი წყვილი ქალ-ვაჟი და როგორ შეს-ოხვეს მაღალ და მრისხანე ღმერთებს, მათი უმწიკვლო სიყვარული დაიფარონ.

ვ. ჭელიძე ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის ამბავს უღწერს. მას განუზრახავს იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა დაგვანახოს. როგორც დღევანდელი ტურისტი-მოგზაური, ის ჩვენი თანამედროვე მესხეთ-გავახეთის ერთ მაღალ ბორცვზე ასულა და თავის ყმაწვილ მკითხველს, ვის-თვისაც წიგნია დაწერილი, თოვლით კიდით კიდემდე გადაბარდნილ ველს, ტყისპირს და შორეულ

ბორცვებს აჩვენებს. ეს ბორცვები და თოვლი, შესაძლოა, ტყის-პირიც, დღესაც ისეთივეა, როგორიც ამ ორი ათას ოთხასი წლის წინათ იყო, რომელსაც ჩვენი ავტორის მოთხოვნა ეხება.

რა დროა? სისხლის წვიმების დრო! მეზობელ სპასერთში, რომელიც ბოლო ხანს უზომოდ გაძლიერდა და ცველა მოსაზღვრე პატარა ქვეყანა, მათ შორის კოლეთი და იბერიაც, თავის მონამორჩილ სატრაპიებად აქცია, დინასტიური ომი მდგრადიებს. ტახტის მოცილე კიროს-უმცროსმა საბერძნეთიდან 10 ათასი გაწვრთნილი მეომრისაგან შემდგარი დაქირავებელი ჭარი, ისტორიაში ცნობილი „ქსენოფონტეს ბერძნები“ წილიც თავისი გვირგვინოსანი ძმის არტაქსერქსეს დასამხობად და სპარსეთის ტახტის ხელში ჩასადგებად. ქვეყნის „კანონიერი“ ბატონი ამ ომში ტახტის მოცილე ბატონიშვილზე ძლიერი აღმოჩნდა. კიროსი დამარცხდა და ბრძოლის ველზე კიდევაც დაიღუპა. მას ვერც ბერძენთა დაქირავებულმა ლაშქარმა უშველა და ვერც სხვა რამებმ.

მაგრამ რა შუაშია აქ საქართველო? იმ შუაშია, რომ მტერმორეული მისი შვილები აღბათ ბარიკადის ორივე მხარეზე იბრძო-

დნენ და სურდათ თუ არ სურდათ ეს, ერმთანეთს ხოცავდნენ, მათი ღვიძლი. ქვეყანა კი უბატორინოდ, ქალ-რძლისა, ბალებისა და დაუძლურებული მოხუცებულების ანაბარა იყო მიტოვებული.

„ტყისპირს ვიწრო ნაკაფი გას-დევს, — მოგვითხრობს ვ. ჭელიძე. — ეტყობა, გზა უნდა იყოს. და სწორედ ამ გზაზე გამოჩნდა ხალხი. გაწკაცულან და უხმოდ მოდიან. ბევრნი არიან, ბოლო არ უჩან. ზოგი ცეცხლზე ზის, ზოგი ქვეითად მოდის, უწესრიგოდ არეულან ერთმანეთში“...

მკითხველს ცნობისწადილი ია-ყრობს. ვინ არის ეს ხალხი? საიდან მოდის და საით მიემართება? ქსენოფონტეს ბერძნებია! ომში დამარცხების შემდეგ, დაპირებული გასამრჩევლოს მიუღებლად, შინ ბრუნდებიან და გზად, როგორც წესი, საქართველო უნდა გაარონ. ჭარი დაღლილია. მშიერი, თბილ კერასა და თვალის მოტყუებას მონატრებული. ბერძნები არც არავის ემტერებიან, არც არაფერს დაეძებენ, ოღონდ ამ უსასრულო გზას ოდესმე ბოლო მოეღოს და მათ ზღვის ნაპირს მიაღწიონ, საიდანაც ელადა ისე ახლოა!

აი, ირმების კვალი! შეაროზე

ჩასულან. ირმის ცვრიანი მწვადი ახლა ურიგო როდი იქნებოდა, მაგრამ გამოდევნებისა და მშვილდის მოზიდვის თავი კისა აქვს! მოდის შეთხელებულ პატარა რაზმებად დაყოფილი მხედრობა, მოაბიჯებს, მოიზლაზნებიან აღალის ურმები, საომარი ეტლები... მოდიან საეჭვო ყოფაქცევის ქალები და საჭურველმტვირთველი მონები, ბერძენ მოქალაქეთა უძლევ ლაშქარს ფიცხელ ომში რომ ახლდნეა...

აი, კიდევ ერთი მთის სოფელიც! შევლენ, ძვლებს მაინც გაითბობენ, პირს რითმე გაისველებენ. მაგრამ ეს რა ამბავია? ბუხრებიდან ბოლი არ ამოდის, პატარ-პატარა კოპწია ეზოებსა და შუჟებში ძალები არ ყეფენ, არც ღორები ღრუტუნებენ, კაციშვილიც არა ჩანს, სოფელი თითქოს გაქვავებულა.

სად წავიდა ყველა? სად გაიკრითა? სახიზრებში — მიუვალ ციხეებსა და ციტადელებში! ქართველებმა შორიდანვე შენიშნეს ქარზე მომდგარი უცხო მხედრობა და რაკი წინააღმდეგობის გაშევა არ შეეძლოთ, დედა-წულითა და საქონლით მიუვალ სახიზრებს მიაშურეს.

„სოფლიდან გამომავალ ფართო გზაზე, — ვკითხულობთ წიგნში.

— საოცარ სანახაობას ხედავ: მთელი სოფლის ნაფეხურები თოვლზეა აღბეჭდილი. დიდი, პატარა, სულ პაწაწინა, ცოტათი მომცრო, კოხტა, ტატყა ფეხი... ზოგი წყვილად მიმავალი, ზოგიც ცალ-ცალკე... აგერ, დიდი ქალამის ნაფეხური და იქვე სულ პატარა. მამაკაცს ბავშვისათვის ჩაუჭიდია ხელი და მიჰყავს: დიდი ნაფეხური უფრო ღრმად წასულა თოვლში, პატარა ნაფეხური ოდნავლა აჩნია შეყინული თოვლს..."

კითხულობ ამას და სული გიგუბდება. ძნელი წარმოსადგენია, უფრო გამოკვეთილად, უფრო ძუნწად, სახოვანად და უფრო ღრმა ქვეტექსტით რისამე დახატვა!

და აი, კიდევ ორი ნაფეხური: ჭაბუკისა და ყმაშვილი ქალისა. ხალხისაგან მოშორებით უვლიათ, უთუოდ საიდუმლო რამ ჰქონდათ და ცნობისმოყვარე თვალებსა და ყურებს ემალებოდნენ.

ასეთივე სიმძაფრითა და მხატვრული დამაჯერებლობით გვიხატავს ავტორი სოფლის აკლებისა და ციხეში შეხიზნული ხალხის, თითქოს ჩვენი ნაცნობი, ახლობელი აღამიანების უწყალო გაულეტის შემზარავ სურათს. მხედრობამ გაიარა, წავიდა, თან წაიღო სოფლის ცოდვა, დოვლათი და თავისი მკვდრები.

აქ ავტორის თხრობა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამონაწერები ქსენოფონტეს „ანაბასიიდან“ ერთ-მანეთს დინამიკურად ენაცვლებიან, ავსებენ, მხატვრულად ამაგრებენ და ყოველივეს, რაც მყითხველის თვალშინ დღისით-მზისით ხდება, საოცარ დამაჯერებლობას ანიჭებენ.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მნიშვნელოვანი ნაწილა ეძღვება. მცხოვა — ქართლის ძველ სატახტო ქალაქს, იბერიიდან სპარს დამპყრობთა განდევნას მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ და ქართლის ტახტზე პირველი ქართლოსიანი მეფის — ფარნავაზის ასვლას, ფარნავაზისა, რომელმაც შემოიღო ქართული დამწერლობა და აქამდე მომხვდური მტრის მიერ ჩაწინდული ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. „ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. 7.

ამ სამი თუ ოთხი წლის წინათ რევაზ ბარამიძემ გამოქვეყნა საინტერესო ნაშრომი, რომელშიაც გამოიტემულია მოსაზრება, რომ მოთხრობა ფარნავაზ მეფეზე, რომელიც ლეონტი მროველმა თავის

შატრიანეში შეიტანა, ადრეული, წარმართული წარმოშობისა, რომ წარმართული ხანის ლიტერატურის ნიმუშებიდან ესლა შემოგვრჩა და იგი ლეონტი მროველის დაწურილად არამც და არამც არ უნდა ვიგულისხმოთ.

ასევე არ გადარჩა გამარჯვებულ ქრისტიანეთა შურისძიებას წარმართი იმპერატორის მარკუს ავრელიუსის ქანდაკება რომის კაპიტოლიუმის წინ? ის დიდხანს რომის პირველი ქრისტიანი მეფე კონსტანტინე ეგონათ, ხოლო როცა რამდენიმე საუკუნის შემდეგ სიმართლე გამოირკვა, წარმართული კულტურის ნგრევისა და გაცამტვერების პათოსი უკვე განელებული იყო და საომარ ცხენზე ამხედრებული მარკუს ავრელიუსისათვის ხელი აღარ უხლიათ.

ძნელია თქმა, რამდენად საკმაოა ჩვენთვის ფრიად სახარბიელო დასკვნის მისაღებად რ. ბარამიძის მიერ მოხმობილი არგუმენტები, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია: მეთორმეტე საუკუნის ისტორიკოსს ხელთ უთუოდ ჰქონდა წერილობითი ცნობები, რომელებითაც მან ისარგებლა, მათ შორის, შესაძლოა, წარმართობის დროინდელი მშვენიერი ლეგენდაც ფარნავაზ მწიგნობარზე...

სურვილი გეძალება, აქაც გაპ-
შვი „ქრონიკების“ ავტორის
თხრობას და ყველა პერიპეტია გა-
იხსენო, მაგრამ ეს შეუძლებელია,
რაღანაც მთელი წიგნის თავიდან
ბოლომდე გადმოწერა დაგვჭირ-
დებოდა.

„ქრონიკებში“ ვრცლად და
შთამბეჭდვადაა მოთხრობილი
მირიან მეფისა და ნანა დედოფ-
ლის დროს ქართლის მოქცევის ამ-
ბები, ჯერ ანდრია მოციქულისა,
ხოლო შემდეგ წმიდა ნინო კაპა-
დოკიელის მოღვაწეობა, მცხეოლ
ისრაელთა დასწრება ქრისტეს
ჯვარცმაზე და მაცხოვრის კვარ-
თის მცხეთას მოტანა, სირიელ
მამათა მოსვლა და ქალკედონის
საეკლესიო კრების შეღებები ქა-
რთული მართლმადიდებლური ეკ-
ლესიის ცხოვრებაში, არაბობა,
მურვან-ყრუს ბარბაროსული შე-
მოსევა, წმიდა დავით და კონს-
ტანტინე მხეიძეების საარაყო თავ-
დადება და მდევნივარე მტრის წი-
ნაშე მარტოდმარტო მდგომი ქარ-
თველი ხალხის საუკუნეობრივი
ბრძოლა ცისქვეშ სასიცოცხლო
სივრცის შესანარჩუნებლად!..

მე აქ არსად არ ვცდილობ, ვ
ჭელიძის წიგნის ცალკეულ ეპი-
ზოდებს ან მთელ თავებს შესატ-
უვისი ისტორიული წყაროები მო-
ვუჩხრიყო, ანუ სხვანაირად რომ

ვთქვათ, განვიხილო საკითხი, სა-
რწმუნოა თუ არა ის, როგორც
ისტორია.

როდესაც ამ წიგნს ქმნიდა, ვ-
ჭელიძეს, ჩემი ლრმა რწმენით,
სულაც არ დაუსახავს მიზნად
„ისტორია“ დაეწერა, თუმცა აქვე
განმეორებით უნდა აღვნიშნო,
რომ მისი ნაშრომი შორს სცილ-
დება სათაურში — „ქართლის
ცხოვრების ქრონიკებში“ ნაგუ-
ლისხმევ ფარგლებს. მაგრამ
„ქრონიკები“ მაინც ისტორიული
მეცნიერების მიერ დადგენილ
ფაქტთა და დებულებათა მწყობ-
რი და კეთილსინდისიერი აღნუს-
ხვაა და ასე თუ ისე ქართული ის-
ტორიოგრაფიის დღევანდელ დო-
ნეს გამოხატავს. მიუხედავად ამი-
ნა, „ქრონიკები“ მაინც არ შევი-
რლია მივიჩნიოთ „ისტორიად“ ამ
სიტყვის ზუსტი, მეცნიერული გა-
გებით. თუ მიახლოებით ანალოგი-
ას გავატარებთ, თავისი ბუნებით
„ქრონიკები“ უფრო „სახალისო
ფიზიკას“ ან „სახალისო ასტრო-
ნომიას“ მოგვაგონებს, რომლებიც
ხშირად უფრო მეტ სულიერ სა-
ზრდოს აძლევენ ხოლმე დაინტე-
რესებულ ახალგაზრდა მკითხ-
ველს, ვიდრე ამ სასწავლო დის-
ციპლინათა ვრცელი, მთელი მეც-
ნიერული პარატის მომარჩვებით
დაწერილი სახელმძღვანელოები.

ამგვარად, ჩვენ ჰემოთ ჭავეცა-
ნით ვ. ჭელიძის ხელიდან გამოსუ-
ლი წიგნის „ქართლის ცხოვრების
ქრონიკების“ მხატვრულ და მეც-
ნიერულ თავისებურებებს, უფრო
ზეტად ყურადღება მის ესთეტი-
კურ მხარეზე გავამახვილეთ, ვი-
ნაიდან ამას გადამწყვეტი მნიშვ-
ნელობა ენიჭება საქართველოს
ისტორიის საკითხავ წიგნად მისი
ღამკვიდრების საქმეში.

თითქმის ყოველი ახალი ცოც-
ხალი ეპიზოდის შემდეგ ვ. ჭელი-
ძე სინაულით აღნიშნავს ხოლმე
— ვაი რომ ამ მასალას ჯერ არც
ერთი რომანისტის კალამი არ შეკ-
სებიაო.

მაგრამ რა არის ეს „ცოცხალი
ეპიზოდები“, თუ არა თავები იშ-
რომანებისა, რომლებიც ჯერ მარ-
თლაც არ დაწერილა, მომავალ-

ში კი აუცილებლად უნდა დაიწე-
როს?

ეს სურვილი და ამაზე ოცნება-
ბევრ გულმხურვალე მამულიშვილ
მწერალს რომ ასულდგმულებდა
და დღესაც ასულდგმულებს, წიგ-
ნის ყოველი გვერდის კითხვისას
— თავს დაგტრიალებს და მოსვენე-
ბას გიყარგავს. მაინც რა ცოტა
იმუშავა ჩვენმა მწერლობამ ამ:
მხრივ, რა მცირედი გაკეთდა და
რა ბევრი რამ რჩება გასაკეთებე-
ლი მომავლის რომანისტებს!

მათთვის ვახტანგ ჭელიძის ეს,
მშევნიერი, ფაქტი გემოვნებითა-
და ნამდვილი ინტერნაციონალუ-
რის სულისკვეთებით დაწერილი
წიგნი მუდმივი შთაგონების წყა-
რო, კამერტონი, წამქეზებელი და
გზის გამკვლევი იქნება.

□ □ □

პრიტიკული
უნივერსიტეტი
კრიტიკაზე

დაც უბრალოდ გადავავლოთ თვალი გვარებსა და სათაურებს, რომ—
 მელთაც ეპოქა შექმნეს ჩვენს უახლოეს ლიტერატურაში, ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. გამონაკლისი არც კრიტიკაა — ურნალის ფურცლებზე თავიდანვე დუღდა კრიტიკული აზრი, იცვეშებოდა, ახალ თვისებებს იძენდა იგი სოციალისტური რეალიზმის, მარქსისტულ-ლენინური ეს-ოეტიკის მყარ პრინციპებზე დაყრდნობით.

რა თქმა უნდა, მართებული არ იქნებოდა, რომ ეს პრიცესი მთლიანად აღმავალი ხაზით წარმოგვედგინა. მაგრამ უდავოა, რომ „მნათობმა“ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ღროვის ლიტერატურულ აზროვნების ჩამოყალიბებასა და პროგრესს საქართველოში.

საჭიროა თუ არა ვიზავოთ იმის შესახებ, თუ რა ქმნის უურნალის სახეს; რას ვერ შეელევი მასში, ურომლისოდაც რჩება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, თუ უფრო მეტი არა? ეინ იტყვის, რომ აქ უკანასკნელი აღგილი კრიტიკულ გამოსვლებს ეკუთვნის და უიმათოდ ისეზო ვაკუუმი არ ჩნდებოდეს, რასაც ვერაფრის დიდებით ვერ ამოავსებ. როდესაც უურნალის ახალი ნომრის ჩათვალიერებისას კრიტიკის განკოფილებას ვერ აღმოაჩენ, ეს უნდა

«მნათობის»
პრიტიკის
თვალსაზიერი

△ △
ვასო ბაიაძე
 ▽ ▽

ურნალი „მნათობი“ 50 ალისა გახდა. ქართული მწერლობის ყველა უანრის განვითარებაში მისი როლი სრულიად განსაკუთრებულია: საკმარისია თუნ-

შეფუძნდეს როგორც საგანგებო (და უწევ საგანგაშო) შემთხვევა, სამწუხარი გაუგებრობა, რის გასამართლებლად არგუმენტები ბუნებაში არ არსებობს და რა დასახანია. რომ „მნათობი“ ასეთ შდგომარეობაში შარშან ორჯერ მაინც აღმოჩნდა.

საიუბილეო მასალების სიკარბეც დამაფიქრებელ მასშტაბებს აღწევს. 1973 წელიც ამ მნიშვნელოვანი გამოღვა და, მგონია, არც შემდგომისათვის უნდა ველზეთ სურათის არადიკალურად შეცვლას. ამას მოსდევს რაღაც ეცვალებელი და თავისთვის ნაცვლის ხმევი პრობორციების, თანაცარდობის დარღვევა, რის გამო მთავარი ზოგჯერ ხელიდან გვისხლობა.

ასეთი მასალების მხოლოდ სიმრავლეზე ლაპარაკი ნახევარს იმართლეც არ იქნებოდა. უფრო შემაწევებელია არაერთი საიუბილეო სტატიის ემბირიულობა, უფერულობა. სიახლის ნიშანწყლის უქონლობა. ცალკეული ბედნიერი გამონაცვლისები ამინდს ვერ ქმნის. ამავე დროს, ზეღმეტი სიძუნოზე რომ არ გამოიჩინა „მნათობმა“, როდესაც ვ. მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავს ერთადერთი, თოვმცა თავისთვის საინტერესო მოგონებით გამოეხმაურა? ხომ არ იყო საჭირო, ვთქვათ, ამ დიდი

პოეტის ტრადიციებისადმი თანამედროვეობის შიმართების შესახებ ცოცხალი და სერიოზული სუბრის გამართვა?..

მართლაც მკრებელი უნდა იყო, რომ ვერ გრძობდე, მაგალითად, იროდიონ ევლოშვილის კეთილი სიტყვით გახსნების არა მარტო მნიშვნელობას, არამედ აუცილებლობასაც. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურულ უურნალში მაინც უხერხული ხომ არ არის ასეთი სტერეოტიპული ფრაზების, მრავალგზის გამოთქმული მოსაზრებების ეს მერამდენედ გამეორება, მათ ისედად ყოფნა?! ვითომ რაიმე ახალი შტრიჩით გამჯიდრდება ჩვენი წარმოდგენა იროდიონ ევლოშვილზე, როდესაც, კერძოდ, ასეთ რამებს ამოვიკითხავთ:

„...პორტრეტებს იგი დიდი დამაკერებლობით გვიხატავს“, „ირ ევლოშვილი ჩინებულად ხატავს ცხოვრების სინამდვილიდან გამომდინარე ისტორიული უუცილებლობით ნაკაპნახევი გამარტვების წინასწარ სურათს“, „აქ ქარაგმულად არის დახატული“, „ავტორმა დახატა ჩევოლუციის თავდადებული რაინდები“, „დახატულია ლამაზი ფერებით შემკობილი და აზურმუხტებული გაზაფხულის წარმტაცი სურათი“, „შეშლილის

სახით პეტრიშვილი დახატა თვითმცყა-
 რობელი მეფე“, „ამ მოთხე აობაში
 დახატულია ფეორ-
 ბისა და აუ- ლიზმის ნაშთე-
 ლადავალი კაპიტალიზმის
 სუვრების სურათები“, „მეამბო-
 ტე დაწყებმა პოეტმა ამ ლექსში
 მხატვრულ რეალურ ფერებში
 მკვეთრად და ალეგორიულად გა-
 ვოხატა“, „ვარდის სახით პოეტმა
 დაგვიხატა“, „ამ ლექსში პოეტი
 ხატავს ბედისაგან დაჩაგრული
 ადამიანის განწყობილებას“, „პო-
 ეტი აღშფოთებულია სიკვდილის
 ულმობელობით და უსამართლო-
 ბით“, „პოეტი გახარებულია ქალ-
 წულის დარიგებით და მოსწონს
 მისი მოწოდება“, „სიკვდილის წი-
 ნაშე მდგარი ჭაბუქი ბოლომდე
 რწმენაშეურყეველი და ქედმოუხ-
 რელი რჩება“, „სიკვდილის წინა-
 უ ჭაბუქი ერთ წუთს თითქოს
 უკან იხევს“, „სიკვდილის წინაშე
 თითქოს შედრეა და უკან დაიხია“
 და ა. შ. („მნათობი“ № № 7, 9)
 ზემდეტი ახსნა-განმარტება არ
 არის საჭირო, რომ ასეთი ელემენ-
 ტარული და უსარტივესი საშუა-
 ლებებით მწერლის შემოქმედებას
 უორიახლოსაც ვერ გავეკარებით.
 დამახასიათებელია, რომ ადგილე-
 ბი მოყვანილია ორი ავტორის წე-
 რილებიდან (შ. ბარაშიძე, შ. გოზა-
 ლიშვილი); განსხვავება კი თითქ-
 მის არ იგრძნობა.

ცოცხალი ლიტერატურული

პროცესების ანალიზი, მისი ძირი-
 თაღი ტენდენციების თავისებურე-
 ბათა გარკვევა და ჩვენი მწერ-
 ლობის იდეურ-მხატვრული სრუ-
 ლყოფისათვის დაუცხრომელი მგ-
 ლადინებობა მხატვრული კრიტიკის
 უპირველესი მცნებაა. უურნალის
 ავ განყოფილების პოზიცია უ-
 მიმართულებიც სწორედ მისგან
 უნდა გამომდინარებდეს. ალბათ,
 შემთხვევითი არ არის, რომ „მნა-
 თობის“ თვალთახედვის არეშე
 შესამჩნევი ხაზგასმით მოექცა
 თანამედროვე პროზის რამდენიმე
 უახლესი თვალსაჩინო ქმნილება,
 რომლებშიაც კონცენტრირებუ-
 ლად გამოიყვეთა მხილების პათო-
 სი. მეტიც, შეინიშნება გეგმაშე-
 წონილი თანმიმდევრობა, პირველ-
 შემფასებლის როლისადმი მისწ-
 რაფებაც. სხვაგვარად ძნელად
 აიხსნება ერთმანეთის მიყოლებით
 ლადო მრელაშვილის „ყაბახის“,
 გურამ ფანჯიძის „თვალი პატი-
 ონსის“, ნოდარ დუმბაძის „ნუ
 გეშინია, დედას“ და არჩილ სუ-
 ლაჟარის მხატვრული ნაწარმოე-
 ბების გადაქცევა ფართო საუბრი-
 სა და კრიტიკული განსკის საგ-
 ნად.

პოეზიის მიმართ კი ასეთ გარკ-
 ვეულ მიზანდასახულებას. გეზს
 ზაინცდამაინც ვერ შეამჩნევთ; პო-
 ეზიის მნიშვნელოვანი მოვლენები
 როგორლაც საურნალო სხა-ბაა-

სის ფარგლებს გარეთ დაჩქნევ. კულისხმობთ მურმან ლებანიძეს, შოთა ნიშნიანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, ჯანსულ ჩარკვიანს, ბევრ ახალგაზრდა პოეტს, რომელთა შემოქმედებაზე დაკვირვება კრიტიკას მრავალ საკითხში ჩაღრმავების საფუძველს მისცემდა.

ალექსანდრე კალანდაძემ ერთ-
ხელ თავის ცხარე პოლემიკურ შე-
ნიშვნებში შეუფერავი გულახდი-
ლობით გვითხრა, თუ როგორ აქვს
წარმოდგენილი კრიტიკის ასაი
და კრიტიკოსის იდეალიც ნათლად
გვანიშნა. ახლა ჩვენ ვრწმუნდე-
ბით, რომ ყოველივე ეს სხვათა-
უს გასაზიარებელი აბსტრაქტუ-
ლი ჭადავება კი არ ყოფილა, არა-
შედ უფრო რაღაც აღსარების
მსგავსი განლობა, ხმამაღალი იც-
ნება ჰეშმარიტი ლიტერატურის
დონეზე მდგომ, მძაფრ, ენერგე-
ულ, მხატვრის შინაგან სამყარო-
ში ღრმად ჩამწვდომ კრიტიკაზე.
რომელშიაც პუბლიცისტური სი-
მახვილე ორგანულად არის შეერ-
თებული ესთეტიკური განკვრეტის-
ძალასთან. „ყაბახის“ მისულია
ანალიზი განირჩევა მრავალპლანი-
ანობით, უარსებითესი მომენტები-
დან უმცირეს დეტალებამდე მას
თითქმის არაფერი რჩება მხედვე-
ლობის მიღმა. იშვებს უბრალოდ,
მაგრამ ძალიან მღელვარედ, ვნე-
ბათა ღელვის გამომყურავნებით,

როგორც საანალიზო ნაშარმოებია
სერიოზულობას შეეფერება, თან-
დათან შეღის სილრმეებში და
სწვდება მხატვრული განზოგადე-
ბის სულ ახალ და ახალ შეებს.
კრიტიკოსის გზუნებარება საშუ-
რია, მაგრამ მის გამო მის ფრაზე-
ოლოგიას გაფუული მაღალფარ-
ოლვნების იერი არ დაჰკრავს და
არც ხატვოვანება აქვს დაყრგუ-
ლი. და ჩვენც ნდობით მივდევთ
ავტორს, რომელსაც მტკიცედ გა-
დაუშევვატია, რადაც უნდა დაუჭ-
დეს, დაგვანახოს, თუ როგორ იდ-
გამენ მწერლის იდეები სულს,
აუღერდებიან მხატვრულ ენაზე.
იგი შეუმცდარად გამოყოფს მხა-
ტვრის ტალანტის ძლიერ და სუსტ
მხარეებს, მისი გამოვლინების და-
მახასიათებელ საგნობრივ ნიშნებს.
ისტატობის აღიარება აქ კერპ-
თაყვანისტცემლობაში არ გაღა-
დის და კრიტიკოსი შეუზღუდვალ
გამოთქვამს ვარაუდებსაც, სურვი-
ლებსაც, ეპვებსაც. საბოლოო ან-
გარიშით კი გუმანმა არ უმტკუნა,
როდესაც მისგან ჟაშნიკ-გასინ-
ჯულ რომანს ხანგრძლივი სიცო-
ცხლე უწინასწარმეტყველა. კრი-
ტიკოსს არ უნდა ემინოდეს თა-
ვისი სიმპათიებისა და ანტიპათიე-
ბის გამოხატვისა, როდესაც მათ
ლიტერატურული ინტერესები

უდევს საფუძვლად. ზოგი ჩვენგანი კი რატომღაც ფიქრობს, რომ მწერლობის, ხელოვნების, მის ცალკეულ ოსტატთა მიმართ სიყვარულის რამე ფორმით გამომქვება, მათვის თავგამოდება მოძეველებული იქნეალიზმია. ურიგო არ იქნება ხანდახან მაინც გავიხსენოთ პუშკინის შეგონება: „სადაც ხელოვნების სიყვარული არ არის, იქ არც კრიტიკა“...

ძალიან განსხვავებულად, მაგრამ ასევე საინტერესოდ არის დაწერილი გიორგი გაჩეჩილაძის „რომანი და მკითხველი“. განსხვავება ეხება არა უზრუნველყოფილს, არამედ მიღონმის კუთხეებსაც.

გურამ ფანჯიკიძის ახალ რომანი იგი ისე „გლობალურად“, ყოვლისმომცველად არ განიხილავს, როგორც ა. კალანდაძე „ყაბას“; ზოგ ასეზე შეგნებულადაც ამბობს უარს. გ. გაჩეჩილაძეს აქცენტი გადატანილი აქვს ხასიათების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა და მათი რთული ურთიერთდამოკიდებულების ამოცნობაზე. პირდაპირ გონებამახვილურია კრიტიკოსის დაკვრივებები და მიგნებები, რომელთა წყალობით ახალი შუქი ადგებათ ოთარ ნიჟარაძეს, თამაში იაშვილს და ნაშილობრივ სხვა პერსონაჟებსაც. მკითხველისათვის ახლა უფრო, ვიდრე მანამდე, და საცნობის დარჩევა არაფერ შუალი უნდა იყოს. მაგრამ ევებ ამი-

იმპულსები ამოძრავებს სიუკეტურ ზამბარას, რა ლოგიკური კანონზომიერებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული აქამიანის სულიერი პერიპეტეტიები.

წერილის მიზანდასახულება თუმცა სპეციალურია, მაგრამ ლიტერატორი მოვალეა ახალ ნაწარმოებს აფასებდეს არამხოლოდ ერთი ასპექტით. ამასთან ზემდეტი ხომ არ არის მსჯელობა პარალიტერატურის ვარიაციების გამო? ასე აუცილებელია გურამ ფანჯიკიძის რომანის თავისებურებათა გაგებისათვის ექსკურსები ამ სფეროში? იქნებ უფრო მიზანშეწონილი და ლოგიკურიც იყოს საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის ზოგიერთი უახლესი მონაცოვრისა და თვით მოძმე ლიტერატურების მაგალითზე ანალოგიური კონფლიქტების გადაჭრის გზების გათვალისწინება? მათზე ორიენტირება, ვფიქრობ, ბევრად მეტს გვეტყვის, ვიდრე კლასიკური ლიტერატურის ლაპირინთებში შემხედრი წერტილების ძიება. ცხადია, ვამოცდილების წყაროდ ეს უკანასკნელიც ამოველოვის დარჩება.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა ირგვლივ მყარი საზოგადოებრივი აზრი უკვე შექმნილია, და სამართლიანადაც. რამდენადაც ვიცით, აქ კრიტიკა იმდენად არაფერ შუალი უნდა იყოს. მაგრამ ევებ ამი-

ორმ მისი ქმნილებების ყოველ-
მხრივი აწონ-დაწონა ღლის წეს-
რიგში მეტი სიმწვავითაც კი დგე-
ბა. ამ შიმაპთულებით მხოლოდ
რამდენიმე ცდაა, მათ შორის გუ-
რამ ბათიაშვილის კრიტიკული
სტატია „ნუ გეშინაა, დედას“ თა-
ობაზე. გამოყოფით ღირსშესანიშ-
ნავი ან სადავო მასში არაფერია,
თუმცა, აქვე დავსძენ, რომ უკეთე-
სი იყო ავტორს განჩხას არ შეე-
ზღუდა თავი წერილის მცირე მო-
ცულობით და ეცადა ფართოდ გა-
ეშალა და დაესაბუთებინა დებუ-
ლებები. გაედლიერებინა ანალიტი-
კური საწყისები. კრიტიკოსი ერ-
თგან შეწიშნავს, რომ იუმორის-
ტულ პროზას ჰქონისტ მწერლო-
ბასთან ძალიან ცოტა თუ აქვს სა-
ერთო. მერე კი ლაპარაკობს ასე-
თი პროზის ნიშანდობლივ მინუ-
სებზე. იყო კი ამის საჭიროება ნ.
დუმბაძის ამ რომანის განხილვას-
თან დაკავშირებით? სხვა საქმეა.
თუ იუმორისტულ პროზაზე კი არ
ჩამოვაგდებთ სიტყვას, არამედ
მხატვრულ ქსოვილში იუმორის
განვითარების ხელოვნებაზე. ავ-
ტორი ერთგან წერს, „ნუ გეშინაა,
დედა“ არ შეიძლება სქელტანი-
ან.... რომანად ჩაითვალისო. ამას
რა გამოცნობა უნდოდა!

დღიმტრი იოვაშვილის „არჩილ
სულაკაურის პროზა“ პირველივე
სტრიქონებიდან იმ სულისკვეთე-

უძველეს ქართულ თემაზე აგე-
ბული მრავალმრხვი საყურადღე-
ბო ახალი ქართული რომანი —
ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი
მიღიონდა“ — ლევან სანიკიძემ სა-
ფუძვლიანად მოსინჯა, როგორც
ნაწარმოებში ასახული ეპოქის
სუეციალისტმა და მწერალმა, და
ამავე დროს დამაიმედებელი, ბევ-
რისალმეტელი პროგნოზი ვაკეთა.

და ჩვენც მთლიანად მის მხარეზე
ვართ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა
გიორგი ჭიბლაძის „ახალი ისტო-
რიული ტრილოგიის“ გამო, ორ-
მელიც მწერალ გ. გულიას თით-
ქოს ხელახლა აღმოგვაჩენინებს
როგორც ვრცელი ეპიკური ტი-
ლოების მხატვარს. არსებითად, ეს
არის ვრცელი გამოკვლევა ჩვენთ-
ვის თითქმის სავსებით უცნობ მა-
სალაზე. სჯა-ბასი, როგორც მო-
სალოდნელი იყო, ფრიად საგუ-
ლისხმო გამოვიდა. სიღრმე და სი-
ზუსტე, აი მოქლედ როგორ შეიძ-
ლება გადმოიცეს წერილის გაც-
ნობით მიღებული შთაბეჭდილება.

აյ ჩამოთვლილი წერილების მი-
ხედვით შეიძლება შეიქმნას წარ-
მოდგენა, რომ ქართული პრო-
ზის წინაშე ახალი, როგორც გა-
დასალახავი პრობლემები აღირე-
კი არსებობს. შეიძლებოდა თუ
არა ერთი ან ორი საშუალო (ან
მთლიად სუსტი) ნაწარმოების შე-
ფასების ნიადაგზე გაგვეშალა
მსჯელობა ან პრობლემური წერი-
ლისთვის დაგვეკისრებინა ეს ფუნ-
ქცია? როგორ მოხდა, რომ მოთხ-
რობის უანრი სულ გამორჩა უუ-
რნალს და რამდენიმე ნიმუშის მი-
ხედვითაც კი არ შეეცადა (თუ
ვერ მოახერხა) ეჩვენებინა ქარ-
თული მოთხრობის ახლანდელი
მდგომარეობა, მისი ყველაზე გავ-

რცელებული ნაირსახეობანი? ის
კი არა და, „წიგნების მიმოხილ-
ვის“ რუბრიკით შეზღუდული შე-
საძლებლობანიც ჭეროვნად აო
იქნა გამოყენებული სამისოდ. ეს
უურნალს ლიტერატურულ ცხოვ-
რებაზე ზემოქმედების საშუალე-
ბას ართმევს.

პოეზიის კრიტიკას ტონს აძლე-
ვენ უმთავრესად ახალგაზრდები,
რომელთა ნააზრევში მკვეთრად
გამოსჭვივის საახლისაღმი შეუნე-
ლებელი ლტოლვა. ცხოვრების
გამოცდილების უკმარისობას ისი-
ნი ზედმიწევნით კარგი ლიტერა-
ტურული განათლებით, ნაკითხო-
ბითა და ფართო გათვითცნობიე-
რებით ავსებენ. ორ მათგანს —
ლერი ალიმონაკასა და სოსო სი-
გუას ყველა ჩვენგანი წინა გამოს-
ვლებიდანაც საკმაოდ იცნობს.

თავიდანვე არ დავმალავ, რომ
ლერი ალიმონაკის მოზრდალი-
ნარკვევი „ტარიელ ჭანტურიას-
ლირიკა“, მისი ავტორის სურვი-
ლის მიუხედავად, ვერ შეედრება
ტერენტი გრანელის მის მიერვე
მშვენივრად გამოკვეთილ პორტ-
რეტს. ამ თითქოს პროგრამულ და
დიდი პათოსით აღსავსე ნარკვევ-
ში, მართალია, გვხვდება უცილო-
ბლად ორიგინალური პორტის ტა-
რიელ ჭანტურიას შემოქმედების
თავისებურებებზე მინიშნებანი,
მისი სახეების სისტემაც, ასე თუ-

ისე, გახსნილია, მაგრამ კრიტიკოსის მომეტებულად ასოციაციურმა სტილმა დააბნელა საღი, რაცილნალური მარცვლებიც. არავის აზრად არ მოუვა წერილის ობიექტის მნიშვნელობაში შეედავოს ავტორს, მაგრამ ის კი თითქოს არ მაღლობა თავის თავს, მიმართავს არაპატრიციულ ზეაწეულ პათეტიკას. არასაჭირო განზოგადებებს, დაარისპირებებს, ხელოვნურად ითაბებს. მაგალითად, ძალიან „მაგრად“ ხომ არ არის ნათქვამი: „პოეზია ველარ განვითარდება ნაცალი გზებით“ (№ 6, გვ. 118)? მაინც ჩოგორ გაფიგოთ ეს? ავტორის აზრით, ეს, თურმე, ნიშნავს უარის თქმას ვერსიფიკაციულად დახვეწილ, არტისტულ, მდიდარი რითმებითა და ალიტერაცია-ასონან-სებით შემცულ ლექსებზე. კი, მაგრამ არქივს ხომ არ გადავიტაროთ. რაც ამ თარგში ვერ ჩაეტევა? ან და ვინ მოახდინა მი ნიშნების აბსოლუტიზაცია? თვით ტარიელ ჭანტურიას შაგალითიც ნუთუზუსტად შეესაბამება წარმოდგენილ მრდელს? იგივე აზრი, როგორც კვინტენსენცია, სახეშეცვლილი ვერსიით მრავალგან გამოკრითის. ა. ერთი მაგალითიც: „გადაღასებული გარესინამდვილის განსხვავებულმა მხატვრულმა შედომაშ განსხვავებული მხატვ-

რული სტილი მოითხოვა, რამეთუ აზღლი სინამდვილე ახალი გამომსახველი საშუალებებით წარმოისხება სრულფასოვნად“ (გვ. 117).

საკითხავია, სახელღობრ, რომელ გადაფასებულ გარესინამდვილეს გულისხმობს ავტორი, ან 60-იან წლებში რა ისეთი მკვეთრად გაცსხვავებული გამომსახველი საშუალებები აღმოცენდა, რომელთაც ქართული პოეზის მთელი მანამდელი ტრადიციები და გამოცდილება ერთი ხელის დაკვრით უსარგებლო ძველმანად გადააჭიეს! ან რანაირად დავადასტუროთ მისი ასეთი ნაუცათევი, ჰაიპარად დაბადებული სილოგიზმები: „პოეტი საკუთარი სულიერი უფსკრულისაკენ წარმართავს მხერას, იგი ინთქმება თავს შინასამყაროში. იწყება ლვთაებრივი პოეტური ინსპირაცია“ (გვ. 120); „სამყაროსთან ეს კონფლიქტი უბიძგებდა სხვადასხვა ღროის ხელოვანის სწრაფვას ჰარმონიულობასთან, ლვთაებრიობასთან ზიარებისა“ (გვ. 121); „ტარიელ ჭანტურის ისესვის მითოლოგიაც ცოცხალი და მარად ქმედითი ფენომენია. უშინარესად ის საყრდენი არეა. რომლის მეოხებით მკვეთრად ჩამოყალიბებულ მიმართებას ავლენს გარესინამდვილესთან“ (გვ.

113); „იგი ექცევა ყრუ სული-ერ დეპრესიაში. გარესამყაროს ბალები ზვავად აწყება პოეტის შინა სამყაროს. პოეტი იბრძვის მათგან თავის დასაღწევად. მაცფრ კოლიზიას ქმნის ეს კონ-ფლიქტი. აქედან ედება დასაბამი ტრაგიზმს“ (გვ. 121); „წიაღ და წიაღ ჩვენთა მთათა სევდათშიღრმეში ინთქმება მისი მარტვილი სული. მას ეძალება დაბინდული ქვე-სკრელის მწუხრი, თეთრი ფერის უსასოო გარდაცვალება, მასაღონ-ბელი ჟამი. ეული, ჟამი უსასოო და უსხეულო. ეს გრძნობა ისე ორმად გამჭდარა ქართველის სუ-ლში, ისე ჩავირულია მის სისხ-ლში, რომ მას ფარულ ღანდად თან დასდევს მუდამ იჭვი და შიში ისტორიული ტრაგიზმის განმეო-რებისა“ (გვ. 122); „მამულისათ-ვის ტრფობა დღევანდელი ქართ-ველისათვის ისეთივე აზრით მო-სილია, მეტთე თუ მეთორმეტე საუკუნის ქართველისათვის რომ იყო“ (გვ. 122); „პოეტი არ გაბეჭ-რებთ თავს სენტიმენტალობით, მსგავს თემაზე დაწერალ ლექ-სებს რომ ახლავს განუშორებ-ლად“ (გვ. 116); „ცნობილია, რომ ყოველი მწერლის, მით უფრო პო-ეტის მხატვრული ინდივიდუალო-ბა რიტმი ვლინდება, რიტმული თავისებურება ავლენს პოეტის პი-როვნებას, მის შინასამყაროს, მის

ტემპერამენტს, ფსიქიკას... (გვ-1:8).

აյ რამდენიც პარადოქსია, იმ-დენი შეცდომაა, თითქმის ყველა-ფერი თავდაყირაა დაყენებული. და მერე რისთვის? ალბათ, უ-დად გაგებული ორიგინალობის სურვილის გამოც. ან რელიგიურ ექსტაზში გადასულ არქაულად სტილიზებულ წიაღსვლებს რაღა დანიშნულება აქვს, რომლის ერთ ნიმუშს აქვთ სახელდახელოდ მო-ვიყვან: „...იღგა ტაძარი, გასხივო-სხებულიყო ტაძარი იგი. წმინდა სანთელი აღანთუბდნენ სივრცეს, ვიღოდა მლოცველნი, ბრწყინვადა გუმბათი. რეკლა ზარი. ამაყად იღ-ვინ მთანი თეთრნი და ბუმბერა-ზნი. კელაპტარივით ენთო ამა ტა-ძარსა შინა ნებად და რწმე-ნად უდრევ მავანთა, ბნელსა მაღი-მალ ეფინებოდა ნათელი და აცის-კრებდა სულსა მათსა. უზენაესობ-და სვეტი ნათლისა. უამითიერად შავი ღრუბლები ეფინებოდა მთა-თა თეთრთა და ბუმბერაზთა. აბ-ნელებდა ზეცას, აუალტამებდა გა-რემოს. ღვთაებრივს სავანეს ნის-ლი ბოლავდა ცოდვილი... მზე ინ-თქმებოდა დასალიერში. ინთესე-ბოდა კეთილი. იღვენთებოდნენ წმინდა სანთელი, ბნელში ირინ-დებოდა ტაძარი. გარნა კვლავ აღინთებოდა ტაძარი სასწაულებ-

మొగి గాదంసన్మరో సినాతల్పిత” (ఘ. 112).

ఉల్లంఖనాతానామేడరంవ్వె త్రేమినాల్లంగింసి గవ్వేరణిత అమ్గవారి వీక్షిప్తిగా అంజాంచాపిసిసాక్కెన దించాబు ఉపనాశరో గ్యేస్పేరిమేంట్రింస, త్రు స్థోగవాసాంచరిసెప్పుల ఉభేదశులుంబేధించే అందులు విఠ్పువించి.

ధిల్లసు. . రాత్రించి గ్వాంటిమ్యూన్చెంపు అవ్యాపకం, రంధ తానామేడరంవ్వె మంచినావ్వె హారుత్వేల్లి త్రోత్తిసి శ్యేమిఫ్ఫెడ్చెబిసి తాగోసెప్పుర అంపురాయిసిమ్మింబుల్లాం ల్లంబు మాంచు వ్యాఖ్యాబిసి „ట్రేర్యోంబ్రెల హారుత్వేల్లంతా ట్వాల్చెబి, త్రుగిప్పుల్లంబిసి ద్వామిలిత అంబ్యేషిలిలి, మిట్టుకార్యేద మించాల్లా ట్వాల్చెబి, శిథ్సునార్యోవాని త్రుగిప్పుల్లిత గామిశ్రాల్చి మించా, సామ్యుశ్రేణా చ్ఛిల్ మించార్యోంబుల్లిత గాన్చిటిమ్మెబి, తాసించుంబాసాంచు రంధ తాంగ్సెబిసి ల్లా ఉంచుల్ల గ్యేరుగోసాంచు, శుమిఫ్ఫెర్చుంబాసాంచు ల్లా శ్యురుసెగ్బిసి ఉసాశ్వాల్లి చ్ఛింపుల్లి” (ఘ. 122). అన రంగంర గాచిగంత అశ్విత త్రీంచాల్చెబి: ..త్రుంఱోల క్షాంక్తిశ్రుంబిసి తింపితిసి శ్యువెల్లి ల్లాశ్మిసి మించా శ్యేగ్రంచెంచు నొ శ్యురుంబుల్లి త్రుగిప్పుల్లిత శ్యేషిర్వెబుల్లి కాపిసి సాక్షే” (ఘ. 120), ..ధాంచ్రించిసి త్రోత్తిసి శ్యువాన్ శ్యుల్లి క్షేమితా మతాతా శ్యేవ్వాత సింధుమేశి, క్షేమి లామ్మేబించి ఉంచీబిసి నొత్తుల్లి, నొంగ్లుల్లి రంధ తాంగ్సెబి శ్యురుంబిసి మిట్టుకార్యోంశి” (ఘ. 122) సాందాన మండిసి అంద్రెని త్రుగించిమి.

అంరిగాడ, అవ్యాపకం క్రెతిల్లి శ్యు-

ల్లంల్లి దా మిసి శ్యేరొల్లిత మించ్చీ-శ్యుల్లి ర్యాల్చురిం శ్యేద్వేగి శ్యుశ్యు-ల్లంల్లి డాసప్రిల్లంబ్రెన్చెన ఉర్తమాన్చెతిస. ఏన్ గార్ణంశ్యుగాల్చి ఐం, హంగ్లగాన క్రిం-త్రోత్తిసిల్ క్రొన్చ్యేష్టిప్పిం శ్యేరొల్లిత దా-శ్యేరిసి చ్ఛిన కార్గాడ అన ఐం హామో-ప్యాలింబెబుల్లి, గ. ఓ. సాత్యమేల్లి నింజ-ఏరించి త్యాగించాల్లా, తించ్చువ్వెల్మి శ్యే-శ్యుఫ్యోర్చుబెల్మి త్రోత్తిసి ధిల్లించి ద్వామిల్లితించి.

ఉర్తిక్షేప విల్లాప్రామి త్యేచు, హామిల్ల్చె-నొంచాం ద్విన్నెబరివిం దా నొర్మాల్లంల్లి రొం చ్ఛెబెబి: “ధాంచ్చ్యుప్పిం త్రోత్తిం”, “ధాంచ్చ్యుప్పిం త్రుంచాంక్షాంక్షిసి”, నించ్చు-నొంవ్వె చ్ఛాంమాంచుంగ్యెబ్రెల్లి దా సాల నొంకు మంకుల్లెబుల్లిసి సింప్యువాతా ఎస్యె-తి శ్యేషుతావ్యేబాంలి ధాంచ్చ్యువిల్లెబి: ..ధాంచ్చ్యుప్పిం కార్గిత్తిప్పిసి”. ఐపిసిర్యె క్రొంతిప్పిసిల్ మించి త్రుంపితిం, అంబుల్లా నొంగాళ్లిదా నొ త్రు అంచాబాంగ్లాళ్లిదా, మాశ్శాంచాలిమీ, శ్యుల్లెబి అంచార గాంచ్చె మించిత్తుం శ్యేష్యాల్చెబి, శ్యేల్లావాతిం త్రు క్రొంపితింమిసి, త్రుంచాం మించితిం, క్రుంచాం కాంగాడ అన గామి-మించుశ్యువ్వెబిసి సామ్యుతారిం ల్లాంత్రేం-త్తురుల్లి క్రుంచి, త్రుంచింకిప్పిబి: త్రుంచ్చుప్పుసించాల్లితిం దా ల్లాంత్రుం-చి ల్లాంతా మించుల్లెల్లంబాశి నొక్కితి త్రు తాగుసిత అన మించుండ్రుప్పి. అంబి, చ్ఛించాల్చి దా మించిత్తుం వ్యేర దా-శ్యుప్పిల్లి, „రా గామివా కింసాగ్కం”. మాంతాల్లించి, క్రొంతిప్పిసించి శ్యుండా నొ-ంచ్రెబుండ్రుసి, మాగ్రామి తించ్చువ్వెల్లి గు-

შოსვლიდანვე უნდა ეტყობოდეს, რომ შინამოსამზადებელი საფეხურები უკვე გავლილი აქვს, გარკვეული მნიშვნელობათ დასრულებულია, მომწიფებულია იმისათვის, რომ ლიტერატურულ ორომტრიალში ჩაებას როგორც ტოლი ტოლთა შორის.

სოსო სიგუას წერილების კითხვის, დროს დამებადა ასეთი აზრები. მე ვგულისხმობ თითქმის ყველაფერს, რაც კი სულ მცირე ხანში გამოვიდა მისი ხელიდან. „მნათობმა“ შარმან სოსო სიგუა მკითხველს წარუდგინა საინტერესო წერილით „ლექსებსა და წიგნებს შორის“ (№ 11). კრიტიკოსის მსჯელობის საგანია სამი ახალგაზრდა პოეტის სულ ახალი ნაწარმოები. საერთოდ, ემჩნევა, რომ სოსო სიგუა ცხელ ცვალშე მისდევს მოვლენებს და არ ელოდება სხვათა შეფასებებს, რათა მათი გათვალისწინება დაუდოს ერთგვარ საფუძვლად თავის გამოსვლას.

„ხელშეტაც ტევადიც კი გეჩვენება მისი ფრაზა. „ლია ადგილები“ ვისი ნაშროვისათვის ორგანულად უცხოა. აზრები გაბედულია და უპირატესად ღრმად გაცნობერებული. ხანდახან ისეთი ეჭვიც კი გაგიღვებთ, რომ წერს

შოლოდ გონების კარნახით, გულის მონაწილეობის გარეშე. მერე და კარგია ეს თუ ცუდი? ერთიცა და მეორეც, რაღაცის ხარჯზე რაღაც იგებს. მაგრამ ყველაზე კარგი ქიმიური ანალიზიც საკმარისი არ არის, მაგალითად, ყვავილის ფერისა და სურნელების შესაგრძნებად. სამაგიეროდ, მუდამ ყურადსალებია სოსო საგუას განსხანი განხილულ ნაწარმოებთა შინაგანი სტრუქტურის წარმოსახენად. იგი თითქმის მიკროსკოპით დაჰყურებს მათ და ულმობელი პირდაპირობით ანდენს თავისი მრავალრიცხვოვანი დაკვირვებების ფიქსაციას. ამ შემთხვევაში დილარ იგარღავს, გურამ პეტრიაშვილს ან ბებიკ ხარანაულს პრინციპულად რა უნდა ჰქონდეთ ამის საწინაღომზევო.

კრიტიკოსის შეფასებათა ობიექტურობა და გულწრფელობა სრულიად აშკარაა. ოღონდ ყველა მათგანს კვერს ვერ დავკრავ. გვხვდება შეუსაბამობანიც, გადაჭარბებანიც, არათანმიმდევრობანიც და ა. შ. ავტორი ერთგან კატეგორიული ტონით აღნიშნავს „სამყარო არსებობს მხოლოდ აწმყოს დროით. წარსულის რომანტიკა გაუფასურდა“, „ჩვენი დღეების დიადი რომანტიკა პოეტისაგან

მოითხოვს ახალ სიტყვას... ინდი-
 ვილა ცოცხლობს თანამედროვე-
 ობით და არა გრანდიოზული
 წარსულის ელვარებით“. თავი
 დავანებოთ იმას, რომ ამგვარი
 დაპირისპირებანი მოკლებულია
 ჟეშმარიტებას, ლოგიკას. სწორედ
 ეს „თანამედროვეობა პოეზიაში“
 წერილის ყველაზე სუსტი, ვიწ-
 რო ადგილია. მართლაც და, კრი-
 ტიკოსის მსჯელობის მთელი მდი-
 ნარება — „ექმნება რამდენიმე კა-
 რგი ლექსი“ („ამოტივტივდა ნის-
 ლიდან დაბა“, „ყოველდღიუ-
 რად“, „ვაი, ახლა რაღა მეშვე-
 ლება“). მყარდება ნივთებთან ინ-
 ტიმური განწყობილება. ზოგადი
 ემოცია არ იტოტება. ობიექტთან
 შიმართების უცნობი ნიუანსი არ
 გამოვლენილა. პოეტი ემოციუ-
 რად ალიქვამს გარემოს. მასთან
 მისასვლელი გზა მთლიანად ტრა-
 დიციულია. ავტორი სარგებ-
 ლობს ცნობილი სქემებით. მათში
 გახსნილია პიროვნული შეგრძე-
 ბის ინდივიდუალური ხასიათი.
 ცალკეული სტროფები შესანიშ-
 ნავად არის გაწყობილი“, გვ. 152)
 და თვით საილუსტრაციო მასა-
 ლაც —

„მოტივტივდა ნისლიდან დაბა
 და დაბას ჰქონდა ყვავილის
 ფორმა,
 როგორც ქარბუქში შვიდფერი
 კაბა —

ნისლი დახია კლანებით ქორმა.
 ...ყველდღიურად, უფრო და
 უფრო
 ახლოს ჭრიალებს სამარის
 კარი, —
 მესიჩარა წუხელ, გაფრინდა
 უფრთოდ
 და ეკლესის კიოდა ზარი“, —

უპასუხოდ ტოვებს ვის მიერვე
 ალძრულ პრობლემას, რას ნიშ-
 ნავს თანამიმდევრობა პოეზიაში
 კრიტიკოსის შეხედულებით
 „დ. ივარდავა ცდილობს ფაქტის
 ენერგიულ წვდომას, რაც ზოვ-
 გერ მთლიანად უარყოფს პოეტუ-
 რი ტექნიკს სპეციფიკას“ (იქვე).
 პოეტური ტექნიკის სპეციფიკის
 უარყოფა ჯერჯერობით უცხო ხი-
 ლია ქართულ პოეზიაში და
 ღმერთმა მას ნურც მოგვასწროს!

„აქ მუდამ გამოიყოფა გარკ-
 ვეული ცხოვრებისეული აზრი,
 რომლის ლოგიკურმა დემონსტ-
 რირებამ უნდა ემოცია გამოიწ-
 ვის“ (გვ. 153), — ამტკიცებს
 ერთგან ავტორი. აზრის ლოგიკუ-
 რი დემონსტრირების ასპარეზი
 პოეზია არ შეიძლება იყოს. ამი-
 სათვის არსებობს ფილოსოფია
 თუ მეცნიერების სხვა დარგები.

კრიტიკოსი დილარ ივარდავას
 პოეტ-მხატვრად გვიხასიათებს და
 მეც ვადასტურებ ამას, მაგრამ

რატომ უნდა მისგან პოეტი-მო-
აზროვნე გამოიყვანოს, რათა
აუცილებლად განსხვავებული
სტილის თანამოკალმეთ დაამს-
გავსოს, ჩემთვის აუხსნელია.

წერილის დაწვრილებითი გან-
ზილვა შორს წაგვიყვანს. მასში
შეღავნდება კრიტიკოსის ძალაც
და სისუსტეც. მეტა, რომ ავტო-
რის ანალიტიკური ნიჭი სწორი
მიმართულებით განვითარდება
და შემოქმედის ორიგინალობის
შეფასების მისი საზომებიც უფ-
რო უნივერსალური გახდება და
მის ნააზრევში კარგად განლაგ-
დება მთავარი და დაქვემდებარე-
ბული პლანები.

თუ არ ვცდები, გურამ ბენაშ-
ვილისათვის დებიუტია „გალე-
რიან გაფრინდაშვილის შემოქმე-
დებითი ევოლუცია“. წერილი გა-
მოკვლევისა და პორტრეტის მიზ-
ნაზე დგას. ავტორი ქართველ
სიმბოლისტთა შორის წინასწარ-
განზრახულად არსაც არ ვარა ც-
დობს გიორგი ლეონიძეს. ისტო-
რიული სიმართლის თვალსაზრი-
სით და ცისფერყანწელთა შინა-
განი აჩაერთვაროვნების დასად-
გენად კი ეს არ არის სწორი.
შემდეგ, ახალგაზრდა მკლევა-
რის აზრით, გალავტიონ ტაბიძემ.
ისევე როგორც რამდენიმე რუს-
მა პოეტმა, „ერთი ხელის დაკვე-

რით უარყო წარსული“. რა და-
საგმობი წარსული ჰქონდა გ. ტა-
ბიძეს! რატომ უნდა მოვარგოთ
გ. ტაბიძის პოეზია ასეთ გულუბ-
რყვილო, გამარტივებულ სქემას.
ბარემ იმასაც დავუმატებ, რომ
წერილის პოზიტიური ნაწილი
უფრო მწირად გამოიყურება.

საკუთრივ ლიტერატურული
პორტრეტი თუ გნებავთ, ეს არის
გიორგი კალანდაძის „მართალი
გულით“, ვიქტორ გაბეგძირიას
პოეტური სიტყვის ერთი შეხედ-
ვით უჩინარი საუნჯეების გამომ-
ზევებით რომ გიყრობთ. ყოვე-
ლივე ის, რაც აღრე ამ პოეტის
შესახებ გვიფიქრია, მისი შემოქ-
მედების ინდივიდუალობასთან
დაგვიყაშირებია — მინორული
აღუშფოთველობისა და თავშე-
ჯავების განწყობილებაც, საღება-
ცების აკვარელური სინაზეც,
თხრობითი ინტონაციების სიუხ-
ვეც და ბევრი სხვა რამეც, ავ-
ტორს ახალი განათებით კონ-
დენსირებულად წარმოუსახვს.
მაგრამ მასში ისეთი შტრიხებიც
მოიძევება, მთლიანად პორტრე-
ტის ავტორის დაკვირვებით რომ
არის ნაპოვნი. ვერ დავეთანხმე-
ბით კრიტიკოსის მხოლოდ ერთ
ანალოგიას, რომლის მიხედვით
ვიქტორ გაბეგძირიასა და სტეფან
შჩიპაჩივის პოეტურ მანერათა

შორის საერთო ნიშნებია ნაფა-
რაუდევი.

საგანგებოდ ბოლოსთვის მოვი-
ტოვე ბესარიონ ქლენტის ვრცე-
ლი მონოგრაფიული კრიტიკული
წრევევი „ეპოქის პოეტური ენ-
ციკლოპედია“, დაწერილი გა-
ლაკტიონ ტაბიძის საიუბილეოდ.
მასში ვხედავთ არა მარტო უდი-
დესი თანამედროვე ქართველი
პოეტის მკაფიოდ გამოკვეთილ
პრიფილს, მისი შემოქმედებითი
ცხოვრების უნიკალურ ბუნებას,
არამედ თავად კრიტიკოსის უბე-
რებელი ტალანტის ძალმოსილე-
ბასაც. წერილს ატყვაია მისი ავ-
ტორის სოლიდური გამოცდილე-
ბისა და ნაწილობი ისტატობის
ბეჭედი. წერილის მთავარი აზრი,
ჩემი დაკვირვებით, ყველაზე
უკეთ და სრულად გადმოცემუ-
ლია იმ ადგილას, სადაც ვკა-
თხულობთ: „ძნელია, მგონი,
შეუძლებელია, მოიძებნოს გა-
ლაკტიონის შემოქმედებაში სა-
კუთრივ სატრფიალო ან პეიზა-
ჟური ლირიკის ერთგანზომილე-
ბიანი ნიმუშები, ისევე, როგორც
მას არ დაუწერია საზოგადოებ-
რივი ცხოვრების მოვლენებისაღ-
მი მიძღვნილი ისეთი ლექსები,
რომლებშიც მთლიანად არ ასახუ-
ლიყოს პოეტის სულიერი სამყა-
ნ. „კრიტიკა“ № 6.

რო, მისი პირადულ-ადამიანური
განცდებისა და გრძნობების სფე-
რო. ამიტომაც არ ხერხდება მისი
პოეტური მემკვიდრეობის დანა-
წევრება ცალკეული თემებისა და
იდეურ-შინაარსობრივი მოტივე-
ბის მიხედვით“ (№ 10, გვ. 122).

ამის შესაბამისად, წერილში
დიდი ხევდრითი წონა აქვს გან-
კუთვნილი გალაკტიონის პოე-
ტურ აღმოჩენათა და მათი რეა-
ლური მნიშვნელობის კომპლექ-
სურ ანალიზსა და ცხადყოფას.
სასურველია წერილის ბოლო მო-
ნაკვეთების განვრცობა; აქ თემა-
ტიკური სამანებით ერთგვარი შე-
ძოჭილობის კვალი ილანდება.

პოეზის კრიტიკაშიც მთავარი
ყურადღება გადატანილია დადე-
ბით მოვლენებზე და ისიც ერთი
რაკურსით, ცალმხრივად, არც იმ-
დენად მიზანდასახულად, პოე-
ტური აზროვნების საჭირბორო-
ტო საკითხები კი საკმაო სიღრ-
მით გაუშუქებელი ჩება. კრის-
ტსაც ვერ დავძრავ კრიტიკის
კრიტიკაზე იმ უბრალო მიზეზის
გამო, რომ იგი საერთოდ არ
გვხვდება. უურნალ „მნათობის“
კრიტიკის განყოფილებამ თავი
ვერ მოაბა აქტუალური პრობლე-
მების დაყენებასა და მათ ირგვ-
ლივ ღისკუსიების, აზრთა გაცვ-

ლა-გამოცვლის მოწყობას. ლარი-ბი და ერთფეროვანია მისი უან-რების არსენალი. „მნათობში“ დიდი ხანია აღარ გვინახავს კრი-ტიკული დიალოგი, კრიტიკული დღიური, პრობლემური ან სხვაგ-ვარი მიმოხილვა... მკითხველი მოკლებულია იმის საშუალება-საც, რომ უურნალის ფურცლებზე ხანდახან მაინც შეიტყოს, რა ხდება მომე ლიტერატურებში, რა ურთიერთგამანაყოფიერებელი დამოკიდებულებაა მათ შორის.

სამდურავს „წიგნების მიმო-ხილვის“ გამოც გავიმეორებ, რო-მელიც ჯერჯერობით აქ ემბრიო-ნის მდგომარეობაშია. და მაინც, ამ ფონზე გამოვყოფ ემზარ კვი-ტაიშვილის პასუხისმგებლობის გრძნობითა და კვალიფიციურად დაწერილ მოკლე, მაგრამ სერიო-ზულ, გასათვალისწინებლად სა-საჩერებლო შენიშვნებს ვანო ჩხი-კვაძის ლექსების პირველ წიგ-ნზე.

ოთარ ჯინორიას პოლემიკური გამოსვლა „დღევანდელი ხელოვ-ნებათმცოდნეობის ზოგიერთი ტრავე საკითხისათვის“ დაგვია-ნებული პასუხია გურამ ასათია-ნის კრიტიკული შენიშვნებისა, რომელიც მოპაეჭრის აღრინდელ ნაშრომს ეხებოდა. კამათის საგა-ნი არ არის ინტერესს მოკლებუ-

ლი და მას არც მარტოოდებ ჟდი-ნდა აკადემიური ან თეორიული ლირებულება აქვს. კარგი იქნე-ბოდა რაიმე სახით უურნალს და-ემთავრებინა საკითხის განხილვა და ფიცხელ პოლემიკურ შებმათა შემდეგ. რამდენადაც შესაძლე-ბელი იყო, არა მარტო განემუხტა ვნებათა ღელვა, არმედ რაც მთა-გარია, ნათელი მოეფინა აღძრუ-ლი პრობლემისათვის. ვფიქრობ, ბოლო სიტყვა აქ ჯერ კიდევ ნათქვამი არ არის.

პოემის უანრის თვისობრივ-ცვლილებანი ჩვენს თვალშინ მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ეს პროცესი არც შენელდება თვით რეალისტი მხატვრების შემოქ-მედებითს პრაქტიკაშიც. სინამდ-ვილის ურყევ ფაქტებს თავს ვერ აარიდებ და უნდა შეეცადო ჩას-წვდე ამ მოვლენის ფეხვებს.

რევაზ მიშველაძე „ფორმის ძიებაში“ ლამობს თვისი ვარაუ-დები და ნაფიქრი გაგვანდოს იმაზე, რაც მარტო მას როდი აღელვებს. ლირიკული საწყისე-ბის შეუწერებელი გაძლიერება ახლანდელ პოემაში უთუოდ პირ-დაპირ უნდა იყოს დაკავშირებუ-ლი იმასთან, რომ პოეტის პი-როვნება არაანტაგონისტურ სა-ზოგადოებაში სულ უფრო რე-ლიეფურად განასახიერებს ჩვენი

თანამედროვის ტიპურ თვისებებს, ჩვენი დღეების ცოცხალი ადამიანის ორალურ ბეჭ-ილბალს. აქედანვე წარმოსდგება ისიც, რომ პოემა უმრავლეს შემთხვევაში თვით პოეტის ემოციური მონოლოგია, რომელიც საკუთარ წილში იტევს თხრობის ელემენტებსაც. ასე რომ მის შესაძლებლობათა საზღვრები სულ უფრო ფართოვდება, როგორც ეს შეიძლება ვირწმუნოთ, ვთქვათ, ა. ტვარდოვსკის ბოლო პოემის მაგალითზე. როცა თანამედროვე პოემად ზოგი გრძელ, რიტორიკულ და ამორფულ ლექსს გვთავაზობს, ამაში ბრალი ამ უანრის სიახლეებს კი არ მიუძღვით...

პოემის ირგვლივ აზრთა გაზიარება მისი მნიშვნელობის შესაფერისად ახალი ასპექტების გათვალისწინებით უნდა გაგრძელდეს და უპირველეს ყოვლისა იმ უახლეს ნაწარმოებთა განხილვის გზით, რომლებიც ამ უანრის პრეტენზიას აცხადებენ.

ამ წერილში საშუალება არა გვაქეს განვიხილოთ გასულ წელს „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მეტნაკლები მნიშვნელობის სხვა მასალა, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა ლიტერატურისმცოდნეობით ხასიათისაა (მაგალითად, კ. გამსახურ-

დის „დიდი ვირტუოზი ლექსისა“, მ. კვესელავას „ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის შესახებ“, რ. ჯაფარიძის „ლექსიდ გარდაჯმნილი სიცოცხლე“, ა. გაშერელიას „წიგნი არეოპაგეტიების საკითხებზე“, ა. ბარამიძის „რუსთველის დასაცავად“, ა. ვასაძის „როცა არწივი წამივა“, გ. პაჭკორიას „ახალ ეპოქასთან შეღუღაბებული კავშირი“, ნ. წერეთლის „თანამედროვის თვალით დანახული ისტორია“, ა. გერაძის „მუდამ თანამედროვე და უბერებელი“, ა. ღლონტის, ტ. კვანძილაშვილის, ლ. აბაშიძის, ღ. ქუმსიშვილის, ვ. გიბუტის, ნ. რუხაძის, ა. მირიანშვილის, მ. თავდიშვილის და სხვ. წერილები).

„მნათობის“ კრიტიკული განყოფილება ჩვენი ესთეტიკური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორი და მოწინავე ხაზია. ასე იყო თავიდანვე. როდესაც იგი პირველ ნაბიჯებს დგამდა, ასე იყო შემდეგაც ყოველთვის და მით უმეტეს, ასე უნდა იყოს ამჟამადაც, როდესაც ლიტერატურული კრიტიკის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღირსშესანიშნავი და-

დგენილება უდიდეს მოვალეობას გვაკისრებს. პარტიისა და ხალხის მაღალი ყურადღებით გარემოსილი კრიტიკოსები, ლიტერატურისმცოდნები, ესთეტიკური ფრონტის მუშაკები გრძნობენ. რომ მოლოდინსა და იმედს გა-

მართლება, აღსრულება უნდა. „მნათობის“ კოლექტივს შეუძლია და მოვალეც არის ახალი მოთხოვნებისა და ვითარების შესაფერი სული შთაბეროს თავის კრიტიკულ „საამჭროს“. ჩემი წერილის პათოსიც ეს არის.



კავკასიონი

გ უ ლ თ ა

მ ო რ ი ს

**3. მაიაკოვლესის
 ერთიანობის და
 სახალხო კულტურული დაწყების**

△ △

გიორგი ციციშვილი

▽ ▽

ჩართველი და რუსი ხალ-
 ხიბის კულტურულ-ლიტერა-
 ტურული ურთიერთობის მრა-
 ვალსაუკუნოვან ისტორიაში ვ.

წერილი პირველი

მაიაკოვსკის ურთიერთობა ქართ-
 ველ ხალხსა და მის კულტურას-
 თან, ისევე როგორც, ამაზე აღ-
 რე, ურთიერთობა დიდი პროლე-
 ტარული მწერლისა, მაქსიმ გორ-
 კისა, სრულიად ახალ შინაარსს-
 ატარებს და ხალხთა ურთიერ-
 თობის ახლებურ ფორმად გვივ-
 ლინება.

ჯერ მ. გორკის და შემდეგ
 ვ. მაიაკოვსკის საქართველოსთან
 კავშირი ეს არის ერთ-ერთი
 პირველი და უთვალსაჩინოესი მა-
 გალითი საზოგადოებრივი და
 მხატვრული აზროვნების ისტო-
 რიაში, როცა კულტურულ-ლი-
 ტერატურული ურთიერთობანი
 გვესახებან სოციალისტური სუ-
 ლისკვეთების გამოვლინებად, ინ-
 ტერნაციონალისტური მიზან-
 სწრაფვის ორგანულ შედეგად, ნა-
 მდვილად მეგობრული კულტუ-
 რულ-ლიტერატურული თანამშ-
 რომლობის ნიმუშად.

სოციალისტური შინაარსისა და
 ინტერნაციონალისტური ხასია-
 თის ასეთი ურთიერთობა შეიძ-
 ლებოდა განხორციელებულიყო
 მხოლოდ მაღალი პროლეტარულ-
 კლასობრივი თვითშეგნების პი-
 რობებში და მხოლოდ სოცია-

ლისტური იდეოლოგიის საფუძ-
ველზე.

რევოლუციურმა მარქსისტულ-
მა მსოფლმხედველობამ, მებრ-
ძოლ სოციალ-დემოკრატიულ
ორგანიზაციებთან მჭიდრო კავ-
შირმა, რუსეთისა და საქართვე-
ლოს მოწინავე რევოლუციურ ძა-
ლებთან აქტიურმა თანამშრომ-
ლობამ შეაძლებინეს მ. გორჯისა
და ვ. მაიაკოვსკის ამაღლებულიყ-
ვნენ ხალხთა კულტურულ-ლიტე-
რატურული ურთიერთობის ამ
თვისობრივად ახალ ფორმამდე
და გერ კიდევ რევოლუციამდე
გამხდარიყვნენ ხალხებისა და მა-
თი პროგრესული კულტურების
სოციალისტური თანამშრომლობის
ერთ-ერთ უპირველეს გზის გამკ-
ვალავებად.

საქართველოსთან ვ. მაიაკოვს-
კის კავშირს ღრმადა აქვს ფესვი
გადგმული ღრიოს წილში. იგი
არ იფარგლება მხოლოდ მამამი-
სის ბალდადში ცხოვრებით და
ვ. მაიაკოვსკის ქუთაისში სწავ-
ლით, როგორც ეს ზოგიერთს
პგნია. ეს კავშირი მაიაკოვსკის
წინაპრების გერ კიდევ მეოთხე
თაობიდან იწყება და უწყვეტად
მომდინარეობს, რაც ამ ტრადი-
ციის მდგრადობაზე მიუთითებს.

ამიტომაც, საქართველოსთან ვ.
მაიაკოვსკის კავშირურთიერთო-

ბის ღრმა და სრული გაგებისათ-
ვის ფრიად მნიშვნელოვანია სა-
კითხი იმის შესახებ, თუ რა ხნი-
დან ცხოვრობლნენ მისი წინაპრე-
ბი და მათი ოჯახები საქართვე-
ლოში? იყო ეს მხოლოდ რამდე-
ნიმე წლის ნაცნობობა, რომელ-
საც გერ კიდევ არ დაგემჩნია ღრმა
კვალი ვ. მაიაკოვსკის წინაპართა
და მათი ოჯახების სულიერ
სახეზე, თუ საქართველო უკვე
გამხდარიყო გათთვის შეჩვეულ
მხარედ, მშობლიურ კუთხედ,
რომლის შთამაგონებელ ბუნებას
და მამაც, გულითად ხალხს უკვე
კარგა ხანა ზემოქმედება მოეხ-
დინა და მტკიცედ დამკვიდრებუ-
ლიყო მათ გრძნობასა და გონე-
ბაში.

ამ საქითხს შუქი განსაკუთრე-
ბით სრულად შარშან მოეფინა,
როცა საქართველოს სიძველეთა
საცავებში, თანმიმდევრული
კვლევის შედეგად გამოვლენილ
იქნა ახალი ცნობები და დოკუ-
მენტები პოეტის მამა-პაპასა და
პაპის მამასა და პაპაზე, რომლე-
ბიც უფრო სრულად და დამაჯე-
რებლად აშუქებენ პოეტის უშუა-
ლო წინაპრების საქართველოში
ცხოვრების მთელს ისტორიას!

¹ მხედველობაში გვაქვს მკვლევარ
ბ. პირალვის მიერ გამოქვეყნებული
ნაშრომები.

აქმდე ვლადიმერ მაიაკოვსკის დედისა და დის მოკლე მოგონებიდან ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ პოეტის პაპა ახალციხეში ყოფილა ნამყოფი, მაგრამ საიდან აღმოჩნდა იქ, რამდენი ხანი ეცხოვა საქართველოში, ან საიდან გაჩნდნენ საერთოდ ბალტურ მაიაკოვსკები, ამის შესახებ დოკუმენტურად არაფერი იყო ცნობილი.

ახლა ეჭვმიუტანლად დადასტურდა, რომ 1853-1855 წლების რუსთ-თურქეთის ომის პერიოდში საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულ კაზაკთა რაზმებს წამოჰყოლია პოეტის პაპის მამაც, კონსტანტინე კირილეს-ძე მაიაკოვსკი, რომელსაც ერთხანს დროებით სოხუმში უცხოვრა, ხოლო შემდეგ სამუდმოდ დასახლებულა საქართველოში. კონსტანტინე მაიაკოვსკის სოხუმში ყოფნა დასტურდება სოხუმის ქალაქის მმართველობის მიერ გაცემული ცნობით, აზნაურობის დამამტკიცებელი მოწმობით, რომელიც 1855 წელსაა გაცემული.

საქართველოში ჩამოსახლებული ამ პირველი მაიაკოვსკის შვილი (ე. ი. პოეტის პაპა) კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკი ახალციხეში დასახლებულა,

სადაც დიდი ხნის განმავლობაში ახალციხის სამაზრო მმართველობის მდივნად უმსახურნია. იქ მას 1859 წელს შესძენია შვილი — ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკი, მომავალი პოეტის მამა.

პოეტის მამა ათი წლისა ყოფილა, როცა 1869 წელს, ქუთაისის გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში მიუბარებათ. 1877 წელს მას დაუმთავრებია ქუთაისის გიმნაზიის შვილი კლასი. მოლწეული ცნობების თანახმად, ვ. კ. მაიაკოვსკი განსაკუთრებით კარგად სწავლობდა რუსულ ენასა და ბუნებისმეტყველებას. იმავე გიმნაზიაში გამწესებული ყოფილან მაიაკოვსკის ოჯახის სხვა წევრებიც, მისი ძმა და ბიძაშვილი. პოეტის მამა ფრიად ხელმოკლე ყოფილა და მისივე თხოვნის საფუძველზე მეოთხე კლასიდან სახელმწიფო ხარჯზე ჩაურიცხავთ.

ქუთაისის გიმნაზიის შვილი კლასის დამთავრების შემდეგ პოეტის მამა სწავლის გასაგრძელებლად შესულა თბილისის რეალურ სასწავლებელში, მაგრამ სიღარიბის გამო ვერ დაუმთავრებია იგი, და გამწესებულა მეტყველის თანაშემწედ ეგრეთ წოდებულ

„სატყეო უწყებაში“. ერთხანა
 იგი სომხეთში (ალექსანდრეპო-
 ლის ყოფილ გუბერნიაში), სატ-
 ყეო მეურნეობაში მუშაობდა.
 ჩანს. ვლადიმერ კონსტანტინეს
 ძეს ვული მშობლიური ქუთაისი-
 საცენტრული და აქეთ გადმოს-
 ვლას ესწრაფოდა. 1889 წელს
 იგი პირადი თხოვნის თანახმად
 კადრიოფიცანეს ქუთაისის გუბერ-
 ნიაში, სოფელ ბაღდადში, ტყის
 მცველად.¹

სწორედ აქ, მყუდრო და მშობ-
 ლიურად ახლობელ ბაღდადში,
 ოთხი წლის შემდეგ, ე. ი. 1893
 წლის 7 ივლისს (ახალი სტილით
 20 ივლისს) ვლადიმერ კონსტან-
 ტინეს ძე მაიაკოვსკას შეეძინა მე-
 სამე შვილი — ვაჟი. რადგანაც
 იგი მამამისის დაბადების დღეს
 იშვა, მასაც ვლადიმერი უწოდეს.
 ეს არის ვლადიმერ ვლადიმერის ძე
 მაიაკოვსკი, ჩვენი დროის გამოჩე-
 ნილი პოეტი და საბჭოთა პოეზი-
 ის დიდი ფუძემდებელი.

ყოველივე ამას შემდეგ პოე-
 ტის სწავლას ქუთაისის გიმნაზია-
 ში, 1902-1906 წლებში, ახალ
 ელფერი ეძლევა: ეს იყო მომავა-
 რი.

¹ გასალები ვლადიმერ კონსტანტინეს
 ძე მაიაკოვსკის „შესახებ მოცემულია
 ა. კოლოსკოვის წიგნში“ 『Жизнь Мая-
 ковского», Москва, 1950 გ. და
 23. პირადოვის ზემოთ აღნიშვნულ წე-
 ტილში.

ლი პოეტისათვის არა რაღაც უც-
 ხო სასწავლებელი, არამედ მა-
 მამისის მშობლიური სკოლა, რო-
 მელშიც ეს უკანასკნელი 25 წლის
 წინ სწავლობდა.

მაგრამ განსაკუთრებით მთავარი
 ამ შემთხვევაში ის არის, რომ პო-
 ეტის მამისათვის ქუთაისი, იმერე-
 თი ჰქომარიტად მშობლიური კუ-
 თხე იყო. სწორედ აქ გაირბინა მი-
 სმა ბავშვობამ და ყრმობამ, აქ
 დავაუკაციდა და მომწიფდა იგი
 სულიერად.

ამ ფაქტების გათვალისწინების
 შედეგად უფრო გასაგები ხდება
 თუ რატომ იცოდა პოეტის მამამ,
 ვ. კ. მაიაკოვსკიმ ასე კარგად ქარ-
 თული ენა. სხვაგვარად იგი ვერც
 იმსახურებდა ბაღდადში, რომე-
 ლიც ისევე როგორც ქუთაისი,
 წმინდა ქართულ დასახლებას წა-
 რმოლდებოდა და მის მცირდრთათვის
 სალაპარაკო ენა მხოლოდ ქართუ-
 ლი იყო. ასეთსავე წმინდა ქართულ
 გარემოცვაში დაიბადა და აღიზა-
 რდა მომავალში დიდი რუსი პოე-
 ტი — ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ქართველი ხალხის, მისი ენისა
 და კულტურისადმი ვლადიმერ მა-
 იაკოვსკის განწყობა-დამოკიდებუ-
 ლების გასაგებად ყოველივე ამას,
 რა თქმა უნდა, ულიდესი მნიშვნე-
 ლობა აქვს. ის გარემოება, რომ
 მომავალი პოეტის მამა-პაპა სა-

ქართველობი დაიბადნენ და აღი-
ზარდნენ, რომ ისინი მუდმივ
კონტაქტში იმყოფებოდნენ ქარ-
თველ მშრომელ ხალხსა და მოწი-
ნავე ინტელიგენციასთან, რომ
სწავლა-განათლება მათ საქართვე-
ლოს სკოლებში მიიღეს, რომ სა-
ქართველო მათ თავის შობლიურ
მხარედ მიაჩნდათ და სხვაგან
ცხოვრება არც წარმოედგინათ—
ცხადად მეტყველებს ჩვენი ქვეყ-
ნისა და ხალხისადმი მათს განსა-
კუთრებულ დამოკიდებულებაზე;
იმ ფსიქოლოგიურ შესისხლხორ-
ცებაზე, მდგრად ტრადიციაში გა-
დასულ სიახლოვეზე, მტკიცე
ეროვნულ-ეულტურულ დამობი-
ლებასა და პიროვნულ-ადამიანურ
კავშირზე, რომელიც, ერთი მხრივ,
თვით ვლადიმერ მაიაკოვსკისა და
მის წინაპრებს, ხოლო, მეორე
მხრივ, ქართველ ხალხსა და მის
ინტელიგენციას შორის დაყყარდა.

აი, რას წერს ვლადიმერ მაია-
კოვსკი თავის ცნობილ ლექსში
„ჩვენს ახალგაზრდობას“:

«Я — дедом казак,
другим — сечевик,
а по рожденью грузин».

როგორც ვხედავთ, თავისი ერო-
ვნულობის განსაზღვრისას პოეტი
გენეტიურ მიმღინარეობაზე ნაკ-
ლებ როდი აფასებს საქართველო-
ში თავის დაბადება-დაჭაბუქების
ფაქტს. ეს გარემოება ფსიქოლო-

გიურ პლანში მას საკუთარი ერო-
ვნული კუთვნილების ერთ-ერთ
ამოსავლად მიაჩნია, და თავის მე-
მკვიდრეობით წარმომავლობას.
უტოლებს.

ამავე ლექსში მოცემულია თა-
ვის ეროვნულობაზე ერთგვარი-
მხატვრულ-სიმბოლური მინიშნე-
ბაც, რომელშიც ნათლად მოხანა-
პოეტის შეგნებული ინტერნაციო-
ნალიზმიც და ქართველი ხალხი-
სადმი გულწრფელი, შვილური სი-
ყვარეულით აღსავსე დამოკიდებუ-
ლებაც:

«Три разных капли в себе
симвещав,

беру я право вот это —
покрыть всесоюзных совмещан.
И ваших и русопетов».

აქ პოეტი სრულიად გარკვევით
ლაპარაკობს თავის სისხლში სამი-
სხვადასხვა ეროვნების სისხლის
სიმბოლურ შეჩრწყმაზე. მამის —
რუსობა, დედის უკრაინელობა-
(იგი ეროვნებით უკრაინელი იყო,
გვარად პავლენკო) და თავისი „ქა-
რთველობა“ პოეტისათვის რაღაც
თვითორეკლამა კი არ არის, არა-
მედ „სისხლით დამტკიცებული“
უფლებაა, რომელიც-პოეტს მოვა-
ლედა ხდის თამამად გაილაშქროს
როგორც ვიწრო ადგილობრივი
ნაციონალიზმისა, ისე დიდმცყრო-
ბელურო შოვინიზმის წინააღმდეგ-

ფრიად საინტერესოა, რომ ზე-
მოდ ციტირებული სტროფის პი-
რველ სტრიქონზე პოეტს ბევრი
უფიქრია და მისი რამდენიმე ვა-
რიანტიც მოუცია (სხვადასხვა
შელებში). ერთი მათგანი ასეთია:

«Оттенков много во мне
речевых
Три разных народа в себе
симвещав...»

სამი ხალხისადმი კუთვნილება
აქ კიდევ უფრო ხაზგასმულია.
ხოლო მეორე ვარიანტში ბოლო
სტრიქონი ასეა წარმოდგენილი:
«такие крови в себе совме-
щав...» ე. ი. ამ სამივე ხალხის
სისხლი მირევიაო. სამი ეროვ-
ბის ხალხისადმი თავისი კუთვნი-
ლების მტკიცება შემთხვევით წა-
მოსროლილი სხარტულა კი არ
არის, არამედ დიდი ხნის ნაზრე-
ვისა და განცდილის განზოგადე-
ბულ, მხარტვრულ-სიმბოლური
ფორმით დაბეჭიობულ თქმას წა-
რმოადგენს და, როცა ვ. მაიაკოვ-
სკის საქართველოსადმი დამკი-
დებულებაზე ვმსჯელობთ, ამან
ერთ-ერთი პირველხარისხოვანი
მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოსადმი ვ. მაიაკოვს-

¹ იხ. ამის შესახებ В. Маяковский, поэти. собр. сочин., том 8, Госиздат художествен. лит-ры, Москва, 1958 г. გვ. 14 ლექსი «Нашему юношеству» და დართული შენიშვნები—«Варианты и разночтения», გვ. 361—363.

ეს სიყვარული დიდი უშუალობი-
თაა გამოთქმული ცნობილ ექს-
პრომტში, რომელიც პოეტმა გა-
მოჩენილ ქართველ ოეატრალურ
მოღვაწეს და დრამატურგს ვალე-
რიან გუნიას მიუძღვნა. რუსულ-
ქართულად ნათქვამ და შინაგანი
მღელვარებით დანაღმულ ამ მუ-
ნასიბს იშვიათი მოხერხებულო-
ბით აქვს ჩართული ქართული სი-
ტყვა-თქმები, მარჯვედ მოქნეული
პოეტური სტრიქონები:

...И теперь вдали от вас
всыпько зефри
ткварчеби

Как с братом брат;
Хотелось вновь и в глаз и
в бровь

делить и ласку и любовь
И посмеяться и побалагурить.
კვლა მოგვერხინა ღვინით და პურით,
მაღლარი კვესვა ყანწით და ჭურათ.²

ვ. ბაკოვსკის თბილისის, ქუთა-
ისის, ბაღდადის მოგონება, მის-
თვის საყვარელი ამ სახელების
განმეორება, მათი სახება მთელი
სიცოცხლის მანძილზე თან და-
ყვებოდა.

² ვ. გუნიასადმი მიძღვნილი ექსპრო.
ტი არ არის შეტანილი ვ. ბაიაკოვსკის
თხზულებათა სრულ კრებულში. იგი ვა-
მოქვეყნდა პირველად „სალიტერატურო
გაზეთში“ 1933 წლის 31 ოქტომბერს.
მოყვანილი აქვს მცვლევაზ ვ. ლაფერა-
ზვილსაც წიგნში «Жизнь Маяковского
в Грузии», изд. «Заря Востока», 1961 წ. გვ. 19—23.

არც ის არის ნაკლებ მნიშვნელოვანი, რომ ვ-მაიაკოვსკი ლალად და თავისუფლად გრძნობდა თავს ქართულ გარემოში, მშობლიურად მიაჩნდა ქართული ენის სტიქია, კარგად იცოდა, ღრმად ესმოდა და ზეპირად ახსოვდა მრავალი ქართული ლექსი, ანდაზა, იდიომური თქმა. ზემოთ მოყვანილ კაფიაშიც (ვ. გუნიასადმი მიძღვნილ ექსპონატში) მას თავისებურად არანჟირებული აქვს ერთი სტრიქნი შალვა დადიანის ცნობილი ლექსიდან — „მხოლოდ შენ ერთს“,¹ რომელიც ძალიან უყვარდა და რომელსაც ხშირად სოლოდ მღეროდა თავისი ხავერდოვანი ბანით.

ხანდახან ვ. მაიაკოვსკის სახუმარო სტრიქონებშიც კი მოჩანს პოეტის ცხოვრების დამახასიათებელი ავტობიოგრაფიული დეტალები:

Грузин я знал чуть не с пеленок
Лгойничью, как теленок
Рвал я, думая оторвать, и мёдил буржую...²

სხვათა შორის ეს ლექსი დავით გურამიშვილისეული მეტრითაა გაწყობილი და მასში იგივე

¹ სტრიქები შალვა დადიანის ლექსიდან, „მხოლოდ შენ ერთს“ ვ. მაიაკოვსკის მოყვანილი აქვს მეორე ლექსშიც — «Владикавказ — Тифлис».

² „სალიტერატურო ვაზეთი“, 1933, 7, 31 ოქტომბერი.

საზომი და რიტმია გამოყენებული, რაც „ქაცვია მწყემსში“. გარდა ამისა, ფრიად საინტერესოა, რომ თვით ლექსის ასეთი ფორმა, ე. ი. მისი ორი თუ სამენვენება ყველაზე ადრე თბილისური ქალაქური ფოლკლორისათვის იყო ნიშნეული. როგორც ნათელყო ი. გრიშაშვილმა თავის შესანიშნავ გამოკვლევაში — „ტველი ტფილის ლიტერატურული ბოჭემა“, თბილისური ფოლკლორი, ამ თვალსაზრისით, ნამდვილი ინტერნაციონალიზმითაც ხსიათდებოდა.

ვ. მაიაკოვსკის ამგვარი ხასიათის ნიმუშების ასეთი თავისებური ფორმა, უმთავრესად ქართული აშულური პოეზიისა და ყარაბელური ყაიდის მუნასიბების, აშკარა ზეგავლენითაა შექმნილი.³

მრავალგზის დამოწმებულია, რომ პოეტის მამას საესებით შესისხლხორცებული პეონდა ქართული ზნე-ჩვეულებები, ქცევა, ტრადიციები და თავისი ცხოვრე-

3 რა თქმა უნდა, ორ-სამ ენაზე შექმნილი ლექსები სხვა ერთა ლიტერატურაშიც არაშევიათ მოვლენაა (გვიასენთ XIX საუკუნის რუსულ პოეზიაში მომრავლებული ლექსები ფრანგულის შეხევით), მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართული აშულური პოეზიის ზეგავლენა აშკარაა.

შით, სხვებთან ურთიერთობით ქართველი მეზობლებისაგან თითქმის არ გამოირჩეოდა. დღეისათვის დაგროვილია მდიდარი მემუარული მასალა (იხ., მაგალითად, კრებული „მაიაკოვსკი საქართველოში“, თბილისი 1936 წ. გამომცემლობა «Заря Востока»), საიდანც ჩანს, რომ პოეტის მამას ფრიად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც, თვის მხრივ, დღიდ პატივს სცემდა მას.

ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ვაჭირვებულთა უანგარო დახმარებებაც იცოდა, რითაც მკვეთრად გამოირჩეოდა იმდროინდელ მსახურეულ-ჩინოვნიკური წრიდან, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. 1905-7 წლების რევოლუციის მქონე პერიოდში, როცა მეფის ჩინოვნიკები და ადგილობრივი აღმინისტრაციის მოხელეები გარიყულ-იზოლირებულნი აღმოჩნდნენ და მუქარის წერილებს ღებულობდნენ, როცა მრავალ მათგანს გარეთ გასვლისაც კი ეშინოდა და გულდაგულ იმაღლეოდა, პოეტის მამა სრულიად უშიშრად გრძნობდა თავს. იგი ხშირად ხელისუფლებასა და აჯანყებულ გლეხებს შორის მეღიატორედაც კი გამოიდიოდა... ქართველი გლეხები მას „ვლადიმერას“ ეძახდნენ და ეს დემოკრატი და ჰუმანუ-

რი ადამიანი თავისიანად მიაჩნდათ.

ვლადიმერ მაიაკოვსკი დიდი და ორმა სიყვარულით იყო გამსჭვალული მამამისისაღმი. ამიტომ ბაღდადელი მეტყვევის ხალხთან ურთიერთობას, რისი ცოცხალი მოწმეც თვით პოეტი იყო, არ შეიძლებოდა თვისი კვალი არ დაეჩნია საერთოდ ხალხთან, კერძოდ კი ქართველებთან მის ურთიერთობაზე.

სოფელ ბაღდადში პატარა ვალოდიმიტ რვა წელი გაატარა და 1900 წელს დედასთან ერთად ქუთაისში გადასახლდა, სადაც იგი კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს.

ქუთაისის გიმნაზია ერთი საუკეთესო სასწავლო ღაშესტებულებათაგანი იყო მთელ კავკასიაში. შესანიშნავი ბეღაგოგიური კოლექტივი, ჩინებულად დაყენებული სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა კარგი კონტიგენტი, მდიდარი ტრადიციები, საზოგადოებრიობის ცხოველი ყურადღება გომნაზის საქმიანობისაღმი და მტკიცე კავშირი მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან — აი, ის ბეღნიერი კომპლექსი, რაც სახელვანი სასწავლებლის სახესა და ხასიათს განაპირობებდა. ამ ჩინებულმა აღმზრდელობითმა და პედაგოგიურმა კერამ XIX და XX სა-

უკუნეთა განმავლობაში მრავალ-ზე-მრავალი ღირსეული ადამიანი მისცა ჩვენს ქვეყანას. მისი ჰედა-გვები, რომლებიც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, თავისი ღროვის მოწინავე სპეციალისტები და აღმზრდელები იყვნენ, ყოველ-თვის გამოირჩეოდნენ პროგრესული შეხედულებებით და დაუფა-რავი სიმპათით განმანთავისუფ-ლებელი მოძრაობისადმი.

იმის წყალობით, რომ პოეტის მამას თავის ღროშე თვითონ ჰქონდა ქუთაისის გიმნაზია დამთავ-რებული და წიგნიერ კაცად ითვ-ლებოდა, მის ოჯახშიც მტკიცედ დამკვიდრდა მხატვრული ლიტე-რატურის სიყვარული. ამას მო-წმობს ის მრავალი წიგნი და უზ-რნალ-გაზეთი, რაც, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, მაიაკოვსკების ოჯახში მუდამ მოი-პოვებოდა. ამიტომაც იყო, რომ ვ- მაიაკოვსკის უკვე მანამ ჰქონდა წერა-კითხვა შესწავლილი და იმ-დროინდელი საბავშვო ლიტერა-ტურის სერიიდან არაერთი წიგნი წაკითხული, ვიდრე გიმნაზიაში მიაბარებდნენ.

სწორედ მამისეულ სახლში გა-ეცნ მომავალი პოეტი პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, შჩედ-რინის, ტოლსტიონის, ჩეხოვის, კუპ-რინის, ლესკოვის, გორკის სახე-

ლებს. ბაღდალიდან ქუთაისში გა-დასახლების შემდეგ (რაც ვალო-დიას გირნაზიაში მიბარებით იყო გამოწვეული) მაიაკოვსკები ბაღა-ხვანის უბანში დაბინავდნენ. გირ-ნაზიაში შესასვლელად მომავალ პეტეს ამზადებდა რევოლუციუ-რად განწყობილი მასწავლებელი-ქალი ნინო სმოლნიაკოვა, რომე-ლიც შემდეგ გამოჩენილი ქართვე-ლი რევოლუციონერისა და ერთ-ერთი ცნობილი მარქსისტის ფი-ლიპე მახარაძის შეუღლე და ერთ-გული მეგობარი გახდა.

ქუთაისის გიმნაზიაში რუს მას-წავლებლებთან ერთად ვლადიმერ მაიაკოვსკის ასწავლიდნენ ქართ-ველი ჰედაგოგებიც: ნ. ჯომარჯიძე, მ. სალარაძე, პ. დგებუაძე, ვ. ბა-ლანჩივაძე. ქუთაისშივე დაიწყო ვ. მაიაკოვსკის გატაცება მხატვ-რობით, რაც შემდგომში მიისი შე-მოქმედებითი საქმიანობის ერთ თვალსაჩინო მხარედ იქცა.

ჭაბუკი ვ. მაიაკოვსკი დამოუკი-დებელი შეხედულებებითა და თა-მამი ქცევით გამოირჩეოდა. ეს თვისებები რომ არ ჰქონოდა, იგი ვერ ჩამოყალიბდებოდა რე-ვოლუციური მოძრაობის აქტიურ მონაწილედ. ახალგაზრდა ვ. მაია-კოვსკის ათეიისტურ განწყობილე-ბებსა და თამამ ქცევაზე მიგვი-

თითებს მისი ერთ-ერთი მასწავლებლის პ. წულუქიძის მოგონება, რომელიც 1903 წელს ეხება:

„მაიაკოვსკის გიმნაზიაში სწავლის დროიდან მახსოვს ერთი შემთხვევა, სამასწავლებლოში მე და ჯომარჯიძეს (ეს უკანასკნელი ვ. მაიაკოვსკის კლასის დამრიგებელი იყო. გ. ც.) მოგვმართა მოსამზადებელი კლასების საღვთო სჯულის მასწავლებელმა შავლაძემ:

— რა უცნაური ბავშვია ეს მაიაკოვსკი!

— რა მოხდა? რა, ოინი ჩაიდინა? — შევეკითხეთ ჩვენ.

— არა, არ ცელქობს, ოღონდ მაოცებს თავისი პასუხებითა და შეკითხვებით. როდესაც ვკითხე: კარგი იყო აღამისათვის, როცა ღმერთმა იგი მისი ცოდვით წაშყმენდის შემდეგ დასწყვევლა და უთხრა: ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი? მაიაკოვსკიმ მიპასუხა: ძალიან კარგი იყო. სამოთხეში ადამი არაფერს არ აკეთებდა, ახლა იმუშავებს და ისე ჭამს პურს; ყველამ უნდა იმუშავოს. მერე თვითონ მომცა შეკითხვა: გვითხარით, ხუცესო, თუ გველმა დაშყვევლის შემდეგ მუცლით დაიწყო ხოხვა, მაშინ როგორდა მოძრაობდა იგი დაშყევლამდე? ბავშვებმა სიცილი ასტეხეს, მე კი არ ვიცოდი, რა მეპასუხნა“.

ვ. მაიაკოვსკის ქუთაისში სწავლა (1902-1906 წლები) დაემთხვა მეტად მღელვარე პერიოდს რუსეთის ყოფილი იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს იყო რუსეთის პირველი რევოლუციის ხანა, როცა ხალხები თამამად აღსდგნენ სოციალური და ნაციონალური ჩავრის წინააღმდეგ და როცა თითქმის მთელი საქართველო აჯანყებამ მოიცავა.

ახალგაზრდა ვალოდია მაიაკოვსკიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რევოლუციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენციის ბრძოლამ თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ, ქართველი გლეხებისა და მუშათა კლასის შეიარაღებულმა გამოსვლებამ. იგი ცოცხალი მოწმე და თვითმხილველი იყო ყოველივე ამისა. როგორც ცნობილია, ვ. ლენინი და ბოლშევიკური პრესა მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი მშრომელების რევოლუციურ ბრძოლებს და აღნიშნავდნენ ამ ბრძოლების მაღალ ორგანიზებულობას, მასშტაბურობას, სიმძაფრეს.

ქუთაისი ამ ღროს საბრძოლო ბანაკს დაემსგავსა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში იგი არ იყო რამდენადმე მნიშვნელოვანი

საწარმოო ცენტრი და არც რიცხვმრავალი მუშათა კლასი ჰყავდა, რევოლუციურმა ინტელიგენციამ, მოსწავლეებმა და ახლომახლო მდებარე სოფლის გლეხობამ ქალაქში ბარიკადები აღმართეს და რევოლუციამ ამ წყნარ, მყუდრო ქალაქშიც იმბლავრა.

ქუთაისის რევოლუციური დულილის ორ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა თეატრი და გიმნაზია. ქართული დრამის თეატრი, დიდი მსახიობის ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით საბრძოლო ტრიბუნად გადაიქცა. ასეთივე როლი იყისრა ქუთაისის გიმნაზიამაც, რომლის მოსწავლეები ფრიად თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ 1905-1907 წლების ბრძოლებში. ქუთაისში მიღებული საბრძოლო ნათლობა და გამოცდილება მრავალ მათგანს დაეხმარა გამოსულიყო ცნობილი რევოლუციონერი არამარტო საქართველოს, არამედ სრულიად რუსეთის მასშტაბითაც.

პოეტი კოლაუ ნადირაძე მოგვითხრობს: „1905 წელს მერვეკლასელები აწყობდნენ არალეგალურ შეკრებებს, სადაც იხილავდნენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი მასწავლებლების მოქმედებას, გამოპქონდათ გაღაწყვეტილებანი

რევოლუციურ დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღების შესახებ... ამორჩეულებს კლასი იმ კითხვათა კურსში უნდა ჰყოლოდათ, რომელთაც შეკრებებზე იხილავდნენ. პირველმა და შემდეგ მეორე კლასმა მე ამირჩია. ვალოდია მაიაკოვსკი მესამე კლასის დელეგატი იყო...

დეკემბერში ჩვენ, გიმნაზიელებმა და რეალური სასაწვლებლების მოსწავლეებმა, მონაწილეობა მივიღეთ ქუჩაში მოწყობილ დემონსტრაციაში. რეალური სასწავლებელი კაზაკებით იყო გარშემორტყმული, აქა-იქ სამთო ქვემეხები იყო დაყენებული“.¹

კოლაუ ნადირაძე ვ. მაიაკოვსკიზე ორი წლით უმცროსი იყო. კოლაუს მოწმობით, ვ. მაიაკოვსკი „იყო გულისხმიერი, კეთილი და სანდო ამხანაგი. თუ ვინეს განსაკუდელში დაინახავდა, მაშინვე გამოექმავებოდა“.

რევოლუციური ამბებისა და ქუთაისში მომხდარი გამოსულების შესახებ თვითონ ვალოდია ასე სწერდა უფროს დას ლუდმილას: „...გიმნაზია და რეალური გაიფი-

¹ კრებული — „მაიაკოვსკი საქართველოში“, „ზარია ვოსტოკა“, 1936, ვ3. 130-131.

ცნენ და იცოდნენ კიდევ რისთვის გაიფიცნენ: გიმაზიისაკენ მომართული იყო ზარბაზნები, რეალურში კი უფრო მარჯვედ მოიქცნენ, ზარბაზნები ეზოში დააყენეს და თქვეს, რომ პირველივე ხმის ამოღებისთვის ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ. „ბრწყინვალე“ გამარჯვებას მიაღწიეს კაზაკებმა ქალაქ თბილისში. იქ ჩატარეს პროცესია მეფე ნიკოლოზის სურათით და გაიცა ბრძანება, რათა გიმნაზიელებს ქუდები მოეხადათ, გიმნაზიელთა უარს კაზაკებმა ტყვიებით უპასუხეს, ორი დღე გრძელდებოდა ცემა-ტყება. პირველი გამარჯვება მეფის ბაშიბუზუკებზე გურიაში მოხდა, იქ ქოფაკები ორასამდე გაულიტეს. ქუთაისი იარაღდება, ქუჩებში მხოლოდ მარსელიოზას ხმები გაისმის. აქაც მღეროდნენ „თქვენ მსხვერპლად დაეცით“, როდესაც ტრუბეცკოისა და თბილისელი მუშების დაღუპვის გამო პანაშვიდი ჩატარდა¹.

თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა დახოცამ უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ახალგაზრდობაზე, გამჭვალა იგი

¹ ლ. მაიაკოვსკაია. ვლადიმერ მაიაკოვსკას, ბაგრატიონი, კრებული — „მაიაკოვსკი საქართველოში“, „ზარბაზოსტოკა“, 1936, გვ. 91-92.

თვითმშეყრობელობისადმი ზიზლით და დიდად გამარევოლუციონერებელი გავლენა იქონია არა მარტო მოსწავლეებზე, არამედ მოსახლეობის ყველა ფენაზე.

პოეტის განცდება 1905 წლის რევოლუციის დროს მშვენივრადა გადმოცემული მის „ავტობიოგრაფიაში“ და ცნობილ ლექსში „ვლადიკავკავი — თბილისი“ (1924 წ.). ვ. მაიაკოვსკის იმდროინდელი განწყობილებისა და პოლიტიკური პოზიციის გაგებისათვის უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი ძალზე ახლოს იყო ქუთაისში დაბანაკებული კურინსკის პოლკის ჯარისკაცებთან, რომლებსაც ანტითვითმშეყრობელურ ლიტერატურას აწვდიდა და აქტიურად ეხმარებოდა სააგიტაციო ფურცლების გავრცელებაში. ეს შემთხვევითი არ იყო: რუს ჯარისკაცებზე ვერც ერთი ქუთათური ქართველის სიტყვა ისე ვერ იმოქმედებდა, როგორც „შმინდარუსისა“ და, ეტყობა, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებთანაც ვ. მაიაკოვსკი საქმიან პოლიტიკურ კავშირში იყო, შეგნებულად და გამიზნულად იყენებდნენ ახალგაზრდადა რუს გიმნაზიისტს. ეს საკითხი მეტ კვლევასა და ჩაღრმავებას მოითხოვს. პოეტის დის, ლ.

მაიაკოვსკაიას მოწმობით, ამ ტრანსლიტერაციის ვ. მაიაკოვსკი უაღრესად დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინტერესს იჩენდა მოვლენებისადმი (რუსეთ-იაპონიის ომი, „სის- ხლიანი კვირა“, პორტ-არტურის დაცემა). იგი აშეარად იდგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რევოლუციურ პოზიციებზე.



თ ე რ ა რ ი ი ს

პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი

დინამიურობის სეპითხის პოვის პ რ ე ზ ი ა შ ი

△ △

აკაკი ვასაძე

▽ ▽

დინამიურობა მუსიკური
ჰელოვნების ყველა დარგის
ერთ-ერთი უძირითადესი დამა-
ხასიათებელი თვისებაა. რა თქმა
უნდა, დინამიურობა, როგორც
შინაგანი ენერგიის გამოვლინება,

პლასტიკური ხელოვნების დარგე-
ბისათვისაც უმთავრეს დამახასია-
თებელ თვისებას წარმოადგენს,
მაგრამ ამ შემთხვევაში დინამიუ-
რობის ცნებით ჩვენ აღვნიშნავთ
ხელოვნების ნიმუშთა არა შინა-
გან ენერგიას, არამედ გარევან
ქმედითობას ანუ გარე გნუ-
ლად დროში გამოვლე-
ნილი განვითარების ის
ფორმას. ეს არის მხატვრული
ნაწარმოების დინამიური გამოვ-
ლენის ის ფორმა, რომელიც განა-
პირობებს მუსიკური ხელოვნების
ნაწარმოებთა თანდათანიბით აღ-
ქმას, მაშინ, როცა პლასტიკური
ხელოვნების ყოველი ნიმუშა
ერთბაშად აღიქმება.

პოეზიის დინამიურობა — ეს
უაღრესად ძველი და, იმავდროს,
მარად ახალი საკითხია, რომელ-
საც ყოველი ეპოქისა და თაობის
პოეტმა უნდა მიაქციოს ყურად-
ღება და რომლის მოთხოვნებს
ნებით თუ უნებლიერ, თავისი შე-
მოქმედებით უნდა დაემორჩი-
ლოს. პოეზიის სფეროში დინამი-
ურობის მოთხოვნილებათა უგუ-
ლებელყოფა უცილობელ მარცხს
უქაღის პოეტს, რაღაც ამ თვისე-
ბის გარეშე იგი დგება მის მიერ
ამორჩეული ხელოვნების დარგის,
კერძოდ — პოეზიის საზღვრებს
მიღმა და იჭრება მხატვრობის

სფეროში. მაგრამ ამ სფეროშიც მას მარცხი ელოდება, რადგან მხატვრული ტილოს შესაქმნელად იგი უწინდებურად გამოიყენებს არა „ბუნებრივ“ ნიშნებს (რითაც სარგებლობენ მხატვრები), არამედ ისევ „ხელოვნურ ნიშნებს“ ანუ სიტყვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანიდან დღემდე ბევრი მოაზროვნე, მწერალი თუ მხატვრი იმდენად აახლოვებდა პოეზიისა და მხატვრობის შემოქმედებით პრინციპებს, რომ მათ შორის ზღვარს თითქმის შლიდა. „დე, მხატვარი იყოს პოეტი!“ — ასე იწყებდა დიუფრენუა თავის გალექსილ ტრაქტატს „De arte graphicā!“. განსაკუთრებით კლასიციზმის თეორეტიკოსები (რომლებიც ლიტერატურას ხელოვნების სფეროში უპირველეს და უმაღლეს დარგად თვლიდნენ), ქადაგებდნენ იმას, რომ მხატვრობა უნდა გასწორებოდა ლიტერატურის მწერვალთა სიმაღლეებს. ლიტერატურის დონემდე უნდა ამაღლებულიყო. ამიტომაც, კლასიციზმის თეორეტიკოსები უპირატესობას აკუთვნებდნენ „სიუჟეტს“ მხატვრული სურათისა, რომელიც ლიტერატურული ნაწარმოების მსგავსად უნდა ყოფილიყო გაზრებული და თხრობი-

თი ამბავი უნდა გადმოეცა. ხოლო კოლორიტს, ფერებს და მხატვრული სურათის სხვა კომპონენტებს ისინი აბუჩად იგდებდნენ და მეორეხარისხოვან მოვლენად, ხელოსნურ სამუშაოდ თვლიდნენ. მე-18 საუკუნის დასაწყისში დიუბომ თავის ტრაქტატს — „კრიტიკული მოსაზრებანი პოეზიასა და მხატვრობაზე“ ეპიგრაფად წარუმდლვარა პორაციუსის სიტყვები: „ut pictura poesis“. უფრო მოგვიანებით, ბატე ამტკიცებდა, რომ პოეზიისა და მხატვრობის ურთიერთკავშირი იმდენად მყარი და განუყოფელია, რომ მათი (პოეზიისა და მხატვრობის) დახასიათება შესაძლებელია ერთი კუთხით, ერთი პრინციპით, ერთობლივად ხდებოდეს; რომ განსხვავება ხელოვნების ამ ორი დარგის დახასიათებისას მხოლოდ იმით გამოისახება, რომ პირველ შემთხვევაში ჩვენ ვისარგებლებთ ცნებებით — „პოეზია“, „ფაზულა“, „ლექსთწყობა“, ხოლო მეორე შემთხვევაში ცნებებით — „მხატვრობა“, „ფერი“, „ხაზი“ და სხვ.

... სიმონიდეს აქვს ამგვარი ანტიოქეა: მხატვრობა — ეს უმეტყველო პოეზია, ხოლო პოეზია — ამეტყველებული მხატვრობა.

მართლაც, მხატვრობასა და პოეზიას (ჩოგორუც შემოქმედებას და შემოქმედების პროფექტს) შინაგანი დ ბევრი რამ აქვთ საერთო. ჩვენ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ პოეტისა და მხატვრის შემოქმედებითი პროცესის ზოგიერთ საფეხურს შორისაც; მხატვრობა და პოეზია შინაგანად იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რამდენადაც ხელოვნების ყოველი დარგი ახლოა ერთმანეთთან. კეშარიტი ხელოვნების ყოველი გვარი იმით უკავშირდება ერთმანეთს, რომ მათ საწყისში ძეგლს საერთო შემოქმედებითი საფუძველი, — საფუძველი შთაგონებისა, ფანტაზიისა და სამყაროს მეტაფორული ხილვისა. დ. რეინოლდსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ხელოვნების პრინციპები ამოსავალ წერტილს პოულობენ უმაღლეს გონიერაში, შემოქმედებითს ნიჭი და სწორედ იგი წარმოადგენს ხელოვნების საფუძველს.

მაგრამ ხელოვნების გვართა სემიოტიკური პრინციპით შესრულებულ კლასიფიკაციაში აღნიშნული სხვაობის გარდა (კერძოდ, რომ მხატვრობა გამოიყენებს ბუნებრივ ნიშნებს, ხოლო პოეზია — „ხელოვნურ ნიშნებს“), არსებობს სხვაობა უფრო პრინციპული, თვით შემოქმედებითი პროცესის

თვალსაზრისით. ეს სხვაობა მდგომარეობს პოეზიისა და მხატვრობის ასახვის ობიექტთა სხვადასხვაობაში. პოეზის ობიექტი სულ სხვაა, მხატვრობის კიდევ — სულ სხვა. განსხვავდება მხატვრობისა და პოეტის მიერ იღების (ჩანაფიქრის, სახის) ობიექტივაციის პროცესიც. მხატვრები, რომლებიც ამ სხვაობას უგულებელყოფენ, ცდილობენ მხატვრობაში შეიტანონ პოეტური გამოსახვის წესები; ხოლო ზოგი მწერალი ცდილობს, პოეზიას მხატვრობის პრინციპები შეუსაბამოს. ასეთმა მწერლებმა პოეზიაში დამკვიდრეს მხატვრობისათვის დამახასიათებელი მიღრეკილება აღწერილობისადმი, ხოლო მხატვრებმა ფერწერაში შემოიტანეს პოეზიისთვის დამახასიათებელი მიღრეკილება ამბის გადმოცემისადმი და ზედმიწევნით მეტაფორული აზროვნება. ზოგი ამას ნებით, წინასწარგანხრახულად აკეთებდა, ზოგიც — უნებურად. და ორივე შემთხვევაში ისინი ივიწყებდნენ, რომ მხატვრობა — ეს არის საგანთა სივრცისეული განლაგება, ხოლო პოეზია — მოვლენათა თანამიმდევრობა ღროში. ივიწყებდნენ. რომ მხატვრობის ობიექტი არის საგანში გამყარებული (დანახული, გამოცხადებული) მოვლენა (მოვლენა საგანში),

პოლო პოეზიის ობიექტი კი არის მოვლენა და მოვლენაში აძრული საგანი (საგანი მოვლენაში). ფერწერაში ხომ საგნები სივრცისეულად, ერთომეორის გვერდით არიან განლაგებული და მათ უწოდებენ სხეულებს. პოეზიაში კი საგნები განლაგებულია ერთომეორის მიყოლებით და მათ მოვლენებს უწოდებენ. მაშასადამე, პოეზიის ობიექტია მოვლენა.

პოეზიაში სხეულებიც აისახება, მაგრამ აისახება მოქმედებაში ანუ მათ განვითარებად დადგინდა-ჩა-ჩამოყალიბებაში. პოეტი სხეულებს აღიქვამს და გადმოსცემს როგორც მოძრავ, განვითარებად ელემენტებს.

ლესინგი აღნიშნავს, რომ პომეროსი არაფერს არ აღწერს იმ მოვლენათა, იმ მოქმედებათა გარდა, რომლებიც განსაზღვრულ დროში ერთომეორებს ენაცვლებიან. მაგალითად, როდესაც პომეროსს სურს აგამერნის სამოსის აღწერა, იგი აიძულებს გმირს თანმიმდევრულად ჩაიცვას ტანსაცმელი.

პოეზიამ ყველაფერი უნდა გამოხატოს დროით თანმიმდევრობაში. და მართლაც, თუ დაუკვირდებით ყოველ ნამდვილ პოეტურ ხელოვნებას, დავრწმუნდებით, რომ იგი სწორედ ამ „დროში თანმიმდევრული განვითარე-

ბის“ პრინციპს ემყარება. გავიხსენოთ, თუნდაც, ბარათაშვილის „მერანი“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ“, აკავის „განთიადი“, ვაჟას „ფშაველი ჭარისკაცის წერილი“ გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და „მე და ღმე“, ან გასაანალიზებულ უფრო მარტივი, უფრო აშკარად გამომავლინებელი ამ პრინციპისა — გალაკტიონის ლექსი „მერი“.

საგნების ბრწყინვალედ აღწერის გარდა, ამ ლექსში, როგორც ადვილად შეიმჩნევა, მოცემულია ლირიკული გმირის — ლექსში განსხეულებული და გარდასახული პოეტის პოეტური „მეს“ მოქმედების სრული სურათი დასაწყისიდან დაბოლოებამდე: ა) ლირიკული გმირი დგას და უყურებს ჯვარისწერას, ბ) მის მიერ აღქმა ამ ჯვარისწერისა, გ) გასვლა ტაძრიდან, გ) მისვლა სატრაფოს სახლთან, ე) უნუგეშობა სიმარტივისა (მე აქ ლექსში გადმოცემული მოვლენის განვითარების მხოლოდ ძირითადი პუნქტები აღნიშნე).

ამგვარად, პოეზიის ობიექტს წარმოადგენს მოვლენა. თუ პოეტმა განიზრახა ემპირიულად არსებული საგნების აღწერა ისე, როგორადაც ისინი სამყაროში

სივრცისეულად არიან განლაგებული, დაირღვევა ის ილუზია აღმოცენებისა და დასრულებისა, (დაწყებისა და დაბოლოებისა), რომლის შექმნაც პოეტის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. ეს ილუზია დაირღვევა უკან იმითაც, რომ ბუნებაში მყოფ საგანთა სივრცეული განლაგება დაუპირისპირდება მეტყველებისას სიტყვათა განლაგებას დროში (მხატვარი ხომ გვიჩვენებს, მაშინ, როცა მწერალი გვეუპნება, გვიყვება, გვიმხელს).

პორაციუსი ამბობს: ორდესაც პოეტს სათქმელი აღარ რჩება, იგი ტყეების, ნაყადულების, მდელოებისა და ცისარტყელების სურათოვან აღწერას იშვებსო. მომწიფების ხანაში ალ. პოპი ცინიკურად აფასებდა ადრინდელი პერიოდის თავისავე პოემებს და აცხადებდა: ვისაც სურს ჭეშმარიტი პოეტის სახელს ატარებდეს, საგანთა აღწერილობაზე უარი უნდა თქვასო. ლესინგი კი თავის „ლაოკოონში“ წერდა: ერთი-მეორის მიყოლებით ჩამოთვლა სხევალასხვა დეტალებისა და საგნებისა, რომოგბიც სინამდვილეში მთლიანი სახით აღიქმება, — იმგვარი შეხიდულება, თთოწოს ასეთი გზით მკობრეოს განსაზოგრული საგნის ნათელი ოცოცხალი სურათი წარმოუდგება. —

ნიშნავს პოეტის მიერ მხატვრობის სფეროში შეჭრას და მის მიერ საკუთარი ფანტაზიის უსარვებლოდ გაფანტვას...“

ზოგმა წინარე თქმული იქნება ისე გაიგოს, თოთქოს პოეზიაში არ უნდა იყოს დახატული სურათი.

პოეტი უნდა ხატავდეს სურათსაც, ოლონდ ხატავდეს არა ფერწერის მეთოდით, არამედ პოეტური მეტყველებით, სახეობრივად. პოეზია სურათოვნებას არ გამორიცხავს, პოეზია ეს ხომ სახეებით აზროვნებაა და პოეტი მხოლოდ აზრის გაღმოცემას რომ შეუდგეს, ან მხოლოდ მოვლენებას და მოქმედებებზე რომ გვიყვებოდეს ამ მოვლენათა შეფასებისა და მოქმედებაში გარდატეხილი საგნების მხატვრული ხილვის გარეშე, — ამგვარი პოეტი უბრალო მოლაყბედ მოვვევლინებოდა და მისი ლაყბობაც ფრიად მომახეზრებელი გამოდგებოდა.

პოეზიის ობიექტად მოვლენის ძლიარება სრულიადაც არ გამორიცხავს პოეტის მიერ საგნების მხატვრული გადმოცემის ხერხებს. პოეტს საგანთა მხატვრული დანახებისა და საგანთა მხატვრული ასახვის ნიში რომ მოვალოო პოეზია უბარტუკი რამ იქნებოდა. ოლონდ, პოეტის მიერ საგნის „აღწერა“ უნდა განსხვავდებო-

**დღეს მხატვრის მიერ საგნის „აღ-
წერისაგან“.**

პომერისი შეძლებისდაგარად
 ყოველთვის გაურბის სხეულის
 სილაპაზის საგნობრივ აღწერას
 და ელენეს პორტრეტის შექმნი-
 სას იშველიებს ერთადერთ დე-
 ტალს, რომ მას ჰქონდა თეთრი
 ხელები და უშვენიერესი ფაფუკი
 თმა. მაგრამ ელენეს სილაპაზის
 ამგვარი საგნობრივი აღწერის
 შთაბეჭდილებას აღმატება ის
 შთაბეჭდილება, რომელსაც პოე-
 ტი ახდენს მყითხველზე ქალაქ
 ტრიას წარმომადგენელთა სიტყ-
 ვებით, როდესაც მათ წინაშე
 შშვენიერი ელენე წარსდგება.
 ისინი ვერ დააღანაშაულებენ
 ტრიას შვილებსა და ქაველებს,
 რომ ელენეს გულისთვის ამდენი
 უბედურება და ტანჯვა გადახდათ
 თავს, რადგან: „მართლაც უკვდავ
 ღმერთქალთა დარია მისი შშვე-
 ნება!“.

განა შეიძლებოდა მეტი სრულ-
 ყოფილებითა და სიძლიერით
 ელენეს შშვენიერების გადმოცე-
 მა, თუ არა ვნებაგამოცლილ და
 ქალის სილაპაზით მაინც მოჯაღო-
 ებულ უხუცესთა აღტაცებით?!
 ან კი რა გამოვიდოდა, პომერისს
 რომ დაეწყო ელენეს შშვენიერე-
 ბის საგნობრივად ჰედანტური გა-
 მოსახვა, სიტყვებით მისი „დახა-
 ტვა“? რისი აღწერაც დანაწევრე-

ბულად, სიტყვების მეშვეობით
 შეუძლებელია (და, რაც უფრო
 ხელმისაწვდომია მხატვრის ფუნ-
 გისათვის), პომერისმა პერსონაჟ-
 თა ემოციის გამოსახვის ზემოქმე-
 დებით შთაგვინერგა. ამგვარად,
 პოეტმა უმთავრესად უნდა გად-
 მოგვცეს ის აღტაცება, კმაყოფი-
 ლება, სწრაფვა და სიყვარული,
 რომელსაც მასში მშვენიერება
 გამოიწვევს (საგნობრივი დეტა-
 ლები მხოლოდ დამხმარე ძალას
 წარმოაღენენ ამ შემთხვევაში),
 ამით კი იგი უკვე თვით მშვენიე-
 რებას დაგვიხატავს.

სწორედ ამიტომაც არის პოე-
 ზისათვის დამახასიათებელი ძი-
 რითადი თვისება—დინამიზმი.

ამასჭან დაკავშირებით შეუძ-
 ლებელია არ გავიხსენოთ გალაკ-
 ტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინ-
 დას“. ეს ლექსი უტყუარად და
 აშკარად ასაბუთებს იმ ძევლი და,
 იმავ ღრის, მარად ახალი დებუ-
 ლების სისწორეს, რომ პოეზიაში
 საჭიროა საგნის არა სხეულებრი-
 ვი აღწერა, არამედ გამოხატვა იმ
 ემოციისა, რომელსაც შენში გან-
 საზღვრული საგნის ხილვა გამო-
 იწვევს. გალაკტიონმა ეს ლექსი
 ისტორიულ ძეგლს — ნიკორ-
 წმინდას უძღვნა. მაგრამ მან ხელი
 არ მიჰყო მისი გუმბათის, კედლე-

ბისა თუ ჩუქურთმების აღწერას. უპირველეს ყოვლისა, მან გამოს-თქვა ის განცდა, ის ფიქრი, ის გრძნობა და განწყობა, რაც პო-ეტში ამ „საგნის“ ხილვამ და აღ-ქმამ დაპატიჟა. ოვით საგნის დე-ტალები აქა-იქ ისტატურად არის საჭიროებისამებრ ჩასმული. ლექ-სის წაკითხვის შემდეგ კი იმგვარი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მასში ნიკორწმინდის სრული სუ-რათია მოცემული, თითქოს პოეტს დეტალურად აღუწერია მისი ყო-ველი ნაწილი და მთლიანი სახით წარმოუდგენია. ლექსში წინა პლანზე წამოწეულია განცდა, ემოცია, ფიქრის წიაღსვლა. მას-ში ჩვენ აღვიქვამთ პოეტს, რო-მელიც გრძნობს, განცვრეტს საგ-ნის მშვენიერებას, გვაწვლის მის არსებით მხარეებს; რომელიც გა-ნიცდის საგნის არსებობას, რო-გორც მოვლენას, და გვიმხელს განცდილს.

თანამედროვე პოეზიის ნიშან-დღის მონაცემი არის, რომ იყი ადამიანის სულიერ განცდებს (და არა მარტო სულიერ განც-დებს. არამედ ბუნების სურათებ-საც) მეტი უშუალობით, მეტი სუბიექტურობით გადმოსცემს. თანამედროვე ლექსში თვით წარ-სულის შთაბეჭდილებები გვევლი-ნება არა ოდესლაც ნანახი სურა-

თების განწყობილებით, არამედ უშუალოდ მოქმედი განცდით. თანამედროვე პოეტი ლექსში უბ-რალოდ კი არ იჩსენებს რაიმე წარსულ მოვლენას და გვიმხელს არა ოდესლაც შეძენილ გამოცდი-ლებას, არამედ ლექსში აცოცხ-ლებს წარსულს და გვიმხელს უკ-ვე აწყობში გამოცდილების შე-ძენის პროცესს, აწყობში აღმო-ცენებულ განცდას და ცოდნას წარსულში მომხდარი მოვლენის საფუძველზე. თანამედროვე პოე-ტებისათვის ნიშანდღის გად-მოცემა იმისა, თუ რას გრძნობს პოეტი ახლა, უშუალოდ ახლა რა ხდება მის სულში, მის არსე-ბაში და მის გარშემო.

სამაგალითოდ, გვიხსენოთ ოთარ ჭილაძის ლექსი „მარინა“:

მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ:
 ჩვენს შორის მოვლი წელი ცკვე,
 ქუჩაში ქალი დას და არიგებს
 უჩინარ ეყვენებს, ზარებს და ბუკებს...

ლექსის დასაწყისი იმის გასავე-ბად გვამზადებს, რაც ერთი წლის წინათ მომხდარა ლირიკული გმი-რის ცხოვრებაში, ამგვარად, ლექ-სში თითქოს წარსულზე უნდა წარმართულიყო საუბარი. მასში ისახულია კიდეც წარსულში მომხ-დარი ამბის რეალური დეტალე-ბი, ურომლისოდაც ლექსი „ცა-რიელი“, უსიცოცხლო, არაკონკ-

ჭუტული იქნებოდა: „და ყველა-ფერი გათავდა მერე, სულ უმნი-შვნელო ყოფილის მერე“, „და დილით, როცა ფანჯრებს ვაღებ-დი, მოჩანდა, როგორ მოჰქონდათ ბავშვებს თოვლის ბრძევიალა ბაი-რალები“, „მე კიდევ მთვლიდნენ ოჯახის წევრად, მე კი ქუჩებში ვეძებდი საშველს“, „მარინა! შე-ნი ძებნით დაღლილი ვწვებოდი თოვლში და გიხსენებდი...“

წარსულის ეს დეტალები ლო-გიურად, კანონზომიერად შექ-მნილ განწყობილებას აღუძრავს მკითხველს. მაგრამ ეს დეტალები ლექსში არ ეკუთვნის მხოლოდ წარსულს. ლექსში ისინი მოქმე-დებენ, აწმყოს მძაფრი განცდით. წარსულის დეტალთა რეალობა მდგომარეობს არა წარსულის გახ-სენების სიზუსტეში, არამედ აწ-მყოში განცდისა და გრძნობის სიმძაფრის გულწრფელობაში. სწორედ ეს განაპირობებს ლექს-ში გამოსახულ საგანთა და მოვ-ლენათა მეტაფორულობას. აქ მე-ტაფორა არის არა თვითმიზანი, არამედ დეტალის ასახვისა და განწყობის გადმოცემის პოეტუ-რი საშუალება. და, ის ასე, თან-დათანობით, ჩვენ გვეძლევა მოვ-ლენა არა წარსულში, არამედ აწ-მყოში. თუმცა, ისიც უნდა ითქ-ვას, რომ ლირიკაში გარდასული განცდა ალბათ არ არსებობს; ლი-

რიკაში ყველაფერი აწმყოში ხდე-ბა. ცუდია, როდესაც პოეტი უბ-რალოდ გვიმხელს იმას, თუ რა მომხიბლელი გრძნობა ჰქონდა მას ერთი ან ათი წლის წინათ: პოეტმა უნდა გაგვიმხილოს, თუ რა მომხიბლელი გრძნობა აქვს ახლა, აწმყოში, იმიტომ, რომ წარ-სულში ასეთი და ასეთი გრძნობა ჰქონდა.

პოეტი მისგან უაღრესად და-შორებულ მოვლენასაც აწმყოს განცდების სფეროში მოამ-წევდევს და ისე ჰქმნის ლექსს. იმავ ო. ჭილაძის ლექსების ციტ-ლი „სამრეკლოების მღუმარე ჩრდილში“ ვერაფრით შეძრავდა მკითხველს, მასში მხოლოდ ის ფაქტი რომ ყოთილიყო გადმოცე-მული (მოვლენა წარსულში), რომ პირენეიზე, ესპანეთში, მზის ქვეყანაში ჯალაომა პოეტი მოკელა და მერე, თავისი ცოდვილი ხე-ლით ცოლსა და შვილებს სისხ-ლით ნაყიდი პური მიუტანა. ეს პოეტური სახე სიმძაფრეს მოკლებული იქნებოდა, რომ თვით პოეტში (და შემდგომ მკით-ხველში) არ აღძრულიყო აწმყოს განცდა. ამ ფაქტს, ამ მოვლენას სწორედ აწმყოს განცდა აცოცხ-ლებს და მძაფრად წარმოასახვი-ნებს ჯალათსაც და სასიკვდი-

ლოდ განშირულ პოეტსაც. სწორედ აწმყოს განცდა ანზოგადებს ესპანეთში მომხდარ კონკრეტულ ფაქტს და ჩაგვათიქრებს იმაზე, რომ არამარტო ესპანეთში, არამედ კიდევ რამდენ ქვეყანაში არსებობენ ასეთი ჭალათები და პოეტები, კიდევ რამდენ ჭალათს მიაქვს შინ თავისი სისხლიანი ხელით პური... და ამიტომ არის ეს ციკლი ლექსებისა მოქმედი, მხატვრულად ზემოქმედი, ღინამიური. ო. ჭილაძის, როგორც პოეტის, მხატვრული განცდა იმდენად მძაფრი იყო, რომ წარსულში მომხდარ ფაქტზე იგი აწმყო ღროით მსჯელობს, —წარსულში მომხდარი მოვლენა თითქოს მის თვალშინ ხდებოდეს, იგი თითქოს რეალურად (ცხადში!) ხედავდეს იმ პოეტსაც, იმ ჭალათსაც და ასე მინართავს ჭალათის ცოლ-შვილს:

„ტყუილად რეცხავ, ჭალათის ცოლო! არ მოშორდება შენს ჭურჭელს სისხლის ლაქები!“ და: „ტყუილად ბრაზობ, ჭალათის შვილო, როცა ტოლები გერიდებიან, როგორც კეთროვანს!“.

წარსული იმდენად არის მოქმედი, რამდენადაც იგი აწმყოში არსებობს; წარსული იმდენად არის ცოცხალი, რამდენადაც მას აწმყოთ განვიცდით.

აი, აქ ჩვენ, უნებურად, მიღუახლოვდით ერთ მთავარ მომენტს

ღინამიურობის საკითხისა. კერძოდ იმას, რომ ლექსის ღინამიურობა იქმნება არამარტო ამბის ღროში თანდათანობითი განვითარების წყალობით, არამედ განცდის სიმძაფრითაც, ამბის განვითარება ლექსს ანიჭებს ღინამიურ სახეს, ხოლო თვით ამბავს — გრძნობა და განცდა ანიჭებს ღინამიური განვითარების უნარის სწორედ გრძნობა და განცდა აცოცხლებს წარსულის ამა თუ იმ შოვლენას მხატვრულ ნაწარმოებში, სწორედ გრძნობა და განცდა გარდააქცევს მხატვრულ ნაწარმოებში წარსულს აწმყოდ.

სწორედ პოეტის აწმყო გრძნობისა და ემოციის მეშვეობით ა. წერეთლის „ოორნიკე ერისთავი“, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, ი. ჭავჭავაძის „მეცედიმიტრი თავდადებული“ ქმნიან არამარტო წარსულის სურათებს, გვათავრნებინებენ არამარტო წარსულში მომხდარ მოვლენებსა და წარსულში არსებულ განწყობას, არამედ გადიქცევან აწმყოზე დაფიქრების სტიმულადაც. წარსულ მოვლენაზე წერისას პოეტი მარტო წარსულში კი არ „ასდადის“, არამედ შთავრნების მეშვეობით წარსული აწმყოში „ადმოაშეს“. ყოველი წარსულის მოვლენაზე აგებული პოეტური

ჭმილება არის ცარიელი, თუ იგი არ შეიცავს აწმყო განცდას.

თანამედროვე ლექსის დინამიურობა — ეს ზედაპირული, ფორმალური თვისება არ არის, იგი გამომდინარეობს ლექსის სიუჟეტური აგებულებიდან, მისი შინაგანი სტრუქტურიდან, მეტაფორული აზროვნების გამძაფრებიდან. თანამედროვე ლექსისთვის, ძირითადად, სიუჟეტის გარევნული განვითარების კონკრეტიზაცია არ არის დამახასიათებელი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ თანამედროვე ლექსში საგრძნობლად გაიზარდა დატალის ფუნქცია, ფსიქოლოგიური ნიუანსის ფუნქცია, მეტაფორის ფუნქცია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ლექსში მოიშალა „ამბის“ მნიშვნელობა, დაეცა „ამბის“ ღირებულება. „ამბის“ გარეშე ლექსი არ არსებობს. ამბის ცნებაში ვგულისხმობთ კონკრეტულ სათქმელს, მოვლენის ფორმალურ გამოსახულებას. საქმე ისაა, რომ თვითონ ამბავიც სულ სხვაგვარად ვითარდება თანამედროვე ლექსში. მისი კომპოზიცია გართულდა, უფრო კომპაქტურიც და კომპლექსურიც გახდა, უფრო დაიტვირთა მრავალფეროვანი ემოციური შინაარსით, ქვეტექსტით და მძაფრად გამოკვეთილი განწყობით. ამბის ღირებულება არც არასოდეს დაე-

ცემა პოეზიაში, რადგან უიმისოდ ლექსს აღარ ექნება დინამიური, განვითარებადი სახე. უიმისოდ ლექსს დაეკისრება ფუნქცია ჩვენებისა და არა — თქმისა.

მოვლენათა დინამიური გადმოცემის შინაგანი ლტოლვა პოეზიაში განაპირობებს ბუნების სურათთა ხატვის ხერხებსაც.

პოეტები დასაბამიდან გამოიყენებდნენ ბუნების სურათებს საკუთარ განწყობილებათა და გარე სამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულების გაღმოსაცემად. როდესაც ბუნება პოეტის შთაგონების წყაროდ იქცევა, იგი ლექსში ცოცხლდება სიმბოლოს სახით. მაგრამ ზოგიერთი პოეტი ზეღმეტად აფასებდა ხოლმე ბუნების სურათთა ხატვის მნიშვნელობას პოეზიაში. ასე მაგალითად, ფრანგმა პარასელებმა სცადეს შეექმნათ წმინდა პეიზაჟური ლირიკა, რომელშიც მთავარი როლი მიეკუთვნებოდა ბუნების სურათთა ოღწერას. ამგვარი ლირიკა დღეისთვის სრულიად უცხოა. ბუნება, ბუნების სურათი ლირიკულ ნაწარმოებში უნდა იყოს არა თვითმიზანი, არამედ პოეტის შინაგანი სათქმელის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება, ლირიკული თემის განვითარების ერთ-ერთი კომპო-

ნერტი. სიმონ ჩიქოვანის სიტყვებით, რომ გამოვხატოთ, პოეტისთვის ბუნება უნდა წარმოადგენდეს იმ ვადოსნურ სარკეს, როელიც ასახავს მისსავე სულსა და ხასიათს, რომელიც საკუთარ თავს დაანახებს პოეტს.

ლექსში იცვლება ბუნების სურათის ემპირიულად არსებობის მნიშვნელობა და დანიშნულება, რადგან იგი სუბიექტის (პოეტის) სულიერი წიაღსვლის, სუბიექტის განწყობისა და განცდის პრიზმაშია გარდატეხილი. ლექსში ბუნების სურათს ეკარგება თავისოთავადი მნიშვნელობა, რადგან იგი აქ წარმოადგენს იმ „მოვლენის“ ერთ-ერთ კომპონენტს, რომელსაც პოეტი გამოხატავს. და ლექსში მას უკვე მხოლოდ იმდენად ენიჭება არსებობის მნიშვნელობა, რამდენადაც იგი მოვლენის, გამონაგონის შემაღენელი ნაწილია. ამიტომაც, ბუნების ყოველ სურათს თანამედროვე ლექსში ემოციურად გამოკვეთილი ქვეტექსტი აქვს და პოეტი არ იჩქმალება საგნების მიღმა.

ბუნების სურათი თანამედროვე ლიტიკში არის მოცემული როგორც შემოქმედის ერთეული, როგორც „შემასმენელი“ და არა—როგორც „არსებითი სახელი“. იგი გამოყენებულია როგორც ემოციური ზემოქმედების

საშუალება, როგორც წინადადების უცილებელი წევრი, ურომლისოდაც წინადადება დაირღვევა და გაუგებარი გახდება. თანა-შედროვე ლექსში ბუნების სურათთა ემოციურობას განსაზღვრავს პოეტური ხილვის უაღრესად მეტაფორული ხასიათიც და, რაც მთავარია, პოეტური განწყობა.

სიმონ ჩიქოვანის ლექსის „მხე-სუმზირების“ პირველად წაკითხვისას, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, თითქოს იგი მთლიანად გარემოს, ბუნების „ხატვაზეა“ აგებული. აი ამ ლექსის რეალიები: ომის დროს დაცარიელებული სოფელი, მოუმცელი ყანა, მომპალი ჩალის ძირები, წელში მოხრილი მხესუმზირები და გზაზე გზირებად აღმართული ჭადრები... ლექსში მოქმედების განვითარება თითქოს არ შეიმჩნევა. მასში თითქოს არაფერი ხდება ისეთი, რასაც ჰქონდეს თავისი დასაწყისი და დასასრული. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით ამ ლექსს, ვირ ვიტყვით, რომ იგი თითქოს მხოლოდ ბუნების აღმწერ ეტიოზს წარმოადგენდეს. რადგან მასში მიზნად არის დასახული არა ბუნების სურათის დასატვა, არამერ პოეტის სულიერი შდგომარეობის. მისი დაფიქრების გადმოვიდა. ლექსში გამხელილა მოვლენა ასეთია: ომის დროს,

როდესაც გარემო „სიკვდილის პირს მიღწეულს“ ჰგავს და როდესაც გლეხი მოცილებულია მიწას, ჯანღსა და ბურუშში პოეტი მაინც გამსჭვრეტს ცაზე სამშობლოს სამარადფამო არსებობის მშობლიურ მზეს.

ლექსს დინამიურობის ელემენტს ანიჭებს თვით პოეტის ფიგურა, მისი განწყობა და მისი ფიგრი. პოეტი თვითი პიროვნული სხიოთ არა ჩანს, მაგრამ იგი შეჭრილია გარე სამყაროში მყოფ საგნებში, თვით ბუნების ფერებსა და მოვლენებში, ამიტომაც, ბუნება იმ ლექსში წარმოგვიდგება, არა საგნობრივად, არამედ—მოვლენის სახით, ამიტომაც, ბუნება აქ ამეტყველებულია და სუბიექტის თვისებები აქეს მინიჭებული. ბუნება აქ არა უძრავი, არამედ მოქმედი ელემენტია: ყანა კი არ შრიალებს, არამედ „უნდა და ველარ შრიალებს ყანა“, მზესუმზირები „წელში არიან მოხრილნი“, მათი მარცვლები კი არ ითანტება, არამედ „მზეზე ფანტავენ ყავის-ფერ მარცვლებს... მზესუმზირები“ და, რაც მთავარია, ისინი „მზეს არ უმზერენ“. ბუნების სურათთა და საგანთა ასეთი განპიროვნების გზით, სიმონ ჩიქოვანია ლექსის ობიექტად დასახა არა ბუნების სურათი, არამედ გარკვეული მოვლენა — მისივე

გრძნობა, ფიქრი, განწყობა, და მძაფრად ემოციური, მეტაფორული ხერხებით გადმოგვცა იგი.

დინამიურობის საკითხის განხილვისას, ჩვენ ხშირად ვხმარობდით ცნებებს: „გრძნობა“, „ემოცია“, „განცდა“. როდესაც ვსაუბრობდით „ამბის“ მნიშვნელობაზე ლექსში დინამიურობის შექმნისათვის, აღვნიშნეთ ისიც, რომ ამბავი წარმოადგენს პოეტური ნაწარმოების იმ გარეგან გამოსახულებას, რომელიც ნაწარმოების დინამიურ განვითარებას უშუალოდ გაგვაცნობიერებინებს. ამბავი თვისისთავად — ეს არის გარეგანი გამოსახულება ნაწარმოების დინამიურობისა. მაგრამ რა გარდააქცევს თვით ამბავს დინამიურად განვითარებას? გრძნობა და ემოცია! ამგვარად, გრძნობა და ემოცია არის ნაწარმოების დინამიურობის შექმნელი შინაგანი ძალა.

თვით ადამიანის ფსიქიკის სფეროში გრძნობა და ემოცია წარმოადგენს ყაველაზე დინამიურ ფენომენს: სწორედ ეს განცდები ანიჭებენ ადამიანის აზროვნებას დინამიურობას. აზროვნებას სწორედ გრძნობა და ემოცია ამძაფრებს.

ასევე ხდება პოეზიის სფერო-

შიც, რადგან ხელოვნების ყოველი დარგის შემოქმედებითი ობიექტი-ვაციის პროცესში უმთავრეს როლს აზროვნება ასრულებს. რაც უფრო რაფინირებული და გამოკვეთილია გრძნობა, მით უფრო დახვეწილია ნაწარმოებში ამბის განვითარება; რაც უფრო ინტენსიურია პოეტის გრძნობა, მით უფრო მძაფრად ამოითქმება სათქმელი.

გრძნობა და, განსაკუთრებით, ემოცია წარმოადგენენ ადამიანთა ქმედების მასტიმულირებელ განცდებს, იმ განცდებს, რომლებიც აპირობებენ ჩვენს ფსიქიკაში მოქმედებისაკენ სწრაფვას. სწორედ ეს თვისება განაპირობებს

გრძნობათა და ემოციათა დინამიურობას. გრძნობას და ემოციას ახასიათებს ტენდენცია მოქმედებაში გამოხატვისა, მოქმედებაში განხორციელებისა. და თუ პრაქტიკულ ცხოვრებაში, ამ თვისების გამო, ფსიქოლოგები გრძნობას ხშირად იხილავენ როგორც ადამიანთა ქცევის მამოძრავებელ ძალას, პოეზიის სფეროში ჩვენ ივი უნდა განვიხილოთ როგორც გამხელის — ამბის გამოთქმის მამოძრავებელი ძალა.

ამგვარად, პოეტური ქმნილების ღინამიურობას განაპირობებს კანონზომიერად ავებული ამბავი და ის გრძნობა, ის ემოცია, რომლითაც პოეტი ამ ამბავს ამხელს.



რას ვთარგმნით?

როგორ ვთარგმნით?

ს რ ა ხ უ რ ი დ ა ნ

თარგმნის თაობაზე



ვანო შილაკაძე



გივრი რამაა თარგმნილი
 სომხურიდან ჩართულად და
 პირიქით — ქართულიდან სომხუ-
 რად. ამ დარგში ჯერ კიდევ წარ-
 სულში საკმაო გამოცდილება და-
 გროვდა და როგორც ქართვე-
 ლებს, ასევე სომხებს ბევრი რამ
 გვაქვს საამყარ. მაგრამ დღეს, საბ-

ჭოთა ხელისუფლების პირობებ-
 ში, ამ წყობილების არსებობის ნა-
 ხევარი საუკუნის შემდეგ, ცხალია,
 აღარ შეიძლება დავკავყოფილდეთ
 იმით, რაც წინაპრებმა შექმნეს.
 ამჯერად არც თარგმანის ხერხები
 და მეთოდები დაგვაკმაყოფილებს
 წინანდელი. ამ უბანზე ნაკლი ჯერ
 კიდევ ბევრია. და ქვემოთ ძირი-
 თაღად სწორედ მათზე შევჩერდე-
 ბით.

ცხალია, ჩვენ ვერ შევძლებთ
 მთლიანად გავაანალიზოთ სომხუ-
 რიდან თარგმნილი ოუნდაც ის
 პროდუქცია, რომელიც უკანას-
 კრელ წლებში გამოქვეყნდა, მაგ-
 რამ შევეცდებით ტიპიური ნიმუ-
 შებას განხილვით ზოგადი შთაბეჭ-
 დილება შევქმნათ ამ პროდუქ-
 ციაზე.

მაგრამ სანამ თარგმანის ნიმუ-
 შების განხილვაზე გადავიდო-
 დეთ, მოყლედ შევჩერდებით სომ-
 ხურიდან ქართულად თარგმნის
 შესაძლებლობებზე და თარგმნის
 საქმის მოწესრიგების ხელშემშ-
 ლელ პირობებზე.

თარგმნის ღროს უმთავრესია:
 კონტექსტის მიხედვით სიტყვა და
 შესიტყვება გაივო და მისი
 შესატყვისი მოძებნო მშობლიურ
 ენაში. ეს საქმე საგრძნობლად
 გააღვილდება, თუ არსებობს ლექ-

სიკონები ორივე შენთვის საჭირო ენაზე — როგორც თარგმნითი, ისე სპეციალური, სინონიმთა, იდიომატურ და ხატოვან გამოთქმათა და სხვ. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ლექსიკასთან დაკავშირებული მომენტები მაინც უფრო ადვილად დასაძლევია. უფრო რთულია გრამატიკულ წყობასთან დაკავშირებული სიძნელეები: გრამატიკულ კატეგორიებსა და ზოგჯერ ლაპირინთივით დახლართულ წინადაღებათა წყობაში გარკვევა. გარკვევით შეიძლება ითქვას: ძნელია იმ ენიდან თარგმნა, რომელსაც ბევრი აქვს ისეთი გრამატიკული კატეგორია, მთარგმნელის მშობლიურ ენაში რომ არ არის ან კიდევ ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორია არსებობდეს შეიძლება ორივე ენაში, მაგრამ მაინც დიდად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ამ კატეგორიების გამოხატვა. ასე, მაგ., პირის გრამატიკული კატეგორია სომხურსაც აქვს, რუსულსაც და ქართულსაც, მაგრამ რუსულსა და სომხურში ზმნას მარტო სუბიექტის პირის რომელობა შეუძლია აღნიშნოს, ქართულში კი ობიექტის პირის რომელობასაც აღნიშნავს. ამიტომ ქართული ზმნის ფორმა ზუსტად რომ გადავიტანოთ რუსულ ან სომხურ ენაზე, რთული

კი არა, იქნებ ზერთული წინადაღებაც დაგვჭირდეს.

ასევე: სომხურში პრევერბები არა გვაქვს. მაშასადამე, ის გრამატიკული კატეგორიები თუ მნიშვნელობანი, რის გამოხატვა ქართულში პრევერბებს აკისრია, სომხურში თითქოს ვერ უნდა გამოიხატოს. მაგრამ არც მოლად ასეა საქმე, რადგან ასპექტი სომხურში მკაფიოდ გამოიხატება სხვა საშუალებით (ფუძით). რაც შეეხება გეზსა და ორიენტაციას, ვერ გამოიხატება კონტექსტის მოშველიების გარეშე, ხოლო ახალი სიტყვების საწარმოებლად ახალი ფუძეები გამოიყენება: წასვლა—ყნალ (გნალ), მოს-ვლა — ჭალ (გალ), შეს-ვლა — მონხლ (მტნელ), ჩამო-სვლა — ჩგნხლ (იჩნელ—იშერება: იგნელ), გადასვლა — ანგნხლ (ანცნელ) და სხვ. ქართული ზმნის აქტის კატეგორია რუსულად, ერთი ფორმით ვერ გაღმოიცემა, სომხურად კი თავისუფლად: დამიშერია — ჭრხლ სმ (გრელ ემ), წამიკითხავს — ქარეთაშჩლ სმ (კარდაცელ ემ) და სხვ. ასევე თავისუფლად გადმოიცემა სომხურში ქართულის თანამდევრობა (თანამდევრობის კატეგორია) იმის წყალობით, რომ სომხურში უწინარესობის გაღმომცემი ფორმა არის: ჭრხლ ჭრ (გრელ

ეი) „დამეწერა“, — კამათაგან ტე
(კარდაცელ ეი) „წამეკითხა“ და
სხვ.

სომხურ ენას არა აქვს არც ერთი ისეთი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ქართულსაც არ ჰქონდეს. ამის წყალობით სომხური ტექსტის გადმოლება ქართულად ისე შეიძლება, რომ თითქმის არავითარი ნიუანსი არ დავკარგოთ. რასაკვირველია, სიძნელეები მაინც შეგვხვდება, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას: არც ერთი ენიდან თარგმნა ქართულ ენაზე აღექვატურობის მისაღწევად იძღვნ შესაძლებლობას არ იძლევა, რამდენაც სომხურიდან თარგმნა. და ეს არა მარტო მორფოლოგიური კატეგორიების მსგავსების წყალობით, არამედ წინადადების იგების წესების დამთხვევითაც: ძალიან ხშირ შემთხვევაში ქართულშიც ზუსტად ისე შეიძლება დავალავოთ წინადადებაში შემავალი წევრები, როგორც სომხურშია.

ეს ფაქტი შენიშნული ჰქონდა ი. გრიშაშვილსაც, რომელმაც სომხურიდან ბევრი რამ კარგად თარგმნა. აი, რას წერდა იგი: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სომხური ნაწარმოები ქართულ ენაზე უფრო თავისებური და ძარღვიანი გამოდის, ვიდრე სხვა ენაზე. ალ-10. „კრიტიკა“ № 6.

ბათ, ეს ჩვენი ენის თვისებათა შედეგია. ავტორის ზოგიერთი სტრიქონი თავისთვის მწკრივდებოდა ჩვენს თარგმანში, თუმცა ზოგი სიტყვა კი ურჩი ბავშვივით დიდ მოფერებას თხოულობდა“.

ასეთს ვთქარებაში, ცხადია, მოსალოდნელია კარგად გვქონდეს დაყენებული სომხურიდან თარგმნის საქმე.

ამამად სომხურ ენაზე თარგმნილია ქართული ლიტერატურის ბევრი საუკეთესო ნიმუში. ბევრი რამ თარგმნილია სომხურიდან ქართულადაც. მაგრამ ხშირად შეიმჩნევა უწესრიგობა, უგეგმობა, კამპანიურობა.

რაც ხელში მოგვხვდება, ყველაფრის თარგმნა არ გამოდგება. ჩვენ ისეთი ნაწარმოებები უნდა შევარჩიოთ და ვთარგმნოთ, რომელთაც განსაკუთრებული მხატვრული ლირებულება და მნიშვნელობა აქვს.

არ შეიძლება დიდი კმაყოფილებისა და მაღლობის გრძნობით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თითქმის ყველაფერი, რაც ქართულიდან სომხურად ითარგმნა, აბილისში მცხოვრები სომეხი მოღვაწეების დამსახურებაა. ხაზჯასმით აღვნიშნავთ, რომ სომხურიდან ქართულ ენაზე შესრულე-

ბული თარგმანებიც, ძირითადად, მათივე წყალობითა გვაქვს (გ. სუნდუკიანი, ლ. კარაპეტიანი, ს. ფირუზიანი, მ. ალბატელოვი, ევან-გულოვი, ჰ. მირიმანიანი, ღ. ტერ-დავთიანცი, ტ. ტერ-ასტვაცა-ტურიანი, ძამოვი, ს. ავჩიანი, ლ. ასტვაცატუროვი, ივ. ბეგლა-როვი, ივანე, ორტემ და ორჩილ დავითიანები, თაქორიანი, მანვე-ლიანი და სხვ. ამათგან განსაკუთრებით ნაყოფიერნი იყვნენ ფირუ-მიანი, ლ. კარაპეტიანი, ჰ. მირიმა-ნიანი, ღ. ტერ-დავთიანცი, ხოლო ამჟამად ს. ავჩიანი, ლ. ასტვაცა-ტუროვი და მამა-შვილი დავითია-ნები. ეს ადამიანები ულრმესი მადლობის ლირსნი არიან. მათი შრომა მით უფრო დასაფასებე-ლია, რომ ძნელ პირობებში უხდე-ბათ მუშაობა. არა გვაქვს ლექსი-კონები (სხვადასხვა ხსიათისა). არა გვაქვს „გრამატიკა“, რომ პწყარედს დაყრდნობილ მთარგმ-ნელს შეეძლოს ზოგიერთ ენობ-რივ ნიუასში ცოტა უფრო ღრმად ჩაიხდოს და საერთო ენის გრა-მატიკულ სტრუქტურაზე საერთო წარმოდგნა შეიმუშაოს. ნუთუ სამარცხვინო არაა, რომ სომხური და ქართული გაზეთების რეზაქ-ციები გვერდიგვერდ თახებში იყონ და სომხური და ქართული საკუთარი სახელები ორივე ენაზე სხვა ტრანსკრიფციით იბეჭ-

დებოდეს, მაგ., ქართულში — გაზარიანი (ლაზარიან), რაჩია ან გრჩია (პრაჩია), ტატევოსიანი (თათევოსიან), კარამიანი (ქარა-მიან), გვონდიანი (ლევონდიან) და ასე დაუსარულებლივ; სომ-ხურში — ჩიჩინაძე (ჭიჭინაძე), კავტარაძე (ქავთარაძე), გოგობე-რიძე (ლოლობერიძე) და ასე და-უსარულებლივ. და ეს მაშინ, როცა უნაკლოდ შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება, თუკი უკეთ გვეცოდი-ნებოდა ერთმანეთის ენების ბგე-რითი სისტემა...

როგორც ითქვა, თარგმანის წორ ნიაღაზე დაყენებას დიდად უშლის ხელს უგეგმობა, რაც გა-მოწვეულია კამპანიების გამოდევ-ნებით. გარეგნულად გეგმის ში-ხედვით კეთდება ყველაფერი: ამა-თუ იმ მწერლის იუბილე უნდა აღინიშნოს, ეს გეგმაშია შეტანი-ლი აღრევე, მაგრამ სათანადო თა-რილის მოახლოებამდე არავინ ზრუნავს ამაზე. ან არა და არიან ცალკე პირები, რომლებიც კა-ლენდრით იგებენ სათანადო თა-რილს, კომპილაციურ წერილს შეაკომიშებენ, ან იუბილეგადა-სახდელი მწერლის რომელიმე თხზულების თარგმანს არდაქციას მიართმევენ და რადგან სხვა არა-ფერი მოიპოვება რედაქციის პორ-ტფელში, ასეთი მუშაკი რედაქ-

ცის პირდაპირ „მხსნელად“ მოვლინება ხოლმე.

მხოლოდ საიუბილეო თარიღების მიხედვით არ შეიძლება მუშაობის დაგეგმვა. ხალტურას ხელს უწყობს ისიც, რომ ჩვენი გამომცემლობები და რედაქციები არ ცდილობენ შემოიკრიბონ ახალგაზრდა ძალები, რომელთაც შეუძლიათ მთარგმნელობაში წარმატებით იმუშაონ. მაგ., თბილისის უნივერსიტეტის ოღმოსავლეთ-ცოდნების ფაკულტეტის არმენოლოგის განყოფილების კურსდამთავრებულთაგან ზოგიერთს შეეძლო წარმატებით ემუშავნა მთარგმნელობითს საქმიანობაში, მაგრამ ისინი სათანადოდ გამოყენებული არ არიან.

გარდა ამისა, გამოცემული თარგმანების შესახებ რომ რეცენზიები არ იბეჭდება, ეს პასუხისმაგებლობას ანელებს. მე არ შემიძლია დაგასახელო სომხური ინიან თარგმნიონი რომელიმე ნაწარმოები, რომლის შესახებაც საფუძვლიანი რეცენზია ჯამოქვიყნებულიყოს. უბრალო საინტორმაციო ცნობა თუ გამოქვიყნა, ისეც ოგონის წალობაა. სამაგიტოდ, შემიძლია მოვიგონო შემთხვევები. როცა რეცენზია ოაიწერა, მაგრამ რაღაც ივი კრიტიკული იყო, არ დაიბეჭდა, მაგანს არ ეწყონოს.

ჩვენი პერიოდიების რედაქციები რომ უფრო გულისხმიერად ეკიდებოდნენ ამ საქმეს, უფრო ხალისით რომ ბეჭდავდნენ რეცენზიებს თარგმანებზე თუ სომხურად გამოცემულ წიგნებზე, ეს თავისთვალი გაზრდიდა პასუხისმგებლობას იმ პირებისას, ვინც ახლა სათავეში უდგას სომხურიდან თარგმნის საქმეს.

ბოლო უნდა მოეღოს თვითდინებას მთარგმნელობის საქმეში. ის კი არ უნდა ითარგმნოს, რაც ხელში მოხვდება აღიარებულ მთარგმნელს (ე. ი. ისეთ მთარგმნელს, რომელმაც რაც უნდა თარგმნოს, ყველაფერს დაუბეჭდავენ), არამედ ის, რისი თარგმნაც აუცილებელია.

* * *

როვორც ვიცით, ყოველგვარ თარგმანს შემდეგი ძირითადი მოთხოვნილება წაეყენება: ენის თვალსაზრისით იგი თარგმნილ ენაზე უნდა იკითხებოდეს ისე, როგორც ორიგინალური. ამასთან, ეს მოთხოვნილება ვარაუდობს ავტორის (ორიგინალის) სტილის მაქსიმალურად შენარჩუნებას. ავტორის სახეების შეძლებისდაგვარად უცვლელად დატოვებას,

თუნდაც ასეთი მხატვრული სახე უცხო იყოს იმ ენასათვის, რო-
მელზედაც ითარგმნება, ესაა თარ-
გმანის ღირებულება. ამით ამ-
ღლიდრებს იგი იმ ენას, რომელზე-
დაც ითარგმნება და ამით გვახე-
დებს იგი ღრმად იმ ხალხის სულ-
ში, რომლის ენიდანაც ითარგმნა.
ვერ დარჩება უცვლელად მხოლოდ
უაღრესად სპეციფიკური გამო-
თქმები, იდიომები. და აქაც მთარ-
გმნელის ოსტატობა იმით გამო-
ჩნდება, რომ დაძებნის მსგავსი
(ზუსტი იშვიათად შეიძლება!) მნი-
შვნელობის იდიომს, ანდა, მო-
ხერხებს ამ იდიომის შინაარსის
ზუსტად გადმოცემას...

ჩვენ, ვიმეორებთ, მაღლობის
მეტი რა გვეთქმის იმ თბილისელი
სომეხი მწერლების მიმართ, რომ-
ლებიც ქართული ლიტერატურის
ნიმუშებსაც აცნობენ სომეხ მკით-
ხველებს და სომხური ლიტერა-
ტურისასაც — ქართველებს; ესეც
ხომ ხალხთა მეგობრობის გამოხა-
ტულებაა და არ შეიძლება არ და-
ვაფასოთ. მაგრამ როცა მხოლოდ
რამდენიმე კაცი იტვირთება ასე
დიდი საქმით (ქართულადაც თარ-
გმნიან, სომხურადაც), ძალაუნე-
ბურად ნაჩქარევად უხდებათ მუ-
შაობა, ხოლო ნაჩქარევი საქმი
ხშირად კარგად ვერ გამოდის.

სომხურიდან თარგმნის საქმეში
განსაკუთრებით ნაყოფიერად მუ-

შაობს არჩილ დავითიანი. არჩილ
დავითიანს თბილისის უნივერსი-
ტეტის ფილოლოგიის ფაკულტე-
ტი აქვს დამთავრებული და მშვე-
ნივრად იცის ქართული ენა და
ლიტერატურა. მისი მამა ივ. დავი-
თიანი, ძევლი თბილისის მცხოვ-
რები, მასწავლებელი და საზოგა-
დო მოღვაწეა და ძალიან ბევრი
რამ აქვს თარგმნილი ქართულიდან
სომხურად და პირიქითაც — სომ-
ხურიდან ქართულად. განსვენე-
ბული არტემ დავითიანი აგრეთვე
უაღრესად ნაყოფიერად თარგმნი-
და. სომხურიდან ქართულად თარ-
გმნის აგრეთვე ღ. ასტვაციურო-
ვი, რომლის თარგმანები მართლა
ქართულივით იკითხება (სამწუხა-
როდ, არ მქონია შემთხვევა შემე-
დარებინა, როგორ დამოკიდებუ-
ლებაშია დედანთან). ქართულად
თარგმნის და წერს აგრეთვე გამო-
ჩენილი სომეხი მოღვაწე ს. ავჩია-
ნი, მაგრამ ისინი სპორადულად
გამოჩნდებიან ხოლმე ამ სფერო-
ში.

არჩილ დავითიანს ბევრი კარგი
თარგმანი აქვს, მაგრამ როგორც
ეტყობა, იგი ხშირად ჩქარობს. ამ
ნაჩქარეობით აისსნება ზოგიერთ
თარგმანში გაპარული უხერხუ-
ლობანი.

სანიმუშოდ ავიღოთ მის მიერ
თარგმნილი ნარ-ღოსის მოთხრობა
„ანა საროიანი“. ჩვენი შენიშვნები

საქართველოს იქნება იმისათვის, რომ დავრჩინოდეთ — საჭიროა მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საქმეს.

ორიგინალში წერია:

ეს ცხა თხესწი ჩნდა აռაღველა მუ-
მან განაგოამწით ხერთა სამართ-
ლებრი ჩეს ერთ ერთ აქტი, ირჩ ასამარ ფი-
ნანსურულ აქტები უსამართ ხე-
ლისამ, ხ ხერ ცხე ლათ ფხე, უს-
ტაქტი ხუთი ტექსტი ხერ ჩნდნება. მჩნდ-
ას აქტი ხერკარ ძამანაკიყვ:

სიტყვასიტყვით: „უკვე ვე-
ღარ მნახავ წინანდებურად ცერ-
ცეტა ახალგაზრდებზე აღევნე-
ბულს, რის გამოც შენი შენიშვნე-
ბი ძალიან სასტიკი იყო და მე
რომ არ მოგისმენდი, პირდაპირ
მემღურებოდი და ზოგჯერ ხან-
გრძლივადაც კი“.

თარგმანი: — ამიერიდან ვეღარ
იხილავ შენს დაიკოს, დღე-
ნიადაგ მოკისკისეს, ყო-
ველთვის აბეზარსა და
მოუსვენარს, რისთვისაც
მუდამ მისაყველურებლი ხოლმე
და მაფრთხილებდა, სე-
რიოზულად უნდა გეჭი-
როს თავიო“ (თარგმ. გვ. 94).

ორიგინალის ერთი აღილი სი-
ტყვასიტყვით ასე იკითხება: „და
რა საქმეს მიბრძნებლი, რომ მე-

კეთებინა? რა მექნა? რითი გავრ-
თობილიყავ, როცა უბრალო ხელ-
საქმის ბოლომდე მისაყვანადაც
მოთმინება არ მყოფნის და უცე-
ლაფერს, რასაც ხელს მოვეკიდებ,
დაუმთავრებლად ვტოვებ“.

თარგმანში კი წერია: „რას მი-
ბრძნებ, რა საქმეს მოვეკიდო ხე-
ლი, როცა იმდენი მოთმინებაც კი
არ გამაჩნია, რომ უბრალო ხელ-
საქმე დავითავრო? და საერთოდ
არაფერი ბოლომდე არ მინდა
გავაკეთო!.. (გვ. 95).“

სიტყვასიტყვით: „ჩვენი
წინანდელი ბინილან გა-
დავედით. იგი ჩვენ აღარ გვი-
უთვნის. იქიდან გამოვყარეს.
იქნებ ეს უკანასკნელი სიტყვა ძა-
ლიან ტლანქად გეჩვენოს, მაგრამ
ეს ასეა! — ჩვენ გამოგვყარეს
ზრდილობიანად და ჩვენთვის ეს
უფრო მეტად საგრძნობი იყო...
ნეტავი მას, ვისაც არ უგრძ-
ვნია, თუ რა ნიშნავს თავისი წი-
ნანდელი. მუღმივი ბინილან საბო-
ლოოდ გადასკლა და ისიც რო-
გორ? იძულებით, უნებლიერთ.“

თარგმანი: „ახალი სახლი-
ოან გარავედით. ივი ამიერ-
იდან ჩვენ აღარ გვიუთვნის.
ოფრთ სწორად, იქიდან გა-
მოგვყარეს. — შეიძლება ეს უკა-
ნასკნელი სიტყვა ძალიან უხეშად

* სხვა შემთხვევაში, ადგილის დაზოგ-
ვის მიზნით, ციტატები სომხურ ენაზე
ვერ მოვცემა (რედ.).

გაისმის, მაგრამ რას იზამ, ხამდვილად ასეა. ჩვენ ზრდილობიანად გამოგვიცხადეს — აქედან წადითოდა ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. ნეტარება იმას, ვისაც თავისი საკუთარი სახლის სამუდამოდ მიტოვების სიმწარე არ უგემია და თანაც ასე მოულოდნელად” (გვ. 107).

სიტყვასიტყვით: „უსაზღვრო სიყვარულით და (ამავე დროს) შეძრწუნებული ფრთხილად, ცალი ხელით მოვეხვიე მას.

თარგმანი: „შიშისაგან დაზაფრულმა, უდიდესი სიყვარულით მოვხვიე ხელი (გვ. 114)

სიტყვასიტყვით: „ბედნიერებო, თქვენ ღებულობთ თქვენსას, მაგრამ უბედურნო, თქვენ რატომღა ღებულობთ იმასვე. რაც უკვე გაქვთო?

თარგმანი: „ბედნიერებო, მიიღეთ კუთვნილი! უბედურნო, გაუფრთხილდით მონაპოვარს! (გვ. 117).

ორიგინალიდან გადახვევის საჩვენებლად მაგალითების მოტანა ბლომად შეიძლება. იგი თითქმის ყოველ წინადაღებაში გვხვდება. ეს უმეტესად გამოწვეულია

იმით, რომ მთარგმნელი ძალიან უხვად იყენებს ქართულ ფრთიან სიტყვებს, იდიომატურ გამოთქმებს, იყენებს მაშინაც, როცა ეს აუცილებელი არაა ორიგინალის აზრის გაღმოსაცემად. მაგრამ ასეთი გამოთქმების სიხშირე, ტექსტს ძალიან აქართულებს და ამით მოხიბლული მკითხველი ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ზოგიერთი ეს გამოთქმა თავის აღგილას არაა; ზოგი სიტყვა, ან ფორმა აგრეთვე უადგილოდ და უმართებულოდ არის ნახმარი და ზოგჯერ ენობრივი შეცოდებანიც გვაქვს. ვიმეორებ: ენობრივ შეცოდებაში არ შემაქვს სტილისტური უსწორ-მასწორობანი, თორებ მეტად არასასიამოვნო სურათი დაიხატებოდა; მე გამიჭირდება ალიარებულ მოქართულეს ვაპატიო სიტყვების ასე უადგილოდ ხმარება: „ნეტარება და ვა მას, ვის გულსაც შეუძლია ასეთი ქარიშხლების გადატანა!“ (გვ. 93). ეს ადგილი სიტყვასიტყვით ასე ციტხება: „ნეტავი მას, მაგრამ ვა-იც [მას], ვის გულსაც ახასიათებს ეგეთი მოლვარებანი“.

აქ საქმეს ყველაზე მეტად ის აფუჭებს, რომ სიტყვა „ნეტარება“ ძველი სომხურიდან მოდის ფორმაშეუცვლელად. ძველად იგი ჩვეულებრივ გამოიყენებოდა იმ ქვეყნად ნეტარების,

სანეტარო ცხოვრების აღსანიშნავად, ახლა კი ამასაც აღნიშნავს და იმასაც, რასაც ქართული ნატევრის გამომხატველი სიტყვა — ნეტა (ვი). ამის გამო მთარგმნელს ამ სატყვის მნიშვნელობა ქართულშიც ერევა: ნეტა და ნეტავი სიტყვები ერთმანეთის მაგირ გვხვდება თარგმანში. აი ადგილიც:

სიტყვასიტყვით: „მამაჩემის მდგომარეობას თითქმის შევურიგდი, (მაგრამ) ახლა გრიგორის მდგომარეობა გაწარებს. და ეს ტანგვა ნაკლები როდია. რომ განახვა (ნახო) თუ რაოდენ შეიცვალა (შეცვლილა) და მოგასმენია (მოისმინო) მისი ხველა“...

თარგმანი: „მამაჩემის მდგომარეობას თითქმის მეც შევურიგდი, მაგრამ ახლა გრიგორის ჯანმრთელობაზე ფიქრით ვიტანები, ეს უკანასკნელი პირველზე მსუბუქი როდია. ნეტა განახვა, როვორ არის გამოცვლილი! ნეტა მისი ხველა გაგანანა!..“ (112).

უკანასკნელ შემთხვევაში ნეტა „თუ, რომ“ კავშირის მავით არის ნახმარი. ნეტა ნატევრის გამომხატველია, ოდნანში კი თაომთავრებელი დამოკიდებული წინადადებების ნაწილში გამოთქმულია არა ნატევრა,

არამედ — გულისტევილი, მწუხარება.

ასე რომ, მთარგმნელმა ნეტა-რებაც იცის და ნეტაც, მაგრამ თავის ადგილს არც ერთს არ ხმარობს! (იხ. გვ. 107, 108, 112 (ორჯერ), 115 (ორჯერ), 117 და სხვ.) იგი ან ზეღმეტად შეტანილია თარგმანში, ან ნახმარია ორიგინალის არასწორად გაგებული აზრის გადმოსაცემად.

უფრო ზუსტად გამოხატავდა აზრს „მეგობრები აღარ მყავს“, ვიდრე „მეგობრები არ მყავს“ (გვ. 95).

ზუსტი შედარება სომხურ ორიგინალთან შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხელოდ ქართულის მიხედვით მივუთითებ ზოგიერთ უხერხულობაზე.

არ ვარგა: „უმანკო ნიავი“ (გვ. 96), არც „ფრინველთა სიმღერა“ (96). არ ვარგა: „არ გამეცინა“. აქ უხდება „ალარ გამეცინა“ (რადგან წინათ გაიცინა, ახლა აღარ (104); „დინგად გაჩერდა“ ამ შემთხვევაში არმენიზმია (104), აქ ჯობს „მორჩილად გაჩერდა“ (104); ყოვლად უხერხულია ანას მოხუცი მამის მიმართ „ონავარის“ ხმარება (იქვე).

კერც გაუმართავ წინადადებას ვაპატიებთ ავტორიტეტულ მთარ-

გმნელს. მაგ. ასეთი წინადადება ქართული არაა: „ვინ იცის, რო-
 დემდე არ ამომეღო ხმა; ვინ იცის, როდემდე მქონოდა
 გულში დამარხული ჩემი დარდე-
 ბი, რომ შენს წერილს გულახლილ
 საუბარში არ გამოვეწვიო...“ (გვ.
 93). ორიგინალში ეს წინადადება
 ასე იყოთხება (სიტყვასიტყვით):
 „და ვინ იცის, სანამდე გავაგრძე-
 ლებდი ასე შენს მიმართ ასებუ-
 ლი დუმილი დამეცვა, საყვარე-
 ლო დაო, შენს წერილს რომ ერთ-
 ბაშად არ გაეღო ჩემი გულის ქა-
 რები შენ წინაშე“. ეს პწყარედიც
 კი უფრო ქართულია, ჩემი აზრით,
 ვიღრე ზემოთ მოტანილი მხატ-
 ვრული თარგმანი. აზრი ნათელია
 და მისი გაქართულება ოდნავ
 სირთულესაც არ წარმოადგენს...
 ან შეიძლება „სიმშვიდის მოხვე-
 ჭა?“ (გვ. 134).

ეს ორი წინადადება კი პირ-
 დაპირ, პწყარედით გადმოუღია და
 ქართულად ცუდად ჟღერს:

„—თვალები მუდამ რატომ
 გაქვს ჩაწითლებული? — შემე-
 კითხა.

— ჩემი თვალები ჩაწითლე-
 ბული არ არის“ (გვ. 113).

ასევე ნამდვილი არმენიზმია
 შემდეგი შემთხვევა:

ანამ პირველად შენიშნა, რომ
 მისი საყვარელი ძმა სისხლს აღე-
 ბინებს. თვითონ ანა განაგრძობს:

„მღელვარება ვერ შევიკავე და
 სწრაფად გამოვედი მისი ოთახი-
 ლან. ხოლო მაგ დღეს რამდენი
 მწარე ცრემლი დავლვარე, ამაზე
 უკვე აღარაფერს ვიტყვიო...“ (გვ.
 115) არმენიზმად უნდა ჩაითვა-
 ლოს „დავაშვავე“ ფორმაც „და-
 გიშავეს“ მაგიერ (გვ. 97).

თვალში საცემია ასეთი არმენი-
 ზმები: „დაობლდა დედ-მამის
 მხრიდან“ (გვ. 25); „არ მიცნობ,
 სურენ?“ (ნაცვლად „ვერ მიც-
 ნობ, სურენ“) (გვ. 22).

მაგრამ რომელი ერთი უნდა
 მოთვალო. ვერ ნახავთ გვერდს,
 სადაც ამა თუ იმ ხასიათის უხერ-
 ხულობა არ იყოს: ან ორიგინალს
 შორდება და ახალ სახეებს უმა-
 ტებს, ან უმართებულო ქართუ-
 ლით არის წარმოადგენილი ტექს-
 ტი. ვიმეორებ: აქ არ ვგულისხ-
 მობთ ისეთ შემთხვევებს, სტილის-
 ტური მოსაზრებით, ასედაც რომ
 შეიძლება იყოს და სხვაგარადაც.
 ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რაც
 ნამდვილად არ შეიძლება დარჩეს
 ისე, როგორც არის.

ამდენი შეცდომა, ჩვენი აზრით,
 მარტო იმის გამო არაა, რომ
 მთარგმნელი პრაქტიკულად
 ფლობს ორივე ენას, მაგრამ ამ
 ენათა სტრუქტურაში ვერ ერკ-
 ვევა. ეს არც გასაკირია. ახალი
 სომხური ენის სტრუქტურის შე-
 სახებ აქამდე (1960 წლამდე) რაც

მიღებული იყო, უკვე გადასინჯვის პროცესშია. ოვით მთარგმნელობითს პრაქტიკას ამ მხრივ ბევრის მიცემა შეეძლო მთარგმნელისთვის, მაგრამ ეს მაშინ, როცა მთარგმნელი დაინტერესებულია ენობრივი შედარებებით, ხოლო როცა სასწრაფოდ ჩამდენიმე სხვადასხვა მწერალი გაქვს სათარგმნელი, სარედაქციო, სარეცენზიო და სხვ. ცხადია, ვეღარ მოიცლი გულმოდგინედ აკეთო საქმე. ამ მოუცლელობას უნდა დავაბრალოთ, თორმე როგორ შეიძლება ასეთი უვიცობა შესწავმ ისეთ ალიარებულ მთარგმნელს, როგორიც არჩ. დავითიანია. აი, რა უცნაურ აამეს წააწყდებით თარგმანში:

სიტყვასიტყვით: „წარმომიღენია, თუ რა (როგორი) იქნებოდა ჩემი მდგომარეობა, შუა საუკუნეებში რომ მეცხოვრა: უთუოდ მეც კოცონზე ამიყვანდნენ ჰუსივით“ (გვ. 123).

თარგმანი: „წარმომდგენილი მაქვს, როგორი იქნებოდა ჩემი მდგომარეობა, საშუალო საუკუნეებში რომ მეცხოვრა: ილბათ, მეც კოცონზე დამწვავდნენ ბატივით.“

ვერავითარი შეცდომით ვერ ამიხსნია, დიღი ჰუმანისტი—იან ჰესი. რომელიც ინკვიზიციამ კოცონზე დაწვა, როგორ იქცა ბატად.

სომხურალაც რომ რუსულივით ბატს „გუს“ ერქვას და სომხურ დედანში ჰუსი მთავრული ასოთი არ იწყებოდეს, მაშინაც კი ძნელი იქნებოდა ამის მექანიკურ შეცდომად მიჩნევა. ცხადია, ეს მოუცლელობის შედეგია.

ცხადია, მოუცლელობის ბრალია ისიც, რომ ავტორის მიერ ძველი სომხურით მოტანილი ტექსტი მთარგმნელმა არ დაძებნა, არ შეუდარა დედანს და ისე არ გაღმოსცა ქართულად, არამედ აიღო და ოვითონვე შეეცადა ძველი სომხური ტექსტი ძველი ქართულითვე გაღმოეცა. აი, ვნახოთ, როგორია ეს ძველი ქართული.

ორიგინალში მოტანილი ძველი სომხური ტექსტი ასეთია: „Կեანრս խնդրხაყ ի քեნ, և հ-տოც նմა բնդერეკაյნ ათიცუ Հაվჭახეანს Հაվჭახეანից“ (გვ. 170). ახალი ქართულით რომ ვთარგმნოთ, ეს ასე იქნება: „ეს [სააქაო] ცხოვრება ითხოვა შენგან და მიეცი მას გრძელი დღეები—უკუნითი უკუნისამდე“. ოვით ძველ ქართულ თარგმანში კი ასეა: „ცხოვრებად გთხოვა შენ და მიეც მას განგრძობად დღეთად უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე“. ფსალმუნნი, (20,5).

ჩვენი მთარგმნელი, ალბათ, „კა-

ლორიტის „დასაცავად“ ცდილა ეთარგმნა ეს ძველი ქართულით და აი, რა გამოუვიდა: „ღმერთო ჩემო, ნუ განმეშორები ჩემგან; უფალო, შეწევნად ჩემდა დიდ სიცოცხლისაი ისწრაფე“ (გვ. 101). თუ რამე აზრს გამოვწურავთ აქედან, იგი სხვა გამოვა და არა ის, რაც ავტორს აქვს ნათევში.

ამისთანა მაგალითი მომდევნო გვერდზედაცაა. ასე:

ძველი სომხურით: „Փրկեա զիս
ի ձեռաց թշնամեաց և ի հալած-
չաց“ (გვ. 171). ქართულად იქ-
ნება: „მიხსენ მე ხელთაგან
მტერთა და მდევნელთაგან ჩემ-
თა“. მთარგმნელს კი უთარგმნა: „იხსენ ხელთაგან მტერთა მისთაი-
სა და მდევართა მისთაისა“ (გვ.
102). ძველი ქართული თარგმა-
ნით: „მიხსენ მე კელთაგან მტერ-
თა ჩემთასა და მდევართა ჩემთა-
ცასა“ (ფსალმ., 30, 16).

და კიდევ ერთი: „Աղորմու-
թին քո, տხეր, գვետ իմ եկեսցէ
կամենայն ապուրս կենաց ի-
մոց մոց...“ (გვ. 171). ახალი ქარ-
თულით: „შენი წყალობა უფალო,
მოვიდეს ჩემზე ყოველ დღე ჩემს
სიცოცხლეში“. ძველ ქართულ
თარგმანშია: „წყალობა შენი,
უფალო, თანამავალ მეყავნ ჩუენ
ყოველთა დღეთა ცხოვრებისა
ჩვენისათა“ (ფსალმ., 22,6).

პატივც. არჩ. დავითიანს კი
უთარგმნა: „და მოვედიან შენსა-
ზედა წყალობაი შენი, უფალო,
მაცხოვრებაი შენი სიტყვათა შენ-
თა“... (გვ. 102).

რომელი ეპოქის ქართულითაა
თარგმნილი ყოველივე ეს, არ
ვიცი.

ქართველი მკითხველი არჩ.
დავითიანის თარგმანებს ისე წა-
იკითხავს, რომ თუ კარგად არ ჩა-
უკვირდა, ძალიან კარგი თარგმა-
ნის შთაბეჭდილებას მიიღებს. რა-
ტომ ხდება ეს? იმიტომ, რომ რო-
ცა უბრალოდ, გასართობად ვკით-
ხულობთ ნაწარმოებს, აქა-იქ შეხ-
ვერდილ ხორკლებს არ ვაქცევთ
ყურადღებას. ეს ცნობილია, მაგ-
რამ პატივც. არჩ. დავითიანს, ეტ-
ყობა, კიდევ ერთი ხერხი სცოდ-
ნია თარგმანისათვის კარგი ქარ-
თულის იერის მისაცემად. ესაა
იღიომების, გამოთქმების, ფრთი-
ანი სიტყვების სიუხვე. ალბათ,
ზოგი კარგი მოქართულე ქართ-
ველი მწერლის ნაწერებში არ შე-
გხვდებათ ამდენი გამოთქმა. ეს
არჩ. დავითიანის თარგმანს მსუ-
ბუქ საკითხავად ხდის, ერთბაშად
ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მდი-
დარი ქართული ენითაა შესრუ-
ლებული. მაგრამ როგორც კი
კრიტიკული თვალით შევხედავთ
თარგმანის ამ მხარესაც, აღმოჩნ-
დება, რომ ეს გამოთქმები, ეს

ფრთიანი სიტყვები თარგმანში ნახმარია არა ორიგინალის თავისებურებათა, ორიგინალის მხატვრულ გამოთქმათა და იდიომთა შესაცვლელად, არამედ იმიტომ, რომ ესა თუ ის ქართული გამოთქმა უფრო „მოხდენილია“... ასეთი მდგომარეობა შეიძლება მისასალებელი ყოფილიყო და იქნებ ღირებულიყო განსაზოგადებლადაც. რათა სხვა მთარგმნელებსაც მიემართათ ამ ხერხისათვის, მაგრამ საქმე ისაა. რომ ეს გამოთქმები, ჩვეულებრივ არ გაღმოსცემენ დედნის საოქმელს და ძალიან ჩშირად, როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართულადაც უადგილოდაა ნახმარი. ეს უკანასკენელი კი იმ საფრთხეს ქმნის, რომ ახალგაზრდა ქართველი მკითხველი ამა თუ იმ იდიომს იხსოვებს არა აქამდე მასში ჩადებული მნიშვნელობით, არამედ რაღაც სხვა მნიშვნელობით. როგორითაც ეს გამოთქმა აქამდე არ იხმარებოდა. საქმარისია რომელიმე ქართული გამოთქმის შინაარსი უახლოვდებოდეს ორიგინალში ჩვეულებრივი ტექსტით გადმოცემულ აზრს, რომ მთარგმნელმა ქართული გამოთქმა მოიხმარის. სხვა რომ არაფრი, ეს ორასწორ წარმომავალს იძლევს მკითხველს ორიგინალზე; პონაა, იქაც ასეთივე გამოთქმებიაო. ეს

კიდევ ასატანი იქნებოდა, თვით სომხური იდიომებისა და ფრთიანი სიტყვებისთვის რომ ახერხებდეს მთარგმნელი ყოველთვის შესაბამისი გამოთქმის მორგებას. არა! სომხური იდიომები ან გრძელი მომაბეზრებელი ფრაზებითაა გაღმოცემული, ან სულაც გამოტვებულია. ეს ხარვეზი შევსებულია ქართული გამოთქმების უთავბოლო გამოყენებით. რამდენიმე მაგალითს დავჭრდებით:

სიტყვასიტყვით: „მაგრამ აქ კალამი წინ აღარ მიღის... ვყოყმანობ... როგორ გამოვხატო ის, რასაც ახლა ვკრძნობ?“

თარგმანი: „მაგრამ ამას იქით კალამი აღარ მემორჩილება... ეჭვიანობამ დამრია ხელი; ვაითუ ვერ გადმოგცე ის, რასაც ახლა ვანვიცდი“. (გვ. 93).

ორიგინალში, როგორც ვხედავთ, არც ერთი ეს გამოთქმა არაა. ტექსტი მოღის პირდაპირ. ქართულ თარგმანში გამოყენებულია სამი გამოთქმა. ამათგან პირველი („კალამი აღარ მემორჩილება“) ზუსტად გამოხატავს იმას, რაც სომხურშია ნათქვამი და კარგია, მაგრამ ეს ისე გავრცელებული გამოთქმაა ქართულში, რომ

სხვა რამით მისი შეცვლა შეუძლებელიც იყო. სამწუხაოდ, ეგვე არ ითქმის მეორე გამოთქმაზე („ეჭვიანობამ დამრია ხელი“). რა საჭირო იყო ყოვლად უპრეტენზიო სიტყვა (ცყოყმანობ, ვორქოფობ, ვმერყეობ...) ასე „გაფრენილი“ იღიომით გადმოლებულიყო? „ქართულად უკეთესად უღერსო“, — მიპასუხებენ. დიახაც რომ უკეთესად უღერს, მაგრამ ორიგინალში რომ არაა?! ეს გამოთქმა ისე უყვარს ჩვენს მთარგმნელს, რომ ცდილობს ხშირად გამოიყენოს. მაგ., მომდევნო გვერდზე (94) ქართულისათვის უფრო ბუნებრივ კონტექსტში აქვს გამოყენებული იგი: „დრო და დრო საშინელი სიზარმაცე და მრავ ცნ ხოლმე ხელს“. (გვ. 94). „სიზარმაცემ დამრია ხელი“ ორიგინალის აზრის გადმოსაცემად აქაც ზედმეტი იყო; დედანშია:

ქანისა ე ძამანასაკ, ირ սასამართებელ ბისამის სამ... (გვ. 162). ეს სიტყვასიტყვით ისეა: „არის დრო, რომ სასტიკად ვზარმაცდები“. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა პირველი ნაწილი წინადაღებისა („არის დრო“) ქართული გამოთქმით შეცვლილიყო, რადგან მის ადგილას სომხურში გამოთქმა (იღიომი) არაა, მაგრამ მაინც თავისებური ნიუანსი აქვს, რაც არც

მხატვრულ თარგმანში („დრო და დრო“) და არც სიტყვასიტყვით თარგმანში („არის დრო“) არაა გამოხატული. აქ აჭობებდა — „ს დება თოლ მე...“

კიდევ მაგალითი: სიტყვასიტყვით: „.... მე მარტო ვარ ახლა და ეს არა იმის გამო, რომ წინანდებურად იღარ მყავს ამხანაგი ქალები, რომლებთანაც შემეძლო დრო გამეტარებინა, რათა მოწყენილობას ავრიდებოდი — არა, არამედ იმის გამო, რომ მე თვითონ ჩამოვშორდი მათ, რადგანაც ისინი ყველანი ახლა ძალიან სულელ და ქარაფშუტა არსებებად მეჩვენებიან... ია, სხვა საქმე იქნებოდა, შენ რომ ჩემთან ყოფილიყვაი, მაშინ არა ასოდე ს არმოვი შეყენდი“.

თარგმანი: „დიახ, მე მარტოდ მარტო ვარ, და იმიტომ კი არა, რომ მეგობრები არა მყავს, რომლებთანაც თავს შევიქცევადი და გავერდოდი — არა, მე თავად გამოვეთიშე მათ, ახლა ისინი სულელ და თავქარიან არსებებად მიმაჩნია... სხვა საქმეა, შენ რომ იყო ჩემთან, მაშინ ილაჭი არ გამიწყდებოდა, ახლოს არ გამეკარებოდა მოწყენილობა...“ (გვ. 95-96).

როგორც აქედან ნათლად ჩანს, „ილაჭი არ გამიწყდებოდა“ სავ-

სებით ზეღმეტადაა ჩამატებული როგორც ფრთიანი გამოთქმა, ხოლო სადა ტექსტი—„არასოდეს არ მოვიწყენდი“—შეცვლილია გამოთქმით (თუმცა შესატყვისი გამოთქმით), — „ახლოს არ გამექარებოდა მოწყენილობა“...

ან კიდევ: სიტყვასიტყვით: „მაგრამ უწინარეს უნდა გითხრა, რომ მამაქემის მდგომარეობაში უკეთესობისაკენ არავითარი ცვლილება არ მომხდარა!“

თარგმანი: „უ პ ი ო ვ ე ლ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა, უნდა ვთქვა, რომ მის გამოკეთებას პირი არ უ ჩ ა ნ ს, ახალი არაფრი მომხდარა“. (გვ. 112). სომხურში პირდაპირაა გადმოცემული აზრი, ქართულში იგი გამოთქმით შეუცვლია („პირი არ უჩანს“), რასაც წინადაღების ბოლო ნაწილი საერთო შინაარსისგან დაუშორებია და ცალკე მიტმასნებულ აზრს დაუმჯგვანებია...

ბოლოს, სიტყვასიტყვით: „უბად ვიგრძენი, რომ ც რ ე მ ლ ებ ი მ ა ღ რ ჩ ი ბ ს. სასწრაფოდ ვაკოცე შუბლზე, მივატოვე და კარებისკენ გავემართე“.

თარგმანი: „უეცრად ვიგრძენი, რომ ყ ე ლ შ ი მ ო მ დ გ ა რ ი ც რ ე მ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ ვ ი გ უ დ ე ბ ი, საჩქაროდ ვაკოცე შუბლზე, მოვცილი და კარისკენ ა ვ ი ღ ე გ ე ზ ი“ (114). სხვაზე

აღარაფერს ვიტყვით და „კ ა-რ ი ს კ ე ნ გ ე ზ ი ს ა ღ ე ბ ა“ კი ნამდვილად უადგილოა!

გავაგრძელოთ? სადამდე? ყოველ გვერდზე ვხვდებით ამა თუ იმ ხასიათის უწესივრობას.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები ხომ საერთოდ არეულია ჩვენს მწერლობაში. გარდა სპეციალისტებისა ამას არავინ უწევს ანგარიშს, თუმცა ცდილობენ და მათ შორის ჩვენი მთარგმნელიც, მაგრამ მაინც ისე ხდება, რომ საცა საჭირო არაა, ნიშანი ზის და საცა საჭიროა—არა. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი ენობრივ უსწორმასწორობათა:

გრძნობები მომექალენ (93)—უნდა: მომექალნენ; გაინთავისუფლა თავი (99); ვთხოვე (102)—უნდა: ვსთხოვე; „შენი ნათქვამები... მესმოლა“ (102) არმენიზმია; „გეფიცები, არა ვარ მოტყუბული“ (906), უნდა: „არ მოვტყუბულვარ“; „უნახია“ (106) უნდა: უნახავს; გაუმართავია წინადაღება: „დიახ, კარვი იქნებოდა, მეტისმეტად კარგი, გვერდით მყავდე, მაშინ, ალბათ, ძალიან მსუბუქად ვიგრძენ თავი!“ (107); „შენ ნანახი გაქვს ეს სახლი“ (108); უნდა:

„შენ გინახავს ეს სახლი“. „სცნობს“ (109) უნდა: ცნობს; „პირველი შემთხვევა იყო, ასე რომ მხვდებოდა“ (110). რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, მრავალგზის „მხვდებოდა“ უკრ გამოხატავს მას. უნდა: „შემთხვედა“.

არაა ქართული: „მეორე ორი ძმა — არშავი და გარეგინი — ის არ კმარა, რომ უსაქმოდ არიან, ამასთან მძიმე ტვირთად გვაწვევს კისერზე“... (125); „გვინახია“ (24); „მკრანობიარე მის კრამონ გრძელა“ (31); „გარეგნობით უფრო ასაკოვანი გამოიყურებოდა“ (46) უნდა: ასაკოვანდ, ხნიერად; იყვნენ გაულენთილი“ (47) უნდა: გაულენთილი: „გზას აცდენია“ (60) — უნდა — ასცდენია: „ქალიშვილმა გამხნევე ბის მიზნით ჭიბუკი მხურვალედ ჩაიკრა გულში“ (63) — უნდა: „გასამხნევების მიზნით“ არმენიზმია: „გამოგიხედია“ (66); „რამდენიმე წუთი ასე განაგრძობდა წერას“ (74) და ა. შ.

ნარ-დოსის მოთხრობათა კრებულს წინ უძღვის არჩიო დავითიანისავე შესავალი წერილი, საჭაც მოკლედ მიმოხილულია

მწერლის ცხოვრება და შემოქმედება. მსგავსი ენობრივი უზუსტობანი ძეაც საკმაოდ გვხვდება. აქ ამაზე არ შევჩერდებით, მაგრამ ვერ ვაპატივებთ პატივცემულ მთარგმნელს სომხური ენის კანონების უგულებელყოფას... ვგულისხმობთ ასეთ შემთხვევას. ნარ-დოსის მოთხრობა „ანა საროიანმა“ თვის დროზე დიდი აურზაური გამოიწვია სომხურ მწერლობაში. ატებილ დავაში ჩაება ცნობილი სომხეთი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, კრიტიკოსი ლეო (ბაბახანიანი). ახალ სომხურში, გარევეულ ბრუნვებში, არსებით სახელს ემატება მსაზღვრელი ნაწევარი—ნ. მაშასაღამე, ეს სახელი (ლეო), მსაზღვრელი ნაწევრით მიიღებს ასეთ სახეს—ლეონ. არჩ. დავითიანს ეს ფორმა მიუჩნევია ფუძედ და წერს: „ცნობილ ისტორიკოსსა და კრიტიკოსს ლეონისათვის (ხაზი ჩვენია. ვ. შ.) გაცემულ პასუხში ნარ-დოსი წერდა“... (გვ. 8). და ქვემოთაც: „ლეონი მართალს ამბობს“ (გვ. 8). მაშასაღამე, პატივც. არჩ. დავითიანს ჰგონია, რომ არსებობდა ცნობილი ისტორიკოსი ლეონი და არა ლეო.

დასანანია ყოველივე ეს, მეტი რომ არა ვთქვათ!

శాఖల శాఖల

లిపితోరాతిశాల

సాంకేతిక శాఖల

శ్రేమమ్మెల్లెబాథ్యే జ్యానాస్క్ర్యూల్ కొ-
 నెబథీ శ్వాస దాసస్తామిదా రామట్లెనిమే
 మంచిరాల్లిల్లి వ్యేరిల్లి. మిత ఉమ్మె-
 ట్లేస్, శ్వేష్ట్రావ్లోసి నుహీఫ్ట్రాడ అం
 గామ్భెండారూ సాయ్యతర్రివ్ జార్తుల్లి
 సాబ్కోంతా త్రోథీం, తున్డలాప్ మిసి
 నుహీతి లొంగి వ్యాఖ్యమాంగ్లెన్నెల్లి,
 రంగంరొప్పా గాల్పాక్టింప్ త్రాందింగ్.
 ఏస్ గాసాగ్గెబిప్పా: తొవిసి శ్రేమమ్మె-
 ట్లేబిల్ నుహీపురీ సిల్లర్మిత, గాన్చుమ్మె-
 ట్లేబ్ఎల్లి మాల్చాల్మిత్సాత్విర్ముల్లంబిత,
 ద్వేలాండ తొవ్వుల్లేసాంగామి లా క్రి-
 డ్చ్చ శ్వాసర్ క్షేల్లాం సాతార్ఘమన్ని
 త్రోథ్రురీ క్షేర్కెబితా లా నొంగ-
 స్టేబిత, గాల్పాక్టింప్ గాన్కుయ్యత్వే-
 భా నుహీతి మగోన్నెబిల్ కాట్చెగంరొసి,
 రంగంరొప్పా అంచిన త్రాందిల్లిక్ క్షేల్-
 డ్చ్రెల్లిన్ని, రాంచెక మారొం రొల్క్కె,
 స్ట్రేట్జా మాల్చార్మె, స్టేర్గ్జె గ్సె-
 న్నిన్, శ్వాస రంద్రెబ్బాం లా స్క్షప.
 అమిత నిస్సెబా లి గార్మమోబా, రంగ
 గాల్పాక్టింప్స్థే వ్యేర్జెక అన శ్వేష్-
 ల్లాండ జార్తుల్లి గ్నిసి మింద్రెన్
 గ్యేరమాన్నెల్లెబి, అన మిసి ల్లేప్సెబిల్
 మతార్గమన్నెల్లెబి, రంమేల్లాం శ్వాస-
 వాన్ త్రోథ్రురీ అంద్రంతి శ్వేష-
 ల్లింత గాల్పాక్టింప్సిల్ శ్రేమమ్మెల్లే-
 బిల్ నెంత్తుంపుర్ గాగ్గెబా. అమిత్తె
 నిస్సెబా లి సామ్పుంబారొ త్యాప్తింప్,
 రంగ గాల్పాక్టింప్సిల్ తార్గమన్ గ్యేర-
 మాన్నుల్లాం నెంప్పుస్ శ్వేధార్గెబిత గ్వా-
 న్ లా అంత్రమ్ లొంగి వ్యాఖ్యమాత్వెబిత.
 లా మాంచె, పాల్కెప్లుల్, ల్లాంగ్మ-

ప్రాణాక్షరింపు ప్రార్థనెల్ల క్రిందిమ్మామి

△ △

శాఖల ర్యోశ్విల్లి

▽ ▽

ప్రార్థనుల్లి సాధకోంతా మింపర-
 ల్లంగా జీవ కిష్టిం అన కిష్టిం-
 ల్లా ప్రార్థనెల్ల ప్రాంగోరంతా ఇం
 కరుతికంసుతా సాధానశాంతి శ్వేష-
 ల్లాంగిల్ సాధనాం. ఏర్తిగ్వార్ గా-
 మిన్నుక్కుల్లిసి అం మెర్రివ్ వ్యాఖ్యమాం-
 గ్వెన్ క. గామిసాంశ్రద్ధి, రంగమ్లిసి

ნური და ძუნწი ცნობები გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაავშირებით უკვე გვხვდება საცნობარო ლიტერატურაში, თუ ქართული მწერლობისადმი მიძღვნილ საერთო მიმოხილვებში.

პირველი ნაცნობობა გალაკტიონთან იწყება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთვრების შემდეგ, რაც უფრო ადრე გერმანულენოვან სამყაროსთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა შეუძლებელი იყო ევროპაში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო. გალაკტიონის შემოქმედების შესახებ გამოთქმული მოსაზრებების ავტორები არიან რობერტ ბლაიხშტაინერი და გერჰარდ დეეტერსი, გ. ვარმითა ადოლფ ენდლერი, ჰაინც ფენრიხი და სხვები.

ავსტრიელმა სწავლულმა, ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ბლაიხშტაინერმა 1946 წელს გამოსცა კრებული „ახალი ქართველი პოეტები“. რომელშიც შეიტანა XIX და XX საუკუნის ქართველი მგოსნების ლექსთა საკუთარი თარგმანები. როგორც მოსალოონერი იყო, აონიშნულ კრებულში მან უხვად წარმოადგინა სწორეო გალაკტიონის პოეტური ნიმუშები. რ. ბლაიხშტაინერის აზრით, როგორც ეს წიგნი-

სათვის დართულ „ბოლოსიტყვა-ობაში“ არის აღნიშნული, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტთაგანია გალაკტიონ ტაბიძე — რომანტიკოსი და სიმბოლისტი, რომელმაც განიცადა ფრანგი ლირიკოსების, განსაკუთრებით ბოდლერისა და ვერლენის ძლიერი გავლენა და რომ ახალ გზებს იგი საბჭოთა სინამდვილეში დაადგა¹.

ნარკვევში „ქართული ლიტერატურა“, რომელიც გამოქვეყნდა 1963 წელს, დასავლეთგერმანელი პროფესორი გერპარდ დეეტერსი საგანგებოდ მიმოიხილავს უახლოესი პერიოდის ქართულ კაზმულსიტყვაობას, კერძოდ „ესთეტიზმსა და სიმბოლიზმს“. გალაკტიონ ტაბიძემ, — აღნიშნულია ნარკვევში. — ლირიკული ლექსები გამოაქვეყნა ჯერ კიდევ სემინარისტად ყოფნის დროს. მისი პირველი კრებული გამოვიდა 1914 წელს. მალე იგი პირადად დაუკავშირდა. რეს სიმბოლისტებს, რომელთა გავლენაც თვალსაჩინოდ განიცადა. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იგი დაღდა ამ წყობილების მხარეზე. მისი უაღრესად ორიგინალური და დრამატული პაտოსით აღსავს ლექსები და პოემები ექმა-

¹ Robert Bleichsteiner, Neue georgische Dichter, Wien, 1946. S. 80.

ურებოდნენ პოლიტიკის არსებით-
სა და მიმდინარე მოთხოვნილე-
ბებს. იგი ატარებს „სახალხო პოე-
ტის“ სახელის!

ცნობებს გალაკტიონზე ვხვდე-
ბით „მაიერის ახალ ლექსიკონ-
შიც“ 1964 წელს. ტრადიციული
ბიოგრაფიული მონაცემების გვე-
რდით, მასში აღნიშნულია, რომ
აღრინდელ ნაწარმოებებში გა-
ლაკტიონი ახლოს იღვა სიმბო-
ლისტებთან. შემდეგ კი, მის ქვე-
ყანაში მომხდარი დიდი სოცია-
ლური გარდატეხების ზეგავ-
ლენით, იგი იქცა ქართული პოე-
ზის განმაახლებლად. საპროგრა-
მო ლექსში — „ჩვენ, პოეტები სა-
ქართველოსი“ — იგი მოითხოვ-
და რევოლუციის საქმის დაცვას.
წერდა დიდი სამამულო ომისადმი
და მშვიდობის შენარჩუნებისადმი
მიძღვნილ პატრიოტულ ქმნილე-
ბებს. 1933 წლიდან არისო საქარ-
თველოს საბჭოთა სოციალისტუ-
რი რესპუბლიკის სახალხო პო-
ეტი².

დაწვრილებით ცნობებს ქარ-
თულ საბჭოთა ლიტერატურაზე

იძლევა ლაიტციგელი ღოქტორი-
გ. ვარმი 1967 წელს გამოცემულ
ჯიბის ლექსიკონში — „საბჭოთა
კავშირის ხალხთა ლიტერატურა“.
გალაკტიონზე აქ კერძოდ ნათქვა-
მია, რომ უკვე მისი აღრინდელი
ლექსები გამსჭვალულია რევო-
ლუციური სულისკვეთებით. საბ-
ჭოთა ხელისუფლების დამყარე-
ბის შემდეგ ტაბიე ერთი პირველ-
თაგანი გახდა მისი დამცველი. მან
გამოხატა ჩამოყალიბების პრო-
ცესში მყოფი ახალი სოციალური
პიროვნების ფიქრები და გრძნო-
ბები, მისი მზადყოფნა — დაღვეს
საშობლოს, მშვიდობისა და ხალ-
ხთა მეგობრობის დამცველთა
რიგებში. ქართული პოეზია გ. ტა-
ბიემ გამდიდრა ახალი თემები-
თა და სურათებით³.

აღოლფ ენდლერმა არა მხო-
ლოდ თარგმნა გალაკტიონის ლექ-
სები, არამედ მოგვაწოდა მოსაზ-
რებანი პოეტის შემოქმედებაზე.
მან დაწერა სტატია „ქართული
პოეზიის მიმოხილვის ცდა“, რო-
მელიც დაბეჭდა ჩერ ჟურნალ
„ზინნ უნდ ფორმის“⁴ ფურცლებ-
ზე, ხოლო შემდეგ შესავალი წე-

¹ Gerhard Deeters, Georgische Literatur, In: Handbuch der Orientalistik, Erste Abteilung, Der Nahe und der Mittlere Osten, Siebenter Band, Leiden-Köln, 1963, S. 153.

² «Mayers Neues Lexikon», 1964, Bd., 7. S. 920. Leipzig.

11. „კრიტიკა“ № 6.

“

³ «Literaturen der Völker der Sowjetunion», Leipzig, 1967. S. 384.

⁴ Adolf Endler; Versuch über die georgische Poesie, In: «Sinn und Form», 1970, H. 6. S. 1388-1430.

რილის სახით დაურთო ბერლინში 1971 წელს გამოცემულ ანთოლოგიას „ქართული პოეზია რვა საუკუნის მანძილზე“¹. სტატიაში მან უაღრესად საინტერესოდ განიხილა ქართული პოეზის, კერძოდ გალაკტიონის შემოქმედების გენეზისი. მისი წარმოდგენები, რათქმა უნდა, არ სცილდება საყოველოაოდ აღიარებულ ისტორიულ მოდელს, მაგრამ პოეტური ხედვის უნარი ენდლერს ზოგჯერ შესაძლებლობას აძლევს ახალი კუთხით დაინახოს დიდი ქართველი პოეტის შემოქმედება. ბევრ შემთხვევაში შეიძლება ენდლერს არც დავეთანხმოთ, თუმცა მისი აზრების დატოვება უყურადღებოდ მაიც არ შეიძლება.

გალაკტიონს იგი მართებულად მიიჩნევს ქრონოლოგიურად აბაშელისა და გრიშაშვილის თაობის მწერლად, მაგრამ ამასთან მათ შემოქმედებათა შორის პოულობს თვისობრივ განსხვავებას. ენდლერის აზრით, დიდ „მოდიფიცირებათა“ მიუხედავად, გალაკტიონის პოეზიამ განიცადა რუსული სიმბოლიზმის, კერძოდ ბლოკის კეთილისმყოფელი გავლენა. გალაკტიონზე ბლოკის ზეგავლენის მაძიებელი ენდლერი იქმდეც კი მი-

დის, რომ „თოვლში“ ხედავს მზის სხივებით გაბრწყინებული სამხრეთის და „დათოვლილი პეტერ-ბურგის“, მუსიკისა და მწუხარების, ურთიერთთან მჭიდროდ გადახლართულ, მოვონებათა სიმბოლისტურ სურათებს: ახალგაზრდობის მიუხედავად (გალაკტიონი ამ დროს 24 წლისა იყო), პოეტი გამოიყურებათ როგორც მოხუცი, ან ჭარმავი. მას მოჰყავს გალაკტიონის სტრიქონები — „ძვირფასო, სული მევსება თოვლით, დღეები რბიან და მე ვბერდები“ და დასძენს, რომ აქ მოისმის ორიგინალური და სათარგმნელად ყოვლად შეუძლებელი მუსიკა. გერმანელ მკითხველს უკეთეს შემთხვევაში შეუძლია იგი „ინტუიციით გაიგოს“. პოეტური სურათების მომძლავრებით, აგრეთვე სხვა სამკაულების გამოყენებით, აღნიშნავს ენდლერი. პტაბიძე იმ ქართველ პოეტთაგანია, რომლის თარგმნაც ან შეუძლებელია, ან მეტალ ძნელი. გალაკტიონის ლირიკა განძია — ხელმისაწვდომი თვით ქართველი ხალხისა. ნებართული ენის მცოდნე უცხოელისათვის. გალაკტიონს ძვეს ლექსის სრულიად „ახლებური შინაგანი ორგანიზაცია“ და „ფარული“ რითმა. დიდი წარმოსახვისა და სოციაციების უნარის მქონე

¹ „Georgische Poesie aus acht Jahrhunderten“, 1971, S. 5–56.

ქიოთხველს შეუძლია გალაკტიონის ლექსებში აღმოაჩინოს ის მუსიკალობა, რომელიც ბადალია მის მიერვე ლექსებში ხშირად მოხსენებული კომპოზიტორების — ბერთოვენისა და მოცარტის, ვაგნერისა და ვერდის, შოპენისა და პაგანინის გენიალური ქმნილებებისა, გალაკტიონს ჰქონდა. „აბსოლუტური სმენა“, რის გამოც შეეძლო ენას მოქცეოდა ისევე მყარიად, როგორც კომპოზიტორი ექცევა ბგერებს. მისი პოეზიის კიდევ ერთი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ თავის ლექსებში მეტად ფრთხილად ამუშავებს ხალხური შემოქმედების სათუთად აღმულ ნიმუშებს. „თოვლი“ მას მიაჩნია ისეთ სურათად, რომელშიც გადმოცემულია მღელვარება, მოძრაობა და დასაბუთებულია 60-ანელთა გაზრდილი სულიერი აქტივობა. ხოლო ლექსი „დროშები ჩქარა“, ენდლერის შეფასებით, არის დიდ პოლიტიკურ შემობრუნებათა „აღრინდელი სიგნალი“. არ იცოდე ქართული ენა და მაინც ჩასწელე გალაკტიონის პოეზიის სიღრმესა და მშვენიერებას. ამისათვის საჭიროა იყო ბორის პასტერნაკის მსგავსი პოეტური ერულიცის ადამიანიო, დაასკვნის აღოლფ ენდლერი.

თავისი აზრი გალაკტიონის

პოეზიის თაობაზე ორჯერ გამოსთხვა იქნის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა. პირველად 1970 წელს უზრნალ „ზინნუნდ ფორმში“ დაბეჭდილ სტატიაში — „ქართული ლიტერატურა“, მეორედ მომდევნო წელს მაირის ჯიბის ლექსიკონში — „უცხო-ენოვანი მწერლები“. ამათგან პირველში ავტორი საჭიროდ მიიჩნევს შედარებით დაწვრილებით შეუთითოს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრეს ფაქტებზე. მას შემდეგ, რაც ალნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა არა მხოლოდ ორგანული შემადგენელი ნაწილი და გამოხატულებაა ქართული ლიტერატურის დიდი მხატვრული მოწიფულობისა. არამედ განეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, ფენრიხი ლაპარაკობს გალაკტიონის დაბადებაზე „ინტელექტუალურ“ ოჯახში, სწავლაზე ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, პირველი ლექსის დაწერაზე ათი წლის ასაკში, სასულიერო სემინარიაში ყოფნაზე: 1914 წელს ლექსთა პირველი კრებულის გამოცემაზე დაუმალ საზოგადოების მიერ მის ალიარებაზე. ფენრიხი ლაპარაკობს პოეტის მოგზაურობაზე

რუსეთში. რევოლუციამდე პირველად მოგზაურობის დროს, აღნიშნავს ჸ. ფეხნიჩი, მოსკოვში რუსი სიმბოლისტები გაიცნოო პირადად; ამ ნაცნობობამ მეტად ნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინა მის შემოქმედებაზე. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ უურნალ „ცისფერ ყანწებში“ დასტამბაო მრავალმხრივ ყურადსალები ლექსები „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯი ცხენები“. რუსეთში მეორედ მოგზაურობის დროს, 1917 წელს, გახდა რევოლუციის უშუალო მოწმეო. გ. ტაბიძე პირველი იყო, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში წარმოგვიდგინა ლენინის სახე.

1921 წელს, აღნიშნავს ჸ. ფეხნიჩი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რომელსაც იგი მიესალმა, როგორც პირველი მნიშვნელოვანი პოეტთაგანი. ვალაკტიონი მუშაობდა სხვადასხვა ლიტერატული უურნალის გამოცემაზე. დაბოლოს, აღნიშნულია, რომ რიტმიკისა და ლექსიკის განუმეორებელი ოსტატობით შექმნილი მისი ლიტერატურული მარტინი მკითხველებს იძყრობს თავისი ღრმააზრობრივი შინაარსით¹.

1971 წელს გამოცემულ „უცხოენოვან მწერლებში“ აღნიშნულია: გალაკტიონ ტაბიძემ ყურადღება ჭერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე მიიქცია ლექსების პირველი კრებულით. აღრინდელ ქმნილებებში იგი რუსი სიმბოლისტების დიდ გვლენას განიცდიდა. მისი ლიტერატურულ დონეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალში გერმანულად გალაკტიონის შესახებ კიდევ უფრო მეტი დაიწერება და ითქმება. ხოლო იმის გასარკვევად, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ქართველი პოეტის შემდგომი დაახლოვება გერმანულენოვან სამყაროსთან, საჭიროა მთავითე შევაფასოთ პოეტზე უკვე გამოთქმული და ზემოთ განხილული „კონცეფციების“ ხასიათი.

პირველი: გერმანელთა მიერ დახატული გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების სურათი, რასაკვირველია, არაა სრული, რადგანაც მასში მითითებულია მხოლოდ პოეტის ცხოვრებისა და პოეზიის უმთავრეს ეტაპზე და მომენტზე. ბუნდოვნადაა დახატული პოეტის მოღვაწეობა საბჭოთა წყობილების დამყარების მომდევნო პერიოდში; აღუნიშნა-

¹ Heinz Fähnrich, Georgische Literatur, In: «Sinn und Form», 1970. H. 6. S. 1496.

გაღაა დატოვებული 1928 წლის მოგზაურობა საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში კომინტერნის VI კონგრესის წევრებთან ერთად; არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ გალაკტიონი მონაწილეობდა 1935 წელს პარიზში მოწყობილ მწერალთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. არც ისაა მითითებული, რომ პოეტი მხატვრული სიტყვის მახვილი იარაღით ჩვენი გამარჯვების რწმენას ნერგავდა დიდი სამამულო ომის დროს, ხოლო ომის შემდეგ—ქვეყნის აღდგენით სამუშაოებშიც ხალხს ედგა მხარში.

მეორე: გერმანელები ყოველთვის მიუთითებენ გალაკტიონის შეიძლო კავშირზე რუს სიმბოლისტებთან. ასეთ მსჯელობაში მხედველობიდანაა გაშვებული ის ფაქტი, რომ დეკადენტ-სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, გალაკტიონისათვის უცხო იყო სრული ორიენტაცია იდეალისტურ ფილოსოფიაზე; რეალური სამყაროს მიჩნევა ვონებისაოვის შეუცნობელ მიღმა ქვეყნის ანარეკლად, სინამდვილისათვის ზურგის შექცევა და მტკიცნეული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში ადა-

მიაის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისიის უარყოფა.

მომავალში გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქებისას სასურველია, რომ გერმანელმა ავტორებმა უფრო დაწვრილებით წარმოადგინონ პოეტის რევოლუციის შემდგომი ეპოქის მოღვაწეობის სურათი; ხაზი გაუსვან იმ ფაქტს, რომ გალაკტიონისათვის საბოლოოდ მიუღებელი დარჩა სიმბოლისტების ფილოსოფია და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი; რომ „ლურჯა ცენტების“ ავტორმა უკეთ გაიგო რევოლუციურ წარტეხილთა დიდი ისტორიული მისია, დააფასა ახალი ეპოქა და მისი ხუროთმოძღვარი—ლენინი.

უდავოდ სასიამოვნო ფაქტია გერმანულ ენაზე მქითხველთა შორის გალაკტიონის პოპულარობის დღენიადაგი ზრდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჰელდერლინისა და რილკეს ნატიფი პოეზიით განებივრებული გერმანელი ხალხი მომავალში მიიღებს როგორც გალაკტიონის პოეზის ნიმუშების სულ ახალსა და სრულყოფილ თარგმანებს, ასევე უფრო ვრცელსა და ზუსტ ინფორმაციას პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებასთან დაკავშირებით.

პირლიტერაცია

პირლიტერაცია

რეცეზია

უ შ ე ღ ა ვ ა მ თ
 საზოგის ძიებაში

△ △

თამარ ლომიძე

▽ ▽

დღეს, როდესაც ჯერ პიღებ
 გვეცდება წმინდა სუბიექტური
 ხასიათის, მაგრამ ფილოსოფიურ
 განზოგადებათა პრეტენზიის მქო-

ნიდარ ნათადე. ლიტერატურული წი-
 როლები, თბ., 1973, „მერანი“.

ნე ფსევდომეცნიერული თხზუ-
 ლებანი, როდესაც საკმარისად
 მყარი და ორგანული არ არის კავ-
 შირი, ერთი მხრივ, ლიტერატუ-
 რის თეორიასა და, მეორე მხრივ,
 ლიტერატურულ კრიტიკას შო-
 რის, ნ. ნათაძის ამას წინათ გამო-
 ცემული „ლიტერატურული წერი-
 ლები“, ქართული ლიტერატურის-
 მცოდნეობისა და კრიტიკის სერი-
 ოზულ წინგადადგმულ ნაბიჭად
 უნდა მივიჩნიოთ.

ავტორი ეხება ო. იოსელიანის
 მხატვრული შემოქმედების ზოგი-
 ერთ თავისებურებას: მიუთითებს
 გ. რჩეულიშვილის შემოქმედების
 რამდენიმე ზოგად თვისებაზე,
 რომელიც ამ ნიჭიერი პროზაკო-
 სის ნაწარმოებებს ანათესავებს
 ქართული კლასიკური ლიტერა-
 ტურის საუკეთესო ნიმუშებთან
 და, ამავე დროს, ახასიათებს მისი
 თვითმყოფადი შემოქმედებითი
 მანერის ძირითად ნიშნებს: იხი-
 ლავს ო. ჭილაძის პოეზიას; ანა-
 ლიზებს დ. შენგელაიასა და ლ.
 გოთუას ნაწარმოებთა სპეციალი-
 კას, თ. მალაფელიძის „უშბას“,
 დ. გავახიშვილის, გ. გეგეშიძის,
 ო. ჩხეიძისა და სხვათა შემოქმე-
 დებას. „ლიტერატურული წერი-
 ლები“ მოიკავს აგრეთვე ორ უალ-
 რესათ საინტერესო საკითხს დ
 გურამიშვილისა და ვაჟა-ფშავე-

ლას შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათაგან.

ამასთანავე, კრიტიკოსის ყურადღების ცენტრშია ესთეტიკის ისეთი საკითხები, როგორიცაა: კრიტიკის კანონები და კანონზომიერებანი, ზოგადი კრიტიკულ-ესთეტიკური კრიტერიუმის დადგენა, ესთეტიკური ტებობის პროცესის ანალიზი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელოვნების როლისა და ფუნქციის გარკვევა.

„ლიტერატურული წერილების“ ავტორი ნაკლებ გასაქანს ძლევეს სუბიექტურ-ემოციურ მომენტს, რომელიც, როგორც ჩანს, ანალიზის მისი მანერის ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს. ის ხელოვნურად წყვეტს მეცნიერულ განზოგადებათა უაღრესად საინტერესო ჯაჭვს, რათა არ გაცდეს კრიტიკის უანრის კანონებით განსაზღვრულ სფეროს. მიუხედავად ამ თვითშეზღუდვისა, ეს მეორე მომენტი მაინც ძალზე მძლავრად გამოყოფილია. ნ. ნათაძის წიგნში, ამასთან, ლიტერატურის მცოდნეობითი ეტიუდები ვაჟა-ფშაველასა და დ. გურამიშვილის შესახებ ორგანულად შეერწყა წიგნის საერთო პროფილს.

„ლიტერატურული წერილების“ პრობლემატიკა ინდუქციის უზით, ცალკეულ მწერალთა შემოქმედების განხილვის მეშვეო-

ბით თანამედროვე ლიტერატურული პროცესის კანონზომიერებათა განხილვის სიმაღლეზე აღის. ავტორი არ კმაყოფილდება ლ. გოთუასა თუ დ. შენგელაის, გ. რჩეულიშვილისა თუ ო. იოსელიანის, ს. კლდიაშვილისა თუ ო. ჭილაძის ხაწარმოებების მხოლოდ ანალიზით; იგი ეძებს ზოგადსა და ტიპიურ ნიშნებს, რომელთა ერთობლიობაც ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპის საერთო ტენდენციას წარმოადგენს.

ყველი ქართველი მწერლის შემოქმედება ეროვნული ლიტერატურული პროცესის ერთი შენაკადია, პროცესისა, რომელიც თავისთვად კიდევ უფრო ფართო ასოციაციებს იწვევს კრიტიკოსის ცნობიერებაში: „დღეს არავის ეჭვი აღარ უნდა ეპარებოდეს, რომ მსოფლიო კლასის ლიტერატურა არ შეიძლება თავის ეროვნულ მასალას უყურებდეს ხელოვნურად შევიწროებული პირიზონტით, მსოფლიოს თანამედროვე კულტურული პრობლემატიკის გაუთვალისწინებლად, უყურებდეს ისე, თითქოს მსოფლიო ლიტერატურის ახალი და უახლესი მიღწევები არც არსებობს“. (გვ. 6-7). კრიტიკოსის ამ-

გვარმა პოზიციამ განაპირობა წიგნის შინაგანი სტრუქტურა.

ჩვენ შევეხებით მხოლოდ კრიტიკოსის ზოგადთეორიული მრწამსის ზოგიერთ საკითხს, მით უმეტეს, რომ ძირითადად კვთანხმებით მის კერძო დასკვნებსა და შეფასებებს.

ნაშრომში მკვეთრად გამოიკვეთა ავტორის ესთეტიკური კრიტერიუმი, რომელსაც ის განსახილველ ნაწარმოებთა მიმართ იყენებს: ესაა თემის მაქსიმალური ზოგადობა, შერწყმული მასალის „მაქსიმალურ კონკრეტულობასა“ და „მაქსიმალურ აქტუალობას-თან“.

უნდა ითქვას, რომ ეს ზოგადი კრიტერიუმი თავისთვალ თითქმის უზადოა, რადგან იგი ემყარება მსოფლიო ლიტერატურულ კლასიკის ყველა შედევრს. ერთადერთი ნაკლი ისევ მის ზოგადობაში, აბსტრაქტულობაში მდგომარეობს. საბედნიეროდ, კრიტიკოსი ყოველი კონკრეტული მაგალითისათვის ცალ-ცალკე აშუქებს მის ემპირიულ შინაარსს.

წიგნის პირველ ქვეთავში „შენიშვნები თანამედროვე ქართულ პროზაზე“ განხილულია ო. იოსელიანის შემოქმედების ძირითადი მხარეები. იქვე გვკრით დახასიათებულია ს. კლდიაშვილის მოთხრობა „რთველი“. ყოველივე ამის

პარალელურად ნ. ნათაძე აანალიზებს გ. რჩეულიშვილის მხატვრულ მექვიდრეობას, რომელიც ხელოვნების უზოგადეს „მარადიულ“ თემებს „ამუშავებდა“ „მსოფლიო ლიტერატურის მიერ გამომუშავებული ფსიქოლოგიური სიზუსტის, სიმკაცრის, ულმობელი თვითანალიზისა და განზოგადებულ ფილოსოფიურ რეფლექსიასთან შეერთებული ნატურალიზმის საუკეთესო ტრადიციითა გამოყენებით“ (გვ. 34).

ერთ-ერთი კერძო პრობლემა, რომელიც დასმულია ნ. ნათაძის წიგნში, ეს არის ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟების დახასიათების პრობლემა. ხომ არ მოძველდა სოციალური დახასიათება, როგორც გმირის დახასიათების ღომინირებული ტიპი? — კითხულობს ავტორი და იქვე პასუხობს: „.... გზა ხსიათის ხატვისა — პირველ ყოვლისა. ფსიქოლოგიურ და მორალურ-ეთიკურ გნზოგადებაზე თრიენტაციის გზა — თანამედროვე ლიტერატურისათვის თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე საიმეოო გზა არის“ (გვ. 57).

ამრიგად, „მაღალმა“ ლიტერატურამ ხელი უნდა აიღოს გმირის მხოლოდ სოციალურ დახასიათებაზე. კი მაგრამ, ნეთუ კრიტიკოსს ეს მოვლენა თანამედროვე ქართუ-

ლი ლიტერატურისათვის დამახა-
 სიათებელ ტიპიურ მოვლენად
 მიაჩინა? ქართულ ლიტერატუ-
 რულ კრიტიკაში არაერთხელ აღ-
 ნიშნულა, რომ ნაწარმოების გმი-
 რის პიროვნება დახატული უნდა
 იყოს მის დიალექტიკურ მრავალ-
 ფეროვნებაში, რაც გამორიცხავს
 როგორც მხოლოდ სოციალური
 დახასიათების განყენებულობასა
 და სიყალეს. ასევე მხოლოდ ფსი-
 ქოლოგიური დახასიათების სივიწ-
 როვესა და ცალმხრივობას. ამას-
 თან, არ შეიძლება აღამიანთა ფსი-
 ქის ჩამოყალიბება-განვითარე-
 ბაზე სოციალური ფაქტორის ზე-
 გავლენის ხელალებით უარყო-
 ფაც.

ლიტერატურული ნაწარმოების
 კრიტიკულ-ესთეტიკური კრიტე-
 რიუმის შემუშავება შეუძლებე-
 ლია მკითხველზე მისი ესთეტიკუ-
 რი ზემოქმედების შესწავლის
 გარეშე. ეს საკითხი ყოველთვის
 კრიტიკოსის მხედველობის არე-
 შია. ის კვლავ და კვლავ უბრუნ-
 დება და აღრმავებს მას. უფრო
 ზუსტად, ესაა საკითხების ურთი-
 ერთდაკავშირებული, ესთეტიკუ-
 რი ტკბობის პრობლემის ფოკუს-
 ში მოქცეული ჯუფი: „რა იწვევს
 ამ სიამოვნებას? რა ბუნებისაა
 იგი? როგორ მიიღწევა იგი სიტ-
 ყვიერსა თუ სხვა რომელიმე ხე-
 ლოვნებაში?“ (გვ. 68). რჩები

მდგომარეობს ხელოვნების და,
 კერძოდ, პოეზიის არსებობის უფ-
 ლება?

6. ნათაძის აზრით, მკითხველის
 ესთეტიკური ტკბობა სხვა არაფე-
 რია, თუ არა „გამოცნობის სია-
 მოვნება, რომელსაც ჩვენ არაპირ-
 დაპირ, მაგრამ თვალსაჩინოდ და
 საგნობრივ ფორმაში მოცემული
 შინაარსის წვდომა გვანიჭებს. პო-
 ეტური ქმნილების ზემოქმედება
 ჩვენშე მდგომარეობს იმ გრძნო-
 ბის გამოღვიძებაში, რომელიც
 ჩვენში ძევს, რომლის შესაძლებ-
 ლობა ჩვენში არსებობს, მაგრამ
 არ არის რეალიზებული მანამდე,
 სანამ ამას გარედან ბიძგი არ მი-
 უცემა სათანადოდ შეჩრჩულ გა-
 მოთქმათა ან პოეტურ ხატთა სა-
 ხით“ (გვ. 68).

ეს პოეტური ხატი „ალაწერი
 მოვლენის ამა თუ იმ მხარეს
 თვალსაჩინო და ადვილად ასათვი-
 სებელ ფორმაში“ (გვ. 68) წარ-
 მოგეიღებნს. ხოლო ეს პროცესი
 ჩვენში „შეიძლება უმაღლეს ნე-
 ტარებას იწვევდის იმდენად, რამ-
 დენადაც აღმიანის ბუნებას ზო-
 გადად და მის გონიერივ ძალებს
 კერძოდ აქტივობის მოთხოვნი-
 ლება გააჩნია“ (გვ. 69).

ვფიქრობთ, გარკვეული საფუძ-
 ველი გვაქვს იმის სამტკიცებლად,

რომ ესთეტიკური ტკბობა არ არის მხოლოდ სიამოვნება, არამედ წარმოადგენს დადებითი (ე. ი. სი-ამოვნებისა) და სხვა, უმეტესწილად უარყოფითი (მაგალითად, არისტოტელეს მიერ ნახსენები, შიშისა და სიბრალულის) ემოციების რთულ ურთიერთმოქმედებას. ამას გარდა დაუშვებელია პოეტური სახისა და მთლიანად პოეტური ქმნილების ცნებათა ურთიერთაღრევა. ადამიანის ფსიქიურზე მათი ზემოქმედების სპეციფიკა განსხვავებულია. გაცილებით ფრთხილად და ზუსტად ხმარობს ტერმინებს ამ საკითხის განხილვისას პროფ. ა. ბეგიაშვილი. იგი ლაპარაკობს „ესთეტიკური ტკბობის შესახებ, რომელიც თან ახლავს პოეტური სახის აღქმას“¹.

არც ორი სხვა ნიშანია დამახასიათებელი მხოლოდ ესთეტიკური განცდისათვის. პოეტური ქმნილების ზემოქმედება ჩვენზე არამც თუ არ გამოიჩივა აღილად ასათვისებელი ფორმით, არამედ სირთულით ჭარბობს ყოველგვარ სხვა ზემოქმედებას. „ხელოვნების აქტი არის არა მისტიკური და ზეციური აქტი ჩვენი

სულისა, არამედ ისეთივე რეალურია, როგორც ჩვენი არსების ყველა დანარჩენი მოძრაობა, ოლონდ მათზე რთულია“, — წერდა გამოჩენილი საბჭოთა ფსიქოლოგი და ესთეტიკოსი ლ. ს. ვიგორცია².

რაც შეეხება ინტენსიონის, ე' არაა ის ნიშანი, რომელიც ესთეტიკურსა და ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებით ტკბობას განასხვავებს. ის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ატრიბუტია ესთეტიკური განცდისა.

ხშირად დასმულა კითხვა, თუ რა არის ხელოვნების არსებობის უფლება. ჩვენი სამყაროს კანონებსა და კანონზომიერებებს შეისწავლიან სხვადასხვა მეცნიერებანი. მაშ რაღაც შეიმეცნებს ადამიანი ხელოვნების მეშვეობით?

„ლიტერატურულ წერილებში“ ამის შესახებ გარკვეული მოსაზრებაა გამოთქმული: „მკითხველი უნდა ყოველმხრივ გამართული, სრულყოფილი ნაწარმოები, რომელსაც ის უშელავათოდ მიუდგება, ნაწარმოები. რომელიც ააღელვებს მას, ცხოვრების ფაქტების ცონას გაუმდიდრებს და ამ დაქტებში გარკვევის უნარს გაუმახვილებს“ (ავ. 8). როგორც ამ ციტატიდან ჩანს, ხელოვნების ნა-

¹ А. Р. Бегишвили. Философия и поэзия (Философские проблемы поэтической речи), Тб., 1973, стр. 46.

² Л. С. Выготский. Психология искусства, М., 1963, стр. 327.

წირმოების ფუნქციად აღიარებულია მკითხველისათვის ცოდნის მიწოდებაც.

გავიხსენოთ აგრეთვე ნ. ნათაშის მოსაზრება, გამოთქმული ამას წინათ გამოქვეყნებულ წერილში—„თემა და მისი მხატვრული გადაწყვეტა“: „არსებობს მეცნიერული ისტორია, მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერული ფისიკოლოგია, სოციოლოგია და ა. შ. ეს მეცნიერებანი მრავალ ჭეშმარიტებას აღმოაჩენენ და მრავალ პრაქტიკულ დასკვნას გვიყარნახებენ ხოლმე გაცილებით უკეთესად. ვიდრე ეს ხელოვნებას (და, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურას) ძალუბს... მიუხედავად ამისა, არის სფერო, რომელშიც მეცნიერება—შემეცნების ეს ყველაზე ობიექტური და ოასაბუთებული ფორმა—ვერ ძირება და რომელიც ხელოვნების „მონოპოლიურ“ გამგებლობაში რჩება“¹. აქ კრიტიკოსი მკვეთრად ვანს ხვავებს სინამდვილის ორ სფეროს — ასციონალურ ჭეშმარიტებათა სფეროს, რომელთაც მეცნიერებანი შეისწავლიან და „აქსიომატურ, ლოგიკისათვის მიუწვდომელ ელემენტთა სფეროს, რომელსაც ლოგიკური, და საბუთებული განხილვა ვერ შე-

ეხება ან ვერ შეჰებია“.

მართლაც, რა ფუნქციას ასრულებს ხელოვნება? ნ. ნათაშის მიერ დასახელებულ მეცნიერებათაგან თითოეულს საკუთარი საკვლევი ობიექტი აქვს და მათ ხელოვნება ვერ შეეცილება.

უფრო მიზანშეწონილია პარალელის გავლება იმ მეცნიერებასთან, რომელიც გვაწოდებს ყველაზე ზოგადსა და ყოვლისმომცველ ცოდნას სამყაროს შესახებ—ფილოსოფიასთან. ამაზე მიგვითოვებს, სხვა რომ არა იყოს რა, თვით ნ. ნათაშისეული მოთხოვნა ხელოვნების მიმართ—ხელი მოჰკიდოს მაქსიმალურად ზოგად პრობლემებს. ამასვე აღნიშნავს ზემოხსენებულ ნაშრომში პროფ. ა. ბეგიაშვილი: „პოეტური სახის მეშვეობით განხორციელებული ემოციური შემეცნებისა და ფილოსოფიური შემეცნების მჭიდრო კავშირმა უნდა ახსნას ფილოსოფიისა და პოზიტივის განვითარების კანონზომიერებათა მსგავსება, კერძოდ, ორივე მათგანში „მარადიული“ საკითხებისა და მარადიული ობიექტების არსებობა“².

სამყაროს შემეცნება არ გუ-

¹ იქვე, ვ. 59.

ლისხმობს მის მხოლოდ რაციონალურ (მეცნიერული მეთოდებით) ან მხოლოდ ირაციონალურ (ხელოვნების წყალობით) შემცნებას. სამყაროს შესახებ სრულყოფილი ცოდნა ამ ორი მეთოდის დიალექტიკური ერთიანობით მიღწევა. ამითაა განპირობებული ხელოვნების არსებობა. ფილოსოფია და წელოვნება გვაძლევს სამყაროს რაციონალური და ირაციონალური ასპექტების სრულ სურათს.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ „ლიტერატურული წერილების“ ერთ ქვეთავში („ვაჟა-ფშაველას წარსული და მომავალი“) მოცემულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოსმიური მასშტაბებით დანახულ შვენიერების პრობლემას.

.... ვაჟას პოეზია ძალიან შორსაა სამყაროს პარმონიის რწმენისაგან და თუ მის სტრიქონებში ძლიერი აღამიანის სტიქიური მხენეობა ივრძნობა, ეს თავისთავად ოც ფილოსოფიურ ანტიმიზმს ნიშნავს. რაც კერძოდ ბუნებას შეეხება, აქ ვაჟა ხედავს არა პარმონიას, არამედ დაუსრულებელ ბრძოლასა და სიკვდილ-სიცოცხლის ცვალებადობას. მან იცის, რომ ბუნება არავითარ ძალას არ ემორჩილება თაგის თავის გარდა („ბუნება მშრძნებელია, იგივ მონაა თავისა“) და თავისი

კანონებიდან გადახვევა არ იცის... ეს კანონზომიერება ვაჟასთან ტრაგიკულად განიცდება“ (გვ. 205—206).

საზოგადოდ, მშვენიერება და ტრაგიზმი ხშირად ურთიერთდაკავშირებული ცნებების სახით გვევლინება. ასეა ხელოვნებაში, ასეა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, როდესაც, მაგალითად, ბუნების მშვენიერების მაღალი განცდა უკავშირდება ბუნებისა და ადამიანის, რაციონალურისა და ირაციონალურის დაპირისპირების ტრაგიულ განცდას. ამიტომ ის თვისება, რომელიც ნ. ნათაძეს ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის ძირითად დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია, არაა კერძობითი ხასიათისა და ვრცელდება მსოფლიო კლასიკის ბუნებრაზთა შემოქმედებაზეც: „ის (ვაჟა-ფშაველა — თ. ლ.) ეძებს ბუნებისა და სინამდვილის უმაღლეს გამართლებას ადამიანის თვალში და ასეთ გამართლებას სილამაზის იდეაში პოულობს. ბუნება, თუმცა კი ხან სიკეთეს იხვეჭავს. ხან ავის მქნელია, მაგრამ „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყავისა“... ეს პრინციპი — თვით ტრაგიზმში თავისებური ზენობრივი და შინაგანი სილამაზის დანახვა—ვაჟასთვის უფრო ფართოა და მთელ მის შემოქმედებაში

მოქმედებს. თავის პირებში, მიუ-
ხედავად მათი ტრაგიზმისა, ვაუ
ტკბება თავისი გმირების და
მათი მამოძრავებელი ვნებების სი-
დიადით... ეს თავისებური თვით-
მიზნური სილამაზეა, რომ ბუნე-
ბას და ცხოვრებას გამართლებას
ანიჭებს და მის წინააღმდეგო-
ბებს დაუსრულებელ მშვენიერ
მთლიანობაში აღულებს” (გვ.
208).

ვაკა-ფშაველასა და დავით გურამიშვილის შემოქმედების ძირითადი მომენტების განხილვისას მეცნიერულ გაბეჭდულებასა და სილრმესთან ერთად კვლავ თავი იჩინა „ლიტერატურული წერილების“ ნაკლმ. ესაა მეცნიერული ანალიზის შემოფარგვლა ხელოვნური ჩარჩოებით. ბრწყინვალე დაკაირვებები და მიგნებები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ორ წერილში გვხვდება. მეტ განვრცყობა-გალრმავებას საჭიროებენ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ლიტერატურული წერილების“ კრიტიკული ნაწილის სიახლოეს ლიტერატურის მცოდნეობასთან თა მისივე წმინდა ლიტერატურის-მცოდნეობითი ნაწილის მეცნიერულ განზოგადებათა მაღალი დონე ნ. ნათაძის ახალი შიგნის თვალსაჩინო ღირსებებზე მეტყველებს.

ଓଡ଼ିଆ „ବ୍ୟାକାନ୍ଦୁ“ ଏବଂ ମହିଳାଙ୍କରେ

△ △

სარგის ჭავშვილი

△ △

ნიკოლოზ ბარათაშვილის
დიდი პოეტური ზოთაგონება
მხედველობიდან არ გამოჰქმარვიათ
მისსავე თანამედროვეებს. 1846
წელს ლევან მელიქიშვილი ასეთა
სიტყვებით ეთხოვებოდა უდრო-
ოდ დაკარგულ მეგობარს: „რამ-
დენად მძიმეა სულიერი დაობლე-
ბა! მაგრამ განა მარტო მე დამატ-
ყდა თავს ეს საშინელი უბედურე-
ბა? საქართველომ მისი სახით და-
კარგა მოელი თავისი პოეტური
არსებით მასზე შეკვარებული აღ-
ამიანი, რომელიც ამ სიყვარულს
ჰქაცხდა ყველა სხვა მოვალეობა-
ზე მაღლა, უცხო და ბრწყინვალე
ტალანტის მქონე ახალგაზრდა,
რომლისაგან სამშობლო მოელოდა
ბევრად მეტს, ვიდრე რომელიმე
მისივა თანამეთროვისაგან“.

ლევან მელიქიშვილის ეს სიტყვები ფაქტურად გამოხატავს იმ ხანების მოწინავე ქართული საზოგადოების აზრს და ერთგვარად აბათილებს იმ მცდარ შეხედულე-

ბას, თითქოს ბარათაშვილის ეპო-
ქა ყრუ და უსულგულო აღმოჩნ-
და და ვერავინ შემჩნია, თუ რა
ვეებერთელა ტალანტმა ჩაიქროლა
ღროს მცირე მონაკვეთში.

მაგრამ მაინც პირველი სერიო-
ზული და, აქვე დაგსძენთ, პროფე-
სიული განსჯა ბარათაშვილის პო-
ეტიურ შემცველობაზე, როგორც
ცნობილია, ილია ჭავჭავაძის თაო-
ბამ დაიწა: „ა. ჭავჭავაძი ილია ჭა-
ვჭავაძე ახლად „აღმოაჩინა“ დი-
დი წინამობაზე და იგი ახალი
ქართული პოლური სიტყვის მა-
მამთავრად აღიარა.

დრომ, შემღებულია კვლევა-ძიე-
ბამ თვალნათლიც დაადასტურა
ილია ჭავჭავაძეს ამ უაღრესად
მნიშვნელოვანი ლუბულების მარ-
თებულება და კიდევ უფრო
თვალსაჩინოდ გამოკვეთა ნიკო-
ლოზ ბარათაშვილის როლი ქარ-
თული პოლური სიტყვის აღორ-
ძინებაში.

როგორც ცნობილია, დღეს ამ
საკითხებზე დიდალი ლიტერატუ-
რა დაგროვდა. მაგრამ ისიც უნდა
ითქვას, რომ ყოველივე ეს კი-
დევ უფრო ააღვილებს და — არა
მგონია პარადოქსად ჩაითვალოს
ასეთი მოსაზრება — რამდენადმე
კიდევაც ართულებს მკვლევარის
ამოცანას, რომელიც ჩვენს წინაშე
წარმოდგება ახალი გამოკვლევითა

თუ მონოგრაფიით ქართველი მკი-
თხველისათვის ისეთ ახლობელ
და ნაცნობ თემაზე, როგორიცაა
ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქ-
მედება.

ამ სიძნელეთა წინაშე უდავოდ
იდგა გურამ ასათიანი, როდესაც
ფართო სამსჯავროზე გამოიტანა
თვისი ნაფიქრი და ნაზრევი იმ
წიგნის სახით, რომლის სახელწო-
დებაა „მერანი“ და მისი ავტო-
რი.

გურამ ასათიანის წიგნში ეს
დაბრკოლება წარმატებითაა დაძ-
ლეული და აქვე შევნიშნავ, რომ,
ჩემის აზრით, ეს წარმატება პირ-
ველ რიგში განაპირობა საკვლევი
საკითხებისადმი მეტწილ შემთხ-
ვევაში ახლებურად მიღვინმამ,
ფართო მასშტაბურობაში. „მერანი
და მისი ავტორი“ დაწერილია შე-
მოქმედებითი გატაცებით. ლიტე-
რატურულ მსჯელობათა მაღალი
ხარისხი თვისტავად გამორიცხავს
ყოველგვარ ტრაფარეტს, ხოლო
გონიერამახვილური დაკირვებები
ახლებურ შუქს ჰუკენ ნიკოლოზ
ბარათაშვილის ურთულეს და
ლრმა რეფლექსიებზე დამყარე-
ბულ პოლურ მემკვიდრეობას.

ქვემოთ მე მინდა შევეხო მხო-
ლოდ რამდენიმე საკითხს, რომ-
ლებიც უფრო მნიშვნელოვნად

მეჩვენება წიგნში „მერანი“ და მი-
სი ავტორი“.

წიგნი მოცულობით არაა დიდი,
 მაგრამ აქ აღმარტინი საკითხების
 საკმარისად დიდი რაოდენობა და
 ფართო პანორამაა მოხაზული. რა-
 საკვირველია, წიგნის განსაზღვ-
 რული მოცულობა ავტორს არ მი-
 სცემდა საშუალებას ერთნაირი
 სისრულით მიმოეხილა საკითხები.
 ამიტომ მას შემოქმედებითად
 სწორი გზა შეურჩევა. კვლევა-
 ძიების სიმძიმე უმთავრესად გა-
 დატანილია ისეთ საკითხებზე, რო-
 ნელთაგან რიგი ან საერთოდ არ
 იყო დამუშავებული, ან ავტორის
 აზრით, ახლებურ გადაწყვეტას
 მოითხოვს. თუ მონოგრაფიული
 სისრულის თვალსაზრისით ნაშ-
 რომის ასეთი აგებულება შეიძლე-
 ბი სადაც იყოს, კვლევა-ძიებია
 ასეთი აქცენტირება არამც თუ გა-
 მართლებულია, არამედ, ვფიქ-
 რობ, აუცილებელიც. იგი საშუა-
 ლებას აძლევს ავტორს ჩაწერდეს
 საკვლევი ობიექტის უფრო ღრმა
 შრეებს და რიგი ახალი პერსპექ-
 ტიკა დასახოს ბარათაშვილის პო-
 ეზიასთან დაკავშირებულ რთულ
 პრობლემატიკაში.

ერთ-ერთ ასეთ ცდად და წიგ-
 ნის უაღრესად საგულისხმო მონა-
 კვეთად უნდა მივიჩინოთ ნაშრო-
 მის პირველივე თავი, რომელიც

ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვი-
 ლის პოეზიის ეროვნული ძირების
 პლევას.

ბარათაშვილზე არსებულ პირ-
 ველ ნაშრომებში (შეიძლება ით-
 ქვას, ამას გარკვეული ფსიქოლო-
 გიური მომენტებიც განაპირობებ-
 და) უფრო მეტად იყო ხაზგასმუ-
 ლი „მერანის“ ავტორის ახალი პო-
 ეტური კრედო. სწორედ ქართვე-
 ლი რომანტიკოსების და, პირველ
 რიგში, ბარათაშვილის მისამარ-
 თით წარმოიშვა შემდეგ მხატვ-
 რულ-ტექნიკურ ტერმინად ქცე-
 ული ცნება „ეგრობეიზმი“, ხოლო
 ბარათაშვილოლოგიურ კვლევას
 საფუძვლად დაედო, როგორც უკ-
 ვე ითქვა, ილიას ცნობილი შეხე-
 დულება ბარათაშვილის პოეზიის
 ზოგადყაცობრიულ ხასიათზე.

მაგრამ, თუმცა ასე დასმული
 კითხვა ერთი უმთავრესთაგანია
 ნიკოლოზ ბარათაშვილის ადგი-
 ლის განსაზღვრის ღრის ქართუ-
 ლი პოეტური სიტყვის დიდ მაგის-
 ტრალზე; იგი მაინც არ ამოწურა-
 ვდა თვით პოეტისავე შემოქმედე-
 ბის ერთ მთლიანობაში გააზრების
 პრობლემას.

ისევე როგორც ყველა დიდი
 შემოქმედის მიმართ, აქაც უფრო
 მწვავედ უნდა დასმულიყო ტრა-

დიციისა და ნოვატორობის საკითხი, რადგან საყოველთაო აღიარებით ნოვატორობა გულისხმობს და სრულიადაც არ გამორიცხავს ტრადიციის სრულყოფილ დაუფლებას, რის გათვალისწინების გარეშე უეჭველად ცალმხრივ სურათს თუ მივიღებდით.

მე არ ვიტყვი, რომ კვლევა ამ მიმართულებით არ წარმოებულიყოს (სხვათა შორის ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა „ივერიაში“

ჯერ კიდევ 1881 წელს გამოქვეყნებული წერილი, სადაც მითითებულია, რომ ბარათაშვილის პოეზია „საქართველოს ნიადაგზედ არის აღმოცენებული“). ამას არც წიგნის ავტორი ამტკიცებს და ასახელებს კიდევ ცალკეულ მკვლევართ, რომელთაც არაერთი საგულისხმო პარალელი და შეხვედრა დაუძებნიათ ძველი ქართული მწერლობიდან (მაგ. იონა მეუნარგია, პ. ინგოროვა, კ. კეპელიძე, ს. ჩიქოვანი, ა. ბარამიძე, ა. გაშერელია და სხვ.), მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ასე ფართო მასშტაბით მსგავსი კვლევა-ძიება მანამდე არ ყოფილა ჩატარებული..

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი. შედარებითი კვლევა აქ არ იფარგლება პოეტური გამომსახველობების ოდენ დამთხვევათა მინიშნებით და ითვალისწი-

ნებს სხვადასხვა ასპექტებს. გასათიანი იკვლევს არამარტო ბარათაშვილის პოეტური ენის შესაძლებელ კავშირებს ძველქართულ მწერლობასთან, არამედ ცდილობს გამონახოს გარკვეული იდეოლოგიური კორელატები საერთოდ ქრისტიანულ მწერლობასთან ბარათაშვილის მიმართების თვალსაზრისით და ამდენად, ერთ მთლიანობაში გამოკვეთოს დიდი შემოქმედის პოეტური პროფილი.

პირველ ასპექტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კვლევარი არამარტო ითვალისწინებს მანამდე არსებული კვლევის შედეგებს, არამედ სრულიად ახალი და საქმაოდ უხვი მასალებით ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ენის, გამომსახველობით საშუალებათა აშკარა კავშირზე ძველ ქართულ, როგორც სასულიერო, ისე საერთო მწერლობასთან.

მაგალითად, ზუსტი ლექსიკური, თუ ფრაზეოლოგიური შეხვედრის არაერთი საგულისხმო მაგალითია მოტანილი ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობის ნიმუშებიდან, რაც მანამდე ჩვენთვის საერთოდ უცნობი იყო. პირდაპირ განსაცვიფრებელია აქ წარმოდგენილი ზოგიერთი მასალა. ერთ ჰიმნოგრაფთან ვკითხულობთ: „შენ რომელი წყარისა

მისგან ცხოვრებისა ასუა...“ ეგე-
 ვი თემა გაშლილია მეორე დიდ
 ქართველ ჰიმნოგრაფთან... „ღელ-
 ვანი ამაონი. გულის სიტყვანი ჩემ-
 ნი მკლომ მექმნეს მე. უწყალოდ
 აღძრულნი მტერისა მიერ ზაჟუ-
 ვით. არამედ შენ ჭალშულო, მიმი-
 ძელუ მე მყუდროსა ნავთსაყუდე-
 ლსა...“ ბარათაშვილის „ჩემი ლო-
 ცვა“ შინაგანად აშეარად ეხმაუ-
 რება ასეთივე სულიერ განწყობი-
 ლებას: „ცხოვრების წყარო, მასვ წმიდათ წყარო,
 მასვ წმიდათ წყარო, მას სადგური მები და მოეც
 ების ა!“

მსგავსი საგულისხმო მაგალი-
 თები წიგნში, როგორც ითქვა, სა-
 კმარისად არის მოტანილი და
 ცოტნებაც ამასთან შესაბამისად
 იზრდება, მაგრამ მკვლევარი უშუ-
 ალო წყაროების ძიებათაგან შეგ-
 ნებულად იყავებს თავს და მართე-
 ბულად შენიშვნას, რომ ასეთი შე-
 სვედრების არსებობა კანკირობე-
 ბული უნდა იყოს, უწინარეს ყოვ-
 ლისა, სართო პირველწყაროს —
 უველი და ახალი აღთქმის საერთო
 და განუზომელი გავლენით მთელს
 ძველ სულიერ კულტურაზე.

12. „კრიტიკა“ № 6.

წიგნში წარმოდგენილი მდიდა-
 რი ფაქტიური მასალა (მე საგან-
 გებოდ მოვერიდე სხვა აგრეთვე
 საგულისხმო მაგალითების მოტა-
 ნას როგორც სასულიერო, ისე სა-
 ერო მწერლობიდან) აშეარად
 ხდის დებულებას, თუ როგორ
 ღრმად იცნობდა, შეთვისებული
 ჰქონდა პოეტს უმდიდრესი ძველი
 ქართული მწერლობის აღრიდგან-
 ვე დაცვეწილი პოეტური ენა, რა-
 ფინირებული გამომსახველობითი
 საშუალებანი, ფრაზათა ნატიფი
 მიმოხრა. იქნებ ეს, უეჭველად არ-
 ქაული იერი, ქმნიდა აგრეთვე
 შთაბეჭდილებას, რომ „მერანის“
 ავტორი ენის საკითხში წინა ეპო-
 ქებთან დაეკავშირებინათ. გურამ
 ასათიანი ვრცლად ჩერდება ამ სა-
 კითხზეც და, ჩემის აზრით, დამარ-
 წეუნებელია შემდევი დებულება-
 მართალია, „მერანის“ ავტორის
 ენა სპეციალისტების მტკიცებით
 უხვად შეიცავს არქაულ ელემენ-
 ტებს, მაგრამ პოეტური შეტ-
 ყველების ფორმა ბარათაშვი-
 ლის შემოქმედებაში მაინც აშეა-
 რად ნოვატორულია, რადგან იგი,
 როგორც მთლიანი პოეტური სტი-
 ლი, მხატვრული აზროვნების თვი-
 სობრივად ახალი პრინციპების
 ჩატარების მოასწავებს, რო-
 გორც მხატვრული ხერხი, ეს იყო

ერთადერთი შესაფერისი საშუალება ეროვნული ოკითშეგნების ისტორიული შინაარსის გამოსახა-ტაცალ. (გვ. 12).

յ ը արև մենունելողանո դասկաց-
էն դա մես ալծատ սատանալոռ անցա-
հիմո ցայթեցա ամազք սայօտես Շե-
մջանմ կըլլեցամո, մաշրամ ամչերալ
պ լուրոն մենունելողանո Շեմջա-
ցո: Չ. ասատուանո պյեժանք ամաէցո-
լոցն ս պյուրճալոցն մեռք և կըշէքին.
հոմելուց ծահատամցունուս մեռուլ-
մեքջալոնանից Շերգեցմո ովրէծա
դա ամեստան լունուն թահմաւ-
ցինոս ուզու հոմենիուլ Յոց-
Նուաթյ ցարկացուն ուզալուաթինուս.

ამ შემთხვევაში მკლელები იმა-
რჩვებს ე. წ. ტიპოლოგიური
კლევის მეოდის და ამოსავალ
დებულებად იყენებს რომანტიკუ-
ლი მიმართულებისათვის ამჟამად
აღიარებულ რამდენიმე უნივერსა-
ლიას. კიდევ ერთხელ ამოწმებს
მათ ქართულ მასალაზე და საგუ-
ლისხმო დასკვნები გამოიკვეს:
„რომანტიკულმა მიმღინარეობამ
ცველა ქვეყანაში განსაკუთრებუ-
ლი ნაციონალური ელფერი მიი-
ღო — ყველგან, საღაც კი მას შე-
საფერისად მყარი კულტურული
ფუძე დახვდა“. (გვ. 12).

ხოლო მეორე უნივერსალია კი-
დევ უფრო ზოგადი და ყოვლის-

მომცველია: „XIX საუკუნის ეპიკოპული რომანტიზმისთვის ბიბლია — საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურა — იქცა თითქმის ისეთივე მნიშვნელობის წანამძღვრად და საყრდენად, როგორსაც კლასიკური მწერლობისათვის ბერძნული მითოლოგია და მის ნიაღაზზე აღმოცენებული ანტიკური ხელოვნება წარმოადგენდა... ქრისტიანული მწერლობა იყო ძირითადი არსენალი რომანტიკოსთა მრავალრიცხოვანი ლიტერატურული რემინისცენციებისა...“ (გვ. 14).

გენულური მხატვრული ქმნილები, თავისი შინაარსით ამავე ღროს ეროვნული ცხოვრების გამოცდილებას ეს ე კაც გამოცდილებას ეს ე კაც გამოცდილებას (გვ. 33).

რაც შეეხება მეორე დებულებას, აქაც თვალსაჩინოდ არის გაღმოცემული (კერძოდ, წიგნის ზემოაღნიშვნულ პირველ თავებში) ბარათაშვილის, როგორც რომანტიკული მიმდინარეობის აშერა წარმომადგენლის, უცილობელი კაშირი ქრისტიანულ კულტურასთან. მაგრამ სწორედ აქედანვე იწყება ის უმთავრესი იდეოლოგური ჭიდილი, რომელიც ერთნაირად მსჭვალავს პოეტის შემოქმედებას და თვისობრივად ახალი მითილებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თანდაყოლილი ცოდვისა თუ ხსნის ქრისტიანულ მოტივებს თუმცა იცნობს ბარათაშვილი, მაგრამ განსახილები წიგნის ავტორის მართებული დასკვნით „ეს ძველისძველი გზა ხსნისა — ქრისტიანული მართლმორწმუნეობის გზა უიმედოდ დახშულია „შემოლამების“ იშვია: აღშფოთებული ავტორისათვის. ამის გამო, რომ იგი ასეთი გამძაფრებით დაექებს ახალ რწმენას, ახალ გზებს და ახალ იმდებას“ (გვ. 31). წიგნის ის თავები, რომებიც ამ თემის დასაბუთებას

ეძლვნება ყველაზე ფასეულია და მახვილგონივრულ დაკვირვებებს ემყარება. აქ არამარტო პოეტის ინდივიდუალური მიღრეკილებაზი ასრულებენ გარკვეულ როლს (და ეს ხაზგამშულია კიდეც), არამედ ის ფაქტორები, რამაც ძირითადში გრაციერობა საერთოდ ქართული რომანტიზმის იდეოლოგიური მიმართულება. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი თვალსაზრისი კიდევ უფრო საცნაური ხდება, როცა წიგნის ავტორი პოეტის უმთავრეს შედევრთა ყოველმხრივ ანალიზს გვთავაზობს, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა ლიტერატურისმცოდნეობაში საერთოდ ფერ კიდევ გაღაუწყვეტილ პრობლემას, როგორიცაა თვით რომანტიკული მიმდინარეობის ძირითადი ნიშნების დადგენა. წიგნის ავტორი გრძნობს ამ სიძნელეებს, მიმოიბილავს ძირითად ლიტერატურას და ერთგვარი კამათი! წესით გვთავაზობს მისოვის უფრო მისაღებ თვალსაზრისებს.

ზემოთ აღინიშნა ორი უმთავრესი ნიშანი, რომელიც თავმის უზოგადეს პრინციპად არის აღიარებული (ვგულისხმობ ეროვნულ ოკითხების პრიმატსა და ქრისტიანულ კულტურასთან კავშირს).

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ნიშნები იმდენად არის უნივერსალური, რამდენადაც სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში ვლინდება. ამ მიმართულებით წიგნში მოტანილია კიდეც სხვა დახახასიათებელი ნიშნებიც, როგორიცაა, მაგალითად, „გრძნობის“ კულტი, როგორც „რაციონალიზმის“ ანტითეზა, წარსულის იდეალიზაცია აწყოს უარყოფის პათოსით და ა. შ. მაგრამ ცალკე აღებული ეს ნიშნები ფაქტიურად ნაკლებ მეტყველია და მხოლოდ რაღაც მთლიანობაში თუ იძენს გარკვეულ შემსრულებას.

არანაკლებ რთული ჩანს ვითარება, როცა ჩვენ კრიტიკულად ქართული რომანტიზმის თავისებურებათა დახასიათებას ვცდილობთ. აქ მართლაც ბევრი რამაა ბუნდოვანი და დასახუსტებელი. ამასთან დაკავშირებით დამაფიქრებელია ავტორის შემდეგი სიტყვები: „ბოლო დროს ქართულ ლიტერატურის მცოდნეობაში განსაკუთრებით ოვალსაჩინოდ მუღავნდება ერთი, ჩევნი ფიქრით, მეოთხოვლოგიურად გაუმართლებელი ტენდენცია, ყველაფერი რაც კი თავისი მხატვრულ-იდეური სპეციფიკით განხევ რჩება XIX საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარების მთავარი

გზიდან, გადატანილ იქნას რომანტიული მიმდინარეობის რკალში“. ეს დაკვირვება, მართლაც, ანგარიშგასაწევია და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ლიტერატურული პროცესების კვლევის დროს თავიდან უნდა ავიცილოთ ობიექტურად არსებულ მრავალფეროვნებათა ნიველირების იოლი ხერხები.

გურამ ასათიანის წიგნი „მერანი და მისი ავტორი“, როგორც უკვე ითქვა, ყურადღებას იპყრობს კვლევის ფართო დიაპაზონით. სამაგალითო ერუდიცია, ლიტერატურის საკვანძო საკითხებში კარგი ორიენტირება, მრავალფეროვანი მასალის მოხმობა შემეცნებითი თვალსაზრისით საინტერესო საკითხავს ხდის წიგნს. არამარტო სახელების ჩამოთვლა, რის მოწმენიც ჩვენ ხშირადა ვართ. არამედ კალდერონიდან მოკიდებული მე-19 საუკუნის რომანტიკოსებამდე და ნაწილობრივ სიმბოლიზმის ზოგიერთ წარმომადგენლამდე, არც ერთი სახელი ან ლიტერატურული ფაქტი, რომელიც კი გამოყენებულია რაიმე თვალსაზრისის წარმოსაჩენად, აქ შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. მაგალითად, საგულისხმოა დაკვირვება ადამ მიცევიჩის ფარისის იდეურ შინაარსზე, ჯაკომო ლეო-

პარდის უაღრესად სევდიან მოტი-
ვებზე, რომლებიც კიდეც ენათე-
სავებიან ბარათაშვილის კაეშანს,
მაგრამ ამავე დროს, გარევეულად
ეთიშებიან კიდეც მას ყოვლისმომ-
ცველი ბოროტი საწყისის აღია-
რებით და ა. შ.

საგულისხმოა აგრეთვე პრობლე-
მატური საკითხებისადმი ლტოლ-
ვა, რაც შემოქმედებით ელფერს
ანიჭებს განსახილველ ნაშრომს.
მაგრამ განსაკუთრებით უნდა გა-
მოიყოს წიგნის ის თავები, რომ-
ლებიც ეძღვნება ბარათაშვილის
შედევრთა კონკრეტულ მხატვ-
რულ-ლიტერატურულ ანალიზს.

ზემოთ ვახსენეთ წიგნის ავტო-
რის მოსაზრებები ბარათაშვილის
ცნობილ ლექსებზე „ვპოვე ტაძა-
რი“, „ჩემი ლოცვა“. ასევე სანი-
მუშიოდ არის გარჩეული აგრეთვე
ერთი უპირველესი შედევრთაგანი
, ფიქრი მტკვრის პირას“. გ. ასა-
თიანი შენიშვნას ერთგან, რომ ვე-
ნიალობა სრულიადაც არ გამორი-
ცხავს რაიმე კომპრომისებს, არა-
ნარტო ცხოვრებაში, არამედ შე-
მოქმედებაშიც. ასეთ ნიშნებს, მი-
სი აზრით, ერთგვარად ატარებენ
ბარათაშვილის ცნობილი ლექსე-
ბი: „ომი საქართველოს თავად-
აზნაურთა-გლეხთა პირისპირ და-
ლესტნისა და ჩეჩენელთა...“, „საფ-
ლავი მეფის ირაკლისა“ და ა. შ.

„ფიქრი მტკვრის პირას“ — ეს
წმინდა მედიტაციური ხასიათის
ლექსი, რომლითაც ბარათაშვილი
„უახლოესი დროის ქართული ლი-
რიკის წინამორბედად“ წარმოგვი-
დგება — თავისთავში გარევეულ
წინააღმდეგობას შეიცავს. ფილო-
სოფიურ ასკეტუში გაშლილი განს-
ჯა, რომელიც ღრმად აღმიანურ
ნაკლოვანებაზე მიგვანიშნებს
(შდრ.). „აღუვსებელი საწყაულის“
თემა), ერთგვარ ანტითეზაში გა-
დადის, როცა პოეტი თითქოსდა
იძულებით შემრიგებელი კილო-
თი გვთავაზობს ასეთი ხასიათის
დასკვნას: „მაგრამ რადგანაც კაც-
ნი გვქვიან — შვილი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვე-
სმას მშობლისა, არც კაცი ვარგა,
რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავ-
სოს, იყოს სოფელში და სოფ-
ლისთვის არა იზრუნვოს!“ ძალზე
ფასეულია წიგნის ავტორის დაკ-
ვირვება (რომელიც, რამდენადაც
ვიცი, მანამდე არავის გამოუთქ-
ვამს), რომ „ეს შერიგების ინტო-
ნაცია, რომელიც მთელ სტროფს
მსჭვალავს, აშეარად აცდენილია.
ბარათაშვილის მსოფლმხედველო-
ბრივ ძიებათა მთავარ წარმმართ-
ველ ნაკადს“ (გვ. 24).

ყოველმხრივ მხატვრულ ანა-
ლიზზე დაყრდნობით გურამ ასა-

თიანი სრულიად მართებულად ბარათაშვილის ერთ-ერთ შედევრად მიჩნევს მის პირველ ფილოსოფიურ ლექსს „შემოღმება მთაწმინდაზედ“, რომელშიც უკვე ასე ჭარბადაა გამჟღავნებული პოეტის მისწრაფება ფიქრისა და ძიებისაკენ; ასევე საგულისხმოა დებულება, რომ თუმცა ლექსები „სული ობოლი“ და „სულო ბოროტო“ „მერანის“ შემდეგ დაიწერა, მაგრამ მაინც აღიქმება როგორც პრელუდია და აქ დასმულ კითხვებზე პასუხს სწორედ „მერანში“ ვპოულობთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების ერთ მთლიანობაში გააჩრებით ნაშრომში ხაზგასმულია ღრმა სულიერი შრეებიდან ზამრული ტრავიზმი და ავაწინათვებრივი მანიშნებელი ქვეცნობიერი იმპულსები, რომლებიც მეტნაკლებად ყონავს პოეტის თითქმის ყველა სრულყოფილ ქმნილებაში, რაც ასე აშკარად გამოხატულ ინდივიდუალურ დაღს ასვამს პოეტის მთელ შემოქმედებას.

მაინც თავისი მასშტაბით და უდიდესი მნიშვნელობით უპირველესი ადგილი უჭირავს ორ თხზულებას, რომლებშიც მთელი ძალით არის გამჟღავნებული ასე ღრმად ინდივიდუალური შემოქ-

მედისათვის თითქოსდა მოულოდ-ნელი განზოგადების არაჩვეულებრივი ტალანტი.

წიგნში, ბუნებრივია, ვრცელი მსჯელობა ორივე ამ შედევრზე და ავტორი მართებული პოზიციებიდან გვიხსნის ორივე ნაწარმოების შინაგან პათოსს. ეს საცნაური ხდება თუნდაც იმ გარემოებით, რომ გურამ ასათიანი ამჩნევს ურლვევ შინაგან კავშირს თავისი გარევნული ფორმით, თუ მხატვრული გადაწყვეტით თითქოსდა დიამეტრალურად განსხვავებულ ქმნილებათა შორის. მისა აზრით, „მერანი“ „ბედი ქართლისას“ ბუნებრივი გაგრძელებაა და დრამის პროლოგს წარმოადგენს. მართლაც, „მერანის“ უმთავრესი იდეა — ადამიანის შემოქმედი სულისა და თავისუფალი ნების სამკვდრო-სასიცოცხლო, უკომპრომისობრძოლისა ბრმა აუცილებლობის შტრულ ძალებთან, როგორც კაცობრიობის ისტორიის კეშმარიტა აზრი და გამართლება — თავისი ზოგადი შინაარსით ამომწურავ პასუხს იძლევა იმ კითხებზე, რომლებიც 22 წლის ბარათაშვილმა „ბედი ქართლისაში“ დასვა. ამ გაგებით ეროვნული საკითხი, რომელიც გარევნული ნიშნებით თითქოს არც კი ჩანს „მერანში“, გაღამრილია სრულიად ახალ სიბრ-

ტყეზე და უნივერსალურ პრობლემათა რანგშია ამაღლებული.

„ბედი ქართლისა“ ეროვნული საკითხების ესოდენ მძაფრად წარმოჩინებასთან ერთად, იმითაც იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ აქ თვით მოქმედებაში კონკრეტულად და ძალზე ხელშესახებად არის გამოკვეთილი ბრმა აუცილებლობისა და ადამიანის თავისუფლებისაკენ მიღრეკილების მარალიული წინააღმდეგობრიობა. გ. ასთიანი სწორედ ასეთი კუთხით აშენებს „ბედი ქართლისას“ ძირითად იდეურ შინაარსს და არაერთ ორიგინალურ დაკვირვებას გვთავაზობს. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ამონაშერს, რომელიც ეფუძნება ერეკლესა და სოლომონ მსაჭულის, ხოლო შემდეგ სოლომონისა და სოფიოს დიალოგის ღრმა ახალის და რომელშიც მოსჩანს მკვლევარის ფხიზელი თვალთახდვა: „მიუხედავად თანდაყოლილი რომანტიკული სულიერი წყობისა „ბედი ქართლისას“ ავტორს იღმიანებდა რეალობის უაღრესი გრძნობა.

გარათაშვილის პოემაში საბოლოოდ ობიექტურად მაინც ერეკლეს აზრი იმარჩევა:

ისტორიული ბედისწერის დიქტატი აუქმებს ყველა აღტყინებულ სწრაფვას, სამართლისა და

სამართლიანობის სასარგებლოდ მოტანილ ყველა მჟევრმეტყველურ საბუთს, ყველა ოპტიმისტურ ილუზიას, რომლებიც პოემის დასასრულს თითქოს მხოლოდ იმისთვის აღმოცემდებიან, რათა ერთი საბედისწერო დასკვნით გაკამტვერდნენ“ (გვ. 138).

გურამ ასათიანმა თავის მონოგრაფიას შეუტარია სათაური „მერანი“ და მისი ავტორი“. წიგნის გაცნობა სავსებით გვარშმუნებს არჩევანის სისწორეში, რადგან მისივე საგულისხმო დაკვირვებით „მერანის“ თითქოსდა ერთგვარად ასტრაქტული თემა მეტნაკლებად მონაწილეობს პოეტის თითქმის ჯველა ქმნილებაში და მათში აღმარტული ცალკეული თემატიკური მოტივები თუ პირადი განცდებიდან აღმომხდარი ქვეყნობიერი იმპულსები თავის დამთავრებულ სახეს სწორედ ამ უდიდეს ქმნილებაში იღებენ. „მერანი“ ფაქტოურად გარათაშვილის მთელი შემოქმედების აპოთეოზად აღიქმება, რადგან ყველაზე სრულყოფილად აქ არის წარმოჩენილი გონებისა და რშმენის ის საკვირველი შერწყმა, რაც ასე ხიბლავს და აადოებს მკითხველს. გარათაშვილია „ბრმა ბედისწერასთან თავ-განწირულ, ტიტანურ ჭიდილში

დაინახა ადამიანის არსებობის უმაღლესი აზრი და გამართლება“, რაც თავისთავად სრულიად ახალი მსოფლშეგრძნების დამკვიდრებას მოასწავებდა.

ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ ავტორი წიგნში სპეციალურად მიმოიხილავს ამ შემთხვევაში უმთავრესი ცნების („რომანტიზმი“, „რომანტიკული მიმართულება“) შინაარსის გაგების საკითხებს და გაღმოგვცემს ცნობილ ავტორი-ტეტა შეხედულებებსაც (მაგ. ჰეველის აზრი რომანტიკულ პოეზიაზე, ჰიუგოსა და ბრანდესის შეხედულებები და სხვ.), მაგრავ ერთგან ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ საერთოდ რომანტიზმზე, კერძოდ, ე. წ. რომანტიკულ სულზე აბსტრაქტულ მსჯელობას მრავალ შეუსაბამობამდე მიყვართ. ასეთი მსჯელობის ერთადერთ მყარ საფუძველს მხოლოდ ისტორიზმის პრინციპი წარმოადგენს (გვ. 61).

მაგრამ, ჩემი აზრით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ეს „ისტორიზმის პრინციპი“ ნაშრომში ბოლომდევ ვერ არის ხაზგასმული, რაც, ვფიქრობ, ერთგვარ დას ასვამს ზემოთ აღნიშნული პრობლემის თანმიმდევრულ კვლევას.

საქმე ის არის, რომ რომანტი-

კული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ნიშანთა განცხრდობით წინ წამოწევის ტენდენციის წინააღმდეგ მიმართული მახვილი შენიშვნების შემდეგ თვით ავტორი მხარს უჭერს ისეთი პრინციპს, რომელიც თვითონ არის გარკვეული ისტორიულ-კულტურული პროცესის შედეგი და მისი ერთადერთ, საყოველთაო პოსტულატად წარმოდგენა, თავისთვად ასეთივე მეთოდოლოგიურ შეცდომას შეიცავს.

ავტორის აზრით (სხვათა შორის იგი აქ იშველიებს პუშკინის ცნობილ გამონათქვამს კლასიკურ და რომანტიკულ პოეზიაზე), რომანტიკული მიმდინარეობის თვისება უნდა ვეძებოთ არა მის „მსოფლმხედველობრივ შინაარსში“, არა მედ ფორმის დამკვიდრებაში, რადგან, მაგალითად, „XIX საუკუნის ევროპული რომანტიზმი, როგორც მხატვრული ფორმა, მყვიდრდება და ვითარდება როგორც კლასიკური ფორმის უარყოფის შედეგი, ეს არის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება, რომ ელიც ასე თუ ისე დამახასიათებელია უკველა ჭვაფანის და თითქმის უკველა კონკრეტული პერიოდის რომანტიკული მიმდინა-

რეობისათვის“ (გვ. 61. ხაზი ჩენია).

ავტორი ასაბუთებს ამ დებულებას: მოჰყავს კარლ მარქსის აზრიც, რომ რომანტიზმი საფრანგეთის რევოლუციის ბუნებრივი რეაქციის შედეგად ვითარდება, რის გამოც „ყველაფერი იძენდა შუასაუკუნეობრივ ელფერს, ყველაფერი რომანტიკული სახით წარმოდგებოდა“. მაგრამ ეს დებულება სწორედ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას გულისხმობს და ძნელია, ანალოგიის პრინციპით, იგი მექანიკურად მივუყენოთ ქართულ რომანტიზმს.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ასეთივე მაცტუნებელი პიპოთება, როცა ქართულ რენესანსს მექანიკურად უსადაგებენ ევროპულ რენესანსს, ერთგვარად ავიტროებენ ამ ცნების შინაარსს და ქართულ სინამდვილეშიც იმავე ნიშნების „აღმოჩენას“ ცდილობენ, რაც ფაქტიურად დასავლეთ-ევროპული ამავე ტიპის იდეოლოგიური მოძრაობისათვის არის დამახასიათებელი.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ანალოგიური ცოცხების ერთგვარი ნიშნები უეპველად ეტყობა განსახილველი წიგნის ავტორსაც, რომელიც ქართულ სინამდვილეში ხედავს თითქოს „რომანტიკული

მიმდინარეობის“ შეუპოვარ წინააღმდეგობას „განმანათლებლობასა“ და „კლასიციზმთან“ და ასევე კლევის სიმძიმის ცენტრი „ახალი ფორმის“ დამკვიდრებაში გადაეჭვს.

ჩემი ეს შენიშვნა, რასაკვირველია, შეუვალი არ არის. შესაძლებელია ზოგი რამ ახალი ფაქტი „ქართული კლასიცისტური მიმდინარეობის“ შესახებ ახალი მსჯელობის საგნად იქცეს (იხ., მაგალითად, ალ. კალანდაძის ახალი წიგნი „ლიტერატურული ნარკვევების“), მაგრამ, როგორც ითქვა, ამ საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტას მეტი კონკრეტული ფაქტიური მასალა უნდა დაედოს საფუძვლად. რასაკვირველია, არც ის მიმაჩნია მართებულად, რამ „ქართული რომანტიზმი“ მსოფლიო მწერლობისაგან იზოლირებულად განვიხილოთ. მაგრამ მაინც, ვფიქრობ, რომ სწორედ „ისტორიზმის პრინციპის“ შემოქმედებითად გამოყენება მეტად გვალებს უფრო ლრმად დაუკვირდეთ „ქართული რომანტიზმის“ წარმოშობის ეროვნულ კონცეფციას.

„მერანი და მისი ავტორი“ არსებითად კვლევითი ხასიათის ნაშრომია, თუმცა რიგ შემთხვევაში.

შსჯელობანი ერთგვარად ესეის სტილშია მოცემული, რის გამოც ავტორს მითითებათა გარეშე დარჩენია მანამდე აჩსებული რიგი ან-გარიშგასაწევი შეხელულებები. მაგალითად, როგორც ცნობილია, „მერანის“ ეროვნულ კონცეფციაზე ერთ-ერთმა პირველთაგანმა სიმონ ჩიქოვანმა გაამახვილა ყურადღება, ლევან ასათიანმა ქართველ მკვლევართა შორის ასევე პირველმა მიუთითა გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში დადასტურებულ ბუნების ძლიერ თავისებურ შეგრძნებაზე; აღრევე იყო გამოთქმული აგრეთვე მოსაზრება ბესიკის პოეზიის დრამატულ ხასიათზე და ა. შ.

წიგნში თუმცა ხშირადაა მოხსენიებული ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი და მისი პოეზიის უბადლო მცოდნე იონა მეუნარგია, მაგრამ ზოგი მისი დაკვირვება (კერძოდ, ბარათაშვილის პოეზიის კავშირი ბიბლიოტეკის მოტივებთან). მხედველობიდანაა გამორჩენილი.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს შენიშვნები ვერ ჩრდილავენ წიგნის ძირითად ღირსებებს, მის დამამკვიდრებელ პათოსს — მთელი თავისი სივრცე-სიგანით წარმოგვიდგინოს დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის შემოქმედე-

ბაშიც „ქართველი ერის პოეტური გენია თვალისმომჭრელ სიმაღლეებს მისწვდა“. „მერანი“ და მისი ავტორი ბარათაშვილის მაღალი პოეზიის საიდუმლოებათა წვდომაში ეხმარება მყითხველს. სწორედ ეს არის მისი თვალსაჩინო ღირსება.



ქართველი პოეტები

დ ე ჩ ი ვ ა ლ ი რ ი მ ე ...



ედიშერ გიორგაძე



რა ხანი გამოხდა მას მერი, (ეს იყო 1948-49 წწ), რაც ა. სალუქვაძე, მ. ჭილაძე, ორიოდ ჩვენი თანატოლი და მმ სტრიქონების ავტორი ვადგენდით ჩვენს ხელნაწერ ჟურნალს „მამონტელები“. არ მახსოვს, რასი სიმბოლო იყო ეს სათაური, ერთი კია, მმ ჟურნალში „გამოქვეყნებული“ ლექსებიდან რამდენიმე წინამდებარე კრებულშიცაა! შეტანილი („ისამანი“, „ლამარა-გაზაფხული“, „ჩაფრინდებიან პეპლები წყალში“, „ნაპირზე მღვარი

ఎల్లేబల్లేబిదాన్“ లా సెం.) అథ ల్యేఫ్సేబు కెల్ల ఏట్రేర్డా అంజ్యేరిండ్ర అన్సాలి.

కాల్చి డిల్డి డర్రం గావిదా మసు శ్యేమర్గ డా మింపుల్లండ ఆఖ్లాశాన్ చ్చార్లసంగా తొప్పి మ్యాంతెక్వెలిసి చ్చించ్చే తావిసి తింగ్వెలిసి చ్చింగ్చిం. అశ్రే శ్యేమిక్వెగాశి ఏవ్రీంలసి డిల్డ మింటెక్సోన్బెసి శ్యుయ్యెబెగ్. ట్యూకి కియ్యెక్షె అమి తావుల్సిచ్చింబిసిత మింపుల్లంగెబిత క్ర్యూబ్యుల్సి, మింపుల్లంగిని అన్ గావిమిత్యుచ్చుండ్రెబా.

యుసూ శ్యేశ్వమార్హిత్యాం తొప్పుశిని క్ర్యూబ్యుల్సి. మాశి శ్యేమ్మిల్లి ల్యేఫ్సేబి అన్ గామినిక్కెబా అన్చు ఫొర్మిమిసు శ్యుయ్యెబ్బుల్లంబిత లా అన్చు ఏ.చి. „ఎల్లేబ్బుర్రి“ తింబుల్లేబిత్యుచ్చుండిత. సామాగ్యోర్మండ, మసు ఎంబు సెంగా ద్వోర్జాసి త్విసేబా, మార్తుండ్రెక్షె అమి ల్యేఫ్సేబిసి క్యూత్వెన్బిల్లి శ్యుల్లేం శ్యుల్లే శిన్సాగాని శ్యుశ్యే. అమి శ్యేమిక్వెగాశి మె రూత్రిమల్చాం ఆ. త్లాంత్రించుసి మింతెక్సింబెబిసి శిన్సాగాని నాట్యేబా మాక్సెబ్బుండ్రెబా.

మొర్రియా, మింపుల్లండ లా మింపుల్లం నొసియా — అశ్రేతా ఏవ్రీంరిస్యుల్లి క్ర్యుండ. త్వింతిస్యుత సిట్రోనించ్చు ర్యుమినిసుల్చెన్కుంచ్చె అశ్యుబ్బుల్లి ల్యేఫ్సుమ్మాం, రొగుంరించుా „మ్యుశ్యెతిసు ఐక్యాసుసి“, అప్పుతిం అన్ గాంగ్యాబుసు. తాగిసు శ్యుశ్శి. ఆ. సాల్చుమ్మేశిని ల్యేఫ్సేబు శ్యుల్లంతుండ ఆంబొంటెబు సామ్యాశింసాలమి మెత్తిసిమ్మెత్తాం తావుల్సిబ్బుర్రా మెంపుల్చుర్రా ఇమింపుల్చుర్రా మింపుల్లేబ్బుండ్రెబా. మిం ల్యేఫ్సేబిసి

శ్యుల్ల రూల్డాం క్షెబా, శ్యుల్ల రూల్డాంసి మింల్చాంచినించి, కియ్యేశ్వుల్లేబ్బుండ్రెబి అంచా మాత్థి అంచాట్యెర్రి డా, అమాంబు డింబుసి, అన్ ఒగ్రంచెబా అంచాటొంచి డాష్చించుల్లంబా, ఏ ప్యుయ్యుల్చుయ్యెర్రి మెంపుల్లేబా అప్పొంబసి, మిం భెబాసి, మిం తించుంబెబాసి.

ఒంగ్ ర్యూహా!

ఓండ్రెబ్బుల్లి ప్యెబు ట్యేశి,

మిం ల్రుబ్బుబు అశిసి, రొగుంర్చ మింమించి! త్వాత్మం ఒంబినించి,

మ్యు అప్పొం ప్యుయొల్లేబసి క్షెల్శి!

ఒంగ్ ర్యూహా!

ఓండ్రెబ్బుల్లి ప్యెబు ట్యేశి,

మిం ల్రుబ్బుబు అశిసి, రొగుంర్చ మింమించి!

శ్యోశ్యేబ్బు త్రించి, రొమేల్లించి మిం ప్యువ్వెల ల్యేఫ్సి ఆఖ్లావిసి తాన్, అంగా శ్యుసుపుషుపుల్లి. ఒగి ప్యువ్వెల్లి త్వాత్మి ఒగ్గెబు లా బ్యాబు క్షుండ్రుంగి, బ్యాబు మ్యెత్తిప్పుస్తింబరించి గ్వాగ్రంచెబించ్చేబసి మి శ్యుశ్యునాత్మేల్లి రుత్తుల్ల శ్యుశ్యుబుసి, శ్యురుమ్లిసించ్చాం అప్పొంరిస్యెశ్చుల్లి క్షెడ్వా అంచాట్చిసి మింమ్యెల్లి ప్యెబుండ్రెబా.

ఎంతి హింగ్యెల్లి మ్యాశ్చార్హి అప్పొబసి: „య్యేర్ష్యేర్లా శ్యుశిసి తామాశిసి క్షుండ్రుసి. య్యు తామాశి డామిక్యుండ్రెబ్బుల్లిం ప్యాంచ్చుంబుసి సాంబించి గామ్యుంగ్బెబాశ్యె... రూపు శ్యుశ్యుల్లి మెత్తాంల్లా మెంపుల్చుర్రాం డాట్రించుండ్రుల్లి డాశ్చుశ్శాంత్రావి అంగిల్లేబిం, మిం శ్యుశ్యుల్లి శ్యుశ్యుశ్యుల్లి న్యాశాంత్రి

მე: (გავიკრებული სახით!)

— შენ ჩემს უჩუმრად გაგილია
ჩემი კარები
და ჩემს ზვინებში შეგიშვია
შენი ქარები.

შენ: (ატირებული გაზაფხულის
სახით)

ლიად შენ განგებ მიატოვე შენი
კარები,
განგებ შეუშვი შენს ჴვინებში
ჩემი ქარები.

ეს ალეგორია შესანიშნავია და
თავიდან ბოლომდე დიდი გემოვ-
ნებითაა ლექსში განვითარებული.

ამგვარი ქარგითაა შექმნილი
აგრეთვე ლექსი „ორი გულახდი-
ლი საუბარი“:

— ତୁଳାଲିତ ରା ମନମଳିଶି... ରାଧ
ଦ୍ଵାରାଲେଖିବା ଅର୍ଥ?..
ରାଜା ଆମିତାବା?
— ମେ ରୂପ ଗୋଟକରା, ବୀଜୁଳାଳ
ମନ୍ଦବାହୀ,
ରାମଶ୍ରୀରାଜକବିଦୀ ବାନ୍ଦା?

ମୁଦ୍ରଣକାରୀ ନାମକ୍ରମ ଓ ପରିଚୟ
ଶିଳ୍ପ ପାତ୍ର ପରିଚୟ, ମାନ୍ୟମାନ୍ୟ ପରିଚୟ
ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟ ପରିଚୟ ପରିଚୟ

ეჭვიანობს ქმარი,
ცოლს ცრემლები სკვივა...

ქმარი არის ქარი,
ცოლი არის წვიმა.

86:

କ୍ଷେତ୍ରରେ ଶାଶ୍ଵତରେଣୁ ଗାୟରିନ୍ଦ୍ରା
କ୍ଷେତ୍ରନି,
ତନତ୍ରେ ମାତ୍ରେ କ୍ଷେତ୍ରାଲ.
ଅହ, ତୁ ଗାୟରିନ୍ଦ୍ରାମ ତ୍ରୁପ୍ତାଳ
ଜୀବିତାଙ୍କ?

ଏହି ରୋଗଙ୍କର ଜୀବନାଳ!

ხალხური კილო აქ იძენს ნამ-
დვილ ლიტერატურულ პოე-
ტიზმს.

ა. სალუქვაძის პოეზიაში საერთოდ ფართოა ხალხური პოეზიის ნაკადი, მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი ავტორისეულადაა ქცეული. ასევე ორგანულადა ქვეს მას შეთვისებული დიდი გალაგტიონის მანერის ზოგიერთი თავისებურება. ქართული პოეზია ამით არაა განებიერებული. ლაპარაკია ისეთ სასიხარულო ფაქტზე, როცა ხდება არა ბრმა მიბაძვა, არამედ გათავისება ქეშმარიტი პოეტური მონაპოვრისა, რაც მეტად საძნელოა და იშვიათივ ამიტომ!

ფერწერული მანერითაა შეს-
რულებული ლიქიდი „მთები“

ପ୍ରକାଶକ...

მთები თითქოს მათხახებით
უცემათ...
რას ერჩოდნენ ამ უწყინარ
დევს.
მწვრთვალებზე მაინც თოვლი
დევს.

იშვიათი პოეტურობა პმოსავს

ბალადას „მაღალი მოთქმა სის-
ხლიანი გვირილას გამო“:

ვიცი შენ სხვა ხარ — შენ არა
ხარ სასჩეს მეჩია.

შენი გულ-მკერდი სხვა
ქიმერებს გადახნა,
შენ არ გატყვია მოზერის რები
პერანგზე ორგან,
არც არასოდეს არ ყოფილა
ჩვენში კორიდა!
შენთან სიყვილი სხვა მხარიდან,
სხვა დღეს მოვიდა...

შესანიშნავია თავისუფალი
თარგმანი ლეკონტ დე ლილის
ლექსისა „ველები“:

უსაზღრო ველზე, სავანების
მღვმარე ზღვაში,
სადაც ცისკიდე უსახოა და
უჩინარი,
ასი მუსტანგი! —
ასი მალი, ველური რაში
მიქერის, მიაპობს ბიზონების
მღვრიე მღინარეს.

აი, თითქოს სენტიმენტალო-
ბამდე მისული, მაგრამ სინამდვი-
ლეში თავშეკავებული, მოთოკი-
ლი გემოვნებით ნაძერწი და მძ-
ღნად, მგრძნობიარე სტრიქონე-
ბი:

მოვარდნილი ლელი, დარცვილი
თუთა,
— გეხვეწები, ავანზე გამო!
რბილ ბალშე ცრემლებს არ
დაღვრიდა ნუთუ
სულ პატარა მოგონების გამო?

ბიც („მე მახსოვს ვაგებდი პატა-
რა სასახლეს“, „სიყმაშვილე
ზღაპრული“ და სხვ.) ისიც უნდა
ითქვას, რომ წიგნი ძალზე ცუ-
ლადაა დაბეჭდილი.

წიგნში წარმოდგენილია ვრცე-
ლი პოემა „ნანილ“. იგი ჰეშმა-
რიტი არტისტიზმითაა აღბეჭდი-
ლი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს
პოემა ავტორს აქ არ უნდა შეე-
ტანა. იგი უნდა გამოიცეს ცალკე.
ამ ლირიკული ლექსების კრე-
ბულს ამძიმებს ასეთი დიდი მო-
ცულობის ნაწარმოები. იგი ამო-
ვარდნილია წიგნის საერთო ხა-
სიათიდან.

დაბოლოს, მინდა ვახსენო ჩი-
ნებულად გამართული „ანბანთ-
ქება“.

გარსი განიხვნენ, გავხედე,
გოდოლებს გავსილს განძითა,
გავვოცდი, განვდექ, დავხევდი,
გარდასულ გმირთა გაცდითა!

ლიტერატურული ოსტატობა
აქ შერწყმულია აზრობრივ და
ემოციურ დატვირთულობასთან.
პოეზია აღულაბებს ერთად ყვე-
ლაფერ ამას.

„გარსი განიხვნენ“... მაგონდე-
ბა დიდი ფრანგი მოქანდაკის
ბურდელის სიტყვები: „სულ ახა-
ლსა და ახალ გარსებს გადახსნის
ჩვენს წინაშე ცხოვრება“.

ა. სალუქვაძის ლექსიბმაც ერთი თუნდაც თხელი რიდე გასწიოს და ავტორის ხედვის თანაზიარად გვაქციოს. შემოქმედების არსიც სწორედ ამაშია:

იარე ჩქარა!
უფრო ჩქარა!
და... უფრო ჩქარა!
იარე ჩქარა!
შეიხსნა უფრო საყელო!
ტორტმანებს არე,
ვერ ეტევა სხეულში არე!
და რაღაც ხდება შვერნიერა და
უსახელო!

◎ ◎

შოთა რეზაშვილი და მარტინ

ფრანგული ტერმინი



მურმან თავდიშვილი



მზერალი იქ იჯერება, საჭაცი იგი განსხვავებულად გვესაუბრობა. თავისებურება ყოველთვის გულისხმობს პიროვნების ძალას, რომ თავისად გადააჭციოს „გარეშე“ მასალა, რჩმა ინდივიდუალობით დაღდასმული წარმოგვიდინოს იგი. ეს განსხვავებულად განათებული ქვეყანა უნდა ქმნადეს მხატვრულ სამყაროს,

როდამ ჩაჩინიძე. ირლანდიული ლოდი, „საბჭოთა კულტურის განვითარებისა და სამუშაოს განვითარებისა და არსებითი ღირსებაა ამ წიგნისა.

რომლის გაქრობის წარმოსახვაც ჩვენში სიცარიელის გაჩენის განცდას გამოიწვევდა.

როდამ ჩაჩინიძის „ირლანდიული ლედის“ წაკითხვამ შეგვიტნა ახალი რეალური და წარმოსახული სამყაროს განცდა, რაც არსებითი ღირსებაა ამ წიგნისა.

ჩ. ჩაჩინიძე, საერთოდ, კარგი გთხოვანი მისი წინადაღებები მკაფიო, მოკლე, ლაკონური, ტევადია. იდიომები — მარჯვე, ფრაზები, ცალკეული გამოთქმები — ზუსტი და ცხადი. არგუმენტად მოვიტანთ ერთ მცირე ადგილს: „მზის ჩასვლისას წინ ტყე გადაეღობა. სხვა დროს აღვილად გავიღლიდა ეკლიანი ბამბუკის ტყეში, მაგრამ ახლა ხელები უკან ჰქონდა გაკრული და მიწაზე გველივით უნდა ეცოცა. ეს ძნელი საქმე იყო.

ტუნგაბუკი მიწაზე დაჭდა, ცოტა შეისვენა. გასაძრომიც მაშინ ვე შეამჩნია, მაგრამ არც კი უფრისია მიწაზე ეცოცა. მხოლოდ იმიტომ შეჩერდა, რომ უფრო კარგად მოეფიქრებინა ყველაფერი“ („ინდიელი“).

ჩ. ჩაჩინიძე ენერგიულ სიუკეტურ ქარგის ქსოვს. სიმძაფრე, მოულოდნელობა, რომელიც ყოველთვის დაძაბულ მოლოდიში გვამყოფებს, ცნობის წადილ გვილიზიანებს. პირველივე რეა-

ლიდან ვექუვით შეუცნობელი აჩვის „ტყვეობაში“.

„იმ დღეებში“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთხოვნაა. „დეტექტი-ეიზმი“ როდი აბნელებს მას თვითმიზნური ხლართებით. ქარიშხლანი თბილისის კოლორი-ტიკა და ამონას ცხოვრებაც ამაღლებულია შთამბეჭდავ დონეზე.

ყველა ეს დადგებითი მხარე უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა „კორიდაში“. აქ ავტორი არ-სად არ „გაურბის“ საკუთარ თავს.

სამაგიეროდ, აშკარაა „ირლან-დიული ლედის“ თხრობის მანეჩულობა. მწერალი წელავს ცალკეულ, თვითმიზნურ პჯაუებს, ცდილობს სტილზე გადაიტანოს შეითხეველის ყურადღების აქცენტი. ეს ცდა აქ სავსებით გაუმართლებულია. მოთხოვნის სიუკეტიცა და ამბავის ძირითადი ნაწილი, თვით სახეები და მოქმედების დინამიკა იმდენად მთავარ აღვილს იყავებს ნაწარმოებში, რომ ნაძალადევი, აჩემებული, აკვატებული მანერა აშკარად უსიამოვნო შთამბეჭდილებას ახდენს:

„— ხომ არ წავიდეთ, — ვთქვი მე და ჭიქა გამოვწრუპვე.

— როგორც გინდათ — ფრანციუ-ჭომ ჭიქა დაცალა და მრგვალ მა-გილაზე დადგა. მერე ანგარიში

გავასწორეთ. ლამაზმა გოგონამ, სულ ბოლოს რომ შემოვიდა, თვალი გამოგვაყოლა, მაგრამ ჩვენ ზედაც არ შეგვიხედავს. მი-სი ბრალია, რას მოგვაჩეჩა ასე აშკარად თავი“ („ირლანდიელი ლელი“).

ჯერ ერთი, თუ ზედაც არ შეუხედავთ, როგორ შენიშნეს, გოგონამ რომ თვალი გამოაყოლა. მეორეც — აქ (და კიდევ სხვაგანაც!) ავტორი ჰემინგუეისა და სელინგერის სასაუბრო მანერის იმიტატორად გვევლინება. ამის გამოა: აღნიშნული ადგილი არ ესადაგება ავტორის საერთო სტილს და მოთხოვნების მდინარებიდან ამოვარდნილია.

„— უსასრულობა, — თქვა ფრანცისკომ და მე შემომხედა.

— დიას, სადაც სივრცეა, იქ უსასრულობაცაა.

ფილოსოფიისათვის არც ერთს არ გვეცალა „..., — აცხადებს ავტორი. რატომ? რას აკეთებენ ასეთს? სინამდვილეში ელოდებიან აფიციანტს, რომელიც მოიტანს „მეტად გულუხვ შეკვეთას!“.

სამაგიეროდ, სადაც მწერალი ავლენს საკუთარ ძალას, მისი თხრობა ბუნებრივია და დახვეწილი. „ირლანდიელი ლედის“ პილო აკორდი არ შეიცავს უც-

ხოური სტილური ზეგავლენის არაბუნებრივ ინტონაციებს. აქ ავტორი აღწევს მხატვრულ სიმართლეს: „ერთ წუთს დაკვირვებით შევავლე თვალი. უპეები შესივებული ჰქონდა. გავიფიქრე, თარკმლები აწუხებს-მეთქი. თავი დავუკარი და გარეთ გამოვედი. ბაზრის ქუჩას დავუყევი. გზაზე, იცით, რაზე ვფიქრობდი? ხომ ასე უყვარს სარიტას ბასკონია. სარიტას მაღარიდში დიდი სახლი აუშენებია. შემოდგომასა და ზამთარს კი სარიტა კანარიის კუნძულებზე ატარებს. რატომ არ ცხოვრობ, სარიტა, შენს ბასკონიაში, ბილბაოში? ბილბაო ხომ მოელს ესპანეთს სჭობია.“

სინამდვილის პოეტურად წარმოსახვისათვის მარტო ბუნებრივი ნიჭი არ კმარა: საჭიროა კიდევთ: პოეტის ხელთ იყოს „პოეტური სინამდვილე“. დგას თუ არა ეს სინამდვილე ავტორის წინაშე? ვეკითხები საკუთარ თავს წიგნის წაკითხვის შემდეგ და ეპასუხობ: დგას. რაღაც უცხოეთში ნახულსა და განცდილს იგი გამოიჩინებით აქცევს ყურადღების სავნალ. ამასთან, რაზედაც წერს, ის ძალიან კარგად იცის. ხოლო რაც კარგად იცის, იმის კარგი გამოხატვის შესაძლებლობა უკვე არის. სხვა საკითხია, როგორ იქნება იგი გამოყენებული.

ჩვენ გვაინტერესებს უცხო და უცხოური. სიუცხვის რეალურ აღქმას ერთვის ესთეტიკური ტკბობაც. უცხო ქვეყნების გაცნობა გვიმდიდრებს შემეცნებას, შემეცნების მიხედვით კი ძლიერდება ჩვენი წარმოსახვა. ჩვენ შეგვიძლია თავადაც ვიმოგზაუროთ იმ ქვეყებსა და მხარეებში, საღაც დაგვატარებს რ. ჩახანიძე თავისი წიგნით. ამ მხარეებზე გაცალებით უფრო ზუსტად შეიძლება გვესაუბროს თარგმნილი ლიტერატურა. მაგრამ იგი ვერა-სოდეს შეცვლის ჩვენი თანამემა-მულის სიტყვას სხვა ხალხის შესახებ, თუნდაც იმ ქვეყნისა, რომელიც დაგვითვალიერებია, რაღან ჩვენი ინტერესების საგანს არა მარტო უცხო ქვეყანა შეადგენს (ეს ერთი პოეტური სამყაროა); ჩვენ გვსურს დავინახოთ მეორე, არანაკლებ საინტერესო სამყარო — ჩვენი თანამემამულე მწერლის მიერ დანახული საზღვარგარეთიც.

როგორ ითვისებს რეალურად არსებულ პოეტურ სინამდვილეს რ. ჩახანიძე, რას იღებს არსებულიდან? იმას, რაც ჩვენ დღეს-დღეობით ასე გვჭირდება, თუ მხოლოდ მისთვის საყურადღებოს? აქ არსებობს საშიშროებაც: შეგავსაღ მრავალი თანამედროვე ავტორისა, რ. ჩახანიძეც ხომ არ

ცდილობს ზედაპირული აწტურა-
ჭის გამოყენებას?

ამ საშიშროებას თავს აღწევს „ირლანდიელი ლედის“ ავტორი,
რითაც, სულ მცირე, ორ ზომენ-
ტიზე საუბრის საშუალებას იძლე-
ვა: ჯერ ერთი, არ ეშინია „მხატვა-
რული ტივირთისა“ და, მეორეც,
ფართო მკითხველთა თვალში
სიმპათიებს იხვეჭს, როგორც
მწერალი, რომელიც არ ცდი-
ლობს, მხატვრული სისუსტის
კომპენსაცია მოახდინოს თემა-
ტიკის „აქტუალობით“. მართალია,
რ. ჩახანიძე ქართველი კაცის
თვალით ხედავს უცხოეთს —
სამხრეთ ევროპასა და ამერიკას,
აფრიკასა და გრან კანარიას
კლდოვან სანაპიროებს, მაგრამ
მას თხრობაში არ უონავს ლტოლ-
ება ზერელე კოლორიტულობისა-
კენ.

რ. ჩახანიძე კეთილსინდისიე-
რად გვიხატავს ინდიელებს, ამ
შალალი ზნეობის ადამიანებს.
კითხულობთ მის მოთხოვებს;
ფიქრები ძალდაუტანებდად აღი-
ძირებიან და ლაგდებიან ფრავ-
მენტულ შთაბეჭდილებებად...

მოთხოვა „ინდიელი“. მხო-
ლოდ შიშველი ხელებით ბრძო-
ლა ადამიანისა არსებობისათვის
კუნგლებში ახალი არა. მოთ-
ხრობაში პირველად ვხედავთ,
13. „კრიტიკა“ № 6.

რომ ინდიელი ტუნგასუკისათვის
ეს საშუალებაც წაურთმევიათ:
მას ხელები ზურგს უკნ აქვს
გაკრული და გაურბის სიკვდილს,
თეთრი ადამიანების სახით უკან
რომ მისდევს. ხოლო წინ გასაღ-
წევია ჯუნგლების საშინელებანი.
რ. ჩახანიძის მოთხოვებებიდან
ჩვენთვის კარგადაა ცნობილი
ჯუნგლის ფლორისა და ფაუნის
ყოველგვარი მოულოდნელობანი.
მოთხოვა „ინდიელი“ სიახლის
შეგრძნებას გვიტოვებს როგორც
თემით, ასევე ახალი ფსიქოლო-
გიური ნიუანსების მიკვლევით.
აუმცა ფინალის აზრობრივი
მკვეთრი შემობრუნება არა
გვწამს. იგი მეტად მშრალი გო-
ნებითაა გაკეთებული და არც
ლოგიურია, რადგან ესა თუ ის
მომენტი ლიტერატურაში ლოგი-
კური მაშინაა, როცა მხატვრულა-
და ახსნილი. მხატვრულად დამა-
ჯერებლად არის ნაჩვენები ინდი-
ელის არაადამიანური წამება
თეთრი ჯონის მიერ. სიკვდილის
პირზე მისული ინდიელი გადარ-
ჩება და შურისგებით აღვსილი
მიემართება ჯონის მოსაკლავად.
ჯონის ანაკონდა შემოხვევია და
ახრჩიბს. ინდიელი იხსნის მას
და თავის გზას გაყვება. ეს ფინა-
ლი, კიმეორებთ, არ გვჯერა; იმი-
ტომ კი არა, რომ ასეთი რამ

ცხოვრებაში წარმოუდგენელია, არამედ იმიტომ, რომ ამ მოთხოვნაში იგი მხატვრულად გაუხსნელია.

საქართოლ „ინდიელი“ რ. ჩახანიძის საზღვარგარეთული ციფრის საუკეთესო, ორიგინალური და დამაფიქრებელი ნაწარმოებია.

მიუხედავად იმისა, რომ „კალაპარში“ კარგადაა დაცული კოლორიტი, მას აკლია განზოგადების ძალა, სიღრმე. ნოველისებურ, რამდენადმე მოულოდნელ დასასრულს გვთავაზობს „თეთრი თოვენა“, მაგრამ მხატვრულად

უკეთესია „მერამაში“. „მერამაში“ ავტორი უფრო მეტად ამჩნევს არსებულ ესთეტიკურ დეტალებს, სილამაზებს. სილამაზის შემჩნევას კი მის არსებობაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს.

ქართული თემატიკიდან უფრო საინტერესოა: „იმ დღეებში“, „მე და ფიქრია“, ხოლო „იისფერი ბრა“, „გახსენება“ და „მზის სხივებში“ სუსტი მოთხოვებია.

როდამ ჩახანიძე არაერთი კარგი მოთხოვნის ავტორია, ამიტომ მოვითხოვთ და ველით მისგან მეტს.




ა თ ა მ ნ ე ბ ე ბ ი

როგორ გამოქვეყნდა
„გ ი ც ი შ ა ღ უ რ ი“



კლიმენტი გოგიავა



1966 წლის ნოემბერში ლადო სი-
რბილაძე გაზეთ „ლიტერატურული
საქართველოს“ გავრცელების საქმე-
ებზე სოხუმში ჩამოსულიყო და ერთ
დღეს შინ მეწვია.

ლადო მთელი თავისი სიცოცხლე
მწერლებს მეგობრობდა და ბევრი სა-
ინტერესო ამბავი იცოდა. გაიხსენა
ჩვენი ცხოვრების ოციანი წლები. სა-
უბარი მიხეილ ჯაგახიშვილს შეეხო.
ლადოს დაბალი, ალერსიანი ხმა პერ-

ნდა. მან მოკრძალებით დაიწყო:

„1926 წელს მიხეილ ჯაგახიშვი-
ლს ნივთიერად გაუჭირდა და შევლა
მთხოვა. არ გამკვირვებია; მაშინ ჯი-
ბესქელი არავინ იყო, მით უმეტეს
— მწერალი. მე ორ-სამ ადგილას
ვმუშაობდი, ფული საძებარი არ მქო-
ნდა. დაღონებულ მიხეილს ვკითხე:
კაცო, იმოდენა რომანი მაგიდაზე გი-
დევს და კიდევ უფრობას უჩივი-
მეთქი? მერე გამომცემელი ვინაა?
— ჩამეგითხა მიხეილი.“

ეს რომანი იყო „გივი შადური“,
რომელიც დაამთავრა თუ არა, დედა-
ნში წაგვიკითხა მეგობრებს.

იმ დროს ყველას შეეძლო წიგნის
გამოცემა, ვისაც ამის თავი და ფუ-
ლი ჰქონდა. მეც ხელი გავუწოდე მე-
გობარს, დავთქვით პირობა: მე ჩემი
ხარჯით ეს წიგნი უნდა გამომტეა
ხუთი ათასი ტირაჟით; მან პონორა-
რის სახით წინასწარ 1200 მანეთი
მომზადება. დავთანხმდი. ხელნაწერი
გადმომცა. ორ-სამ თვეში წიგნი უკ-
ვე მზად იყო; მაგრამ ყდაში არ ჩამი-
სვამს, მეჩქარებოდა. სტამბისა და
ქალალდის ხარჯები ვალად მაწვა და
გასტუმრებას ვეშურებოდი.

მეგონა მიხეილს ეწყინებოდა წი-
გნის ასე გამოცემა. როცა ქუჩაში შე-
მომხვდა, ნახელავი გუჩევნე და ბო-
ლიში დავასწარი. ახლაც მახსოვს
მისი სიტყვები: „რა უშაგი, ყდა კა
არ შეინახავს წიგნს, ნაწარმოება“

თვითონ უნდა გაუძლოს დროს, როგორ ფიქრობ, ჩემი ლადო, „გივი შადური“ გაუძლებს?“

მე ორად-ორი ცალი ავაგინძვინე გავრცელების ნების მისაღებად. მიხედვა წიგნი გადაფურცლ-გადმოურცლა, მოწონა; შევატყვე, არ ემუტებოდა დასაბრუნებლად, მაგრამ დადგენილ წესს, იმ წუთას, ვერ ვუდალტე და უკან გამოვართვი. რამდენიმე ნაბიჯის გადაღმის შემდეგ, უშმაკად, ნიკოლო მიწიშვილი შემეუთა; სადღაც მიიჩქაროდა. წიგნი გამომტაცა, ახლა გამომცემლობაში არავინ არ არის, ამაღამ წავიკითხავ და დალით დაგიბრუნებო— მითხრა. რა გაეწყობოდა, შინისაეკნ გავწიე; ისედაც დაღლილი ვიყავი. ნასაღილებს კი ისევ სტამბას მივაშურე, სააჭინძაო საამქროში დიდი და პატარა „გივი შადურს“ ატრიალებდა ხელში, მუშაობა დუღდა. მეუხერხულებოდა, ავტორს თავისი წიგნი რომ არ მივეცი და ნებართვას დავალოდინე. ამიტომ ჩემი შეცდომა გამოვასწორე: ერთი ცალი ქაღალდში შევახვიე და იმ საღამოს შინ მიეართვი.

მეორე დღეს მიწიშვილი სამსახურში არ დამიხვდა და გამომცემლობას სხვა ცალი მივუტანე. მითხრეს, სამ დღეში წავიკითხავთ. სტამბამ მთელი ტირაჟი აკინძა და მაღაზიებში გასატანად მოამზადა. მაგრამ კარგად დაწყებული საქმე ჰკულმა დატრიალდა; გავრცელების

ნებართვაზე უარი მითხრეს. ნიკოლო მიწიშვილმა მომისამძმირა, მე „დაგლუპეო“. აი, თურმე როგორ იყო საქმე: „გივი შადური“ იმ დღეს ნიკოლოსათვის ვიღაც დიდი თანამდებობის პირს გამოურთმევია, ქობულეთში მივდივარ დასასენინებლად და გზაში წავიკითხავო. ზოგიერთი ადგილი არ მოსწონებია და გამომცემლობისათვის დეპეშა გამოუგზავნია, ნუ გავრცელებთო.

ნიკოლომ მაინც დამაიშედა: „ჩემო ლადო, ნუ გეშინია, ეს შეჩერება დიდხანს არ გასტანს, ცოტა მოითმინე და ნებართვას არ დაგიჭრებონ“.

რა გზა მქონდა, საწყობი ვიქირავე, გამზადებული წიგნები გადავიტანე; ხარჯს ხარჯი დაემატა. შეწუხდა მიხეილი, ოჯახიდან რამეს გავყიდი და ზარალს აგინაზდაურებო.

შალვა ელიაგა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნეს თუ არა, მაშინვე ვეწვიე, წიგნი მივუტანე და ჩემი გასაჭირი გუთხარი; გაიცინა, და „გივი შადურს“ წააწერა: „მიუცით გავრცელების ნებართვა“.

გახარებული მივედი საწყობში. დავიქირავე სტამბის მუშა, წიგნს ფასი ერთი მანეთი და 50 კაპიკი რომ ეწერა, წავაშლევინე და ორი მანეთი ჩავაბეჭდებონე.

„გივი შადური“ ორ დღეში გაიყიდა. საჭირო იყო მიხეილისათვის პონორარის მომატებაც. როცა ვკი-

თხე, მითხრა—ეს გერონტი ქიქოძემ და ნიკოლო მიწიშვილმა გადაწყვიტონო. რესტორანში სუფრაზე მოვიწინე ჩემი მედიატორები... ორიოდე სასმისის შემდეგ გერონტიმ გამაცნო გადაწყვეტილება. მან მითხრა: „მიშას უჭირს და სამასი მანეთი კიდევ მიეციო“. მეც მაშინვე მივართვი ეს ფული“.

„ლადოს ნაამბობმა დამაინტერესა. ცოტა ხნის შემდეგ „გიგი შადურს“—მუქ ლილისფერყდიან წიგნს—ერთ ოჯახში შემთხვევით წაგაწყდი. ეხედავ, ზედ აგტორის გამოცემა აწერია. გამიკვირდა და, მწერალთა კაგშირში ლადო რომ შემსედა, ვკითხე, ეს როგორ მოხდა-მეთქი. ლადომ მიპასუხა: „ჩემი გვარი რომ დამეწერა, როგორც კერძო გამომცე-

მელს, დიდ ბეგარას ამჟიდებდნენ, ავტორი კი ამ მხრივ ხელშეუხებლად მივიჩნიეო“.

— მაინც რამდენი მოიგეთ?

— უხერხული შეკითხვა გამომივიდა.

— ძალიან ბევრი, ჯიბეში აღარ ჩამეტია.

ლადო ფინანსისტი იყო, ნათელი გონიერბა და მეტსიერება ჰქონდა. ქადალდზე ციფრები ჩამოწერა, სულ წერილ-წვრილად იანგარიშა, რაში რამდენი გადაიხადა და ბოლოს, მანეთიც რომ არ დარჩა, შემატყო შევწუხდი და გული გამიგეთა.

— ეს ციფრებია, ამათ რას უჯერი, მე მაინც დიდი მოგება ვნახე; მიხეილის რომანი მკითხველამდე პირველად მივიტანე, განა ეს ჩემთვის ფულზე მეტი არ იყო?



პ ლ ლ ე მ ი კ ა

ბები საპოლემიკოდ არ მიმაჩნდა, მაგრამ რაյი თქვენ მთ გარშემო პოლემიკის გამართვა მოისურვეთ, ამის საწინააღმდეგო არაფერი მქონია, რადგან ვფიქრობიდი (და ახლაც ვფიქრობ), რომ სერიოზული მეცნიერული კამათი ყოველთვის სასარგებლოა ლიტერატურის აქტუალური საკითხების გარკვევისავის.

